

K 181619  
3



მ. მირიანაშვილი

კავიტაციური მრეწველობის  
ბანკითარება საქართველოში

„მეცნიერება“  
1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო  
მუზეუმი



მ. მირიანაშვილი

# კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში

(სპირტის, არყისა და კონიაკის წარმოება)

საგვ. 2000  
მ. მირიანაშვილი



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1980



4(6222) + 6625(6.922) + 338.4:663.4(6922) + 338.4:663.5(6.922) + 9(6222) + 8

ხელის ნაშრომის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
ნაქართველოლოგიის ინსტიტუტის მკვლევართა საქართველოს  
9(41)  
63.3(2Г)  
663.5(4 7922)(09) + 9(47.922)  
8 706

წიგნში დღემდე მეტწილად უცნობ პირველწყაროებზე დაყრდნობით გამოკვლეულია სპირტის, არყისა და კონიაკის სამრეწველო წარმოების განვითარება საქართველოში გასული საუკუნის დამლევა და მიმდინარე საუკუნის დამდეგს. გაშუქებულია მრეწველობის მოცემულ დარგში მუშათა მდგომარეობა და ბრძოლა.

ნაშრომში საგანგებოდაა შესწავლილი რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოების პირველი დამფუძნებლის, ქართველი ქველმოქმედისა და მრეწველის, ფილოსოფიის მაგისტრისა და ქიმიის დოქტორის, დავით სარაჯიშვილის ფირმის საქმიანობა. ნაჩვენებია სარაჯიშვილისეული კონიაკის დამკვიდრება რუსეთის ბაზარზე და მისი საერთაშორისო აღიარება.

რედაქტორი პროფ. გრ. მარგიანი

181,619  
3

ბ. შარტსის სახ. საბჭოთა სანმედიცინო რისკუბლიკურში ზიხლიძეთაძე

## შესავალი

საქართველოს რუსეთთან შეერთება იყო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი და პროგრესული მოვლენა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა განვითარების ახალ გზაზე დააყენა. საქართველოს რუსეთთან შეერთებით ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. მან დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აღმავლობაზე. რუსეთთან შეერთებით ქართველი ხალხი, ერთი მხრივ, პროგრესული იდეებით შეიარაღებულ რუს ხალხს დაუკავშირდა და მის ეროვნულ კულტურას ეზიარა, მეორე მხრივ, მეფის რუსეთის კოლონიურ-ბიუროკრატიული რეჟიმის მარწმუნებში მოექცა.

რუსეთის ცარიზმის ამოცანა იყო ახლადშეერთებული მხარის ეკონომიკური რესურსების შესწავლა-ათვისება და იმპერიის სარგებლობისათვის მათი მაქსიმალური გამოყენება. მაგრამ რუსეთის მიერ კავკასიის „ეკონომიური დაპყრობა გაცილებით გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა“<sup>1</sup>.

XIX ს. დასაწყისში მხარის აუთვისებლობის, განუწყვეტელი ომიანობისა და არეულობის გამო მეფის მთავრობას არ შეეძლო ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაზე მკვეთრი გავლენა მოეხდინა. XIX ს. 30-იან წლებში კავკასიის ეკონომიკური ათვისების ვრცელი პროექტი შემუშავდა. მისი ამოსავალი დებულება საქართველოს და ამიერკავკასიის კოლონიად გადაქცევა იყო. კავკასიის რუსეთის იმპერია სამხრეთისათვის დამახასიათებელი პროდუქციით უნდა მოემარაგებინა. ცარიზმი, რუსეთის კაპიტალიზმის ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდა საქართველო რუსეთის სამრეწველო რაიონების ნედლეულის ბაზად და რუსეთის ფაბრიკულ-ქარხნული და მანუფაქტურული ნაწარმის პროდუქციის გასაღების ბაზრად ექცია. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკის ცალმხრივი განვითარება იყო ნავარაუდები. აქ მეურნეობის ისეთი დარგები უნდა

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი თხზ. ტ. 3, გამოც. 4, 1948, გვ. 703.



განვითარებულიყო, რომლებიც „ნედლეულის ბაზების“  
ასრულებდნენ. ცარიზმის ინტერესებში საქართველოს საწარმოო  
ძალების, მრეწველობის სრულყოფა-განვითარება არ შედიოდა.

რუსეთის მთავრობის რეაქციული მიზნების და წინასწარგა-  
წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკური  
ცხოვრება წინ წავიდა. საუკუნეების განმავლობაში შინაურ-ფეოდა-  
ლური შუღლის, საგარეო ომებისა და შემოსევებისაგან დაღლილი  
საქართველო მშვიდობიანი განვითარების გზას დაადგა. XIX ს.  
30—40-იანი წლებიდან ფეოდალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის  
რღვევამ, მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებამ, შინაუ-  
რი და საგარეო ბაზრის, სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდამ, ქვე-  
ყნის შიგნით ეკონომიკური კავშირის განმტკიცებამ, შრომის საზო-  
გადოებრივი დანაწილებისა და სასაქონლო წარმოების ზრდამ ნი-  
ადაგი მოამზადა ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობიდან ბუ-  
რჟუაზიულ მეურნეობასა და კაპიტალისტურ მრეწველობაში გადა-  
ზრდისათვის.

საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში საფუძვლია-  
ნი გარდატეხა განსაკუთრებით XIX ს. II ნახევარში მოხდა. ამ პე-  
რიოდში ფართო ხასიათი მიიღო სავაჭრო-სააღმომიქმედო და სა-  
მრეწველო წარმოების განვითარებამ. საგლეხო რეფორმის შედე-  
გად უამრავი თავისუფალი მუშახელის წარმოებაში დასაქმებამ,  
რკინიგზების მშენებლობამ, ამიერკავკასიის, რუსეთისა და მსო-  
ფლიო ბაზართან საქართველოს დაკავშირებამ და სხვა მოვლენებმა  
უდიდესი როლი ითამაშა იმაში, რომ საქართველო მტკიცედ და-  
დგომოდა კაპიტალისტური განვითარების გზას. ვ. ი. ლენინი კავკა-  
სიაში კაპიტალისტური განვითარების შესახებ წერდა: „რუსეთის  
კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში,  
ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური  
პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, ქმნიდა ბაზარს თავისი  
ფაბრიკებისათვის“<sup>2</sup>.

საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვისა  
და განვითარების ისტორიის შესწავლა თანამედროვე ისტორიული  
მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ქართველმა მე-  
ცნიერებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს საქართველოს სამრეწველო  
განვითარების საკითხების დამუშავების საქმეში. მაგრამ, მიუხედა-  
ვად ამისა, დღემდე ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი  
მრეწველობის ზოგიერთი დარგის ისტორია. მრეწველობის ცალკე-

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გამოც. 4, 1948, გვ. 703.



ული დარგების საფუძვლიანი შესწავლის, მათი სპეციფიკის, მათი  
 თვალისწინების გარეშე ძნელდება საქართველოში კაპიტალისტურ  
 ურთიერთობათა და მუშათა კლასის ჩამოყალიბებისა და განვითარების  
 ისტორიის სრული სურათის აღდგენა. აღნიშნული საკითხების  
 სრულყოფილი შესწავლა, ახალი, ადრე უცნობი საარქივო მასალის  
 გამოვლენა საშუალებას იძლევა უფრო ღრმად და ამომწურავად  
 გაშუქდეს საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების  
 რთული პროცესი, დაზუსტდეს და დადგინდეს ან ახლებურად  
 იქნეს გააზრებული ზოგიერთი გადაუჭრელი საკითხი.

მრეწველობის ცალკეული დარგების, ცალკეულ საწარმოთა  
 ისტორიის შესწავლის აუცილებლობამ განაპირობა სპირტის, არყისა  
 და კონიაკის სამრეწველო წარმოების ისტორიის გამოკვლევა.

საქართველოში არყის დამზადებას დიდი ხნის ისტორია აქვს.  
 ჩვენში იგი ძირითადად მევენახეობა-მეღვინეობასთან არის დაკავშირებული.  
 საქართველოს ბარში არყის გამოხდა უმეტესად ღვინის  
 ნარჩენებისგან ხდებოდა, მთაში კი ამ მიზნით მარცვლეული  
 კულტურები გამოიყენებოდა. ფეოდალურ საქართველოში უძველესი  
 დროიდან იცნობდნენ სიმინდის, ქერის, ხილეულის, თაფლის,  
 თაფლის სანთლის და სხვა სახის არაყს. ოთხთავისა და დაბადების  
 ქართულ თარგმანში იხსენიება დამატრობელი სასმელი „იყი“.  
 სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „იყი“ ქართულად არაყს  
 ჰქვია<sup>3</sup>. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, ფეოდალურ საქართველოში არაყს  
 „შესამჩნევი პატივი ჰქონდა მინიჭებული“, არც ერთი  
 ლხინი, ნადიმი და ჭირი ისე არ გაიმართებოდა, რომ ღვინოსთან  
 ერთად არაყიც არ ჰქონოდათ. მაგრამ საუკეთესო ღვინოების დაყენების  
 და მათი უხვი მოხმარების გამო საქართველოს ბარის მცხოვრებნი  
 არყის სმას არ ეტანებოდნენ, ისინი უფრო მეტად ღვინოს სვამდნენ.  
 არყის დამზადებას და სმას უმეტესად მთიელნი მისდევდნენ<sup>4</sup>.

არაყი და სხვადასხვა ბალახეულისგან გამოხდილი ნაყენი ფეოდალურ  
 საქართველოში უმთავრესად სამკურნალოდ გამოიყენებოდა.  
 დასავლეთ საქართველოში უხსოვარი დროიდან იცნობდნენ

<sup>3</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928, გვ. 279.

<sup>4</sup> ზ. ჭიჭინაძე, მრეწველობის წარმომადგენნი და ზუბალაშვილების გვარის ისტორია, ტფ., 1904 გვ. 108; პლ. იოსელიანი, გიორგი XIII, ტფ., 1895, გვ. 31; ფ. ჭავჭავაძის ილ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. 1, თბ., 1964, გვ. 74.



ლიქიორისა და შარტრეზის ტიპის სასმელს — „ბარამბოს“<sup>5</sup> კრომე-  
ლსაც კუჭის ძლიერი ტკივილებისა და ციებ-ცხელების შემთხვევაში  
გამოიყენებდნენ<sup>6</sup>. საქართველოში უძველესი დროიდან იხმარებოდა  
„ვარდის წყალი, ბედ მუშკი, იის შარბათი, ლილიფარი და სხუა  
რყები“ გვაუწყებს ვახტანგ VI სამართლის წიგნი „დასტუ-  
რლამალი“<sup>6</sup>.

ფეოდალურ საქართველოში არაყს მრავალ ოჯახში ამზადე-  
ბდნენ, რაც ძირითადად ოჯახის საჭიროებას ხმარდებოდა და სასა-  
ქონლო ხასიათი არ ჰქონდა.

მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც საქართველო რუ-  
სეთს შეუერთდა. რუსეთის ჯარის ნაწილების საქართველოში  
დამკვიდრებამ არაყზე მოთხოვნილება გაზარდა. მაგრამ ფეოდა-  
ლურ-ბატონყმური წარმოების წესზე დამყარებულ საქართველოს  
საკუთარი წარმოებით და სასმელით რუსეთის ჯარის დაკმაყოფი-  
ლება არ შეეძლო. ქვეყნის სამეურნეო და ეკონომიკური ცხოვრების  
გამოცოცხლებამ საქართველოში არყით ვაჭრობისა და მისი წარმოე-  
ბის ზრდა გამოიწვია<sup>7</sup>.

XIX ს. I ნახევარში არყის დამზადება საქართველოში ძირი-  
თადად წვრილი, დაქსაქსული წარმოების ხასიათს ატარებს. არყის  
გამოხდა ძველი, პატრიარქალური წესებით წარმოებს. ამ მიზნით,  
უმეტეს შემთხვევაში, მეწარმის, გლეხის საცხოვრებელი სახლი გა-  
მოიყენება. აღნიშნული საწარმონი ხშირ შემთხვევაში უბრალო  
არყის სახდელ ქვებებს წარმოადგენენ. ცნება „ქარხანა“ არ მიუ-  
დგება ამ საწარმოებს. ისინი წლის მეტად მცირე მონაკვეთში მო-  
ქმედებენ (3—4 დღიდან, იშვიათად 2—3 კვირამდე). მათი წლიური  
პროდუქცია 100 ვედრო არაყს იშვიათად აღწევს. ეს საწარმოები  
ძირითადად ოჯახის წევრთა შრომას ემყარებიან, ზოგჯერ დაქირა-  
ვებული მუშის შრომას იყენებენ. ასეთი საწარმოების რიცხვი შე-  
ტად მერყევია, მათი არსებობა ათასგვარ ფაქტორზეა დამოკიდე-  
ბული, უფრო მეტად კი ყურძნის მოსავალზე. პროდუქციის ხარი-

<sup>5</sup> П. Г у г у ш в и л и, Развитие промышленности в Грузии в Закавказье в XIX—XX вв., Тб., 1957 с. 174.

<sup>6</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედაქციით, ტფ., 1886, გვ. 31.

<sup>7</sup> საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან (XIX ს.), თბ., 1973, გვ. 152—153. სცსა ფ. 4. ანაწ., 2, ს. 2532, ფურც. 4; ს. 2. ფურც. 50—53; ს. 1051 ფურც 36, 39—44; ს. 138; ფურც. 16-17; ს. 238 ფურც. 23—24. სცსა ფ. 16, ს. 5852 ფურც. 20; ს. 8436 ფურც. 34-35.



სხის გასაუმჯობესებლად ან შრომის შესამსუბუქებლად არავითარ შემთხვევაშიც არ გამოიყენება. ძირითად მწარმოებელ მასას ვენახის მფლობელნი წარმოადგენენ, რომელნიც საკუთარი ვენახიდან მიღებული მეღვინეობის ნაარხებისაგან ან მარცვლეულისაგან უბრალო არაყს ხდიან. შემთხვევით მორჩენილი ჭარბი პროდუქტი ბაზარზე გადის<sup>8</sup>. შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და ბაზრის გაფართოებასთან ერთად ვენახის მფლობელ მწარმოებლებს გამოეყოფიან უშუალოდ სასაქონლო პროდუქციის შემქმნელი მრეწველნი (ამ უკანასკნელთა რიცხვი XIX ს. I ნახ. საქართველოში მცირეა) და ვაჭარ-შემსყიდველნი, რომელნიც მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის შუამავლის როლში გამოდიან. არყის სასაქონლო წარმოება განსაკუთრებით 70-იან წლებიდან ვითარდება. ე. ხოშტარია ახასიათებს რამრეწველობის მარტივ ფორმებს მიუთითებს — „ეს ფორმები ან იცვლიან სახეს, იძენენ ნიშნებს, რომელნიც უკვე სცილდებიან ოჯახური მრეწველობის თუ ხელოსნობის ჩვეულებრივ გაგებას, ებმებიან სასაქონლო წარმოების, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების საერთო ფერხულში, ან თანდათან ქრებიან“<sup>9</sup>.

მართალია, XIX ს. I ნახ. საქართველოში არყის წვრილი წარმოება ძირითადად ოჯახური წარმოების დონეზე რჩება, მაგრამ თანდათან სასაქონლო პროდუქციის მომცემი საწარმოების და წარმოებაში არყის სასაქონლო პროდუქციის წილის ზრდა შეიმჩნევა. ამ პერიოდში საქართველოს არყის წვრილი წარმოებისათვის არ არის დამახასიათებელი დაქირავებულ მუშათა დიდი რიცხვის გამოყენება და კაპიტალის დაბანდება, წარმოება ძირითადად ოჯახის წევრთა, იშვიათად 1—2 დაქირავებული მუშის შრომას ემყარება, მაგრამ სასაქონლო წარმოების ბუნებიდან გამომდინარე, „წვრილი სასაქონლო წარმოების ტენდენცია იხრება დაქირავებული შრომის სულ უფრო და უფრო მეტად გამოყენებისაკენ“<sup>10</sup>.

XIX ს. I ნახევარში არყის წვრილი წარმოების გარდა საქართველოში კაპიტალისტური ტიპის არყისა და სპირტის ქარხნებიც არსებობს. არყის წარმოებისაგან განსხვავებით, ამ ტიპის ქარხნებში

<sup>8</sup> სცსაფ. 7 ანაწ. 7, ს. 397, ფურც 78—79, 82-85, ანაწ. 6, ს. 489, ფურც. 9, 15, 30 35. სცსაფ. 17, ს. 8957 ა. ფურც. 237, ს. 8994 ბ. ფურც. 46—48, 115, 116. სცსაფ. 5, ს. 2931, ფურც, 53—54.

<sup>9</sup> ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, შ., თბ., 1966, გვ. 64.

<sup>10</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გამოც. IV, თბ., 1948 გვ. 404.





ადგილი აქვს დაქირავებულ მუშათა შრომის, მანქანა-იარაღებისა და დანადგარების, მსხვილი კაპიტალდაბანდებების გამოყენებასა და წარმოების გაუმჯობესების ცდას. ასეთებია: ბარბარე იმერლი-შვილის (1829 წ.), ზუბალაშვილის (1838 წ.), კალაინის (1854 წ.), ანდრიევსკის (1847 წ.) არყის ქარხნები<sup>11</sup>. 60-იან წლებში გაიხსნა და ახალ სააქციო სისტემის შემოღებამდე იარსება კუზმინსკის, ბარიატინსკის, მიკირტიჩევის, იასენის, შტრაუბეს საწარმოებმა. ამ პერიოდის არყის ქარხნებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ნარონ ბახის წარმოება, რომელიც 1876 წ. გაიხსნა და შესვენებებით 900-იან წლებამდე იარსება<sup>12</sup>.

XIX ს. I ნახევარში საქართველოში შექმნილი არყისა და სპირტის შედარებით მსხვილი ქარხნების უმეტესობა, მართალია, წარმოებაში მანქანა-იარაღებისა და ზოგჯერ ორთქლის ძრავის გამოყენებას გულისხმობს, მაგრამ არყის მსხვილი საწარმოების შექმნას ჩვენში სისტემატური ხასიათი არა აქვს. პერიოდულად, დროის მეტად მცირე მონაკვეთში არსებობენ ცალკეული ქარხნები, რომელნიც უმეტესად დაბალი ხარისხის მცირე რაოდენობის პროდუქტს ამზადებენ, ვერ აკმაყოფილებენ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებას, ვერ უძლებენ შემოტანილი საზღვარგარეთული და რუსული ნაწარმის კონკურენციას და მალე ნადგურდებიან. აღნიშნულ პერიოდში სპირტისა და არყის პროდუქტების რუსეთში გატანა არ ხდება. წარმოებას დიდ დაბრკოლებას უქმნის მანქანა-იარაღების უქონლობა, დამდგმელი და ამწყობი სპეციალისტების არარსებობა. მანქანის ან მისი ნაწილების უმნიშვნელო გაფუჭების შემთხვევაში ქარხნის მოწყობილობის აღდგენა ძალიან ძნელი, ზოგჯერ შეუძლებელი ხდება, უბრალო ხარვეზის გამო ხშირად მთელი ქარხნის მუშაობა ფერხდება. ამას თან ერთვის ფულადი კაპიტალის უქონლობა, თავისუფალი მუშახელის სიმცირე, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, ფართო საბაზრო მოთხოვნილებების არარსებობა, საერთოდ, ბატონყმური პირობები. ყველა ეს პირობა, ერთად აღებული, მსხვილი წარმოების განვითარებას აბრკოლებს. აღნიშნული მიზე-

<sup>11</sup> მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, თბილისის სამრეწველო განვითარება საქართველოში XIX ს. რეფორმამდელ ხანაში, თბ., 1968, გვ. 124—131 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864), თბ., 1969 გვ. 151, 201. ე. ს ო შ ტ ა რ ი ა, დამუშავებული მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. 30—60-იან წლებში, ისტ. ინსტ. შრ. თბ., 1958 ტ. 3, გვ. 153—181.

<sup>12</sup> Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской Губернии, Тифл., 1888, с. 41—48.

ზების გამო XIX ს. I ნახევარში დაარსებული ქარხნები ფეხსაცმლის  
იკიდებენ და მალე იხურებიან.

XIX ს. 60-იანი წლები საქართველოში ახალი, ბურჟუაზიული-  
ხანის დასაწყისია. 60-იანი წლების რეფორმებმა და მის შედეგად  
მომხდარმა ძვრებმა 80—90-იან წლებში საქართველოს მრეწველო-  
ბის თიოქმის ყველა წამყვან დარგში ფაბრიკულ-ქარხნულ წარმო-  
ებაზე გადასვლა და მანუფაქტურისა და წვრილი კაპიტალისტური  
წარმოების ხვედრითი წონის დაცემა გამოიწვია<sup>13</sup>.

არყის წვრილი წარმოების დაცემას და მსხვილი კაპიტალი-  
სტური წარმოების შექმნას საგლეხო რეფორმასთან ერთად ხელი  
შეუწყო აგრეთვე ახალი სააქციზო სისტემის გავრცელებამ. რუ-  
სეთის იმპერიაში ახალი სააქციზო კანონმდებლობა 1861 წლის 4  
ივლისის დადგენილებით განხორციელდა, საქართველოსა და ამიერ-  
კავკასიაში კი 1873 წლის 1 ივლისიდან გატარდა.

1873 წლამდე ამიერკავკასიაში სასმელების წარმოება არაეი-  
თარი გადასახადით არ იბეგრებოდა, გადასახადს იხდიდნენ ბაზა-  
რში გასაყიდად გატანილ სასმელზე. კერძოდ, სახელმწიფო შემო-  
სავალს შეადგენდა: რუსეთის შიდა გუბერნიებიდან შემოსული  
სპირტიდან აკრეფილი თანხა (1 ვედრო სპირტზე 1 მან.), სასმე-  
ლებით მოვაჭრე დაწესებულებებიდან შემოსული სააპტენტო გა-  
დასახადი (თითოეულზე 20-დან 80 მანეთამდე), ქალაქში გასაყი-  
დად შემოტანილ სპირტიან სასმელზე და ღვინოზე დაწესებული  
სააქციზო თანხა (15 კაპ. 1 ვედრო ღვინოზე, 50 კაპ. ამავე რაოდენ-  
ობის არაყზე). ეს უკანასკნელი კერძო პირებზე იჯარით გაიცი-  
მოდა<sup>14</sup>.

1873 წ. ახალი სააქციზო კანონმდებლობით დაიბეგრა როგორც  
ბაზარზე გატანილი არყის სასაქონლო პროდუქტი, ისე მისი  
წარმოებაც. ერთი ვედრო პურის სპირტის გამოხდაზე 5 კაპიკი  
სააქციზო გადასახადი დაწესდა. ყურძნისა და ხილის სპირტზე  
კი გადასახადი გამოსახდელი კუბის მოცულობისა და მისი ყოვე-  
ლდღიური გამოხდის შესაბამისად (1 ვედრო მოცულობის ქებაზე

<sup>13</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970, გვ. 382. И. А н -  
т е л а в а, Э. О р д ж о н и к и д з е, Э. Хоштария, К вопросу о генезисе  
и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Тб., 1967,  
с. 60.

<sup>14</sup> სცსა ფ. 7, ანაწ., 6, ს. 489 ფურც. 28. ЦГИА СССР ფ. 574 ანაწ., 1, ს. 210  
ფურც. 11; საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან (XIX  
ს), გვ. 150—174.





დღე-ღამეში 11 კაბიკი აქციზი) შემოიღეს. სააქციზო გადასახადისაგან თავისუფალი დარჩა ვენახის მფლობელთა ის „ქარხნები“, რომელთა პროდუქტი სასაქონლო ხასიათს არ ატარებდა.

სააქციზო გადასახადის გარდა, დაწესდა აგრეთვე საპატენტო გადასახადი. მისი ოდენობა განრიგების მიხედვით განისაზღვრა. პირველ განრიგში შევიდნენ თბილისში არსებული საწარმონი. მათთვის წლიური საპატენტო გადასახადი 80 მან. დაწესდა, მეორე განრიგისათვის (საგუბერნიო და საოლქო ქალაქები) — 50 მან., მესამე განრიგისათვის (სამაზრო ქალაქები და პორტები) — 30 მან., მეოთხე განრიგისათვის (სხვა დანარჩენი ქალაქები) — 15 მან. სპირტის საბითუმო საწყობებზე საპატენტო გადასახადი 50 მანეთით განისაზღვრა, წვრილ-წვრილად მოვაჭრე დუქნების, სამიკიტნოებისა და დახლებისათვის 10-დან 50 მანეთამდე. ამასთან, სარდაფებს, სამიკიტნოებს დუქნებს არყის პროდუქტებით თავლია ჭურჭლიდან წვრილ-წვრილად ვაჭრობა აეკრძალათ.

წვრილი სავაჭროებისათვის სპეციალური ნებართვა იყო საჭირო, I განრიგის სავაჭროებს თავლია ჭურჭლიდან არყის პროდუქტებით ვაჭრობისათვის წელიწადში 200 მან. უნდა გადაეხადათ, II განრიგის სავაჭროებს—100 მან<sup>15</sup>.

პურის სპირტის გამომხდელ ქარხნებზე საპატენტო გადასახადი ნედლი მასალის დასადუღებელი ქვების მოცულობის მიხედვით წელიწადში ვედროზე 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> კაბიკი დაწესდა. ხილისა და ყურძნის არყის მწარმოებლები 1 ვედრო მოცულობის გამოსახდელ ქვებზე 5 კაბ. გადაიხდიდნენ, ხოლო ვენახის მფლობელნი კი 1 ვედრო მოცულობის ქვებზე — 1 მან<sup>16</sup>. სააქციზო და საპატენტო გადასახადი დროისა და ვითარების შესაბამისად გაიზარდა.

სახელმწიფომ ქარხნის წარმოების მიხედვით სპირტის გამოხდის ნორმა დააწესა. ნორმის ზევით გამოხდილ სპირტზე მწარმოებელი სააქციზო გადასახადს აღარ იხდიდა. ამ შეღავათებმა წარმოებებს ზრდის სტიმული მისცა. პროდუქციის ზრდის ერთ-ერთი საშუალება ქარხნის ტექნიკური დონის ამაღლება იყო. კარგად მოწყობილი ქარხნები დიდ შემოსავალს იღებდნენ. წვრილი მწარმოებლები, რომელთაც ქარხნის რეორგანიზაციის საშუალება არ ჰქონდათ, მსხვილი ქარხნების კონკურენციას ვერ უძლებდნენ

<sup>15</sup> სცსა ფ. 7, ანაწ. 6, ს. 489, ფურც. 92, ს. 437 ფურც. 12—13. ს. 494 ფურც. 111—112. სცსა ფ. 371 ს. 4, ფურც. 7.

<sup>16</sup> სცსა ფ. 7, ანაწ. 6, ს. 489 ფურც. 92; ს. 437, ფურც. 12—13; ს. 494. ფურც. 111—112. სცსა ფ. 371, ს. 4, ფურც. 7.



და იხურებოდნენ. 60-იან წლებში თბილისში არსებული 18 საწარმოდან, ახალი სააქციზო სისტემის შემოღების შემდეგ, ცხრამ არსებობა შეწყვიტა, ქუთაისში სამი საწარმო დაიხურა. 1879 წლის ივლისიდან შემოღებულმა წესებმა კი თბილისის არყის საწარმოების ხელახალი შემცირება გამოიწვია. დარჩენილი 9 არყის ქარხნიდან, 6 დაიხურა.

1879 წ. კანონით სხვადასხვა სახის სპეციალური არყის პროდუქტებზე ე. წ. დამატებითი, საბანდეროლო გადასახადი დაწესდა. იგი არყის პროდუქტების ოდენობის მიხედვით ქარხნის მეპატრონეს 1 ან 1/2 წლით ადრე უნდა გადაეხადა, რაც ქარხნის მიერ გამოშვებულ 1 ვედრო არაყზე 1 მან. უდრიდა. არყის ქარხნებისათვის განსაზღვრა აგრეთვე საბანდეროლო თანხა. სატახტო ქალაქის არყის ქარხნებს წელიწადში 2000 მან. ბანდეროლი უნდა შეესყიდათ, საგუბერნიო ქალაქებს 1000 მანეთის, ხოლო სამაზრო ქალაქებს — 500 მანეთისა. თუ რომელიმე ქარხანა დაწესებული თანხის ბანდეროლს ვერ შეიძენდა, მას მექანიკური დახურვა ელოდდა. არყის პროდუქტები ქარხნიდან მხოლოდ დაბანდეროლებული სახით უნდა გაეტანათ; ბანდეროლზე აღნიშნული უნდა ყოფილიყო მწარმოებელი ქარხნის ან ფირმის სახელწოდება. მისი ბეჭედი, ადგილსამყოფელი, სასმელის სახელწოდება, სიმაგრე, არყის პროდუქტების სიმაგრე დადგენილი არ იყო, მას ქარხნებში სასმელის ხარისხისა და ხასიათის მიხედვით განსაზღვრავდნენ. შემდგომში (1890 წ.) არყის პროდუქტების სავალდებულო სიმაგრე 40 გრ-ით განისაზღვრა. 1 ვედრო არყის ნაწარმში მორსებისა და ესენციების რაოდენობა 16 გრ-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება სოფლის წვრილ მწარმოებლებს, მათ გაჩანაგებას (სააქციზო გადასახადის გარდა) ხელს უწყობდა აგრეთვე სააქციზო სისტემაში შემოღებული ფორმალობანი, რაც იმაში გამოიხატა, რომ გლეხი ვალდებული იყო სააქციზო უწყებაში წინასწარ წერილობითი განაცხადი წარედგინა - არყის გამოხდის ოდენობის, გამოსახდელი დროის ხანგრძლივობის შესახებ და გადაეხადა სააქციზო გადასახადი. რუსულის უცოდინარი ქართველი გლეხი უფრო ხელსაყრელად მიიჩნევდა გადაეყარა არყის წარმოებისათვის განკუთვნილი ნედლი მასალა, ვიდრე გაეცდინა დრო, წინასწარ გადაეხადა არყის გამოხდაზე შეწერილი სააქციზო თანხა (რაც მას ხშირად არ გააჩნდა) და მისთვის უჩვეულო ათასგვარი ფორმალობანი შეესრულებინა<sup>17</sup>.

<sup>17</sup> Ст. Гулишамбаров, დასახ. ნაშრ., გვ. 49.



ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები ხელს უწყობდა არცის წვრილი წარმოების გაჩანაგებასა და მსხვილი წარმოების განვითარებას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში არცის წვრილი წარმოება მოისპო და არსებობა შეწყვეტა. მართალია, სააქციზო სისტემის შემოღების პირველ წლებში განადგურდა საქართველოს სოფლებში მრავლად არსებული არცის წვრილი, ოჯახური ან ისეთი ტიპის წარმოება, რომელიც მხოლოდ მორჩენილ ჭარბ პროდუქტს აქცევდა საქონლად, მაგრამ მის ნაცვლად საქართველოს სოფელში თანდათან გამრავლდა, გაიზარდა და მასობრივი ხასიათი მიიღო არცის ისეთმა წარმოებამ, რომელიც წვრილი სასაქონლო მეურნეობისათვის არის დამახასიათებელი. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში სულ უფრო და უფრო გაიზარდა წვრილი მწარმოებლების მიერ დამზადებული არცის პროდუქტების სასაქონლო წილი. წვრილი მწარმოებლების მიერ გამოხდილი არაყი მსხვილ წარმოებაში ნედლ მასალად გამოიყენებოდა.

არცისა და სპირტის მსხვილ წარმოებაში 80-იანი წლების ბოლოდან დარგობრივი სპეციალიზაცია გაღრმავდა, ამოქმედდა სპირტის სარეკტიფიკაციო, სხვადასხვა სახის არცისა და კონიაკის ქარხნები. სპირტის წარმოებაში გზა გაიკაფეს მსხვილმა მეწარმეებმა, რომლებმაც თავი გაართვეს წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვას, უმთავრესად უცხოეთიდან შემოტანილი ძრავებით, მანქანა-იარაღებითა და აპარატურით. აღნიშნული დროიდან ალკოპოლიანი სასმელების წარმოება<sup>18</sup> საქართველოში ძირითადად 3 მსხვილი მრეწველის—დ. სარაჯიშვილის<sup>19</sup>, მ. ხუბლაროვის, ა. სოგომონოვის ხე-

<sup>18</sup> ნაშრომში ალკოპოლიანი სასმელების წარმოებაში იგულისხმება მხოლოდ სპირტის სარეკტიფიკაციო. სხვადასხვა სახის სპეციალური არცისა და კონიაკის წარმოების კაპიტალისტური ევოლუცია. მართალია, საქართველოში ალკოპოლიანი სასმელების წარმოების ერთ-ერთი დიდი და უაღრესად მნიშვნელოვანი დარგი ლვინის წარმოებაა, მაგრამ იგი ჩვენი შესასწავლი სფეროს ფარგლებს სცილდება. ამასთან, ლვინის წარმოება საქართველოში მისი დიდი მასშტაბებისა და შესწავლის ხასიათის თავისებურებების გამო სპეციალური კვლევის ობიექტს წარმოადგენს, რის გამოც ნაშრომში არ არის წარმოდგენილი.

<sup>19</sup> დ. სარაჯიშვილი დაიბადა 1848 წ. თბილისში. 1866 წ., თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან ერთი წელი დაჰყო პეტერბურგის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რის შემდეგ სწავლა განაგრძო მიუნხენის, ბოლოს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, რომელიც 1871წ. დაამთავრა ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით. აქედან დ. სარაჯიშვილი საფრანგეთში წავიდა, სადაც დაეუფლა მევენახეობისა და მეღვინეობის პროფესიას. ღრმად განსწავლულმა სპეციალისტმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროდ სპირტისა და არცის წარმოება აირჩია.



ლში მოექცა. მრავალმხრივია მათი საქმიანობა, მათ გახსნეს სპირტის სარეკტიფიკაციო, ისე არყისა და კონიაკის ქარხნები. ხსენებული ფირმების საწარმოთა შესწავლით ვცადეთ ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების განვითარების სურათის აღდგენა.

დ. სარაჯიშვილი ცნობილია არა მარტო როგორც მრეწველი კაპიტალისტი, არამედ როგორც ქართული კულტურის დიდი მოამაგე და ქველმოქმედიც. მის სიცოცხლეში არც ერთი ეროვნული საქმე არ წამოწყებულა, რომ მას მატერიალური მხარდაჭერა არ აღმოენინა და თავისი წვლილი არ შეეტანა. იგი დიდ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებების სათავადაზნაურო ბანკის საქმიანობაში, მუსიკალური სასწავლებლის დაარსების, გაზეთის, ჟურნალის, წიგნის გამოცემის, მეცნიერთა და მესიყოსთა გამოზრდის, ეკლესიის და სკოლის კეთილმოწყობის ღირებთა მიმართ დახმარების, უცხოელ და ადგილობრივ მოღვაწეთა დაახლოებისა და მრავალ სხვა საქმეში.

დ. სარაჯიშვილის ბინა წარმოადგენდა ქართველი ინტელიგენციის შესაკრებ ადგილს სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ცნობილი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მხატვრები. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ი. მეუნარგია, გრ. ყიფშიძე, რ. ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, ივ. მაჩაბელი, ნ. ცხვედაძე, ი. მანსვეტაშვილი, ა. ავაგარელი, ა. ლასტი, მ. გაბაშვილი ი. ნიკოლაძე, ნ. გაბუნია და სხვანი. მის სახლში ხშირად იმართებოდა პოლემიკა ამა თუ იმ თემაზე, წყუდებოდა ბევრი საკვირბოროტო საკითხი. ი. ჭავჭავაძემ თავისი უკვდავი ნაწარმოებები „ოთარაან ქვრივი“ და „განდევლი“ პირველად დ. სარაჯიშვილის სახლში წაიკითხა.

დ. სარაჯიშვილის მთავარ კანტორასთან არსებობდა სტიპენდიების განმანაწილებელი კომიტეტი ნ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით. 1889-1911 წწ. კომიტეტი სტიპენდიებისათვის ყოველწლიურად 300000—400000 მანეთს გასცემდა. მისი სტიპენდიანტები იყვნენ: მელიტონ ბალანჩივაძე, ვანო სარაჯიშვილი, ია კარგარეთელი, მოსე თოიძე, დიმიტრი არაყიშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ფილაპე გოგინაშვილი, არჩილ ქართველიშვილი და სხვები. მისმა მადლიერმა სტიპენდიანტმა ი. ნიკოლაძემ მარმარილოსაგან გამოკვეთა დ. სარაჯიშვილის ქანდაკება, რომელიც ამჟამად ხელოვნების მუზეუმში ინახება, თაბაშირით შესრულებული კი—ლიტერატურის მუზეუმში.

დავით სარაჯიშვილმა და მისმა მეუღლემ ეკატერინე ფორაქიშვილ-სარაჯიშვილმა სამშობლოსადმი სიყვარული, ეროვნული კულტურისადმი ზრუნვა გამოხატეს თავიანთ ანდერძში, რომლის ძალითაც მთელი მათი ქონება საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ეროვნულ დაწესებულებებს გადაეცა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძეს 800 ათასი მან., ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას—205 ათასი მან., თავისი ფირმის მუშეებს—198 ათასი მან. ქართული ეროვნული მუზეუმის ასაგებად ანდერძით დატოვეს 150 ათასი მანეთი.

თ ა ვ ი

სპირტის რექტიფიკაცია<sup>1</sup>

ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების მძლავრი განვითარება ახალი ტექნიკური დანადგარებით აღჭურვილი ქარხნების შექმნის შემდეგ (80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დამდეგს) დაიწყო. წარმოებაში სხვადასხვა გაუმჯობესებული ტიპის მანქანა-იარაღების (სავალის, გილიომის, ნეიმანის, ბორმანოსა და შვედეს — სარექტიფიკაციო, პისტორიუსის, შარანტის, დერუას — საკონიაკე სპირტსაზღელი აპარატების), ორთქლის ძრავის, ორთქლის ქვაბების, ორთქლის საქაჩავების დადგამამ ალკოჰოლიან წარმოებას მტკიცე ბაზა შეუქმნა. საქართველოს სპირტიანი სასმელების წარმოებაში მანქანურ წარმოებაზე მასობრივი გადასვლა 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა.

ამიერკავკასიაში პირველი სარექტიფიკაციო აპარატი 1886 წ. თბილისში ქართველმა მრეწველმა დ. სარაჯიშვილმა დადგა<sup>2</sup>. სარექტიფიკაციო ქარხნები თბილისში გახსნეს აგრეთვე 1886 წ. ივ. სიტოვმა, 1887 წ. — ნ. სიტოვმა, 1892 წ. — ა. სოგომონოვმა, 1893 წ. — მ. ხუბლაროვმა. სპირტისა და არყის საწარმოებში 1885 წ. ორთქლის ქვაბი დააყენეს დ. სარაჯიშვილმა, ი. სიტოვმა, 1886 წ. — ი. კარაევმა, 1890 წ. — ს. მეღვინოვმა, 1891 წ. — მ. ხუბლაროვმა, 1892 წ. — ა. სოგომონოვმა<sup>3</sup>. მაგრამ კაპიტალიზმისათვის დამახასია-

<sup>1</sup> სპირტის რექტიფიკაციის დროს უხარისხო სპირტის ან არყის გაწმენდა გასუფთავების, მისი სხვადასხვა მინარევისაგან გათავისუფლების შედეგად უმაღლესი ხარისხის სუფთა 95—96 გრ. სიმაგრის სპირტი მიიღება. სპირტის სარექტიფიკაციო ქარხნების შექმნამდე არყისა და სპირტის გაწმენდა ნახშირისა და სილის ფილტრებში ხდებოდა რაც უმაღლესი ხარისხის სპირტის მიღებას ვერ უზრუნველყოფდა და აზარენტაბელური იყო. სპირტის სარექტიფიკაციო წარმოების შექმნა სპირტიანი სასმელების წარმოებაში ერთგვარ გადატრიალებას მოასწავებდა.

<sup>2</sup> დ. ზ. სარაჯიშვილის სახსოვრად თბ., 1911, გვ. 3, 6.

<sup>3</sup> სცსა, ფ. 370, ს. 409, ფურც 5. იქვე ფ. 204, ს. 563, ფურც. 3, 9, 20—23, 34, 39, 89, 95. საქ. 592, ფურც. 94, 99, 100, ს. 654, ფურც. 88—89 ს. 631, ფურც. 2; ს. 591,



თებელმა კონკურენციამ სპირტის მრავალი მწარმოებელი დააარსა. 90-იან წლებამდე წარმოებას ჩამოშორდნენ ივ. და ნ. სიტყვის, ი. კარაევი, 1890 წ. დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა ს. მეღვინოვის ქარხანამ, იგი მ. ხუბლაროვის კომპანიონი გახდა. 1897 წლიდან მ. ხუბლაროვმა ახალი კომპანიონები შეიძინა საკუთარი ქმების სახით და მეღვინოვი მათი რიცხვიდან ამოვარდა. თვით მ. ხუბლაროვის წარმოება 1903 წ. დ. სარაჯიშვილის მფლობელობაში გადავიდა და ა. შ. ამრიგად, 80-იანი წლების ბოლოს თბილისში სარექტიფიკაციო ქარხანას რამდენიმე მწარმოებელი ხსნის, მაგრამ 90-იანი წლებიდან საქართველოში მხოლოდ 3 ქარხანა რჩება — დ. სარაჯიშვილის, მ. ხუბლაროვის და ა. სოგომონოვის. მათ შორის ყველაზე ძლიერი დ. სარაჯიშვილის წარმოება იყო.

დ. სარაჯიშვილმა სამრეწველო საქმიანობა 1884 წ. დაიწყო. მან თბილისში — ოლლას ქუჩაზე საბითუმო საწყობი — „ქარხანა“ გახსნა. იგი მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა და წლიურად 12 000 ვედრო სპირტს უშვებდა, რომლის ღირებულება 48 000 მან. შეადგენდა. „ქარხნის“ ტექნიკური აღჭურვილობიდან აღსანიშნავია 1 სპირტსახდელი აპარატი და რ ცხენის ძალის ორთქლის ქვაბი. ქარხანა მაშუთვე მუშაობდა და ყოველწლიურად 1 000 მან. საწვავს იყენებდა. ნაწარმის გასაღება უმთავრესად თბილისში და მის მიდამოებში ხდებოდა. „ქარხანაში“ მუდმივად დასაქმებული იყო 8 მუშა, სამუშაო დღის ხანგრძლივობა 10 საათს უდრიდა<sup>4</sup>.

დ. სარაჯიშვილი არ დაკმაყოფილდა საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობით და 1886 წ. თებერვალში სარექტიფიკაციო აპარატის დადგმის ნებართვა ითხოვა. ქალაქის თავის, სააქციზო სამმართველოსა და სამედიცინო კომისიის სათანადო დასკვნის შემდეგ, 1888 წ. 8 მარტს ახალი დანადგარებით აღჭურვილი ქარხანა ამუშავდა<sup>5</sup>. ქარხნის რეკონსტრუქციას მუშახელის შემცირება მოჰყვა, პროდუქციის ოდენობა 12 000 ვედროდან 1886 წ. 25 000 ვედრომდე გაიზარდა<sup>6</sup>.

1892 წ. ქარხანა ტექნიკურად უკეთ აღიჭურვა. დაიდგა 10 ცხენისძალიანი ორთქლის ქვაბი, 17 კოლონიანი საფილტრაციო ნეიმანის,

ფურც. 3, 5—8, ს. 2198, ფურც. 1—10; ს. 892 ფურც. 3, 58, ს. 923, ფურც. 11, ს. 894, ფურც. 11, ЦГИА ССР ფ. 20, ანაწ. 15, ს. 104, ფურც. 187.

<sup>4</sup> სცსა, ფ. 204 ს., 592, ფურც. 99.

<sup>5</sup> სცსა ფ. 204 ს. 591, ფურც. 1—2.

<sup>6</sup> სცსა, ფ. 204, ს. 654, ფურც. 89.



ზორმანის და შვედეს, 2 სარექტიფიკაციო სავალის ტიპის აპარატი (ერთი 720 ვედროს ტევადობისა, მეორე—240 კედროსი).<sup>7</sup> მუშაობა რაოდენობა 40 კაცამდე გაიზარდა. ქარხანას დღე-ღამეში 20 000 გრ. სპირტის გამოხდა, ყოველწლიურად 6 500 000 გრ.\* სხვადასხვა ხარისხის სპირტის გამოშვება შეეძლო. ქარხანასთან არსებობდა სპირტის შესანახი საწყობი. აქ სპირტის 3 ცისტერნა იდგა, მისი ტევადობა 12 500 ვედროს შეადგენდა. აქვე იყო საწყობები, მალაზიები და სადურგლო სახელოსნო<sup>7</sup>.

1885—1899 წწ. წარმოებული პროდუქციის ზრდაზე შემდეგი მონაცემები მეტყველებს: 1885 წ. დ. სარაჯიშვილის თბილისის ქარხანამ გასაწმენდად 39463 გრადუსი ნახევარფაბრიკატი მიიღო და 38034 გრადუსი (4564 მან.) სუფთა სპირტი გამოუშვა. 1899 წ. გასაწმენდად მიიღო 1578532 გრ. სპირტის ნედლეული და 1521383 გრ. (197 775 მან.) რექტიფიცირებული სპირტი დაამზადა<sup>8</sup>. ე.ი. 14 წლის განმავლობაში წარმოება 40-ჯერ გაიზარდა.

1903 წ. დ. სარაჯიშვილის თბილისის საწარმოს კიდევ ერთი სარექტიფიკაციო ქარხანა შემატა. იგი დ. სარაჯიშვილმა მ. ხუბლაროვისაგან იყიდა. შექენისთანავე მრეწველმა მისი რეკონსტრუქცია მოახდინა და წარმოება მალე განაახლა. ქარხანა მოთავსებული იყო ქვიტვირის სამ შენობაში. მისი მთავარი კორპუსი 3 განყოფილებიდან და 2 სარდაფისგან შედგებოდა: სარექტიფიკაციო, სპირტის ცივი წესით გასაწმენდი და საორგანიზაციო განყოფილებებისგან. აქვე იყო ჩამომსხმელი, შემფუთავი, გამომშვები, სამრეცხაო და საცეცხლფარეშო საამქროები. სარდაფი გაყოფილი იყო 2 ნაწილად—მის ერთ ნაწილში ინახებოდა პურის და ღვინის სპირტი, მეორე ნაწილში კი მინის ჭურჭელი. მეორე შენობაში მოთავსებული იყო ქარხნის მმართველობა, მალაზია, სარეალიზაციოდ გამზადებული არაყი და რექტიფიცირებული სპირტის შესანახი სპეციალური რკინის რეზერვუარები. ქარხანა აღჭურვილი იყო სავალის ტიპის უახლესი სარექტიფიკაციო აპარატით, დეფლეგმატორთა და რეგულატორით, რომელიც სპირტის გამოხდას უფრო სრულყოფილს ხდიდა<sup>9</sup>.

<sup>7</sup> Д. З. Сараджев, Тифл., 1901 გვ. 5.

<sup>8</sup> სცსა ფ. 371 ს, 206 ფურც. 99; ს. 181, ფურც. 22, 23, 60, 150.

\* აქ და შემდგომში გრადუსით აღინიშნება აბსოლუტური უწყლო სპირტის რაოდენობა, რომელიც 120 მილილიტრს უდრის. გასაბჭოებამდე საზომ ერთეულად მიღებული იყო 12 ლიტრის მოცულობის ვედრო. მისი მესამედი ნაწილი 120 მილილიტრს შეადგენს. თანამედროვე 1 გრადუსი უდრის 100 მილილიტრს, რაც 1 დეკალიტრის მესამედი ნაწილია.

<sup>9</sup> სცსა, ფ. 371 ს. 90, ფურც. 76, 93.



დ. სარაჯიშვილი მუდმივად ცვლიდა და უახლესი ტექნიკის საბამისად აახლებდა ქარხნის მოძველებულ ტექნიკურ მოწყობილობას. მან 1906—1911 წწ. თითქმის მთლიანად შეცვალა № 2 სარექტიფიკაციო ქარხნის ტექნიკური მოწყობილობა. პირველი ხარისხის სპირტის რაოდენობის გაზრდის მიზნით ქარხანაში დაიდგა 2 კოლონა — ძირითადი სარექტიფიკაციო და დამხმარე — ებიურაციული. ამ უკანასკნელის დანიშნულება იყო ნედლი სპირტისაგან წინასწარ მოეშორებინა და გამოეყო არასასურველი მინარევები — ეთერები, ალდეჰიდები, კოტონები და სხვ. შეიცვალა აგრეთვე სპირტის შესამოწმებელი სიმენსის ტიპის საკონტროლო მოწყობილობა.

ტექნიკურად მეტად რთული და მოცულობით დიდი სარექტიფიკაციო აპარატის მოწყობილობა განლაგებული იყო ქარხნის 3 სართულიან შენობაში, სარდაფში და სხვენზე. განახლებულ ქარხანაში იდგა: დეფლემაციური თევშებიანი კოლონები, დიდი მინისებური მაცივარი, 2 ერთი ზომის სპილენძის და რკინის მილისებური დეფლემატორი, სპირტის მისაწოდებელი საქაჩავი, სპილენძის რეზერვუარები, სხვადასხვა სახის სპირტის და რახის ზეთის მოსაგროვებელი რკინის რეზერვუარები და სხვ. წარმოების თითქმის მთელი პროცესი ავტომატიზირებული იყო. გასაწმენდად განკუთვნილი სპირტი საქაჩავით მე-3 სართულზე ებიურაციულ კოლონაში გადადიოდა. აქედან, მინარევებისაგან გათავისუფლებული კვლავ ქვედა განყოფილებას უბრუნდებოდა. ამის შემდეგ ხდებოდა მისი ორთქლში გატარება; როდესაც სარექტიფიკაციო კოლონებში საკმაო რაოდენობის სპირტი დაგროვდებოდა (450—500 ვედრო), ინდიკაციური მილების საშუალებით სპირტის მიწოდება წყდებოდა, რის შემდეგაც კუბში არსებული კლაკნილა მილების საშუალებით იწყებოდა ორთქლის მიწოდება. პირველ პერიოდში რეგულირება ხელის ვენტილით სწარმოებდა, რექტიფიკაციის დაწყებიდან კი — ავტომატურად, ორთქლადქცეული სპირტი სარექტიფიკაციო კოლონიდან დეფლემატორში და მაცივარში გადადიოდა. მაცივრისთვის ცივი წყლის მიწოდება ხდებოდა როგორც ქალაქის წყალსადენის მილით, ისე ქარხანასთან არსებული ჭიდან. უკანასკნელად მძიმე მინარევებისაგან გათავისუფლებულ და კონდენსირებული სპირტი გადიოდა გამანაწილებელ ფარანში, შემდეგ საკონტროლო მოწყობილობაში და ბოლოს ხარისხების მიხედვით (I, II, III, VI ხარისხი და რახის ზეთი) სპეციალურ მიმღებ ქვაბებში გროვდებოდა. ქარხნის აპარატურა ისე იყო მოწყობილი და გაანგარიშებული, რომ საპირობის შემთხვევაში შესაძლებლობას იძლეოდა სარექტიფიკაციო კოლონას

107-11

ქ. ვარძისის სახ. საბ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური



ეპიურატორის გარეშე ემუშავა. ეპიურაციული კოლონა გათვალისწინებული იყო ქარხნის მუდმივი, განუწყვეტელი მუშაობისთვის, სარექტიფიკაციო აპარატის გასახურებლად 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> დღე-ღამეს მოითხოვდა. ქარხანაში რექტიფიკატორებად მუშაობდნენ უცხოელები — ლენერტი და ოლშევსკი<sup>10</sup>.

ქარხნის წარმოება უმაღლეს დონეზე იდგა. მის მიერ გამოშვებული პროდუქციის 80% უმაღლესი ხარისხის სპირტი იყო. სააქციზო უწყების ზედამხედველები მაღალ შეფასებას აძლევდნენ. სარაჯიშვილის სარექტიფიკაციო წარმოებას. ისინი აღნიშნავენ, რომ დ. სარაჯიშვილის ქარხანაში სპირტის გაწმენდას ფართო მასშტაბები და ხასიათი აქვს, უმაღლესი ხარისხის სპირტს უშვებს, საზღვარგარეთ გასაგზავნი სპირტების დონეზე დგას, რადგან ადვილად უძლებს ამ მიზნით სპეციალურად ჩატარებულ გამოცდას<sup>11</sup>.

დ. სარაჯიშვილის თბილისის № 2 სარექტიფიკაციო ქარხნის მიერ გამოშვებული I ხარისხის სპირტის ოდენობა 1907 წ. 2 267 460 გრ<sup>12</sup>. (340 119 მან) უდრის, 1909 წ. — 2 519 448 გრ<sup>13</sup>. (377 817 მან.), 1912 წ. — 1 649 623 გრ<sup>14</sup>. (263 939 მან.).

დ. სარაჯიშვილის სარექტიფიკაციო ქარხნის პროდუქციის გასაღება ამავე ქარხანასთან არსებული სპირტის საბითუმო საწყობიდან ხდებოდა. სარაჯიშვილის ქარხნის ნაწარმი დიდი მოწონებით სარგებლობდა როგორც ამიერკავკასიაში, ისე რუსეთის იმპერიაში. პროდუქციას ასაღებდნენ მოსკოვში, პეტერბურგში, რიგაში, ვარშავაში, ხარკოვში, კიევში, ფეოდოსიაში, სამარაში, ოდესაში, ბაქოში, კიშინიოვში, მერვში, ერევანში, ვლადიკავკაზში და სხვ. ფირმის მიერ გახსნილი საუაჭროები და საწყობები<sup>15</sup>.

ასეთივე ტიპის, მაგრამ შედარებით მცირე მოცულობის სარექტიფიკაციო ქარხნები თბილისში ეკუთვნოდათ ა. სოგომონოვს და მ. ხუბლაროვს. არსებობის პირველ წელს (1892 წ.) ა. სოგომონოვის ქარხანამ 27 363 გრ. (3 150 მან.) სპირტი გამოუშვა, მ. ხუბლაროვის (1893 წ.) ქარხანამ კი 34 484 გრ. (4 137 მან.). 1899 წლისათვის ა. სოგომონოვის ქარხნის პროდუქციის ოდენობა

<sup>10</sup> სცსა, ფ. 371, ს. 349, ფურც. 16, 67, 101, 183. 184—185, 280.

<sup>11</sup> სცსა, ფ. 370 ს. 940 ფურც. 29; ს. 947. ფურც. 21.

<sup>12</sup> სცსა, ფ. 370 ს. 947 ფურც. 21.

<sup>13</sup> სცსა, ფ. 370 ს. 989, ფურც. 31.

<sup>14</sup> სცსა, ფ. 371 ს. 833 ფურც. 121.

<sup>15</sup> Д. З. Сараджев. гл. 1.

1 083 833 გრ-მდე (140 798 მან-მდე), ხოლო ხუბლაროვის  
 1 407 850 გრ-მდე (183 020 მან-მდე) გაიზარდა<sup>16</sup>. ორივე ქარხანა-  
 ში სავალის სისტემის სარექტიფიკაციო აპარატი იდგა. ქარხანა-  
 სთან არსებობდა სპირტის შესანახი რეზერვუარები, სადურგლო,  
 საზეინკლო სახელოსნოები. 1895—1903 წწ. მონაცემებით სოგო-  
 მონოვის ქარხანაში 24 მუშა მუშაობდა, მ. ხუბლაროვის ქარხანა-  
 ში — 22<sup>17</sup>. აღნიშნული ქარხნები პროდუქციას საკუთარი საწყო-  
 ბებიდან და მალაზიებიდან ამიერკავკასიაში და რუსეთში ასაღე-  
 ბდნენ. მაგალითად, მ. ხუბლაროვს საწყობები ჰქონდა — თბილი-  
 სში, ბაქოში, ერევანში, შუშაში და როსტოვში, ხოლო სააგენტო-  
 ები — მოსკოვში, ვარშავაში, როსტოვში და ღვინსკში<sup>18</sup>.

დ. სარაჯიშვილის სარექტიფიკაციო ქარხნის პროდუქციის  
 ოდენობა თითქმის ყოველთვის ჰარბობდა მ. ხუბლაროვის და ა.  
 სოგომონოვის ქარხნების წარმოებას, ხოლო მ. ხუბლაროვის წა-  
 რმოების მიერთების შემდეგ დ. სარაჯიშვილის წილად მოდიოდა  
 თბილისში რექტიფიცირებული სპირტის 85%, რაც შეეხება ტე-  
 ქნიკურ დონეს, დანარჩენი ორი ქარხნის შესახებ სააქციზო ზედა-  
 მხედველი 1906 წ. ანგარიშში წერს, რომ ტექნიკური აღჭურვილო-  
 ბით ისინი შედარებით დაბალ დონეზე დგანან, არა აქვთ საალდე-  
 ჰიდო კოლონიები, ნაკლები რაოდენობის, დაბალი ხარისხის პრო-  
 დუქციას უშვებენ და საკონტროლო მოწყობილობის გარეშე მუ-  
 შაობენ<sup>19</sup>.

XIX ს. დამლევს და XX ს. დასაწყისში თბილისის სარექტი-  
 ფიკაციო ქარხნების წარმადობა და მუშათა რიცხვი საგრძნობლად  
 გაიზარდა, რასაც ასახავს ცხრილი 1.

1892—1893 წწ. აღნიშნული ქარხნების პროდუქციის ღირე-  
 ბულება 206967 მანეთს შეადგენდა, ხოლო 1904 წელს—827289  
 მანეთს. მუშათა რაოდენობა 40 კაციდან 106 კაცამდე გაიზარდა<sup>20</sup>.

XX ს. დასაწყისში კაპიტალიზმი მსოფლიო მასშტაბით უმა-  
 ლლეს და უკანასკნელ სტადიაში იმპერიალიზმში შედის. ახალი  
 ეპოქისთვის დამახასიათებელი წარმოებისა და კაპიტალის კონცე-

<sup>16</sup> სცსა, ფ. 371, ს. 181, ფურც. 22—23.

<sup>17</sup> Фабрично заводская промышленность России, Спб., 1897. с. 922. Спи-  
 сок фабрик и заводов Европейской России, СПб., 1903 с. 680.

<sup>18</sup> Сведения о производительности заводов М. С. Хубларова с братьями  
 в Тифлисе. Т. 1901, с. 3.

<sup>19</sup> სცსა, ფ. 370, ს. 94, ფურც. 29.

<sup>20</sup> სცსა, ფ. 371, ს. 85, ფურც. 3, 58; ს. 298, ფურც. 181; ფ. 370, ს. 1502.  
 ფურც. 62.



სარეკტიფიკაციო ქარხნების საერთო პროდუქციაში დ. სარაჯიშვილის ქარხნის წილი 1892—1905 წწ.

წლები	ქარხნების რაოდენობა	თბილისის სარეკტიფიკაციო ქარხნების პროდუქციის საერთო ღირებულება (მან.ში)	თბილისის სარეკტიფიკაციო ქარხნებში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა	დ. სარაჯიშვილის სარეკტიფიკაციო ქარხნის პროდუქციის ოდენობა სა-რეალიზაციო ღირებულება (მან.ში)	დ. სარაჯიშვილის ქარხნებში და-საქმებული მუშათა რაოდენობა	% შეფარდება სარაჯიშვილის სა-რეკტიფიკაციო ქარხნის წარმოებე-სა თბილისის სარეკტიფიკაციო ქარ-ხნების წარმოებასთან
1892—93	2	206967	40	160780	—	—
1896	3	415738	55	273898	29	65
1897	3	328269	55	197406	—	60
1898	3	258179	55	142496	—	55
1899	3	518012	44	197775	—	38
1900	3	736416	44	299604	—	40
1901	3	679481	79	374968	—	55
1902	3	703485	79	404065	40	57
1903	3	678020	68	387775	—	57
1904	3	827289	76	№ 3 { 215435 № 2 { 437650	—	77
1905	3	644113	106	№ 3 { 176487 № 2 { 374946	{ 40 45	85

\* სცსა, ფ. 371, ს. 327, ფურც. 150; ს. 224, ფურც. 86; ს. 298, ფურ. 181; ს. 195, ფურც. 70; ს. 206, ფურც. 99. ფ. 370, ს. 901, ფურც. 16; ს. 930, ფურც. 2; ფ. 371, ს. 85, ფურც. 58; ს. 213, ფურც. 22, 45; ს. 241. ფურც. 23; ს. 143, ფურც. 30-32; 43, ს. 125, ფურც. 50.

მასალის ანალიზის დროს გამოქვეყნდა, რომ საწარმოო დაწესებულებათა რაოდენობის პროდუქციის მოცულობის და მუშათა რაოდენობის ამსახველი ცხრილების უმეტესობა (გუბერნატორის ანგარიშები, სტატისტიკური კრებულები, სამაზრო აღმინისტრაციის მონაცემები, პერიოდული გამოცემები და სხვა) არაზუსტია და ბევრი ხარვეზია გაპარული. ძალიან ხშირად ერთი წლის მონაცემები იმავე წლის სხვა უწყისების ცნობებს არ ემთხვევა, ან ერთი წლის მონაცემები იმავე წლის სხვა ცნობებთან შედარებით ძალიან დიდ ნახტომებს, დიდ შეუსაბამობებს შეიცავს. მუშათა რიცხვის ამსახველი ცნობები ნაკლებია ან არაზუსტია, მათი რიცხვი ზოგჯერ შემცირებულია, ზოგჯერ გაზვიადებული.

ნტრაცია და ცენტრალიზაცია საქართველოს სპირტის წარმოებაში  
შიც თავს იჩენს. 1906 წ. დ. სარაჯიშვილის №3 სარექტიფიკაციო  
ქარხნის ბაზაზე სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობა — სინდიკატი  
„რექტიფიკატი“ შეიქმნა. „რექტიფიკატი“ გაერთიანდნენ თბი-  
ლისში არსებული სპირტის საწყოებისა და წვრილი არყის საწა-  
რმოების მებატრონები: კვეზერელი-კობაძე, სტეფანოვი, ბოლდა-  
საროვი, ალექსანდროვი, ტუნე, ბიდერმანი და დ. სარაჯიშვილი<sup>21</sup>.

ამხანაგობა „რექტიფიკატი“ აქვს სარექტიფიკაციო, არყის  
ქარხნები და სპირტის საბითუმო საწყოები, განყოფილებები: მეტე-  
ხის ციხესთან — კვეზერელი-კობაძის და სტეფანოვის სახლებში,  
აგრეთვე ღვინისა და სპირტის საწყოები, 2 მაღაზია და სხვ<sup>22</sup>. სინდი-  
კატი „რექტიფიკატი“ დ. სარაჯიშვილის ფირმის სახელით ვაჭრო-  
ბს<sup>23</sup>. „რექტიფიკატი“ ყავს მმართველი და 3 დირექტორი (1907 წ.  
მისი მმართველია ალექსანდროვი, 1908 წ. — ტუნე, 1908 წ. —  
ისევ ალექსანდროვი, შემდეგ ბოლდასაროვი, 1910 წ. — ბიდერმანი,  
1913 წ. — ალექსანდროვი<sup>24</sup>.) ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გა-  
რემოება, რომ ყველა ეს პირნი ამავე დროს დ. სარაჯიშვილის მრავ-  
ალრიცხოვანი ქარხნების მმართველები, რწმუნებულები, მისი  
ნდობით აღჭურვილი პირნი არიან (თ. ტუნე დ. სარაჯიშვილის №2  
ქარხანაში მუშაობდა და კარგა ხანს მისი ნდობით აღჭურვილი პი-  
რი იყო, იგივე ტუნე დ. სარაჯიშვილის ბესარაბიის კონიაკის ქი-  
რხნის მმართველია. ბიდერმანი და ალექსანდროვი №3 სარექტი-  
ფიკაციო ქარხნებში დ. სარაჯიშვილის ნდობით აღჭურვილი პირნი  
არიან და მისი სურვილის ამსრულებელნი და ა. შ.)<sup>25</sup>. „რექტიფი-

საკვლევი თემისათვის სხვა წყაროებთან შედარებით ზუსტ ცნობებს გვაწვდის  
სააქციო უწყების ფონდები. აღნიშნული მასალები უფრო სანდოა, რადგან საწარ-  
მოთა უშუალო შემოწმების შედეგად მიღებულ ცნობებს და დასკვნებს წარმოადგენს,  
მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს მასალებიც არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან.

ცხრილების შედგენისას დიდ სიძნელეს ქმნის აგრეთვე ის გარემოება, რომ სააქ-  
ციო უწყების ფონდებში პროდუქციის ამსახველი ცნობების უმეტესობა მხოლოდ  
გრადუსებით ან ვედროებით არის წარმოდგენილი. მისი მანეთობრივი მონაცემებით  
შევსება ან სხვა ფონდების მოშველდებით მოგვიხდა ან წლიური საბაზრო ფასისა  
და პროდუქციის ოდენობის შეჭერებითა და გაანგარიშებით.

<sup>21</sup> ი ქ ვ ე, ფ. 276, ს. 27, ფურც. 7.  
<sup>22</sup> ი ქ ვ ე, ფურც. 2.  
<sup>23</sup> ი ქ ვ ე, ფ. 370, ს. 940, ფურც. 29, 41.  
<sup>24</sup> ი ქ ვ ე, ფ. 276, ს. 27, ფურც. 2, 3, 4, 5, 15, 16, 17, 19, 27.  
<sup>25</sup> ი ქ ვ ე, ფ. 370, ს. 252, ფურც. 3, 7; ფ. 371, ს. 392, ფურც. 67, ს. 580. ფურც.



კატის“ საბრუნავი კაპიტალი და თითოეული წევრის წილი<sup>26</sup> არ ვიცით, მაგრამ მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ დ. სარაჯიშვილი არცის წვირელ მწარმოებლებს, ვაჭრებსა და საქმოსნებს თავის ხელქვეით აერთიანებს და მონობოლური უფლებით სარგებლობს<sup>26</sup>.

1907 წ. სოგომონოვის სარექტიფიკაციო ქარხნის ბაზაზე შეიქმნა სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „არგო“. მისი წევრები არიან: სოგომონოვი, სარქისოვი, ტერ-სარქისოვი, გაბაევი და სხვ. ამხანაგობის მმართველია გაბაევი, რექტიფიკატორი — საველევი<sup>27</sup> 1913 წ. ოფიციალური მონაცემებით „არგოს“ ძირითადი კაპიტალი 100 00 მან. შეადგენს<sup>28</sup>. 1909 წ. ამხანაგობა ცვლის და აუმჯობესებს ქარხნის ტექნიკურ მოწყობილობას, დგამს სპირტის შესამოწმებელ საკონტროლო მოწყობილობას<sup>29</sup>. 1910 წ. „არგომ“ 2244797 გრ. (336718 მან.) სპირტი გამოუშვა, 1911 წ. — 3507031 გრ. (406 054 მან.)<sup>30</sup>.

1913 წ. სარექტიფიკაციო ქარხანა გახსნა ძმ. სელიანოვების სავაჭრო სახლმა. ქარხნის მმართველია ს. სტეფანოვი. ქარხანა ტექნიკურად კარგად აღჭურვილი არ იყო. მან 1913 წ. 920728 გრ. სპირტი გამოუშვა. 1913—1914 წწ. რეკონსტრუქციის შედეგად აქ ახალი დანადგარები დაიდგა: ცილინდრული ფორმის სარექტიფიკაციო აპარატი, სარექტიფიკაციო კოლონა, დეფლემატორი, ორთქლის რეგულატორი, სპირტის გასაზომი 2 საკონტროლო მოწყობილობა. აღნიშნულმა წარმოებამ განვითარება ვერ მოასწრო. მისი ზრდა მსოფლიოს ომმა შეაჩერა<sup>31</sup>.

ქუთაისის გუბერნიაში XX ს-ის დასაწყისამდე სპირტის სარექტიფიკაციო ქარხანა არ არსებობდა. 1905 წ. ს. აბასთუმანთან (ზუგდიდის მაზრა) გაიხსნა ფ. პროტცერის პურის სპირტის ქარხანა, მაგრამ იმავე წელს, სახალხო მღელვარების გამო, ქარხანა დროებით დაიკეტა. მან პირველ ხანებში გამოუშვა: 1905 წ. — 35 336 გრ. (4240 მან.), 1906 წ. — 317800 გრ. (38136 მან.), 1907 წ. —

<sup>26</sup> სცსა, ფ. 371, ს. 337. ფურც. 42; ს. 514. ფურც. 19; ს. 90, ფურც. 90. 99, 107, 108, 139.

<sup>27</sup> სცსა, ფ. 371, ს. 360. ფურც. 4.

<sup>28</sup> Фабрично-заводские предприятия Российской Империи, СПб., 1914, Изд. 2, № 8020.

<sup>29</sup> სცსა, ფ. 371, ს. 833, ფურც. 122.

<sup>30</sup> სცსა, ფ. 371, ს. 635 ფურც. 120. 121.

<sup>31</sup> სცსა, ფ. 376 ს. 656 ფურც. 1—7. ს. 671, ფურც. 5.





1007011 გრ. (120841 მან.) სპირტი<sup>32</sup>. მაგრამ აღნიშნულ წლებში<sup>33</sup> ქარხანას არ ჰქონდა სპირტის გასაწმენდი სარექტიფიკაციო მოწყობილობა, რის გამოც მისი პროდუქცია მხოლოდ ნედლი სპირტის სახით გამოდიოდა. სპირტის გასაღება გაძნელდა, მრეწველმა ბაზრების ძებნა იწყო, მაგრამ იმის გამო, რომ რეალიზაცია ვერ შეძლო, იძულებული გახდა 371711 გრ. სპირტი მეტად არახელსაყრელ ფასად მიეყიდა მთავრობისთვის (1 გრ. სპირტი 12 კაპიკად სენაკის სადგურამდე ჩატანით). ქარხანაში დიდი რაოდენობით ნედლი სპირტი დაგროვდა. ფ. პროტცერმა გადაწყვიტა ქარხანასთან სარექტიფიკაციო განყოფილება გაეხსნა. 1906 წ. მან საჭირო დანადგარები გამოიწერა, 1907 წ. აპარატურა ააწყო, 1908 წ. 1069 000 ზრ. რექტიფიცირებული სპირტი გამოუშვა<sup>34</sup>. ქარხანა წარმოებისათვის იყენებდა სიმინდს, ნაწილობრივ ქერს და მწვანე ალაოს. სიმინდს და ალაოს ადგილზე ყიდულობდა, ქერს კი გორის მაზრაში. ნედლ მასალაზე ფასების მერყეობა ქარხანას დიდ დაბრკოლებას უქმნიდა. 1906—1907 წწ. ქარხანამ 138 დღე იმუშავა (13 დეკემბრიდან 2 მაისამდე), გამოიყენა 24136 ფუთი სიმინდი, 3396 ფუთი მწვანე ალაო. 1907—1908 წწ. ქარხნის მოქმედებას ხელი შეუშალა სიმინდზე გაზრდილმა საბაზრო ფასმა. 1907 წ. დასაწყისში ქარხანამ ფუთი სიმინდი 55 კაპიკად იყიდა, შემდეგ კი ფუთი სიმინდის ფასი 60—65 კაპ-მდე, ხოლო წლის ბოლოს 70 კაპ-მდე გაიზარდა<sup>34</sup>. მაგრამ იმის გამო, რომ დასავლეთ საქართველოდან სიმინდის საზღვარგარეთ გატანა შეწყდა, მისი ფასი თანდათან დეცა და საშუალოდ 63 კაპ-მდე დავიდა. ქარხნის წარმოება კვლავ აღდგა<sup>35</sup>.

1912 წლის მონაცემებით პროტცერის ქარხანაში იდგა ბორმანოსა და შვედეს ერთკოლონიანი მუდმივმოქმედი სარექტიფიკაციო აპარატი, ცილინდრული ქვაბი 70 კვ. მ გახურების ფართით და 20 ცხ. ძ. სიმძლავრის ორთქლის ქვაბი. ქარხანაში რექტიფიკატორად ჯერ ლიფლანდიელი სპეციალისტი მუშაობდა, შემდეგ კი ესტონელი: 1910-იანი წლების დასაწყისისათვის ქარხანაში სპირტის შესამოწმებელი საკონტროლო მოწყობილობა დაიდგა<sup>36</sup>.

პროტცერის ქარხნის ნაწარმს პირველ ხანებში ძირითადად ქუ-

<sup>32</sup> სცსა, ფ. 370, ს. 240, ფურც. 91—93. ს. 934. ფურც. 81, 103-104.

<sup>33</sup> ი ქ ვ ე.

<sup>34</sup> სცსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 91—93. ს. 934, ფურც. 103—104, 81

<sup>35</sup> ი ქ ვ ე.

<sup>36</sup> ი ქ ვ ე, ს. 980, ფურც. 50—51.



თაისის გუბერნია მოიხმარდა, ისეთი ქალაქები, როგორც ბათუმი და სოხუმი იყო პროტცერის ქარხნის ნაწარმს რუსული გამოხდის იაფ სპირტს არჩევდნენ<sup>37</sup>. სპირტი ძირითადად რუსეთის გუბერნიებიდან შემოჰქონდათ. მიუხედავად აღნიშნული დაბრკოლებისა, პროტცერის აბასთუმნის ქარხნის წარმოება თანდათან გაიზარდა. 1910 წ. მისი პროდუქციის ოდენობა 1 148 000 გრ. უდრიდა (172 200 მან.), 1911 წ. — 1 475 000 გრ. (221 250 მან.), ხოლო 1913 წ. — 2 586 000 გრ-მდე (413 760—მან-მდე) გაიზარდა<sup>38</sup>. 1906 წელს ქარხანაში დასაქმებული იყო 6 მუშა მამაკაცი<sup>39</sup>, 1910 წ. — 12<sup>40</sup>, 1914 წ. — 10<sup>41</sup>.

მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ სპირტით თავისუფალი ვაჭრობის აკრძალვის გამო პროტცერს 1915 წ. წინადადება მისცეს გაეყიდა მის ქარხანასა და საწყობში არსებული სპირტის მარაგი და დაეხურა თავისი საწარმო. ომით გამოწვეული ცვლილებების გამო პროტცერის ქარხანამ 1915 წ. არსებობა შეწყვიტა<sup>42</sup>. ქუთაისის გუბერნიაში სხვა სარეჟტიფიკაციო ქარხნები წყაროებში აღრიცხული არ არის. მაშასადამე, აქ რევოლუციამდე მხოლოდ 1 სარეჟტიფიკაციო ქარხანა მოქმედებს.

სარეჟტიფიკაციო ქარხნები ნელ მასალად იყენებდნენ წვრილი მწარმოებლების მიერ უბრალო სპილენძის ქვაბებში გამოხდილ ქაჭის არაყს. დ. სარაჯიშვილის სარეჟტიფიკაციო ქარხანა მხოლოდ ყურძნის (ქაჭის) არაყს ასუფთავებდა, სოგომონოვისა და ხუბლაროვისა კი წარმოებაში თუთიას არაყსაც იყენებდა. მწარმოებლები ყურძნის არაყს ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებში იძენდნენ — ელიზავეტოპოლის, ერევნის, ბაქოს გუბერნიებში და კახეთში. დიდი რაოდენობით სპირტის ნედლეულს აწვდიდნენ სოფლები: ყვარელი, ვაჭირი, ანაგა, მუკუხანი, ვაჩნაძიანი, ხოდაშენი, კურდღელაური. აკურა, ველისციხე, კისისხევი, შილდა და სხვ. ნედლეული შემოდოდა: აბულაძის, კერვალიძის, ძამაშვილის, გოგნიაშვილის, ჯემუხაძის, ბუაძის, ქარუხნიშვილის, ბაღდასაროვის, სარიევის, გულიაშვილის, ივ. აფხაზის, ბეჟანიშვილის, პეტრიაშვილის, ჩოლოყა-

<sup>37</sup> ი ქ ვ ე, ს. 934, ფურც. 81.  
<sup>38</sup> Обзор о ходе акцизного... 1912, გვ. 202, თბ., 1913.  
<sup>39</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1517, ფურც. 181, ს. 1518, ფურც. 68.  
<sup>40</sup> ი ქ ვ ე, ს. 1001, ფურც. 4.  
<sup>41</sup> ი ქ ვ ე, ს. 1068 ფურც. 58.  
<sup>42</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1094. ფურც. 198—199., ს. 1086, ფურც. 169.



შვილის, ა. სარქისოვის, ჩალაბოვის, არაქელოვის და სხვ. ქარხნებიდან<sup>43</sup>.

მოუსავლიანობის ან ყურძნის სპირტზე საბაზრო ფასის ზრდის შემთხვევაში მრეწველები მზა რეკტიფიცირებულ პურის სპირტს ყიდულობდნენ. პურის სპირტის ძირითადი მომწოდებელი რუსეთი იყო. კერძოდ, დიდი ვაგონციტერნებით სპირტი შემოდის ხარკოვის, კიევის, ზერსონისის, პოლტაის, პოდოლსკის, ტულის, თერგის, სმოლენსკის, მოგილევის, ყუბანის, ლიუბლინის და სხვა გუბერნიებიდან — ბრიკის, კოლუსოვის, ჩარტორიესკის, ნაუმოვის და სხვ. ქარხნებიდან. ადგილობრივი გამოხდის პურის სპირტს მწარმოებლებს ბორჯომის, გომის და პროტცერის ქარხნები აწვდიდნენ<sup>44</sup>. ნედლი სპირტის მიწოდების ოდენობა, მისი ზრდა-შემცირება და მოკიდებული იყო საბაზრო ფასზე, სპირტზე მოთხოვნილების შემცირება-გადიდებაზე და სხვა. სარეკტიფიკაციო ქარხნები ყოველწლიურად წარმოებაში უშვებდნენ 2<sup>1</sup>/<sub>2</sub>-დან 5 მილიონამდე გრადუს სპირტის ნედლეულს<sup>45</sup>. ყველაზე დიდი რაოდენობით სპირტს და სპირტის ნედლეულს დ. სარაჯიშვილის სარეკტიფიკაციო ქარხნები და მისივე სპირტის საბითუმო საწყობები იღებდა. საქართველოს სარეკტიფიკაციო ქარხნებისათვის ყურძნის სპირტის მომწოდებელი ძირითად მასას წვრილი მწარმოებლები შეადგენდნენ. ისინი სპირტისა და არყის წარმოებაში მეღვინეობის ნარჩენებს გამოიყენებენ (ჭაჭა, თხლე, დამყავებული ღვინო, ყურძნის უვარგისი მტევნები), ღვინო კი მაღალი ხარისხისა და ფართო მოხმარების გამო თავისთავად სასაქონლო პროდუქტად რჩება, არყისა და სპირტის წარმოებაში მისი უმნიშვნელო ნაწილი გამოიყენება, ამიტომ საქართველოში შექმნილი სპირტის მძლავრი სარეკტიფიკაციო წარმოება (ისევე როგორც კონიაკის წარმოება) ვენახების ნათესი ფართობის და ღვინის წარმოების ზრდაზე გავლენას არ ახდენს, საწინააღმდეგო მდგომარეობა შეინიშნება ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში.

<sup>43</sup> იქვე, ს. 930, ფურც. 220, ს. 823, ფურც. 86, ს. 412, ფურც. 1—60. ფურც. 371 ს. 514, ფურც. 32, 372; ს. 162, ფურც. 1-222; ს. 106, ფურც. 37, ს. 122. ფურც. 376, 334.

<sup>44</sup> იქვე, ს. 106, ფურც. 37; ს. 162, ფურც. 1—222; ს. 3925, ფურც. 522, ს. 412. ფურც. 1—60, ს. 514, ფურც. 27, ს. 580, 345, 320, ს. 245, ფურც. 385, ს. 245, ფურც. 122, 33, ს. 136, ფურც. 16—17 ფ. 370, ს. 1653, ფურც. 21—32. ს. 1619, ფურც. 8; ს. 205 ფურც. 34, ს. 1207, ფურც. 31—32.

<sup>45</sup> სცსაფ, 371, ს. 143. ფურც. 79, ს. 224. ფურც. 86. ს. 246, ფურც. 1—100, ს. 245, ფურც. 385. ს. 162. ფურც. 1—222. იქვე. ფ. 370. ს. 430, ფურც. 2; ს. 989, ფურც. 31, ს. 901. ფურც. 116, ს. 823. ფურც. 117.





წლები	ქარხნები	თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნების მიერ მიღებული და წარმოებაში გაშვებული ნედლი სპირტი (გრადაუსებში)
1891	1	1460397
1892	2	2559094
1893	3	3266182
1894	3	6517522
1895	3	8976271
1896	3	6700000
1897	3	6400000
1898	3	5250000
1899	3	6400000
1900	3	10046528
1901	3	4996029
1902	3	4811334
1903	3	4041490
1904	3	5680842
1905	3	4422338

ჩვენ განვიხილეთ ქ. თბილისში და ქუთაისის გუბერნიაში (ს. აბასთუმანი) შექმნილი სარექტიფიკაციო ქარხნები, მათი ტექნიკური დონე, წარმოების ოდენობა და მათში დასაქმებული მუშათა რაოდენობა. ვაჯამებთ რა ზემოთ მოტანილ მონაცემებს, დავასკვნით, რომ 80—90-იანი წლებიდან საქართველოში სპირტის სარექტიფიკაციო წარმოება შეიქმნა. ორთქლის ძრავისა და მანქანური ტექნიკის გამოყენებამ ქარხნებს მტკიცე ბაზა შეუქმნა. წარმოების დონით, მოცულობით, ტექნიკური აღჭურვილობითა და მათში დასაქმებული მუშათა რაოდენობით განსაკუთრებული ადგილი დ. სარაჯიშვილის სარექტიფიკაციო წარმოებას უჭირავს. წარმოების ოდენობაზე სხვადასხვა წელს სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს. 1906 წ. თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნების წარმოების დაცემა (1759318 გრ სპირტი) რევოლუციური გამოსვლების შედეგად მოხდა. სოფლად გადასროლილმა რევოლუციის ტალღამ ნედლი სპირტის გამოხდის შემცირება და მისი ქარხნებში მიწოდების შეკვეცა გამოიწვია. (1905 — 1906 წწ. ნაწილობრივ 1907 წ. თითქმის უმოქმედო იყო სოფლად არსებული წვირილი მწარმოებლების ქარხნები). 1908 — 1909

<sup>46</sup> სტსა, ფ. 371, ს. 431, ფურც. 79, ს. 224; ფურც. 86, ს. 162, ფურც. 1—22; საქ. 224 ფურც. 86, ს. 246. ფურც. 1—100, ს. 245. ფურც. 385. ფ. 370, ს. 823, ფურც. 117; ს. 901, ფურც. 116.



წწ. თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნების პროდუქცია, წინა  
 ბთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა (1908 წ. გამოხატული  
 7 260 494 გრ., 1909 წ. — 6 574 300 გრ.), რაც ნედლეულის სიუ-  
 ხვემ და ყურძნის კარგმა მოსავალმა განაპირობა. 1910—1914 წწ.  
 სარექტიფიკაციო ქარხნების საშუალო წლიური წარმოების 3—4 მი-  
 ლიონ გრადუსამდე შემცირება<sup>47</sup> ძირითადად სპირტის ნედლეულზე  
 საბაზრო ფასის ზრდის შედეგი იყო. 90-იან წლებთან შედარებით  
 1900-იანი წლების ბოლოს და 1910-იანი წლების დასაწყისში სპი-  
 რტის ნედლეულზე ფასები 8—9 კაპიკიდან 16 კაპიკამდე გაიზარდა.  
 მსოფლიო ომის დროს კი 20 კაპ-მდე<sup>48</sup>. არანაკლები მნიშვნელობის  
 ფაქტორი იყო ყურძნის მოუსავლიანობა ღვინის დაყენებისა და ში-  
 და რუსეთში მისი გატანის ზრდა და სპირტზე მოთხოვნილების  
 ზრდა-შემცირება. სპირტზე მოთხოვნილების შემცირების გამო ქა-  
 რხნების წარმოება იკვეცებოდა. ასე მაგალითად, სააქციზო ზედა-  
 მხედველი დ. სარაჯიშვილის წარმოების შესახებ მიუთითებდა, რომ  
 მას იმდენად განვითარებული წარმოება აქვს და ისეთი დანადგარები  
 უდგას, რომ შეუძლია გაცილებით მეტი რაოდენობის სპირტის გა-  
 სუფთავდება, მაგრამ სპირტზე მოთხოვნილების შემცირების გამო,  
 დიდი შესვენებებით მუშაობს<sup>49</sup>. ამიერკავკასიაში სავაჭრო-სამრე-  
 წველო სარბიელზე სპირტის ახალი მსხვილი მრეწველობის გამო-  
 ჩენა უფრო მეტად უწყობდა ხელს სპირტის ნედლეულზე საბაზრო  
 ფასის ზრდას, რაც წარმოებას არარენტაბელურს ხდიდა<sup>50</sup>. მდგო-  
 მარეობიდან გამოსვლას მრეწველები იმით ახერხებდნენ, რომ ადგი-  
 ლობრივი გაძვირებული ნედლეულის ნაცვლად, წარმოებაში რიგ  
 შემთხვევაში რუსეთიდან გამოწერილ იაფ პურის სპირტს იყენე-  
 ბდნენ. წარმოების შემცირებაზე დიდი გავლენა იქონია აგრეთვე  
 დ. სარაჯიშვილის გარდაცვალებამ. ყველა ეს ფაქტორი სპირტის  
 წარმოების ოდენობაზე მოქმედებდა.

როგორც ვხედავთ აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენთვის საინ-  
 ტერესო პერიოდში 3 ქარხანა არსებობდა, პროდუქციის ოდენობა,  
 ზოგიერთი წლის კლების მიუხედავად ძირითადად ზრდის ტენდენ-  
 ციას ამჟღავნებდა. დასავლეთ საქართველოში 1908 წლიდან ამო-  
 ქმედდა ერთი სარექტიფიკაციო ქარხანა, რომლის წარმადობა 1914  
 წლამდე ორჯერ გაიზარდა.

<sup>47</sup> სცსა, ფ. 371 ს. 833. ფურც. 121. ს. 671. ფურც. 60, ს. 708, ფურც. 29.  
<sup>48</sup> Отчеты... и обзоры... о ходе акцизного дела в Закавказском крае ...  
 за 1896, 1899, 1904, 1909, 1912, 1914 гг.  
<sup>49</sup> სცსა, ფ. 370, ს. 940. ფურც. 324—325.  
<sup>50</sup> იქვე, ფურც. 29.

საქართველოში მოქმედი სარეკტიფიკაციო ქარხნების პროდუქციის ოდენობის დინამიკა

წლები	თბილისის გუბერნია		ქუთაისის გუბერნია		სულ საქართველოში	
	ქარხნები	პროდუქციის ოდენობა მან-ში	ქარხნები	პროდუქციის ოდენობა მან-ში	ქარხნები	პროდუქციის ოდენობა მან-ში
1896	3	415738	—	—	3	415738
1897	3	328269	—	—	3	320269
1898	3	258179	—	—	3	258179
1899	3	518012	—	—	3	518012
1900	3	736416	—	—	3	736416
1901	3	679481	—	—	3	679481
1902	3	703485	—	—	3	703485
1903	3				3	
	(2)	678020			(2)	678020
1904	3				3	
	(2)	882442			(2)	882442
1905	3	644113	—	—	3	644113
1906	3	263897	—	—	3	263897
1907	3	522727	—	—	3	522727
1908	3	1089074	—1	160350	4	1249424
1909	3	986145	1	102000	4	1088145
1910	3	559275	1	172200	4	731475
1911	3	654441	1	221250	4	875691
1912	2	613446	1	204160	3	817606
1913	3	791608	1	413760	4	1405368
1914	3	917140	1	383660	4	1300800

წარმოების რენტაბელობის გაზრდის მიზნით მრეწველები სარეკტიფიკაციო ქარხნებს იაფი ნედლეულის ბაზებშიც ქმნიან. ასეთი იყო დ. სარაჯიშვილის მიერ ვლადიკავკაზიდან 4 ვერსის დაშორებით, საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად (მდინარე თერგისა და შავი წყლების მიდამოებში) გახსნილი პურის სპირტის ქარხანა, რომელსაც საფუძველი 1866 წელს აგვისტოში ჩაეყარა. მისი თავდაპირველი მფლობელები იყვნენ — ა. ტაიროვი, კეთხუდოვი, ყორღანოვი და ადამ ფორაქიშვილი. 1867 წ. ქარხანამ პირველი პროდუქცია გამოუშვა. იგი მხარეში ყველაზე დიდ და ტექნიკურად კარგად მოწყობილ საწარმოდ ითვლებოდა. აქ ჩდგა სპილენძის მანქანა (2 გამოსახდელი ქვაბითა და 2 ორთქლის ძრავით), ორთქლის ქვაბი, სპილენძისა და რკინის ცილინდრული მაცივარი, სხვადასხვა საქაჩავები (მოსკოვის), ხელის ტუმბო (ამერი-

\* სსსა ფ. 371 ს. 143, ფურც. 79, ს. 224. ფურც. 86, ს. 143, ფურც. 42, 79; • ს. 298, ფურც. 15, ს. 181, ფურც. 22—23 ს. 136 ფურც. 17.  
• ქ ვ ე, ფ. 370 ს. 437, ფურც. 2; ს. 904. ფურც. 31, ს. 989 ფურც. 31, ს. 1079 ფურც. 29.



კული), წისქვილის მოწყობილობა (ჩათახის ქარხნის). ქარხანა შედგებოდა ქვითკირის 5 კაპიტალური და ხის 7 შენობისგან. სახდელი განყოფილება 3 სართულიან შენობაში იყო მოთავსებული. ქარხანასთან არსებობდა რქოსანი პირუტყვის გამოსაკვები ფერმა, ხორბლეულისა და მარცვლეულის შესანახი ბელლები, სადურგლო სახელოსნო. აქვე იყო ოთხსართულიანი წისქვილი. ცივი წყლის მუდმივი მოწოდების მიზნით, გაჭრილი იყო არხი და გაკეთებული იყო წყალსაცავი. ქარხნის მეპატრონეებს მთავრობასთან შეთანხმება ჰქონდათ, მათ ყოველწლიურად 10 000 ვედრო პოლუგარი (სპირტისა და წყლის თანაბარი ნარევი) უნდა დაემზადებინათ. სხვადასხვა დაბრკოლებებისა და ფინანსური სიძნელების გამო, 80-იან წლებში ქარხანა ივანე ფორაჯიშვილის ხელში გადავიდა (დ. სარაჯიშვილის სიმამრის), შემდეგ კი 1884 წლიდან დ. სარაჯიშვილის საკუთრება გახდა<sup>51</sup>. დ. სარაჯიშვილმა ქარხნის სრული რეკონსტრუქცია მოახდინა და უახლესი ტექნიკური დანადგარებით აღჭურვა იგი. მრეწველმა უახლესი კონსტრუქციის აპარატურა გერმანიაში ააწყო ბინა და 1885 წ. ჩამოიტანა<sup>52</sup>. ქარხნის განახლებაზე მრეწველს 350 000 მან. დაეხარჯა. 1881 — 1883 წ. ქარხანამ 4434610 გრ სპირტი გამოხადა, 1883 — 1884 წწ. — 5460580 გრ. 1885 წწ. მისი წარმოება 6448750 გრ-მდე გაიზარდა<sup>53</sup>. მიუხედავად წარმოების გარკვეული ზრდისა, ერთ ხანს ქარხანა ცუდ პირობებში აღმოჩნდა. ეს შემდეგმა გარემოებებმა გამოიწვია: ვლადიკავკაზი, სადაც დ. სარაჯიშვილის ქარხანა მდებარეობდა, იმყოფებოდა, ამიერკავკასიისა და რუსეთის იმპერიის საზღვარზე. ამიერკავკასიაში 1 გრ. პურის სპირტის გამოხდაზე დაწესებული იყო 7 კაპ. აქციზი, რუსეთის იმპერიაში კი — 9 კაპ. დ. სარაჯიშვილი, იმის გამო, რომ მისი ქარხანა ამიერკავკასიის გარეთ, მის საზღვარზე მდებარეობდა 1 გრ სპირტის გამოხდაზე 9 კაპიკს იხდიდა. თავისი ქარხნის პროდუქციას იგი ამიერკავკასიაში ასაღებდა; მაგრამ სარაჯიშვილის ქარხნის ნაწარმის გასაღებას ამიერკავკასიაში წინ აღუდგა ბორჯომის ბარონ ბახის ქარხანა, რომელიც 1886 წ. მინიჭებული 'მელავათებით გაცილებით უკეთეს პირობებში აღმოჩნდა, ვიდრე ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის სპირტსახდელი ქარხნები. იმის

<sup>51</sup> სცსა ფ. 241 ანაწ. 3, ს. 55, ფურც. 22, 27, 68, ფ. 7, ანაწ. 6, ს. 85, ფურც. 21. თ. 371, ს. 16, ფურც. 33. ფ. 12. ანაწ. 11, ს. 138. ფურც. 18. ანაწ. 5, ს. 476. ფურც. 1—23.

<sup>52</sup> ЦГИА СССР ფ. 20, ანაწ. 12, ს. 342, ფურც. 60.

<sup>53</sup> ЦГИА СССР. ფ. 574 ანაწ. 1, ს. 558, ფურც. 38.



გამო, რომ ამიერკავკასიაში ყურძნის სპირტის წარმოება მუდმივად იაფი ჯდებოდა, ბორჯომის ქარხანას მისი კონკურენცია უჭირდა. იაფფასიანი ყურძნის სპირტის კონკურენციისათვის რომ გაეძლო, მას უფლება მიეცა ნორმის ზევით გამოხდილი სპირტი ამიერკავკასიაში და მის ფარგლებს გარეთ დამატებითი გადასახადის გარეშე გაეტანა. ეს შეღავათი ნიშნავდა იმას, რომ ბორჯომის ქარხანას 1 გრ. სპირტის გამოსაღები 2 კაბ. უჯდებოდა, დ. სარაჯიშვილს კი — 9 კაბ. მაღალი სააქციზო თანხისა და ბორჯომის ქარხნის შეღავათიანი ტარიფის გარდა დ. სარაჯიშვილის ნაწარმის ღირებულებას გზის ხარჯები ზრდიდა. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ჩავარდნილ დ. სარაჯიშვილის ვლადიკავკაზის ქარხანას არსებობა გაუჭირდა. მისთვის გასაღების ბაზრები დაიხურა. გამოხდილი 6 000 000 გრ. სპირტიდან მხოლოდ მესამედის გასაღება შეძლო. ქარხანამ არა თუ ანაზღაურა ხარჯები და მოგება მიიღო, არამედ 50 000 მან. ზარალი განიცადა. აღნიშნული მდგომარეობის გაგრძელების შემთხვევაში, მრეწველს გაჩანაგება ელოდა. ამიტომ მან 1886 წ. პეტერბურგში შეღავათიანი გამოხდის უფლების მინიჭება ითხოვა. ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ დ. სარაჯიშვილის ვლადიკავკაზის ქარხანას უფლება მიეცა ნორმის ზევით გამოხდილი სპირტი 1886 წ. 28 ივნისიდან 1887 წლის 1 ივლისამდე ამიერკავკასიაში უაქციზოდ გაეტანა<sup>54</sup>.

წარმოების გაუმჯობესებისა და პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის დ. სარაჯიშვილმა საუკეთესო გამოხდელი, რექტიფიკატორი და ამერიკელი ტექნოლოგი მოიწვია. ქარხანა მთელი დეტვირთვით ამუშავდა. დღე-ღამეში იგი 698 ფუთ ნედლეულს ამუშავებდა და 30 000 გრ. სპირტს ყიდდა. დ. სარაჯიშვილი ცდილობდა, რომ შეღავათის პერიოდში აენაზღაურებინა არა მარტო დანახარჯი, არამედ მნიშვნელოვანი მოგებაც მიეღო. ამიერიდან დ. სარაჯიშვილის შეღავათებმა თვით გაუწია კონკურენცია სხვა მწარმოებლებს, რომლებმაც პეტერბურგში დაუყოვნებლივ აღძრეს საჩივრები, რის გამოც გადაისინჯა დ. სარაჯიშვილის ვლადიკავკაზის ქარხნის შეღავათის საკითხი და 1887 წლის 30 იანვარის დადგენილებით ქარხანა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ კანონებს დაექვემდებარა<sup>55</sup>.

<sup>54</sup> ЦГИА СССР ფ. 574, ანაწ. 1, ს. 558, ფურც. 15.

<sup>55</sup> ЦГИА СССР, ფ. 574, ანაწ. 1, ს. 558, ფურც. 15. 44. სცსა, ფ. 370, ს. 1618 ფურც. 3—9.



დ. სარაჯიშვილის ვლადიკავკაზის ქარხანა სპირტს მარცვლეულისგან ამზადებდა (ქერი, ხორბალი, სიმინდი). თერგის ოლქში ფუთ სიმინდს 25—50 კაბიკად ყიდულობდა, ხოლო ქერს 45—60 კაბ. ნედლი მასალის სიუხვე ქარხანას მტკიცე ბაზას უქმნიდა. იგი წელიწადში 8—10 თვეს მუშაობდა, 1900-იანი წლებისთვის 200 000 ფუთ სიმინდს, 30 000 ფუთ ქერს ამუშავებდა — 10000000 გრ-მდე სპირტს აწარმოებდა.

გაიზარდა ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა. დაიდგა ელენბერგის რკინის როფი და პაუქშის მილებიანი მაცივარი, 3 სათბური, 3 ორთქლის მანქანა — ერთი ცილინდრული 60 ცხ. დ. სიმძლავრის, მეორე და მესამე — ფერბერნის სისტემის 60 და 30 ცხ. დ.; აგრეთვე მიუღერისა და ფუგენზანგის ტიპის გამოსახდელი აპარატები.

1894 წ. დ. სარაჯიშვილმა ვლადიკავკაზის ქარხნის სრული რეკონსტრუქცია მოახდინა და ინჟინერ კონრადის ხელმძღვანელობით დადგა ბორმანისა და შვედეს განუწყვეტლივ მომქმედი აპარატი, რომელიც 91—93 გრ. სიმაგრის სუფთა სპირტს იძლეოდა. 1895 წ. ქარხანაში იდგა 2 ორთქლის ქვაბი, ლოკომობილი, 2—30 ცხ. დ. მქონე ტურბინა, წყლის საქაჩავი და სხვ<sup>56</sup>.

ქარხანა მთელი თავისი სამეურნეო დანადგარებითა და დამხმარე საწარმოებით საკმაოდ დიდი იყო. მას 75 დესეტინა ფართობი ეჭირა. აქ იყო მარცვლეულის გასარეცხი და საშრობი საამქროები, წისქვილი, საკასრო, სამჭედლო, სანალბანდო, საზეინკლო სახელოსნოები, პურის შესანახი ბეღლები (100 000 ფუთის ტევადობისა), მოსამსახურეთა ბინები და მუშათა საერთო საცხოვრებელი. ნარჩენი პროდუქტების ბაზაზე იკვებებოდა 1700 მსხვილფეხა რქოსანი და 600—700 წვრილფეხა საქონელი. გამწვევ ძალად ცხენებს იყენებდნენ. ქარხანას ჰქონდა კარგად მოწყობილი ფერმები და საჯინიბოები. ქარხნის ხარჯზე არსებობდა სამედიცინო მომსახურება. მუშა-მოსამსახურეთათვის გახსნილი იყო საკვირაო სკოლა, სადაც ძირითადად წერა-კითხვა და სამეურნეო საქმეები ისწავლებოდა. ამ სკოლაში ერთ ხანს მასწავლებლად მუშაობდა ცნობილი ქართველი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე<sup>75</sup>.

დ. სარაჯიშვილის ვლადიკავკაზის მახლობლად მდებარე არყის სახდელი ქარხანა წარმოების დონით, ტექნიკური აღჭურ-

<sup>56</sup> ЦГИА СССР, ფ. 20, ანაწ. 12, ს. 342, ფურც. 52.

<sup>75</sup> D. З. Сараджев, გვ. 3.



რვილობითა და სამეურნეო ორგანიზაციით წმინდა კაპიტალისტური ტიპის საწარმოს წარმოადგენდა, რომლის ხელში იყო თერგის ოლქში სპირტის წარმოების უდიდესი ნაწილი. 90-იანი წლების ბოლოს ოლქის 13 სპირტსახდელ ქარხანაში მომუშავე 174 მუშიდან 81 დ. სარაჯიშვილის ქარხანაში მუშაობდა<sup>58</sup>. ქარხანაში დასაქმებული მუშების გარდა, ფერმის მუშათა რიცხვი 200 კაცს უდრიდა. 80-იანი წლების ბოლოდან ქარხანა მთავრობას საშუალოდ ყოველწლიურად 350000—500000 მანეთის ოდენობის სააქციზო გადასახადს უხდიდა. თავისი საქმიანობით იგი დიდ გავლენას ახდენდა მარცვლეული კულტურების ფართობის ზრდაზე და ათასობით მწარმოებელს ამ საქმეში აბამდა. ამის შესახებ სააქციზო დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ქარხანა შეიქმნა ადმინისტრაციის ინიციატივით ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების გაზრდისა და მოსახლეობის თავისუფალ დროს სამუშაოში ჩაბმის მიზნით, რათა ახლადშემოერთებულ მთის მოსახლეობას საარსებო წყარო გაეჩინა, მიღებული შემოსავლით ერჩინა არა მარტო ოჯახი, არამედ საშუალება მიეღო გადაეხადა სახელმწიფო გადასახადი. ქარხანამ დიდი გავლენა მოახდინა ოლქში სიმინდის კულტურის დანერგვისა და მისი საბაზრო პროდუქტად გადაქცევაზე. წლების განმავლობაში ქარხანა მოსახლეობას (ჩეჩნებსა და ინგუშებს) უფასოდ ურიგებდა სიმინდის თესლს სიმინდი მთის მოსახლეობის წარმოების მთავარ პროდუქტად იქცა. ამ რაიონებში მოყვანილი სიმინდით მარაგდებოდა არა მარტო ყუბანის მხარე, არამედ როსტოვის, ვორონეჟის გუბერნია, რეველი და სხვ<sup>59</sup>.

დ. სარაჯიშვილის ვლადიკავკაზის ქარხნის საქმიანობას 1895 წ. „ივერია“ დიდ შეფასებას აძლევს. მას „წესიერად და განივრად მოწყობილ“ წარმოებას და „დიდ და რთულ სავაჭრო საქმეს“ უწოდებს<sup>60</sup>

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 1895 წ. ქარხნის წლიური წარმოება 101444 მან. შეადგენს, მასში დასაქმებულია 88 მუშა.<sup>61</sup> 1912 წ. — წლიური წარმოება 176447 მან. უდრის,

<sup>58</sup> Л. М. Жанполадян, Очерки развития отечественного коньячного производства. Ер., 1966, с. 60.  
<sup>59</sup> ЦГИА СССР, ф. 20, а. н. № 12, л. 342. ფურც. 60.  
<sup>60</sup> ივერია, 1895 № 97, გვ. 2.  
<sup>61</sup> Фабрично-заводская промышленность России, СПб., 1897, гл. 920.

მუშათა რიცხვი — 70<sup>62</sup>. 1914 წ. — წარმოებული პროდუქციის ოდენობა 10 000 000 გრ. სპირტს უდრის.<sup>63</sup> ქარხანაში მმართველობად მუშაობდნენ ალ. პეტრეს ძე სარაჯიშვილი, ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილი და სხვ. არყის გამომხდელი და რექტიფიკატორები იყვნენ ტ. ლეიჩინგერი და უ. კოპნიცი<sup>64</sup>.

1886 წ. დ. სარაჯიშვილმა სპირტის სარექტიფიკაციო ქარხანა ქ. ვლადიკავკაზშიც გახსნა. 1900-იანი წლებისათვის ქარხანაში იდგა 12 კოლონიანი საფილტრაციო აპარატი და სხვა სახის მოწყობილობანი, რომელიც სიმინდის სპირტის გაწმენდას ემსახურებოდა. ქარხანა ადგილობრივი მწარმოებლებისაგან შესყიდულ არაყს ასუფთავებდა და საშუალოდ წლის განმავლობაში 2500000 — 3000000 გრ-მდე რექტიფიცირებულ სპირტს უშვებდა.

დ. სარაჯიშვილის ვლადიკავკაზის ქარხნების პროდუქცია მოთხოვნის შესაბამისად თბილისში იგზავნებოდა, ნაწილი კი, დანიშნულების მიხედვით, რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიებში სალდებოდა.

1887 წ. დ. სარაჯიშვილმა სარექტიფიკაციო ქარხანა გახსნა აგრეთვე ერევნის გუბერნიაში — ქ. ერევანთან ახლოს, მდ. ზანგას ნაპირას. ეს საწარმო 1894 წ. ქ. ერევანში სპეციალურად აშენებულ შენობაში გადაიტანა. იგი ერევნის გუბერნიაში პირველ სარექტიფიკაციო ქარხნად ითვლება. ქარხანაში იდგა 650 ვედროს მოცულობის კუბი, სვალის ტიპის გამოსახდელი აპარატი, 30 ცხ. d. სიმძლავრის ორთქლის ქვაბი. მას ახურებდნენ ბაქოდან შემოტანილი მაზუთით. ქარხანასთან არსებობდა სპირტის შესანახი საწყობები, რკინის რეზერვუარები და სხვ. ქარხნის წლიური წარმოება საშუალოდ 1 700 000 გრ-დან 2 500 000 გრ - სპირტს უდრიდა. ნედლ მასალას, ყურძნის სპირტის სახით, ქარხანა ადგილობრივი წვრილი მწარმოებლებისგან ყიდულობდა. ერევნის ქარხანაში გამოხდელი სპირტი დანიშნულებისამებრ თბილისისა და ბაქოს საწყობებში იგზავნებოდა, ნაწილობრივ ადგილობრივ მოთხოვნილებას ხმარდებოდა; ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ქარხნის ადმინისტრაცია თბილისში გაგზავნის ნაცვლად, მოთხოვნის შესაბამისად რექტიფიცირებულ სპირტს მოსკოვის, პეტერბურგის

<sup>62</sup> Список фабрик и заводов Российской Империи, СПб., 1912 г. 247.

<sup>63</sup> Фабрично — заводские предприятия Российской Империи, СПб., 1914 № 5987.

<sup>64</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ბურჟუაზიული განყოფილების ნივთების ფონდი II—59.





ვარშავისა და სხვა ქალაქების მსხვილ მწარმოებლებს უგზავნიდა — სმირნოვს, ვოლბრუკს, არაბაქს და სხვ<sup>65</sup>.

საინტერესოა აგრეთვე დ. სარაჯიშვილის მიერ ბაქოს სპირტის საბითუმო საწყობის საქმიანობა. საწყობი ხელმძღვანელობდა ბაქოს გუბერნიაში არსებული საკუთარი (კონიაკის) ქარხნების საქმიანობას, აგვარებდა სპირტის ნედლეულის შესყიდვის და მისი შემოსავალ-გასავლის ოპერაციებს. საწყობი ცივი გაწმენდის წესით ყოველწლიურად 2 000 000 გრ სპირტს ასუფთავებდა, რომელსაც სუფრის ღვინის სახელწოდებით ასალებდა<sup>66</sup>.

90-იან წლებში დ. სარაჯიშვილმა ბაქოს გუბერნიაში, ს. უჯარაში სარეკტიფიკაციო ქარხანა გახსნა, რომელიც 1898 წლიდან ძეგბს სესიევებს გადასცა. ისინი ვალდებულები იყვნენ შეთანხმების შესაბამისად ყოველწლიურად სპირტის გარკვეული რაოდენობა დ. სარაჯიშვილის დაკვეთით დაემზადებინათ. სესიევების უჯარის სარეკტიფიკაციო ქარხანა 1914 წ-მდე ყოველწლიურად 1 500 000 გრ-დან 2 000 000 გრ-მდე სპირტს ასუფთავებდა და თბილისისა და ბაქოს საბითუმო საწყობებიდან ასალებდა<sup>67</sup>.

დ. სარაჯიშვილის გარდა სარეკტიფიკაციო ქარხნები იაფი ნედლეულის ბაზებში მ. ხუბლაროვსა და ა. სოგომონოვსაც ჰქონდათ. მ. ხუბლაროვს არყისა და სპირტის წარმოება ჰქონდა ელიზავეტოპოლის გუბერნიაში. სპირტის წარმოებაში ძმები ხუბლაროვების მოღვაწეობა 1862 წ. ს. აგაღამში დაიწყო (ელიზავეტოპოლის გუბერნია, შუშის მაზრა). ამ დროს გუბერნიაში არყის წარმოება ჩანასახ მდგომარეობაში იყო. იგი საოჯახო მოთხოვნილებებს ფარგლებს არ სცილდებოდა და სასაქონლო ხასიათი არ ჰქონდა. ხუბლაროვებმა იჯარით აიღეს ყოფილი ხანებისა და ბეგების კუთვნილი ვენახები, გააშენეს ბალები, ააგეს ქარხნები. შექმნეს საღურგლო სახელოსნო. სადაც ურმებს ამზადებდნენ, ქარხნებში გამოხდილი არაყი ურმებით თბილისში გადაჰქონდათ. მ. ხუბლაროვის წარმოება განსაკუთრებით ბაქო-თბილისის რკინიგზის გახსნის შემდეგ გაფართოვდა. მან 1878 წ. 50 ღვსეტინა მამული შეიძინა (80—90-იან წლებში ქარხნები გახსნა აგაღამში, ერევანში

<sup>65</sup> Д. З. Сараджев გვ. 5—6; სცხა, ფ. 370, ს. 904, ფურც. 191, 204, ს. 930. ფურც. 204, ს. 940, ფურც. 217. ს. 989 ფურც. 197, ს. 1569, ფურც. 91—95. ს. 1068, ფურც. 93—94; ს. 493, ფურც. 146.

<sup>66</sup> Д. З. Сараджев გვ. 6.

<sup>67</sup> სცხა, ფ. 370. ს. 823 ფურც. 87—89. ს. 901 ფურც. 110, 117. ს. 930 ფურც. 144, ს. 940. ფურც. 171; ს. 493. ფურც. 146. ს. 989, ფურც. 166—168.

და თბილისში). 1838 წ. აგადამის ქარხანაში სარექტიფიკაციო სპირტის სისტემის აპარატი დადგა. დღე-ღამეში ქარხანა 24 000 გრ. სპირტს უშვებდა. ორთქლის ქვაბის გახურება მახუთით ხდებოდა. ნედლი მასალის და რექტიფიცირებული სპირტის შესანახად ქარხანასთან არსებობდა 11 000 ვედროს ტევადობის რკინის რეზერვუარები, სარდაფები და სხვა სათავსოები. ქარხნის საშუალო გამოხდა 2-დან 5 მილ. გრ.-მდე შერყებდა. მუშათა რაოდენობა ქარხანაში 50 კაცს უდრიდა. ქარხანა სპირტს ასაღებდა ამიერკავკასიაში, შავიზღვისპირეთში, დონის ოლქში<sup>68</sup>.

თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნის გაყიდვის შემდეგ 1903 წლიდან მ. ხუბლაროვი აგადამის წარმოებას აძლიერებს. 1905—1906 წწ. რევოლუციური მღელვარების შემდეგ დარბეული წარმოება მ. ხუბლაროვმა 1909 წ. აღადგინა, მაგრამ მის განვითარებას ვერ შეაღწია, რადგან მთავრობისათვის გადაუხდელი ვალის გამო აიძულეს, ქარხანა დაეხურა<sup>69</sup>.

ნედლეულის ბაზებში შექმნილი სარექტიფიკაციო ქარხნებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ძმები სოგომონოვების წარმოება. ავჯ და ბაღდასარ სოგომონოვებმა არყის წარმოება 1853 წ. ს. მურადბეგლუში დაიწყეს (ელიზავეტოპოლის გუბერნია შუშის მაზრა). აქ პირველ ხანებში წარმოება ჭირდა, რადგან ამისათვის პირობები არ არსებობდა: კერძოდ, სამიმოსვლო გზა, სპეციალისტები, სამრეწველო საქმიანობაში ნაწილობრივ მაინც გარკვეული მუშახელი, რომელიც შეძლებდა წარმოებაში დასაქმებულიყო. მანქანა-იარაღების, დანადგარების შემოტანა რუსეთიდან უხდებოდათ. რუსეთიდან ჩამოყავდათ ქარხნის ამწყობი სპეციალისტები, გამომხდელი, რექტიფიკატორი და გამოცდილი მუშებიც კი. მურადბეგლუს ქარხანა სოგომონოვს იჯარით ჰქონდა აღებული. 1885 წ. მან ქარხნის რეკონსტრუქცია მოახდინა, 1887 წ. ქარხანაში იდგა 2 გამოსახდელი სარექტიფიკაციო აპარატი, ქარხანა ძირითადად ყურძნის, ჭაჭის, თუთის არაყს ხდიდა. ზოგჯერ სხვადასხვა ხილის, საზამთროს და ნესვის არყის გამოხდასაც აწარმოებდა. ერთ ხანს სოგომონოვმა გადაწყვიტა აქ პურის სპირტის წარმოებაც შეექმნა. ამ მიზნით მან ვალის სისტემის სარექტიფიკაციო აპარატი, ორთქლის ქვაბი, 2 დეფლევაციური თეფში და სპირტის საყო-

<sup>68</sup> Сведения о производительности заводов М. С. Хубларова с братьями в Тифлисе, Тиф., 1901 гв. 1—6.

<sup>69</sup> სტსა, ფ. 371, ს. 252, ფურც. 16—17; ს. 912, ფურც. 11; ფ. 370, ს. 989, ფურც. 293.

ნტროლო მოწყობილობა დადგა, მაგრამ ქარხანამ დიდხანს ვერ იარსება. 1887 წლიდან სოგომონოვმა ისევ ყურძნის და ხილის არყის წარმოებას მიჰყო ხელი<sup>70</sup>. 1900-იან წლებში სოგომონოვის მურადბეგლუს ქარხნის გამოხდა საშუალოდ (1905 წ.-მდე) 754245 გრ-დან 950 000 გრ-მდე სპირტს უდრიდა. 1905 წელს ის დაარბიეს. მისი აღდგენა სოგომონოვმა ველარ მოახერხა<sup>71</sup>.

პერიფერიებში არსებული ა. სოგომონოვის ქარხნებიდან აღსანიშნავია ბორჯომის პურის სპირტის ქარხანა. იგი თავდაპირველად ბარონ ბახს ეკუთვნოდა. მან მიზნად დაისახა უახლესი ტექნიკური დანადგარებით აღჭურვილი მძლავრი წარმოება შეექმნა. ბახმა გამოსახდელი აპარატები საზღვარგარეთიდან გამოიწერა. მარტო აპარატურის შეძენაზე 30000 მან. დახარჯა. მთლიანად ქარხნის მოწყობა 70000 მან. დაუჯდა. წარმოების სწორი ხელმძღვანელობისათვის მან სპირტის გამოხდის ხელობის შესასწავლად და ახალი აპარატურის ასათვისებლად საზღვარგარეთ კაცი გაგზავნა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების ჩატარებას მისი საკუთარი სახსრები არ ეყო. ამიტომ მან 35000 მან. (7 წლის ვადით) მთავრობისგან სესხად მიიღო, დანარჩენი კი ბანკიდან გამოიტანა და კერძო პირებისგან ისესხა. ქარხანა 1876 წლის მაისში გაიხსნა. ქარხანაში იდგა 8820 ვედროს მოცულობის ნედლი მასალის დასამუშავებელი ქვაბი, ახალი სისტემის ელენბერგის და რობერტ ილგერის და სხვა აპარატები, სპირტის საზომი საკონტროლო მოწყობილობა და სხვ. ქარხანა დღემდეში 416 ფუთ მარცვლეულს ამუშავებდა, წელიწადში 298 დღეს მუშაობდა და 154 000 ფუთ პურს მოიხმარდა. სააქციზო ზედამხედველის გადმოცემით ქარხანაში მარცვლეულის გამოხდა ახალი წესით ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ ქარხანა ტექნიკურად იმდენდა მაღალ დონეზე იდგა, რომ გამოსახდელად მიდიოდა დაუფქვავი მარცვლეული, რომელიც ორთქლის მანქანის მეშვეობით მუშავდებოდა. ქარხანა ორსართულიანი ქვის შენობაში იყო მოთავსებული. მისი მმართველი იყო ლევან წილოსანი. პროდუქცია ადგილზევე სალდებოდა. საწყობები სხვა ადგილებში არ ჰქონდა<sup>72</sup>.

<sup>70</sup> სცსა, ფ. 371, ს. 298 ფურც. 127. სცსა, ფ. 370, ს. 20, ფურც. 1—26, ЦГИА СССР, ფ. 574, ანაწ. 1, ს. 572, ფურც. 374, 395, 365, ანაწ. 1, ს. 52, — ფურც. 1—8 ანაწ. 1, ს. 559, ფურც. 252.

<sup>71</sup> სცსა, 370 ს. 989, ფურც. 223; ს. 930, ფურც. 225, 226, 220. ს. 338, ფურც. 22, ს. 904, ფურც. 218—219.

<sup>72</sup> სცსა, ფ. 7, ანაწ. 6, ს. 156 ფურც. 7—12; სცსა, ფ. 17, ს. 486, ფურც. 141. Список винокуренных заводов Российской Империи, СПб, 1890, с. 496.

მრეწველი ვარაუდობდა, რომ ქარხანას საჭირო იაფი ნედლეულით მოამარაგებდა — ახალციხიდან ქერით, სურამიდან სიმინდით. გამოხდილი სპირტის ნარჩენების ბაზაზე სასუქის დამზადება ჰქონდა განზრახული<sup>73</sup>. მაგრამ წინასწარ შემუშავებული გეგმით ნედლეულის მიღება ქარხანამ ვერ შესძლო, ამასთან, გახსნისთანავე მას არახელსაყრელ პირობებში მოუხდა მოქმედება. 1876 წ. დადგენილებით პურის სპირტზე ამიერკავკასიაში არსებული გადასახადი (5 კაპ. 1 გრ სპირტზე) 2 კაპ-ით გაიზარდა. ამის გარდა გადიდა სპირტის გამოხდის ნორმა. თუ 1876 წ-მდე 1 ფუთი ნედლეულის გამოხდაზე 35 გრ. სპირტის გამოხდა ივარაუდებოდა, ამიერიდან 37 გრ დაწესდა. ამის გამო ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება ნავარაუდევზე მაღალი გახდა, ამიტომ ბ. ბახმა თავისი ქარხნისათვის შეღავათების მინიჭება მოითხოვა (ნაცვლად 7 კაპ-ისა, გადაეხადა 1 გრ სპირტზე 5 კაპ., აერჩია გამოხდის უმცირესი ნორმა — 35 გრ 1 ფუთ გამოსახდელ ნედლეულზე). მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. ქარხანამ 10 წლით შეღავათიანი გამოხდის უფლება მიიღო<sup>74</sup>. ნორმის ზევით გამოხდილ სპირტზე მწარმოებელი სააქციზო გადასახადს არ გადაიხდიდა. ბორჯომის ქარხანას 1883—1884 წწ. აქციზის ოდენობა 1 გრ სპირტზე 2 კაპ-ით უმუმიკირდა, დანარჩენი წლების განმავლობაში (1886—1887 წწ.) 1 კაპ-ით. ქარხანას ვერც ამ შეღავათებმა უშველეს. მის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება ხშირად სპირტის საბაზრო ფასს უდრიდა, ამიტომ მისი გასაღება ჭირდა. წარმოება არარენტაბელური იყო. ბორჯომის ქარხნის პროდუქციას დიდ კონკურენციას უწევდა რუსეთიდან დიდი რაოდენობით შემოსული იაფი პურის სპირტი და განსაკუთრებით საქართველოს მრავალრიცხოვან წვრილ მწარმოებელთა მიერ გამოხდილი ყურძნის არაყი. ყურძნის არაყზე არსებული სააქციზო გადასახადი 1 გრ სპირტზე 1 ან 2 კაპ. მოდიოდა, მისი წარმოება იმდენად იაფი ჯდებოდა, რომ მწარმოებლები 1 გრ სპირტზე 4—5 კაპ. მოგებას იღებდნენ, პურის სპირტის მწარმოებელი მოგების სახით 1 გრ სპირტზე 1/2 ან 1 კაპიკს იღებდა, ზოგჯერ კი წარმოების ფასსაც ვერ ანაზღაურებდა<sup>75</sup>. ამის გამო იყო, რომ სააქციზო სისტემის შემოღების შემდეგ საქართველოში არსებული პურის სპირტის ყველა ქარხანამ არსებობა

<sup>73</sup> Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифл., 1888, с. 43—45.  
<sup>74</sup> სცსა, ფ. 7, ანაწ. 6, ს. 156, ფურც. 2—10.  
<sup>75</sup> ЦГИА СССР, ფ. 1263, ანაწ. 1, ს. 4330, ფურც. 38, 40, 41, 49.



შეწყვიტა. ბორჯომის ბახის ქარხანამ კი მიუხედავად დიდი შედეგებისა, წარმოების გაზრდა-გაფართოება ვერ მოახერხა. ქარხნის არსებობამ ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ნათესი ფართობის გაზრდაზე არაერთგვაროვანი გავლენა არ იქონია, რადგან საჭირო სიმინდს იმერეთში ყიდულობდა, ქერს—რუსეთში. ქარხნის წარმადობა 1877—1887 წლებში იზრდებოდა (ცხრ. 3). შეღავათიანი პირობების ვითარებაში (10 წელი) ქარხანამ 35501857 გრ სპირტი გამოხადა. მისი წლიური პროდუქცია 2 000 000-დან 7 000 000 გრ. სპირტს უდრიდა. 1877 წ. ქარხნის წლიური პროდუქცია 500 000 მან. შეადგენდა. 1885 წ. — 990 000 მან. ბორჯომის ქარხნის პროდუქციის ოდენობა თბილისის გუბერნიის ქარხნების პროდუქციას აჭარბებდა ქარხანაში 20 მუშა მუშაობდა, 1 სპირტის გამომხდელი, 5 ღურგალი, 1 მემანქანე. 80-იან წლებში ქარხანა პროდუქციას თბილისში და გორში ასაღებდა<sup>76</sup>. ზემოთ ჩამოთვლილი არახელსაყრელი პირობების გამო ბახმა ვერ შესძლო მთავრობისათვის კუთვნილი თანხა გადაეხადა, მას 954 127 მან. ვალი დაედო. შეღავათიანი პირობების დასრულების შემდეგ, ქარხანამ (1887 წ.) სპირტის გამოხდა შეწყვიტა<sup>77</sup>.

80-იანი წლების ბოლოს ბორჯომის ქარხნის ახალი მფლობელია დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. მის დროს (1890 წ.) ქარხნის რეკონსტრუქცია მოხდა. ქარხანა 3 სართულიან შენობაში მოთავსდა. გაიყო 3 განყოფილებად: 1. ნედლი მასალის დასამუშავებელი, 2. სპირტის გამოსახდელი, 3. საწნეხი. ქარხანაში იღვა 16 ცხ. d. ორთქლის მანქანა, წყლის საქაჩავი (ორთქლის), რკინისა და ხის რეზერვუარები, მიულერის და ფუგენზანგის და კომპ. სისტემის გამოსახდელი აპარატები, ელენბერგის სისტემის რკინის როფი, 3 მაცივარი, პაუკვის და გენზეს ტიპის აპარატურა, სიმენსის სპირტის გასაზომი საკონტროლო მოწყობილობა და სხვ. სპირტის შესანახი განყოფილება ცალკე შენობაში იყო მოთავსებული. ქარხანასთან არსებობდა ქერისა და სიმინდის შესანახი ბეღლები, მუშათა ოთახი, მმართველისათვის გამოყოფილი ოთახი და სხვ. ქარხნის მმართველი იყო მარკგრაფი, გამომხდელი ქევხიევი<sup>78</sup>. ქარხანაში 44 მუშა მუშაობდა<sup>79</sup>. ქარხანამ მოქმედება განაახლა, მაგრამ იგი ხელოვნურად

<sup>76</sup> სტა, ფ. 17, ს. 8747, ფურც. 53; ს. 9000ა. ფურც. 25.

<sup>77</sup> ст. Гулишамбаров, გვ. 44.

<sup>78</sup> სტა, ფ. 371, ს. 73, ფურც. 6—32. ЦГИА СССР, ფ. 574, ანაწ. 2, ს. 467, ფურც. 1—14.

<sup>79</sup> სტა, ფ. 371, ს. 85, ფურც. 3.



ბორჯომის ქარხნის წარმოება 1876—1887 წწ.\*

წლები	გამოხზადა		სულ	გადაიხადეს აქციზი
	ნორმით	უაქციზო		
1876/7	80282	5728	86010	5619 მან. 70 კაბ.
1877/8	1953665	330620	2257285	13676 მან. 55 კაბ.
1878/9	2640015	631342	3271357	184901 მან. 5 კაბ.
1879/80	764417	178679	943097	53509 მან. 22 კაბ.
1880/81	1727836	295105	2022941	120948 მან.
1881/82	2198700	499593	2698293	153909 მან.
1882/83	932400	184566	1116966	65268 მან.
1883/84	2318460	541175	2859575	115920 მან.
1884/85	4548425	1511890	6060315	318389 მან. 75 კაბ.
1885/86	5203625	1939946	7143571	364253 მან. 75 კაბ.
1886/87	5393850	1648693	7042543	377569 მან. 50 კაბ.
	27661615	7740341	35501857	1897045 მან. 63 კაბ.

არსებობდა, ვერ უძლებდა ადგილობრივი გამოხდის იაფი ყურძნის არყის და რუსეთის პურის სპირტის კონკურენციას. ამის გამო იყო, რომ 1890 წ. გამოხდილი სპირტი 1891 წ. თითქმის მთლიანად გაუსალეველი დარჩა. რეალიზაციას შემთხვევითმა ფაქტორმა შეუწყობ ხელი — რუსეთის იმპერიაში ხორბლის მოუსავლიანობის გამო პურის სპირტზე ფასები გაიზარდა და სპირტის წარმოებაც შემცირდა. ქუთაისის გუბერნიაში სიმინდის უხვი მოსავალი მოვიდა, სიმინდი მეტად დაბალ ფასებში გაიყიდა. ამ გარემოებამ ბორჯომის ქარხანას წარმოების დროებითი გაფართოების საშუალება მისცა. 1890 წ. გამოხადა 2 370 210 გრ. 1891 წ. — 2 527 160 გრ.<sup>80</sup> 1892 წ. — 3 250 169 გრ. სპირტი. 1893 წ. ქარხანამ სპირტის რეალიზაცია ვერ მოახერხა, რადგან მას წარმოება ძვირი დაუჯდა, ხარჯები ვერ აანაზღაურა. 1892—93 წწ. ნედლი მასალის სიუხვემ და დაბალმა ფასმა სპირტის ფასიც 9-9½ კაბ-მდე დასცა. ამიტომ 1893 წ. არარენტაბელობის გამო ქარხანამ წარმოება შეწყვიტა<sup>81</sup>.

1895 წ. ბორჯომის ქარხანა ა. სოგომონოვმა შეიძინა. ქარხანამ მოქმედება დეკემბერში დაიწყო და 1 იანვრამდე 306 903 გრ. სპი-

\* С. Гулишамбаров, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

<sup>80</sup> Отчет о ходе акц. дела... за 1891 г., СПб., 1892, გვ. 11—12.

<sup>81</sup> Отчет за... 1892, СПб., 1893, გვ. 33—35, სცხა, ფ. 371, ს. 85, ფურც. 3.





რტი გამოხადა<sup>82</sup>. თუთის, ხილისა და ყურძნის მოუსავლიანობის გამო ხილისა და ყურძნის სპირტის გამოხდის შემცირებამ და სპირტზე ფასების აწევამ, ბორჯომის ქარხანას შესაძლებლობა მისცა 1896—97 წწ. წარმატებით ემუშავა. 1896—97 წწ. ქარხანამ ნედლი მასალა (სიმინდი) გურიაში და იმერეთში შეიძინა<sup>83</sup>. ქარხანამ 1896 წ. 3 651 507 გრ. სპირტი გამოუშვა, 1897 წ. კი 3 456 656 მანეთის 2 880 467 გრ. სპირტი<sup>84</sup>. 1895—96 წწ. ქარხანაში დასაქმებულია 38 მუშა. 1896 წ. ბორჯომის ქარხნის პროდუქცია თითქმის მთლიანად დ. სარაჯიშვილმა და მ. ხუბლაროვმა შეიძინეს. მაგრამ შემდგომ წლებში ყურძნის მოსავლიანობის ზრდამ წარმოება არარენტაბელური გახადა. 1897 წ. ბოლოს ქარხანამ არსებობა შეწყვიტა<sup>85</sup>.

ა. სოგომონოვმა გადაწყვიტა ბორჯომის ქარხანა დაეხურა და მის ნაცვლად ნედლი მასალის სიუხვეით ცნობილ ადგილას გაეხსნა. ამ მიზნით მან 1902 წ. ს. გომთან კონსტანტინე მამაცაშვილისგან მამული შეიძინა<sup>86</sup>. სოგომონოვმა აქ ბორჯომის ქარხნის ტექნიკური მოწყობილობა გადაიტანა, დამატებით გილიომის სისტემის სარექტიფიკაციო კოლონა დადგა<sup>87</sup>. მრეწველი წარმოების ფართო მასშტაბით განვითარებას ვარაუდობდა. 1902 წ. ქარხანამ 46 537 გრ. სპირტი გამოუშვა. 1903წ. — 1 160 780 გრ. მაგრამ მოუსავლიანობამ და 1905—1906 წლების რევოლუციურმა გამოსვლებმა ქარხნის მუშაობა შეაფერხა. ქარხანამ წარმოება მხოლოდ 1908 წ. განაახლა. მისი გახსნა გამოწვეული იყო იმით, რომ მთავრობამ მწარმოებელს უფლება მისცა 600 000 მანეთის ოდენობის სააქციზო თანხა 1 წლის ვადით განევაღებინა. ეს წინადადება ა. სოგომონოვმა იმდენად ხელსაყრელად ჩათვალა, რომ იგი სასწრაფოდ მ. ხუბლაროვს შეუთანხმდა, ქარხანა სანახევროდ შეაკეთა და წარმოებისათვის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, 1908 წ. სპირტის გამოიღა დაიწყო. ქარხანაში 40 მუდმივი და 20 დღიური მუშა მუშაობდა. მოუსავლიანობის გამო ქარხანას ნედლი მასალის ადგილზე შეძენა გაუჭირდა. ამიტომ მის შესყიდვას იგი თერგის ოლქში ვლადიკავკაზში აწარმოებდა. გარდა ამისა, არასრულყოფილი შეკეთების გამო ქარხნის აპარატურა ხშირად ფუჭდებოდა. ამას ერთვოდა ისიც, რომ ჭის წყალი

<sup>82</sup> სცხა, ფ. 370, ს. 1608, ფურც. 27. Кавказ, 1895, № 302.  
<sup>83</sup> სცხა, ფ. 371, ს. 136, ფურც. 16—17.  
<sup>84</sup> სცხა, ფ. 31, ს. 143, ფურც. 30, 31, 42.  
<sup>85</sup> Отчет... за 1897, СПб., 1898, გვ. 96.  
<sup>86</sup> სცხა, ფ. 275, ს. 312 ფურც. 6.  
<sup>87</sup> სცხა, ფ. 371. ს. 261. ფურც. 71.

ზაფხულის თვეებში მალე თბებოდა და წარმოებას ცივი წყლით სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა, რის გამოც ნედლი მასალა შეკავშირებული ვდებოდა, ეს კი საბოლოო შედეგზე — გამოხდილი სპირტის ოდენობაზე მოქმედებდა. ქარხანამ 1908 წ. 1 055 650 გრ. 2 762 528 გრ. სპირტი გამოხადა და ნაცვლად მოგებისა, 100 000 მან. ზარალი ნახა. 1909 წ. ქარხანამ არსებობა შეწყვიტა ა. სოგომონოვსა და მ. ხუბლაროვს ხაზინის 412 000 მან. გადაუხდელი ვალი დარჩა. 1913 წლისათვის დარჩენილი ვალის ოდენობა 278 568 მან. უდრიდა. მთავრობამ მრეწველებს ვალის გადახდის ვადა 1920 წ-მდე გაუხანგრძლივა<sup>88</sup>. მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ მეტროპოლის მიმართ მეფის რუსეთის პროტექციონისტული პოლიტიკის გამო მარცვლეული კულტურებისგან სპირტის მსხვილი, მანქანური წარმოება საქართველოში ფეხს ვერ იკიდებს, მათ წარმოებას კონკურენციას უწევს რუსეთის იმპერიიდან დიდი რაოდენობით შემოსული იაფი პურის სპირტი. ამის გამო საქართველოში არსებული პურის სპირტის ქარხნები, მათი დიდი ცდის მიუხედავად, ზრდა-განვითარებას ვერ ახერხებენ. მათი დროებითი წარმატებები საქართველოში ყურძნის და რუსეთში ხორბლის მოუსავლიანობის დროს შეიმჩნევა. ბუნებრივია, ამიტომ ისინი გავლენას ვერ ახდენენ მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობის ზრდაზე საქართველოში.

თბილისელმა მრეწველებმა იაფი ნედლეულის ბაზებში მანქანურ წარმოებაზე დამყარებული მსხვილი კაპიტალისტური ქარხნები შექმნეს. ისინი მათ მნიშვნელოვანი რაოდენობით რექტიფიცირებული სპირტით ამარაგებდნენ და წარმოებას მყარ ნიადაგზე აყენებდნენ. ამ ქარხნებს შორის ყველაზე მეტად დ. სარაჯიშვილის ქარხნები გამოირჩევა. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს მისი ვლადიკავკაზთან მდებარე არყის სახდელი ქარხანა, რომლის პროდუქციის ოდენობა ნედლეულის ბაზებში შექმნილ ყველა ქარხნის წარმოებას აჭარბებს.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ საქართველოს სარექტიფიკაციო და იაფი ნედლეულის ბაზებში გახსნილი ქარხნების მუშაობა და მათი ხასიათი, ახლა შევეხებით რექტიფიცირებული სპირტით ვაჭრობას.

<sup>88</sup> სცსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 15. სცსა, ფ. 370, ს. 947, ფურც. 20. სცსა, 370, ს. 930, ფურც. 15, ს. 947, ფურც. 20, ს. 989, ფურც. 28—29. ი ქ ვ ე, ფ. 371, ს. 261, ფურც. 71, 77, ს. 403, ფურც. 108—109 ს. 635. ფურც. 19—20 ს. 483, ფურც. 125—137, ს. 980, ფურც. 50—51, ფ. 275, ს. 312 ფურც. 6, ЦГИА СССР, ფ. 575 ანაწ. 6, ს. 175 ფურც. 13.

რექტიფიცირებული სპირტის გასაღების ოპერაციები და სარექტიფიკაციო ქარხნებთან დაარსებული სპირტის საბითუმო საწყობებიდან წარმოებდა. 1906 წ. თბილისის გუბერნიის 18 საწყობში 21 358 140 გრ. სპირტი შემოვიდა. აქედან თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნებთან არსებულმა სპირტის საბითუმო საწყობებმა 15 759 005 გრ. სპირტი მიიღეს.

1908 წ. თბილისის გუბერნიის სპირტის საწყობებში 16 906 636 გრ. სპირტი შემოვიდა, ქ. თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნების საბითუმო საწყობებში კი 10 529 669 გრ.

1906 წ. თბილისის გუბერნიის 18 საწყობიდან 20 961 336 გრ სპირტი გავიდა, თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნების 3 საბითუმო საწყობიდან — 15 504 676 გრ<sup>89</sup>.

1908 წ. თბილისის გუბერნიის საწყობებიდან გავიდა 15 224 233 გრ სპირტი, აქედან თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნებიდან — 094 546 გრ.

სპირტის გასაღების ოპერაციებში მონოპოლური მდგომარეობა დ. სარაჯიშვილის ფირმას ეკავა. მაგალითად, 1904 წ. თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნების საბითუმო საწყობებიდან გატანილ იქნა 16 500 307 გრ. სპირტი<sup>90</sup>, აქედან მარტო დ. სარაჯიშვილის საწყობზე 95% მოდის<sup>91</sup>. 1905 წ. თბილისის სარექტიფიკაციო საწყობებიდან გაიტანეს 14 703 558 გრ. სპირტი, აქედან დ. სარაჯიშვილის №2 და №3 ქარხნის საწყობმა გაიტანა 93,3%<sup>92</sup>. 1906 წ. სარექტიფიკაციო ქარხნების საწყობებიდან 15 504 676 გრ. სპირტი გავიდა, აქედან დ. სარაჯიშვილის საწყობებიდან გატანილ იქნა 98%<sup>93</sup>.

1907 წ. თბილისის გუბერნიის სპირტის 22 საწყობიდან (განვადებული აქციზით) 20 055 169 გრ. სპირტი გაიტანეს, აქედან დ. სარაჯიშვილის №2 და №3 ქარხნებმა 68%, ამხანაგობა „არგომ“ — 0,4%, სესიევეების საწყობმა — 12%, ტერენტიევის საწყობმა — 4,9%<sup>94</sup>.

1909 წ. თბილისის გუბერნიის საწყობებიდან სპირტის გატანა 15 198 672 გრ. უდრის, აქედან დ. სარაჯიშვილის ქარხნების პრო-

<sup>89</sup> სცსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 50—51; ი ქ ვ ე, ფ. 371, ს. 403, ფურც. 142 — 143.

<sup>90</sup> სცსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 48.

<sup>91</sup> სცსა, ფ. 370, ს. 275, ფურც. 67.

<sup>92</sup> სცსა, ფ. 371, ს. 327, ფურც. 96.

<sup>93</sup> სცსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 50—51.

<sup>94</sup> სცსა, ფ. 370, ს. 934, ფურც. 121—113.

ლექციის გატანა 50%, ტერენტიევისა — 12%, ამხანაგობა „არგოსი“ — 11%, სესიევებისა — 9%<sup>95</sup>.



1913 წ. თბილისის გუბერნიის 9 საწყობიდან 20 537 607 გრ. სპირტი გაიტანეს, აქდან დ. სარაჯიშვილის ქარხნებიდან გავიდა 43%, „არგოდან“ — 14%, სესიევების — 19%, „ორიოლის“ — 0,03%, ამხანაგობა „ვერას“ საწყობებიდან — 9%.

სპირტით ვაჭრობის ოპერაციაში 1900-იანი წლების ბოლოს და 1910-იანი წლების დასაწყისში ახალი ფირმები ებმებოდა: „ორიოლი“, სეილანოვების ფირმა, ამხანაგობა „ვერა“, „კავკასიის ამხანაგობა“ და სხვა<sup>96</sup>.

ქუთაისის გუბერნიაში მოქმედი პროტცერის სარექტიფიკაციო ქარხანაც აღიღებს სპირტის გატანას. მას სპირტი გააქვს თბილისის გუბერნიაში, ყარსში, ელიზავეტოპოლში და სხვ. 1909 წ. პროტცერის ქარხანამ გასაყიდად 231 831 გრ. სპირტი გაიტანა<sup>97</sup>, 1910 წ. — 940 372 გრ.<sup>98</sup>, 1912 წ. 1 423 153 გრ.<sup>99</sup>, 1913 წ. — 2 594 091 გრ.<sup>100</sup>

ამრიგად, მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ სპირტით ვაჭრობა საქართველოში ძირითადად თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნების ხელშია, ისინი აკმაყოფილებენ როგორც ადგილობრივი ბაზრის გაზრდილ მოთხოვნილებებს, ისე რუსეთის იმპერიას. თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნებს შორის რექტიფიცირებული სპირტით ვაჭრობით დ. სარაჯიშვილის ქარხნების საქმიანობა გამოირჩევა. მისი ქარხნები სპირტის წარმოება-გასაღებაში დანარჩენ ქარხნებს მნიშვნელოვნად აჭარბებდნენ. 1900-იანი წლების ბოლოს და 10-იანი წლების დასაწყისში ფართოვდება აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობების საქმიანობა, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ სპირტის წარმოება ძლიერ შეაფერხა.

ახლა შევეცადოთ განვსაზღვროთ საქართველოს სარექტიფიკაციო ქარხნების ადგილი ამიერკავკასიის სპირტის წარმოებაში.

პირველი სარექტიფიკაციო ქარხანა ამიერკავკასიაში 1886 წ. გაიხსნა. 1892 წ. მათი რიცხვი 7-მდე გაიზარდა; 1895—1906 წწ. ამიერკავკასიაში პერიოდულად 8-დან 10-მდე ქარხანა მოქმედებდა, 1908 წ. — 11, 1910 წ. — 13, 1914 წ. — 15, 1892 წ. სარექტიფიკა-

<sup>95</sup> ი ქ ვ ე.

<sup>96</sup> სცსა, ფ. 371, ს. 671, ფურც. 62—63.

<sup>97</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1502, ფურც. 51.

<sup>98</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1001, ფურც. 149—150.

<sup>99</sup> ი ქ ვ ე, ს. 1569, ფურც. 163—164.

<sup>100</sup> ი ქ ვ ე, 1068, ფურც. 230—231.



ციო ქარხნებმა გადაამუშავეს 9 081 063 გრ. სპირტის ნედლეული: 1894 წ. — 20 962 249 გრ., 1900 წ. — 26 064 665 გრ. 1886 წ. სარექტიფიკაციო ქარხნებმა 2 500 000 გრ. რექტიფიცირებული სპირტი გამოუშვეს, 1889 წ. — 12 822 000 გრ., 1908 წ. — 21 837 000 გრ., 1911 წ. — 24 946 000 გრ., 1913 წ. — 25 697 000 გრ.<sup>101</sup> სარექტიფიკაციო ქარხნებში დასაქმებული მუშათა რაოდენობა 1886 წ. ულრის 6 კაცს,<sup>102</sup> 1892—93 წწ. — 89<sup>103</sup> 1905 წ. — 220<sup>104</sup>, 1906 წ. — 218<sup>105</sup> 1912 წ. — საწარმოო პროცესების მექანიზაციის გაფართოების გამო მუშათა რაოდენობა 159 კაცამდე შემცირდა<sup>106</sup>.

XIX ს. 90-იანი წლების დასაწყისიდან წარმოების ოდენობის მხრივ ამიერკავკასიის გუბერნიებს შორის ელიზავეტოპოლის გუბერნია გამოირჩევა. 90-იანი წლების შუა ხანებიდან სხვა გუბერნიები წინაურდებიან, კერძოდ, 1898 წ-დან ბაქოს გუბერნიაში რექტიფიცირებული სპირტის წარება საგრძნობლად აჭარბებს ელიზავეტოპოლის გუბერნიისას. 1895, 1896, 1897, 1900, 1902, 1905, 1909 წლებში კი თბილისის გუბერნიის სარექტიფიკაციო ქარხნები პროდუქციის ოდენობით ამიერკავკასიაში პირველ ადგილზე გამოდიან. 1908 წლიდან წარმოების ზრდა ერევნისა და ქუთაისის გუბერნიებშიც შეიმჩნევა.

ტექნიკური ღონითა და წარმადობით ბაქოს გუბერნიაში ნ. ტერენტიევის ქარხანა გამოირჩევა (გაიხსნა 1887 წ.). აქვე, ს. უჯარაში წარმატებით მოქმედებს ძმები სესიევიძის ქარხანა. 1904 წ. ბაქოს გუბერნიაში სპირტის რექტიფიკაციის იწყებენ ძმები აგრიევი. ისინი ს. კიურდამირში მძლავრ წარმოებას ქმნიან. გადაზიდვის ხარჯების თავიდან აცილების მიზნით მათ რკინიგზის ხაზი უშუალოდ ქარხანამდე გაჰყავდათ. ნ. ტერენტიევის სიკვდილის შემდეგ, მისი ქარხნის პროდუქციის ოდენობა იკვეცება (1909 წ.). მსოფლიო ომის წინ აქ 3 ფირმა მოქმედებს. 1913 წ. ამ ფირმების წარმოების ოდენობა 8 000 000 გრ. სპირტს ულრის<sup>107</sup>.

<sup>101</sup> Обзор... за 1895, СПб., 1896 с. 78. Обзор.. за 1898, СПб. 1899, с. 104. Обзор... за 1903, 171; Обзор... за 1909 Тифл. аб., 1910, с. 200. Обзор... за 1914, Тифл; 1916, 233.

<sup>102</sup> სცსა, ფ. 204, ს. 654, ფურც. 89.

<sup>103</sup> სცსა, ფ. 370, ს. 566, ფურც. 25—34; ს. 670. ფურც. 148.

<sup>104</sup> სცსა, ფ. 370, ვ. 1502 ფურც. 71.

<sup>105</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1518, ფურც. 69.

<sup>106</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1569 ფურც. 11—12.

<sup>107</sup> სცსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 144; ს. 940, ფურც. 171, ს. 493, ფურც. 146, ს. 989, ფურც. 166—168, 206. Обзор о ходе за 1888, 1900, 1904, 1908, 1912, 1914.





XIX ს. 80-იანი წლებიდან სარექტიფიკაციო ქარხნები ელექტროპოლის გუბერნიაში ძმებს — ხუბლაროვებსა და სოგომონტოვებს აქვთ. ამ პერიოდში მათი წარმოება საუცხოოდაა გამართული. 1898 წ. ისინი 5 621 000 გრ. სპირტს უშვებენ, 1899 წ. — 4 453 000 გრ.<sup>108</sup> 1900-იანი წლების დასაწყისში სარექტიფიკაციო წარმოებაში არუნიანცი და ბაღდასაროვი ებმებიან,<sup>109</sup> მაგრამ 1905—1906 წწ. რევოლუციის დროს ყველა ეს ქარხანა ნადგურდება. მწარმოებლები ვერ ახერხებენ მათ აღდგენას. ხსენებულ საწარმოთა ადგილს 1905 წლიდან ელიზავეტოპოლის გუბერნიაში ძმ. ფორერების მიერ შექმნილი ქარხანა იკავებს. 1906 წ. ძმებმა ფორერებმა 1 000 000 გრ. სპირტი გამოუშვეს, 1907 წ. — 1 675 500 გრ. ფორერი კიდევ უფრო ზრდის პროდუქციას — 1913 წ. 3 464 000 გრ. სპირტს უშვებს<sup>110</sup>. მსოფლიო ომის წინ აქ 1 ფირმა მოქმედებს.

ერევნის გუბერნიაში 1887—1907 წწ. სარექტიფიკაციო წარმოება მთლიანად დ. სარაჯიშვილის ხელშია (1888 წ. ერევნის გუბერნიაში სპირტის რექტიფიკაციას ნ. სიტოვი და ბაღდასაროვი იწყებენ, 1904 წ. ბოგომოლცი, მაგრამ ვერც ერთი მათგანი წარმოებაში ფეხს ვერ იკიდებს, ვერ უძლებს სარაჯიშვილის მზარდი სამრეწველო წარმოების კონკურენციას და 1 წლის არსებობის შემდეგ ეს ქარხნები იხურება). 1907 წ. სარექტიფიკაციო ქარხანას ხსნის შუსტოვი, 1908 წ. — ამხანაგობა „არაქსი“. აღნიშნული ფირმები ზრდიან რექტიფიცირებული სპირტის ოდენობას. 1908 წ. ერევნის გუბერნიაში სარექტიფიკაციო ქარხნებმა 5 517 000 გრ. სპირტი გამოუშვეს, 1911 წ. 6 მილ. გრ-ზე მეტი, 1914 წ. 6 783 700 გრ. მსოფლიო ომის წინ აქ დ. სარაჯიშვილის, შუსტოვისა და ამხანაგობა „არაქსის“ სარექტიფიკაციო ქარხნები მოქმედებს<sup>111</sup>. (ცხრ. 4). როგორც ვხედავთ ამიერკავკასიაში სპირტის წარმოებაში სხვადასხვა გუბერნიისა და სხვადასხვა ფირმის ხვედრითი წილი დროის მსვლელობაში იცვლებოდა.

რექტიფიცირებული სპირტი დანიშნულების მიხედვით წარმოების სხვადასხვა სფეროში გამოიყენებოდა. მისი დიდი ნაწილი მე-

<sup>108</sup> Обзор ... за 899 СПб., 1900, с. 129.  
<sup>109</sup> სცსა, ფ. 370, ს. 904 ფურც. 218-219 ს. 930, ფურც. 220, 225. 226.  
<sup>110</sup> სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 223. М. И. С в е ш н и к о в, Виноделческое хозяйство братьев Форрер, Тифл., 1911, 16.  
<sup>111</sup> სცსა, ფ. 370, ს. 653, ფურც. 13; ს. 940. ფურც. 191, 217, ს. 930, ფურც. 204, ს. 989, ფურც. 197. Обзор... за 1909, Тифл., 1910 с. 200. Обзор за 1914 Тифл., 1916, с. 206.

ამიერკავკასიის სარექტიფიკაციო ქარხნების წარმადობა (გრადუსებში)

წლები	გ უ ბ ე რ ნ ი ე ბ ი					
	თბილისის	ქუთაისის	ბაქოს	ელისავე-ტაპოლის	ერევნის	ს უ ლ
1892	2559094	—	283000	3490547	—	9081063
1893	3266182	—	4230000	6547628	—	14088837
1894	6517522	—	3440000	8116621	2245527	20962249
1895	8796271	—	4020000	5112442	1528379	18944719
1896	6700000	—	3440000	3458983	916675	15845658
1897	640000	—	4770000	6030595	695590	19206185
1898	525000	—	6670000	5620544	853473	18394017
1899	4081000	—	6504000	4453000	1402000	16440000
1900	5397000	—	4859000	3762000	2749000	16774000
1901	4960000	—	7167000	1983000	19577000	16108000
1902	4690000	—	3074000	2640000	—	10404000
1903	4520000	—	5696000	2621000	1000000	13837000
1905	4294000	—	4286000	489000	1397000	10466000
1906	1759000	—	6399000	1000000	1152000	10310000
1907	3485000	—	6160000	1527000	2537000	13857000
1908	7260000	1069000	6464000	1527000	5517000	21837000
1909	6574000	680000	6183000	3103000	5096000	21636000
1910	3728000	1148000	4418000	4728000	4843000	18865000
1911	4550000	1475000	7444000	5331000	6146000	24946000
1912	3834000	1276000	4885000	5251000	4511000	19757000
1913	3697000	2586000	8005000	5464000	5945000	25697000
1914	4585700	1918300	6535500	3215600	6783000	23039800

ღვინოების საჭიროებას ხმარდებოდა. ყურძნის ღვინის წარმოების განვითარებას მეფის მთავრობა ხელს უწყობდა და არავითარი გადასახდით არ ბეგრავდა. XIX ს. I ნახევარში იმპერიის შიდა გუბერნიებში ღვინის გატანა უხეირო გზებისა და ტრანსპორტის მოუწყობლობის გამო, ძნელი იყო. ღვინო გზაში გადაზიდვას ვერ უძლებდა და ძმარდებოდა. რკინიგზების მშენებლობამ და ტვირთის გადაზიდვის საშუალებათა გაუმჯობესებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ღვინის გატანას შიდა რუსეთში, ღვინის დაძმარების თავიდან აცილების მიზნით დადგინდა, მოეხდინათ მისი დასპირტვა და 12 გრა-

\* ცხრილი შედგენილია ამიერკავკასიის სააქციო უწყების შესაბამისი წლების ანგარიშების საფუძველზე. 1900-იან წლებამდე მოტანილი ცნობები სარექტიფიკაციო ქარხნებში გასაწმენდად მიღებულ სპირტის ნედლეულის ოდენობას ასახავს, 1900-იანი წლებიდან ამ ქარხნების მიერ გასუფთავებულ რექტიფიცირებულ სპირტს.



დღესამდე შემავრება<sup>112</sup>. დასპიტრული ღვინის გადაზიდვა შედარებით ადვილი იყო, რადგან ნაკლებად ძმარდებოდა. ღვინის წარმოების ვაჭრობის განვითარების მიზნით, მთავრობის დადგენილებით 1900-იანი წლების დასაწყისში ღვინის გამავრებისათვის საჭირო სპირტის ნაწილი სააქციზო გადასახადისგან გათავისუფლდა. აღნიშნულმა დადგენილებამ ხელი შეუწყო ღვინის გატანის ზრდას, მაგრამ უარყოფითად იმოქმედა ღვინის წარმოებაზე. ამ წესით უფრო მეტად მსხვილმა ვაჭრებმა და რეკტიფიცირებული სპირტის მწარმოებლებმა ისარგებლეს და არა ღვინის მწარმოებლებმა. ვაჭრები ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაზე არ ზრუნავდნენ, ამიტომ წყლისა და სპირტის შერევით ისინი დიდი რაოდენობით უხარისხო და დაბალი ხარისხის ღვინოების ფაბრიკაციას აწარმოებდნენ და მათ საუკეთესო (კახური და სხვ.) ღვინოების სახელით ნათლავდნენ<sup>113</sup>.

ამიერკავკასიიდან ყურძნის ღვინის გამავრებისათვის რეკტიფიცირებული სპირტის მოხმარებამ XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ფართო ხასიათი მიიღო. ამ მიზნით 1900 წ. ამიერკავკასიის ქარხნებიდან გავიდა 3 200 100 გრ. სპირტი 1906 წ. — 5 193 359 გრ., 1908 წ. — 10 709 445 გრ., 1909 წ. — 14 686 254 გრ., 1911 წ. — 15 038 918 გრ., 1913 წ. — 16 899 285 გრ. სპირტი<sup>114</sup>.

ღვინის გამავრებისათვის გამოყენებულ რეკტიფიცირებულ სპირტს ამიერკავკასიაში ყველაზე მეტი რაოდენობით ელიზავეტოპოლის გუბერნია შთანთქავდა, დანარჩენი სამხრეთ რუსეთის მეღვინეობის რაიონებსა და იმპერიის სავაჭრო ცენტრებს ეგზავნებოდა.

1909 წ. ამიერკავკასიის სარეკტიფიკაციო ქარხნებიდან 14 686 254 გრ. სპირტი გაიტანეს. აქედან მთელი სპირტის 63% ამიერკავკასიაში მოიხმარეს, რუსეთის იმპერიის სავაჭრო ცენტრებში — 15%, სამხრეთ რუსეთის მეღვინეობის რაიონებში — 22%<sup>115</sup>.

1912 წ. ამავე მიზნით ამიერკავკასიის სარეკტიფიკაციო ქარხნებიდან 15 644 436 გრ. სპირტი გავიდა, აქედან 68% ამიერკავკასიაში

<sup>112</sup> სცსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 12; ფ. 371, ს. 327, ფურც. 142—143.

<sup>113</sup> იქვე, ს. 403, ფურც. 111—115. ს. 483, ფურც. 135, ფ. 370, ს. 989, ფურც. 32.

<sup>114</sup> Обзор... за 1900, СПб., 1902, с. 135, Обзор... за 1909, Тифл., 1910, с. 202-203. Обзор... за 1912 Тифл., 1913, с. 204—205. Обзор... за 1914 Тифл., 1914, с. 234—235.

<sup>115</sup> Обзор... за 1909 Тифл., 1910, с. 202—203.



მოხმარეს, 11% რუსეთის სავაჭრო ცენტრებში, 21% სამხრეთ-რუსეთის მეღვინეობის რაიონებში<sup>116</sup>.

1914 წ. ამიერკავკასიის სარეჟტიფიკაციო ქარხნიდან ღვინის გამაგრებისათვის 15 594 138 გრ. სპირტი გავიდა, აქედან ამიერკავკასიაში 81% მოხმარეს, რუსეთის იმპერიის სავაჭრო ცენტრებში 10%, სამხრეთ რუსეთის მეღვინეობის რაიონებში — 9,1%<sup>117</sup>. შიდა რუსეთის გუბერნიებში სპირტის გატანის შემცირება ნაწილობრივ 1914 წ. ომმა გამოიწვია.

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ამიერკავკასიის სარეჟტიფიკაციო ქარხნიდან ღვინის გამაგრებისათვის გასული სპირტის უდიდესი ნაწილი ამიერკავკასიაში მოხმარებოდა. ამ მხრივ, როგორც ითქვა, განსაკუთრებით ელიზავეტოპოლის გუბერნია გამოირჩეოდა. ამიერკავკასიაში დამზადებული სპირტის 66—71% ღვინის გამაგრებისათვის გამოიყენებოდა. მეტად უმნიშვნელო იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მიერ სპირტის მოხმარება ღვინის გასამაგრებლად. ამ მიზნით ამიერკავკასიაში მოხმარებული სპირტის მხოლოდ 3—9% მოდიოდა საქართველოს წილად.

რუსეთის იმპერიის სავაჭრო ცენტრებში მეღვინეობის საჭიროებისათვის სპირტის გატანას რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში სპირტის გატანა ჰარბობდა.

თბილისის სარეჟტიფიკაციო ქარხნიდან ღვინის გამაგრებისათვის სპირტის გატანა 1904 წ. 4 214 220 გრ. შეადგენს, 1907 წ. — 3 641 773 გრ., 1909 წ. — 3 689 018 გრ., 1912 წ. — 4 217 611 გრ., 1914 წ. — 3 822 947 გრ.<sup>118</sup>.

1903 წ. თბილისის გუბერნიიდან ღვინის გამაგრებისათვის 4 510 444 გრ. სპირტი გავიდა, აქედან იმპერიის შიდა გუბერნიებში 72%, ამიერკავკასიის სხვადასხვა გუბერნიებში — 25%, თბილისის გუბერნიაში — 4%<sup>119</sup>.

1904 წ. თბილისის სარეჟტიფიკაციო ქარხნიდან ამ მიზნით 4 214 220 გრ. სპირტი გაიტანეს, აქედან რუსეთში მოხმარეს 70%, ამიერკავკასიაში — 23%, თბილისის გუბერნიაში — 7,1%<sup>120</sup>.

1905 წ. თბილისის გუბერნიიდან ღვინის გამაგრებისათვის 3 312 534 გრ. სპირტი გავიდა, აქედან რუსეთში გაიგზავნა 70%.

<sup>116</sup> Обзор... за 1912 Тифл., 1913, с. 204—205.

<sup>117</sup> Обзор... за 1914 Тифл., 1916 с. 234—235.

<sup>118</sup> სცსაფ. 370, ს. 989, ფურც. 32, ფ. 371, ს. 70, ფურც. 28. ს. 833, ფურც. 112, ს. 674 ფურც. 62 ს. 483. ფურც. 135.

<sup>119</sup> იქვე, ფ. 371, ს. 901, ფურც. 34—37.

<sup>120</sup> იქვე, ს. 298, ფურც. 18.

ამიერკავკასიაში მოხმარეს — 21%, თბილისის გუბერნიაში — 6%<sup>121</sup>.



1909 წ. თბილისის ქარხნებიდან ღვინის გამაგრებისათვის სპირტის გატანა 3 689 018 გრ. უდრიდა, აქედან რუსეთში გაიგზავნა — 54%, ამიერკავკასიაში მოხმარებულ იქნა 38%, თბილისის გუბერნიაში — 8%<sup>122</sup>.

ღვინის გამაგრებისათვის თბილისის გუბერნიიდან სპირტის გატანა ძირითადად დ. სარაჯიშვილისა და ა. სოგომონოვის სარექტიფიკაციო ქარხნებიდან ზდებოდა. 1904 წ. თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნებიდან გატანილი 4 214 200 გრ. სპირტიდან დ. სარაჯიშვილის ქარხანაზე 79% მოდიოდა, სოგომონოვის ქარხანაზე — 10%, სხვა საბითუმო საწყობებზე — 5%<sup>123</sup>. 1909 წ. ღვინის გამაგრებისათვის გატანილი 3 689 018 გრ. სპირტიდან დ. სარაჯიშვილის ფირმაზე 62% მოდიოდა<sup>124</sup>, ხოლო 1913 4. 56,3%<sup>125</sup>.

რექტიფიცირებული ყურძნის სპირტი ეგზავნებოდა მეღვინეობის რაიონებს, თერგის ოლქში, დაღესტანში, თურქესტანის მხარეში, ყუბანში და სხვა მხარეში — კაზაროვს, სემიონოვს, პრეობრაჟენსკის, აფანასიევს, მამულებს — „სვეტლანას“, „მასანდრას“, „ნოვი სვეტს“, „აბრაჟ დიურსოს“ და სხვ. ქართველ მეღვინეებს — ჯორჯაძეს, მუხრან ბატონს, ბერელაშვილს, შიდა რუსეთში — სმირნოვს, ვოლბრუკს, არაბაქს და სხვ.<sup>126</sup>

ამრავად, მეღვინეობის საჭიროებისათვის ყურძნის რექტიფიცირებული სპირტის მოხმარება თანდათან გაიზარდა და ფართო მასშტაბები მიიღო. საქართველო ღვინის გამაგრებისათვის ყოველწლიურად საშუალოდ 3—4 მილ. გრ. ყურძნის რექტიფიცირებულ სპირტს უშვებდა. სპირტის ამ მიზნით ადგილზე (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) და ამიერკავკასიაში მოხმარება მეტად უმნიშვნელო იყო. ამიერკავკასიის გუბერნიებში ღვინის გამაგრებისათვის სპირტის შიდა რუსეთში გატანა თანდათან გაიზარდა. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნებიდან მეღვინეობის საჭიროებისათვის დამზადებული სპი-

<sup>121</sup> იქვე, ს. 947 ფურც. 22, ს. 327, ფურც. 95.

<sup>122</sup> იქვე, ფ. 370, ს. 989, ფურც. 32.

<sup>123</sup> სცხა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 17, 43.

<sup>124</sup> სცხა, ფ. 371, ს. 408, ფურც. 1—49.

<sup>125</sup> სცხა, ფ. 371, ს. 663, ფურც. 1—42.

<sup>126</sup> სცხა, ფ. 371, ს. 291 ფურც. 1—4, 11—16, 26—30, 37, 45, 54, 66, 72; ს. 175, ფურც. 80, 105, 125, 146, ს. 580, ფურც. 17, 30, 54.





რტის უდიდესი ნაწილი შიდა რუსეთში მოიხმარებოდა. დაშლადებული სპირტის დიდი ნაწილი სარაჯიშვილის ფაბრიკაში წილად მოდიოდა.

რექტიფიცირებული სპირტი გამოიყენებოდა აგრეთვე დენატურატის წარმოებაში. დენატურატის წარმოება ამიერკავკასიაში 1904 წ. დაიწყო. მისი პირველი მწარმოებელი დ. სარაჯიშვილი იყო. დენატურატს იგი №2 და №3 სარექტიფიკაციო ქარხნებში ამზადებდა. წარმოებაში ძირითადად რექტიფიცირებული პურის (II და III ხარისხის) სპირტს გამოიყენებდნენ. დენატურატით ვაჭრობას პირველ ხანებში დ. სარაჯიშვილის სარექტიფიკაციო ქარხნები ეწეოდნენ, შემდეგ კი სპეციალური სავაჭროები შეიქმნა. 1907 წ. თბილისში დენატურატით მოვაჭრე 18 სარდაფი იყო. 1908 წ. მათი რიცხვი 28-მდე გაიზარდა. დენატურატის სავაჭროები ახალციხესა და გორშიც გაიხსნა. საწყობებიდან დენატურატი იყიდებოდა როგორც ბითუმად, ისე ჩამოსხმული<sup>127</sup>.

დენატურატზე მოთხოვნილება სწრაფად გაიზარდა. 1904 წ. თბილისში დ. სარაჯიშვილმა დენატურატის წარმოებისათვის 51 341 გრ. სპირტი გამოიყენა. 1908 წლისათვის ამ მიზნით სპირტის მიწოდება (6-ჯერ) 312 000 გრ-მდე გაიზარდა<sup>128</sup>. 1910 წ. დენატურატის წარმოებაში 609 711 გრ. სპირტი გამოიყენეს<sup>129</sup>, 1911 წ. — 698 868 გრ., 1913 წ. — 1 033 088 გრ., 1914 წ. — 1 125 070 გრ., 1904 წ. დენატურატის წარმოებაზე 1540 მანეთის სპირტი დაიხარჯა, 1909 წლისათვის 12 773 მან., 1912 წ. — 24 269 მან., 1913 წ. — 31 022 მან. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მოთხოვნილება დენატურატზე იმდენად გაიზარდა, რომ 1914 წ. დენატურატის წარმოებისათვის სპირტის მოხმარებამ 337 521 მან. შეადგინა.

დენატურატის სამრეწველო წარმოების და მოხმარების არე თანდათან გაფართოვდა. გაიზარდა დამკვეთი ორგანიზაციების რიცხვი. განსაკუთრებით გაფართოვდა მისი სამედიცინო მოხმარებისათვის მიწოდება. თბილისიდან დენატურატს დიდი რაოდენობით აგზავნიდნენ ერევნის, ბაქოს, ელიზავეტოპოლის, ქუთაისის გუბერნიებში, ყარსის, ბათუმის ოლქებში, იმიერკასპიის მხარეში. ადგილობრივ დენატურატს დიდი რაოდენობით მოიხმარდნენ აფთიაქები,

<sup>127</sup> სცსა, ფ. 371 ს. 246, ფურც. 101, ს. 327, ფურც. 151, ს. 327, ფურც. 157, 158, სცსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 18—19, ს. 940, ფურც. 40, ს. 947, ფურც. 32.

<sup>128</sup> სცსა, ფ. 371, ს. 403, ფურც. 121—122.

<sup>129</sup> სცსა, ფ. 371, ს. 833, ფურც. 128, ს. 671, ფურც. 67.

საავადმყოფოები, სამხედრო ჰოსპიტლები, ინსტიტუტები, მუზეუმები და სხვ.<sup>130</sup>



მოთხოვნალების ზრდასთან ერთად იმატა დენატურატის მწარმოებელი ქარხნებისა და საწყობების რიცხვმა. 1908 წ. დენატურატის წარმოებას თბილისში იწყებს ამხანაგობა „არგო“, 1910—13 წწ. — ძმები სესიევები და „ორიოლის“ საბითუმო საწყობები, 1914 წ. თბილისში მათი რიცხვი მატულობს.

ქუთაისის გუბერნიაში დენატურატს უმნიშვნელო რაოდენობით აწარმოებს პროტცერის ქარხანა. ამ მიზნით ქარხანამ 1909 წ. 24 440 გრ. სპირტი გაუშვა<sup>131</sup>, შემდეგ წლებში უმნიშვნელო მასშტაბის გამო მონაცემები დენატურატის წარმოების შესახებ არ გვხვდება<sup>132</sup>.

დ. სარაჯიშვილი დენატურატის წარმოებას 1905 წ. ბაქოს საბითუმო საწყობშიც იწყებს. მართალია, აქ მრავლად მოიპოვება ისეთი სახის საწვავი, როგორიც ნავთია, მაგრამ დენატურატის წარმოება-გასაღებამ საკმაოდ დიდ მასშტაბებს მიაღწია. 1909 წ. ბაქოში დენატურატის წარმოებას იწყებს ხუბლაროვი. ერევნის გუბერნიას დენატურატით დ. სარაჯიშვილი ამარაგებს. 1910-იან წლებში დენატურატის წარმოება იწყება ერევნის, ელიზავეტოპოლის გუბერნიებში და ყარსში, მაგრამ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ოდენობა საგრძნობლად ჩამორჩება თბილისისა და ბაქოს გუბერნიებს<sup>133</sup>.

დენატურატის წარმოება ამიერკავკასიაში თანდათან გაიზარდა (ცხრ. 5). ამიერკავკასიაში წამყვანი ადგილი თბილისს უჭირავს. 1905 წ. ამიერკავკასიაში დენატურატის წარმოებისათვის 155 744 გრ. სპირტი გამოიყენეს, აქედან თბილისის გუბერნიის ქარხნებმა 130 621 გრ. სპირტი მოიხმარეს. 1909 წ. ამ მიზნით ამიერკავკასიაში 743 284 გრ. სპირტი მოიხმარეს, თბილისის გუბერნიაში კი 340 356 გრ.<sup>134</sup> 1912 წ. ამიერკავკასიაში დენატურატის წარმოებისათვის 1 193 623 გრ. სპირტი დაიხარჯა, თბილისის ქარხნებში — 1 033 063 გრ. სპირტი. 1914 წ. ამიერკავკასიაში დენატურატის წარმოებისათ-

<sup>130</sup> სცსა, ფ. 371, ს. 669, ფურც. 117; ს. 839, ფურც. 1—2, ს. 596, ფურც. 3, 7 სცსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 55.

<sup>131</sup> სცსა, ფ. 370, ს. 989 ფურც. 113. Обзор... за 1909 Тифл., 1910 с. 210.

<sup>132</sup> Обзор... за 1914 Тифл. 1918, с. 241.

<sup>133</sup> სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 199, Обзор... за 1909 Тифл., 1910, с. 210; Обзор... за 1912, Тифл., 1919 с. 208, Обзор... за 1914 Тифл; 1918 с. 240.

<sup>134</sup> Обзор... за 1909 тифл. 1910 с. 210.

დენიტრატის წარმოება ამიერკავკასიაში\*  
(ტრადუსებში)

	1905	1906	1907	1908	1909	1910	1911	1912	1913	1914
თბილისის გუბერნია	130621	185038	259455	312266	425794	609711	698009	808967	1033088	1125070
ქუთაისის გუბერნია	—	—	—	—	44949	—	—	—	—	—
ბაქოს გუბერნია	25123	40530	99923	160498	248101	224709	136686	242457	381055	409684
ელზავეტოპოლის გუბერნია	—	—	14987	38356	24440	37368	26640	67199	74211	109649
ყარსი	—	—	—	—	—	—	45000	75000	1000000	80634
<b>ს უ ლ</b>	<b>155744</b>	<b>225568</b>	<b>374365</b>	<b>511120</b>	<b>743284</b>	<b>875011</b>	<b>907245</b>	<b>1193623</b>	<b>1588354</b>	<b>1725037</b>

\* ცხელი შედგენილია საქციხო უწყების (შესაბამის წლებს) ანგარიშების საფუძველზე

თვის 1 725 037 გრ. სპირტი მოიხმარეს, თბილისში — 1 125 070 გრ.<sup>135</sup>

ამრიგად, დენატურატის წარმოებამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. ამიერკავკასიაში დენატურატის წარმოების დაფუძნებაში პრიორიტეტი თბილისს უბყრია.

რექტიფიცირებული სპირტი გამოიყენებოდა აგრეთვე ლაქის, პოლიტურის, სუნამოს, სხვადასხვა სახის არყის — ლიქიორის, ნაყენების წარმოებაში. სარექტიფიკაციო ქარხნები მოთხოვნის შესაბამისად არყის ქარხნებს საჭირო რაოდენობის სპირტს აწვდიდნენ. რექტიფიცირებულ სპირტს მოიხმარდნენ აგრეთვე სასმელად. იგი სხვადასხვა სახელწოდებით იყიდებოდა<sup>136</sup>.

რექტიფიცირებული სპირტი გადიოდა საზღვარგარეთ. თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნებს საზღვარგარეთ გაჰქონდათ პურის და ყურძნის რექტიფიცირებული სპირტი, ე.წ. პურის ღვინო (არაყი), რახის ზეთიანი სპირტი და სხვ. ამ მხრივ ყველაზე მეტად აღსანიშნავია დ. სარაჯიშვილის №2 და №3 სარექტიფიკაციო ქარხნების საქმიანობა<sup>137</sup>. საზღვარგარეთ რექტიფიცირებული სპირტის გატანას ნაწილობრივ ამხანაგობა „არგოც“ აწარმოებდა. 1910-იან წლებში თბილისიდან დიდი პარტიებით სპირტის საზღვარგარეთ გატანა იწყო სმირნოვის სავაჭრო სახლის საწყობმა და ამხანაგობა „ორიოლმა“<sup>138</sup>.

სპირტის მსხვილი მწარმოებლების მიერ ამიერკავკასიის გავლენის სფეროებად განაწილება იწყება XIX ს. ბოლოს. აქ მრეწველთა რამდენიმე ჯგუფი ჩანს, რომელთაც ხელთ უბყრიათ ამიერკავკასიის ნედლეულის ბაზები. კახეთში, ერევნის გუბერნიაში და გეოქჩაის მაზრაში (ბაქოს გუბერნია) მონოპოლური მდგომარეობა დ. სარაჯიშვილს უკავია, ელიზავეტოპოლის გუბერნიაში ძმები ხუბლაროვები და სოგომონოვები ბატონობდნენ. ტერენტიევსა და სესი-ევებს შორის არის დანაწილებული შემახის მაზრა (ბაქოს გუბერნია). ნედლეულის ბაზების განაწილებაზე შეთანხმება მწარმო-

<sup>135</sup> Обзор... за 1914, Тифл., 1916, с. 240—241.

<sup>136</sup> დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნების პრეისკურანტი თბ., 1901; ა. სოგომონოვის ქარხნების პრეისკურანტი, თბ., 1902.

<sup>137</sup> სცსა, ფ. 371, ს. 580, 6, 8, 12, 112, 115, 116, 178, 316, 317, 328, 364, 403, ს. 715, ფურც. 24; ს. 514, ფურც. 19, 87, 90, 91; ს. 745, ფურც. 32—35. ს. 635 ფურც. 128, ს. 392, ფურც. 766, 767, სცსა ფ. 370, ს. 1049, ფურც. 351—366.

<sup>138</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1079, ფურც. 341, 346.



ებლებს შორის ყოველი საოპერაციო წლის დასაწყისში ხდება. ჩვენ ხელთ გვაქვს ცნობა, რომელიც გვაუწყებს, რომ 1898 წ. დ. სარაჯიშვილმა თავისი გავლენის სფეროს ერთ ნაწილში (გეოქჩაის მაზრა) სესიევებს ვაჭრობის უფლება მისცა. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელთ დ. სარაჯიშვილისათვის შეღავათიან ფასებში შეკვეთით უნდა მიეწოდებინათ 1 მილ. გრ. რექტიფიცირებული ან 1 100 000 გრ. სპირტის ნედლეული. ამავე დროს, სესიევები დ. სარაჯიშვილის მონობოლურ უფლებას აღიარებდნენ კახეთში და ერევნის გუბერნიაში, მას. იქ ვაჭრობაში არ შეეცილებოდნენ. სარაჯიშვილი თავის მხრივ კისრულობდა, რომ გეოქჩაის მაზრაში (სესიევების ქარხნის გარდა) წვრილი მწარმოებლებისაგან 1i კაპ-ზე ნაკლებად სპირტის ნედლეული არ შეეყიდა. ასეთავე შეთანხმება ჰქონდა დადებული დ. სარაჯიშვილს მ. ხუბლაროვსა და ა. სოგომონოვთან. მათ ყოველწლიურად გარკვეული რაოდენობის სპირტი სარაჯიშვილისათვის უნდა დაემზადებინათ<sup>137</sup>.

ამ მსხვილი მწარმოებლების კონტროლს ექვემდებარებოდა სპირტის ნედლეულისა და გასაღების ბაზრები, ამიერკავკასიის მრავალრიცხოვანი წვრილი მწარმოებელი. საქონელზე ისინი აწესებდნენ ფასს, ძარცვავდნენ და ავიწროვებდნენ წვრილ მწარმოებლებს და დიდ მოგებას იხვეჭდნენ. ნედლ მასალაზე წვრილ მწარმოებლებთან შეთანხმება წლის დასაწყისში ხდებოდა. წვრილი მწარმოებელი იძულებული იყო დამორჩილებოდა მათ მიერ შემოთავაზებულ ფასს, რადგან იცოდა, რომ ნაწარმის ბაზარზე გატანა და გაყიდვა მას უფრო ძვირი დაუჯდებოდა, უკეთეს ფასად თავის საქონელს ვერ გაასაღებდა, ამიტომ მსხვილ მწარმოებლებს შეთავაზებულ კაბალურ ფასზე უთანხმდებოდა.

ლენის გატანის ზრდასთან ერთად მრავალმა ლენით მოვაჭრე ჩარჩ-ვაჭარმა მოითხო ხელი. თბილისის გუბერნიაში ადგილზე 1908 წ. 1 ვედრო ლენო 50 კაპიკიდან 1 მან. და 20 კაპიკამდე იყიდებოდა. წყლითა და სპირტით შეზავებულ, ბოთლებში ჩამოსხმულ ლენოს თბილისში ვაჭრები ბოთლს (ვედროს  $\frac{1}{16}$  ნაწილს) 1 მან. და 92 კაპიკიდან 4 მან. და 80 კაპიკამდე ყიდდნენ. რუსეთის იმპერიაში ვედრო ლენის ფასი 6 მანეთიდან 22 მანეთამდე იყო. ასეთსავე დღეში იყო არყის წვრილი მწარმოებელი. 1908 წ. იგი 1 გრ. სპირტს თბილისში ჩატანით 9—10 კაპიკად ყიდდა, აქედან 4—5 კაპიკს სააქციზო თანხას და გზის ხარჯს იხდიდა. 1 გრ. რექტიფიცირებული სპი-

<sup>139</sup> სცსა, ფ. 370, ს. 823, ფურც. 86—89.





რტი 16 კაბ. ღირდა. ე.ი. გამოხდილი არყის გაწმენდაში მსხვილი მრეწველი უფრო მეტ მოგებას იღებდა, ვიდრე წვრილი მწარმოებელი, რომელსაც უნდა შეეგროვებინა სპირტის გამოსახდელი ნედლი მასალა, გამოეხადა არაყი, გადაეხადა გზისა და სააქციზო ხარჯი<sup>140</sup>. ანალოგიური, ზოგჯერ უფრო უარესი მდგომარეობა იყო კახეთში, ელიზავეტოპოლის ასევე ბაქოს გუბერნიაში და სხვ<sup>141</sup>.

1900-იანი წლების შუა ხანებში ამიერკავკასიაში სპირტის ახალი მსხვილი მწარმოებლები (ძმები ფორერები, აგრიევეები, შუსტოვი) ნედლეულის ბაზებში თავისი გავლენის მოპოვებას ცდილობენ და მათი ზელახალი განაწილებისათვის იბრძვიან. 1907 წლიდან ელიზავეტოპოლის გუბერნიის ბაზარს ძმები ფორერები იპყრობენ; შუსტოვი ერევნის გუბერნიის წვრილი მწარმოებლების დიდ ნაწილს იმორჩილებს, აგრიევეები ბაქოს გუბერნიის ხელში ჩაგდებასათვის ილწვიან. ახალი მრეწველები ცდილობენ ხელთ იგდონ და თავისი გავლენა გაავრცელონ ამიერკავკასიის ნედლეულის ბაზების დიდ ნაწილზე. კერძოდ, ისინი კახეთის წვრილი მწარმოებლების დამორჩილებას ცდილობენ, რომლის წარმოების 85%-ს, თბილისის გუბერნია, ძირითადად დ. სარაჯიშვილის ფირმა მოიხმარს. 1906 წ. თბილისელ მრეწველებს კახეთში წინასწარი შეთანხმებით ნედლი სპირტი 9<sup>1</sup>/<sub>2</sub> კაბიკად უნდა შეეძინათ, მაგრამ 1906 წ. საბაზრო ფასმა აიწია და 1 გრ. სპირტის ფასი 10 კაბიკი გახდა. 1906 წლის ბოლოს კახეთში ფორერებისა და აგრიევეების წარმომადგენლების გამოჩენამ 1 გრ. სპირტის ფასი 11, 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> და ბოლოს 12 კაბიკამდე გაზარდა. დ. სარაჯიშვილს გარდა იმისა, რომ წარმოებისათვის დიდი რაოდენობით სპირტი ჭირდებოდა, ამავე დროს არ უნდოდა დაეკარგა კახეთის ბაზარი, რის გამოც იძულებული იყო 1 გრ. სპირტი 12 კაბიკად შეეძინა<sup>142</sup>.

ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სპირტის სარეკტიფიკაციო წარმოება მეტ-ნაკლებად ამიერკავკასიის ყველა გუბერნიაში ჩამოყალიბდა და მძლავრ დარგად იქცა.

XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში რეკტიფიცირებული სპირტის წარმოებაში ამიერკავკასიაში მონოპოლური მდგომარე-

<sup>140</sup> სცსა, ფ. 371, ს. 403 ფურც. 111—115.

<sup>141</sup> სცსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 220; ფ. 370, ს. 823, ფურც. 88—89; ს. 940, ფურც. 324—325.

<sup>142</sup> სცსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 324—325.

ობა დ. სარაჯიშვილისა და ნ. ტერენტიევის ფირმებს უჭირავთ. 1900-იანი წლების შუა ხანებიდან მწვავე საკონკურენტო ბრძოლის ვითარებაში უფრო ძლიერი მრეწველები იმარჯვებენ, — ერევნის გუბერნიაში — შუსტოვის, ელიზავეტოპოლის გუბერნიაში — ძმები ფორერების, ბაქოს გუბერნიაში — აგრიევეების ფირმები. აღნიშნული გარემოება ძალთა თანაფარდობას ცვლის — თუ მანამდე სპირტის სარეჟტიფიკაციო წარმოებაში თბილისისა და ელიზავეტოპოლის გუბერნიები პირველობდნენ, ახლა — შუსტოვისა და ძმები აგრიევეების საქმიანობის წყალობით, ერევნის და ბაქოს გუბერნიის სარეჟტიფიკაციო ქარხნების წარმოება პროდუქციის ოდენობით ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებს აჭარბებს. ტერენტიევის ფირმა საკონკურენტო ბრძოლაში მარცხდება, სამრეწველო სარბიელს ტოვებს, დ. სარაჯიშვილის ფირმის საქმიანობაც იკვეცება. მართალია, საქართველოში იგი კვლავ თავის პოზიციებს ინარჩუნებს, მაგრამ ამიერკავკასიაში მონოპოლურ მდგომარეობას კარგავს. ახალი, მსხვილი მრეწველობის გამოჩენამ დღის წესრიგში ნედლეულის ბაზებისა და გასაღების ბაზრების გადანაწილების საკითხიც დააყენა. ამიერკავკასიის სპირტის მწარმოებლებს შორის ნედლეულის ბაზების განაწილების მხრივ XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში მონოპოლიური მდგომარეობა დ. სარაჯიშვილის ფირმას უკავია. გარდა იმისა, რომ მას თავისი გავლენის სფეროები აქვს, ამიერკავკასიის სპირტის მსხვილ მწარმოებლებსაც იმორჩილებს და თავის სასარგებლოდ ყოველწლიურად გარკვეული რაოდენობის სპირტს შეკვეთით იღებს. XX ს. დასაწყისში სპირტის მსხვილი, ახალი მწარმოებლების გამოჩენამ სპირტის ნედლეულზე მკვეთრად გაზარდა ფასები. ნედლეულის ბაზებში გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო, რასაც ძველი მრეწველების უფლებების შეკვეცა მოჰყვა ახალი სამრეწველო ფირმების სასარგებლოდ. მაგალითად, შუსტოვის ფირმამ ერევნის გუბერნიიდან დ. სარაჯიშვილის ფირმის შევიწროება იწყო, აგრიევეების ფირმამ — ბაქოს გუბერნიიდან და კახეთიდან. ძმები ფორერების ფირმამ ელიზავეტოპოლის გუბერნიაში ძმები სოგომონოვების და ხუბლაროვების საქმიანობა შეკვეცა. თავის მხრივ, შუსტოვის ფირმა ბაქოს გუბერნიაში აგრიევეების ფირმის უფლებების შევიწროვებას ცდილობდა და ა.შ. შეძლებისდაგვარად, ყველა სამრეწველო გაერთიანება ცდილობდა უკეთესი მდგომარეობის მოპოვებას და ნედლეულის ბაზების, ასევე გასაღების ბაზრების ხელში ჩაგდებას. წვრილი მწარმოებლების მიერ გამოხდილ სპირტზე



ფასების ზრდამ, მოუსავლიანობამ ამიერკავკასიის ზოგიერთ გუბერნიებში სპირტის რექტიფიკაცია არარენტაბელური გახადა. ამიტომ მწარმოებლების ერთი ნაწილი არჩევდა იაფფასიანი სპირტი რუსეთის გუბერნიებიდან გამოეწერა, ვიდრე გაზრდილი ფასით სპირტის ნედლეული შეესყიდა, გაეწია წარმოების ხარჯი და რექტიფიცირებული სპირტი დაემზადებინა.

ამრიგად, სამი ათეული წლის განმავლობაში ამიერკავკასიაში სპირტის მძლავრი სარექტიფიკაციო წარმოება შეიქმნა. იგი ყურძნის, პურის, ხილის რექტიფიცირებული სპირტით აშარაგებდა სხვადასხვა სახის არყის, რომის, ლიქიორის, დენატურატის, სუნამოს, ლაქის და პოლიტურის წარმოებას, უმაღლესი ხარისხის ყურძნის რექტიფიცირებული სპირტით კი — როგორც ადგილობრივ ისე შიდა რუსეთის გუბერნიების მეღვინეობის რაიონებსა და სავაჭრო ცენტრებს. აღნიშნული წარმოების განვითარება წვრილ-გლეხური, უბრალო მწარმოებლების, უკიდურესი ექსპლოატაციისა და გაჩანაგების ხარჯზე ხდებდა. მსხვილი მწარმოებლები აწესებენ რა საკუთარ ფასს სპირტის ნედლეულზე, ძარცვავენ და ავიწროვებენ, იპყრობენ და აკაბალებენ ამიერკავკასიის წვრილ მწარმოებელთა მასას და ამ გზით დიდ მოგებას იღებენ.

თ ა ზ ი II

სხვადასხვა სახის სპეციალური არყის წარმოება

80-იანი წლების შუა ხანებამდე საქართველოში არსებული არყის ქარხნები ნაწარმს ძირითადად ცივი გაწმენდის წესით ასუფთავებდნენ. ისინი მას ნახშირისა და სილის ფილტრებში ატარებდნენ. გაწმენდის ასეთი წესი მაღალ ხარისხოვან და სრულყოფილ პროდუქტს არ იძლეოდა. დიდი რაოდენობით რახის ზეთის მინარევი სპირტს უსიამოვნო სუნსა და გემოს აძლევდა, ამასთან ერთად ვნებდა ორგანიზმსაც.

80-იანი წლების დასაწყისში თბილისში ასეთი ტიპის 3 არყის ქარხანა იყო — ნიკოლოზ სტეფანოვის, გრ. მეღვინეოვის და ს. მეღვინეოვის. ისინი ადგილობრივი მწარმოებლებისაგან შექმნილ უბრალო არაყს ასუფთავებდნენ და არყის პროდუქტებს ამზადებდნენ. 1880 წ. ნ. სტეფანოვის არყის ქარხანამ 9 262 ვედრო 40 გრადუსიანი არაყი გაასუფთავა და 120 ვედრო რომი, 40 ვედრო ბალზამი და 31 ვედრო ლიქიორი გამოუშვა. არყის პროდუქტების

დამზადებას სპეციალისტი ა. ონანოვი ხელმძღვანელობდა, ქარხანა იყენებდა საზღვარგარეთიდან მიღებულ ესენციებს და სპეციებს. ნაწარმს კავკასიაში ასაღებდა. 1 ვედრო გასუფთავებულ არაყს, 4 მან. და 20 კაპ-დან 5 მან-მდე ყიდდა<sup>1</sup>. 1885 წ. ქარხანამ 64 634 გრ. არაყი გაასუფთავა და 81 ვედრო სხვადასხვა სახის არაყი გამოუშვა<sup>2</sup>. ქარხანა მირიმანოვის სახლის სარდაფში მდებარეობდა.

გრიგოლ მეღვინოვის „ქარხანა“ ამზადებდა რომს, კუმელს, აბსენტს. 1880 წ. მან 4 786 ვედრო არყის ნაწარმი გამოუშვა. ქარხანაში 4 მუშა მუშაობდა. აქედან 1 ხელოსანი იყო, დანარჩენი შვიი მუშები. ქარხანა ვედრო არაყს 6—9 მანეთად ყიდდა, გასუფთავებულ 40 გრადუსიან ვედრო არაყს 4 მან. და 50 კაპ-ად<sup>3</sup>. 1885 წ. ქარხანამ 532 794 გრ. უბრალო არაყი გაასუფთავა და 290 ვედრო სხვადასხვა სახის არყის ნაწარმი გამოუშვა<sup>4</sup>.

1879 წ. დეკემბერში ს. მეღვინოვმა მთავრობას სთხოვა მისი ქარხანა აუცილებელი რაოდენობის ბანდეროლის შესყიდვისაგან გაეთავისუფლებინა. მთავრობამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა. ს. მეღვინოვმა 1880 წ. 3 ქარხნის ნაცვლად, რომელიც მას 1879 წ.-მდე ჰქონდა, 1 არყის ქარხანა გახსნა, მას უნდოდა გამოეშვა 3 დასახელების არყის ნაწარმი: რომი, ლიქიორი და კონიაკი<sup>5</sup>. 1883 წ. ს. მეღვინოვის არყის ქარხანამ 145 542 გრ. არაყი გაასუფთავა და 155 ვედრო არყის ნაწარმი გამოუშვა<sup>6</sup>. 1886 წ. 174,2 ვედრო არყის ნაწარმი დაამზადა<sup>7</sup>.

1882—1884 წწ. მონაცემებით, თბილისის არყის ქარხნების მზა პროდუქტია 30000 მან. შეადგენს, მათში დასაქმებულია 20 მუშა<sup>8</sup>.

ასეთი ტიპის არყის ქარხანა ქუთაისის გუბერნიაში, ქ. ფოთში ავსტრიის ქვეშევრდომმა ალიოზ გუტმანმა გახსნა. 1880 წ. მისი ქარხანა, ს. მეღვინოვის მსგავსად, გათავისუფლდა ბანდეროლის წინასწარი შესყიდვისგან<sup>9</sup>. 1889 წ. გუტმანის ქარხანაში 6 მუშა

<sup>1</sup> სცსა, ფ. 17, ს. 486, ფურც. 79.

<sup>2</sup> სცსა, ფ. 371, ს. 62, ფურც. 9—10.

<sup>3</sup> სცსა, ფ. 17, ს. 486, ფურც. 99.

<sup>4</sup> სცსა, ფ. 371, ს. 62, ფურც. 11.

<sup>5</sup> სცსა, ფ. 7, ანაწ. 6, ს. 331 ფურც. 1—2, 5, 8, 9.

<sup>6</sup> სცსა, ფ. 31, ს. 62, ფურც. 7—8.

<sup>7</sup> სცსა, ფ. 371, ს. 62 ფურც. 13—14.

<sup>8</sup> სცსა, ფ. 17, ს. 90 15, ფურც. 32—33.

<sup>9</sup> სცსა, ფ. 7, ანაწ. 6, ს. 107, ფურც. 9, ს. 1331, ფურც. 7.



მუშაობდა და 25 000 მან. პროდუქციას უშვებდა<sup>10</sup>. მისმა ქარხანამ 1885 წ. 813 ვედრო არაყი გამოუშვა<sup>11</sup>.

1873 წ. ქუთაისში არყის ქარხანა გახსნა გიორგი ბოლქვაძემ. 1885 წ. გ. ბოლქვაძის ქარხანამ 1639 ვედრო სპირტი გაასუფთავა და 200 ვედრო არყის ნაწარმი გამოუშვა<sup>12</sup>. 1885—1886 წწ. ქარხანაში 4 მუშა მუშაობდა და 5000 მან. პროდუქციას ამზადებდა<sup>13</sup>.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში არსებული აღნიშნული ქარხნები დაქირავებული მუშის შრომაზე დამყარებულ წვრილი კაპიტალისტური ტიპის საწარმოებს წარმოადგენდნენ, რომლებიც არაყს ცივი გაწმენდის წესით ასუფთავებდნენ და ტექნიკურ დანადგარებსა და გაუმჯობესებულ აპარატებს არ იყენებდნენ.

80-იანი წლების ბოლოს თბილისში არყის წარმოებას ახალი მრეწველები იწყებენ. ისინი არყის ქარხნებში გაუმჯობესებული ტიპის ქვიშის ფილტრებს, ორთქლის ქვაბს და სპირტის გამოსახდელ აპარატს აყენებენ. არყის წარმოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სპირტის სარექტიფიკაციო ქარხნების შექმნას. რექტიფიცირებული სპირტის სახით არყის წარმოებამ უმაღლესი ხარისხის ნედლი მასალა მიიღო. ამ გარემოებამ გააუმჯობესა არყის ქარხნების პროდუქციის ხარისხი და წარმოებას უხვად მისცა ნედლი მასალა.

ახალი ტიპის არყის ქარხნები თბილისში სპირტის სარექტიფიკაციო წარმოებაში ჩვენთვის ცნობილმა მსხვილმა მრეწველებმა დ. სარაჯიშვილმა, ა. სოგომონოვმა, მ. ხუბლაროვმა გახსნეს. მათ შორის აღსანიშნავია დ. სარაჯიშვილის მიერ შექმნილი სხვადასხვა სახის სპეციალური არყის ქარხანა. მისთვის ნიადაგი დ. სარაჯიშვილმა 1885—86 წწ. მოამზადა. 1886 წ. მან ჩამოიტანა საჭირო დანადგარები და ააწყო იგი. სამედიცინო, საამშენებლო, სააქციზო და ტექნიკური შემოწმების შემდეგ, 1887 წ. 24 მარტიდან ქარხანა ამუშავდა. იგი დ. სარაჯიშვილის №2 სარექტიფიკაციო ქარხნის ეზოში მდებარეობდა, მოთავსებული იყო 2 შენობაში და შედგებოდა 2 განყოფილებისგან. პირველში (სარდაფში) ინახებოდა ხილ-კენკრეულზე და ბალახზე დასხმული ღვინო და სპირტი, ესენციები და მორსები, საზღვარგარეთული რომი და კონიაკი, რომელიც სხვადასხვა სახის

<sup>10</sup> სცსა, ფ. 12, ანაწ. 1, ს. 136, ფურც. 16-17.  
<sup>11</sup> სცსა ფ. 370, ს. 224, ფურც. 17, 18.  
<sup>12</sup> სცსა, ფ. 12, ანაწ., 1, ს. 136, ფურც. 44—45.  
<sup>13</sup> სცსა, ფ. 370, ს. 234. ფურც. 17—18.





არყის პროდუქტების დამზადებისათვის გამოიყენებოდა. მეტწილად ნყოფილება განკუთვნილი იყო არყის დასამზადებლად<sup>14</sup>. ქარხანაში იდგა ერთი სპილენძის (ორთქლის) ქვაბი, სპილენძის 2 გამოსახდელი (ორთქლის) აპარატი (26 და 7 ვედროს ტევადობის), სპირტის გასაწმენდი აპარატი 2 ფილტრითა და 4 კოლონით, სხვადასხვა მოცულობისა და ტევადობის უამრავი ხის კასრი, რომლებიც მორსების, ესენციების, რომის, კონიაკის, მზა არყის პროდუქტების შესანახად გამოიყენებოდა და სხვა მრავალი საჭირო მოწყობილობა<sup>15</sup>. არყის ქარხანაში პროდუქტების დამზადებას ფრანგი სპეციალისტი ხელმძღვანელობდა<sup>16</sup>. ქარხანამ 1891—92 წწ. 6 441 ვედრო (64 410 მან.) არყის ნაწარმი გამოუშვა, 1883—94 წწ. — 5679 ვედრო (56 785 მან.), 1896 წ. — 5628 ვედრო (56.281 მან.), 1899 წ. — 3969 ვედრო (39691 მან.)<sup>17</sup>.

1890 წ. არყის ქარხნის რეკონსტრუქციას ს. მეღვინოვმა მოკიდა ხელი. აღნიშნული წლის მაისში მან ორთქლის ქვაბი, გამოსახდელი ქვაბი, გამოსახდელი აპარატი და ქურა დადგა. მეღვინოვის ქარხანა-საწყობი მხოლოდ 1 განყოფილებისაგან შედგებოდა. აქ ხდებოდა როგორც სასმელისა და ნედლი მასალის შენახვა, ისე არყის პროდუქტების დამზადება და მისი რეალიზაცია. ეტყობა მეღვინოვმა ქარხნების მოწყობაზე გაწეული ხარჯი ვერ აანაზღაურა, რის გამოც იძულებული იყო იგი ნაწილ-ნაწილ გაეყიდა<sup>18</sup>.

90-იან წლებში არყის პროდუქტების წარმოებას თბილისში კიდევ 2 მრეწველი იწყებს. 1892 წ. თბილისში არყის ქარხანა ა. სოგომონოვმა გახსნა. მან ქარხანაში ს. მეღვინოვისგან შესყიდული ორთქლის ქვაბი დადგა. არყის ქარხანა მისივე სარეჟიტიფიკაციო ქარხნის ეზოში მდებარეობდა და ნედლი მასალითაც მისგან მარაგდებოდა. სპეციალური კომისიის შემოწმების შემდეგ, 1892 წ. 11 მაისიდან ქარხანა ამუშავდა<sup>19</sup>. 1892—93 წწ. ქარხანამ 2936 ვედრო არაყი გამოუშვა, 1893—94 წწ. — 2882 ვედრო (28 820 მან.), 1896

<sup>14</sup> სცსა, ფ. 370, ს. 252, ფურც. 5, 8, 32.

<sup>15</sup> ი ქ ვ ე, ფურც. 1—32. სცსა, ფ. 204, ს. 863, ფურც. 17, 72.

<sup>16</sup> Д. З. С а р а д ж е в, გვ. 6.

<sup>17</sup> სცსა, ფ. 371 ს. 85, ფურც. 51—52; ს. 101, ფურც. 47—48. ს. 181, ფურც. 74—75.

<sup>18</sup> სცსა, ფ. 204, ს. 198, ფურც. 1—11, ს. 863, ფურც. 11, 17, 72., სცსა, ფ. 370, ს. 363, ფურც. 13; ს. 463, ფურც. 5.

<sup>19</sup> სცსა, ფ. 204, ს. 892, ფურც. 17.

წ. — 2338 ვედრო (23 390 მან.), 1899 წ. — 1692 ვედრო (16 920 მან.)<sup>20</sup>.

ასეთივე ტიპის არყის ქარხანა თბილისში 1893 წ. ს. მეღვინეთან ერთად, მ. ხუბლაროვმა გახსნა. აქ მან ს. მეღვინოვის ქარხანაში დარჩენილი მოწყობილობა გადაიტანა, დადგა ორთქლის ქვაბი, ცივი წესით არყის გასაწმენდი ნახშირის ფილტრები, ორთქლის გამოსახდელი აპარატი და სხვ. მისი ქარხნის სარდაფი გაყოფილი იყო 2 ნაწილად — ერთში ღვინო და სპირტი, შორსები და ესენციები ინახებოდა, მეორეში — სუფთა ჭურჭელი<sup>21</sup>. ქარხანამ 1893—94 წწ. 4820 ვედრო (48 200 მან.) არყის ნაწარმი გამოუშვა, 1896 წ. — 3110 ვედრო (31 109 მან.) 1899 წ., — 3554 ვედრო (35540 მან.)<sup>22</sup>.

1900-იან წლებამდე თბილისში არყის პროდუქტების დამზადებას პერიოდულად გრ. მეღვინოვი და მინასბეგოვიც მისდევდნენ. გრ. მეღვინოვმა 1897 წ. 2801 ვედრო (28 010 მან.) არაყი გამოუშვა, 1899 წ. — 1893 ვედრო (18 390 მან.). მინასბეგოვის ქარხანა 1895—1897 წწ. მოქმედებდა მან 1895 წ. 1486 ვედრო (14 860 მან.) ნაწარმი გამოუშვა, 1897 წ. — 647 ვედრო (6470 მან.).

1891 წ. თბილისში არყის 2 ქარხანა მოქმედებს პროდუქციის ოდენობა 10 992 ვედროს (109920 მან.) უდრის, მათში დასაქმებულია 17 მუშა.

1892 წ. თბილისის არყის საჰმა ქარხანამ 16 923 ვედრო (169 230 მან.) არაყი გამოუშვა, 1893 წ. — 15 238 ვედრო (152 380 მან.)<sup>26</sup>. 1893 წ. არყის ქარხნებში 18 კაცი მუშაობს<sup>27</sup>, 1895 წ. — 29<sup>28</sup>; 1894 წ. არყის ქარხნების პროდუქციის ოდენობა 12 908 ვედრომდე (129 980 მან.) შემცირდა, 1899 წ. — 10 498 ვედრომდე (104980 მან.-მდე)<sup>29</sup>. შესაბამისად მცირდება არყის ქარხნებში დასაქმებული მუშათა რაოდენობაც — 1897—98 წწ. 24 კაცს უდრის<sup>30</sup>.

<sup>20</sup> სცსა, ფ. 371, ს. 95. ფურც. 34, ს. 101, ფურც. 47—48, ს. 125, ფურც. 47—48; ს. 181, ფურც. 74—75.

<sup>21</sup> სცსა, ფ. 204, ს. 923, ფურც. 11.

<sup>22</sup> სცსა, ფ. 371, ს. 101, ფურც. 47—48, ს. 125, ფურც. 47—48, ს. 181, ფურც. 74—75.

<sup>23</sup> სცსა, ფ. 371, ს. 143. ფურც. 43, ს. 181, ფურც. 74—75.

<sup>24</sup> სცსა, ფ. 371, ს. 125, ფურც. 47—48, ს. 143. ფურც. 43.

<sup>25</sup> სცსა, ფ. 371, ს. 85. ფურც. 3, ს. 106, ფურც. 38.

<sup>26</sup> სცსა, ფ. 371, ს. 106, ფურც. 38.

<sup>27</sup> სცსა, ფ. 371 ს. 670, ფურც. 148.

<sup>28</sup> სცსა, ფ. 371, ს. 125, ფურც. 33.

<sup>29</sup> სცსა, ფ. 370, ს. 823, ფურც. 18.

<sup>30</sup> სცსა, ფ. 371, ს. 156, ფურც. 5—13.

ტექნიკური გაუმჯობესება ქუთაისის გუბერნიის არყის ქარხნებშიც შეიმჩნევა. 90-იან წლებში გ. ბოლქვაძემ ქარხანაში გამოთავისუფლებული (სპილენძის) და სარექტიფიკაციო აპარატები დადგა. 1890 წ. მან 67 200 მან. პროდუქცია გამოუშვა (გასუფთავებული სპირტი და არყის ნაწარმი). აქედან არყის პროდუქციის ოდენობა 27 000 მან. უდრიდა, კერძოდ, I ხარისხის არყის ნაწარმის ოდენობა 9 600 მან. შეადგენდა, II ხარისხისა — 8 000 მან., III ხარისხისა — 9 600 მან. ქარხანა ნედლ მასალად იყენებდა ადგილობრივი მწარმოებლების მიერ გამოხდილ არაყს და რუსეთიდან მიღებულ სპირტს. 1890 წ. რუსეთიდან შემოიტანეს 1500 ვედრო პურის სპირტი, 3000 ფუთი არაყი, 150 ფუთი ხილ-კენკრეული, ბალახები კი ადგილობრივ შეიძინეს. მორსები, ესენციები და ეთერები ქარხანამ საზღვარგარეთიდან მიიღო. ქარხანა მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა და ნაწარმს ძირითადად ადგილზევე ასალებდა. მისი უმცირესი ნაწილი გასაყიდად თბილისში გაჰქონდათ. ქარხანაში 12 დაქირავებული მუშა მუშაობდა, 8 მუშა მოზრდილი იყო, 4 — მოზარდი. აქედან 9 მუშა ქარხანაში მუშაობდა, დანარჩენი 3 — ქარხნის გარეთ. მუშათა ხელფასი 15—50 მან. უდრიდა, სამუშაოს ხანგრძლივობა — 10 საათს<sup>31</sup>.

1890 წ. გუტმანისა და მავრიკია მენდელის ამხანაგობამ „გუტმანი და კომპ“. 1100 ვედრო (12 000 მან.) არყის პროდუქცია გამოუშვა. ქარხანა არაყს კვლავ ცივი გაწმენდის წესით ამუშავებდა, მორსებსა და ესენციებს ქარხანაში ამზადებდნენ. რომი და კონიაკი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. წლის განმავლობაში ქარხანა 50 000 გრ. სპირტს იყენებდა. ნედლი მასალა ძირითადად რუსეთიდან შემოჰქონდათ, ნაწილს კავკასიაში ყიდულობდნენ. ქარხანა უშვებდა რომს, კონიაკს, აბსენტს, სხვადასხვა სახის არყის ნაყენებს და სხვ. თავის ნაწარმს ქარხანა კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში ასალებდა. ქარხანაში 8 მუშა მუშაობდა. მუშათა რაოდენობა ზაფხულობით 6-მდე მცირდებოდა. მუშათა თვიური ხელფასი 10-18 მან. შეადგენდა. უფროსი 30 მან. იღებდა. სამუშაოს ხანგრძლივობა 21 საათს უდრიდა. მუშები ქარხანასთან არსებულ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ. ქარხნის მმართველი იყო ლევ მიხალკოვიჩი. მას განათლება თაბორში ჰქონდა მიღებული<sup>32</sup>.

<sup>31</sup> ЦГИА СССР, ფ. 20, ანაწ. 12, ს. 100. ფურც. 49.

<sup>32</sup> ЦГИА СССР, ფ. 20, ანაწ. 12, ს. 100. ფურც. 47.

1890 წ. სექტემბერში ქუთაისში ვაჭარ ადანაიას არყის ქარხანა გაიხსნა. 1890 წ. 3 000 მან. (547 ვედრო) არყის ნაწარმი დაამზადდა ნედლ მასალად ქარხანამ რუსეთიდან მიღებული ესენციები და მორსები გამოიყენა (100 მან.). ქარხანაში არაყს ცივი გაწმენდის წესით ამუშავებდნენ. სპირტის ცხელი წესით გასაწმენდი ტექნიკური დანადგარები ქარხანას არ ჰქონდა. აქ იღვა 10 კასრის ტევადობის სპირტის საზომი და ქვიშის ფილტრები. ქარხნის მმართველი იყო ტარიელ გაბუნია. არყის პროდუქციას ქარხანა ქუთაისის გუბერნი-აში ასაღებდა. ქარხანაში 1 მუშა მუშაობდა. მუშაობის ხანგრძლივობა 10 საათს უდრიდა. მუშის თვიური ხელფასი 40 მანეთს შეადგენდა<sup>33</sup>.

1899 წ. იანვარში ასეთივე ქარხანა ბათუმში ვაჭარმა კუცუბოვი გაიხსნა. ქარხანა უშვებდა აბსენტს, კონიაკს, ხიოსს, მასტიკას და სხვა არყებს. არყის დამზადების საქმეს თვითონ კუცუბოვი ხელმძღვანელობდა. იგი სპეციალობით მეღვინე იყო. არყის ნაწარმს უმაღლესი ხარისხის რეკტიფიცირებულ სპირტზე ამზადებდა. სააქციზო ზედამხედველის დახასიათებით, მისი ქარხანა საუკეთესო ხარისხის არყის ნაწარმს უშვებდა<sup>34</sup>.

ქუთაისის გუბერნიის არყის ქარხნებმა 1894 წ. არყის პროდუქტების წარმოებაზე 4 713 მან. სააქციზო თანხა გადაიხადეს<sup>35</sup>. (გამოუშვეს 4 713 ვედრო, 47 130 მანეთის). 1896 წ. 3 189 მან. (3 189 ვედრო, 31 890 მან. არყის პროდუქტი დაამზადეს), 1898 წ. — 2.847 მან. (2 847 ვედრო, 28 470 მან. არყის ნაწარმი გამოუშვეს), 1899 წ. — 3 739 მან. აქციზი შეიტანეს (დაამზადეს 3 739 ვედრო, 37 390 მან. არყის ნაწარმი)<sup>36</sup>.

წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს არყის ქარხნების უმეტესობას წარმოებისათვის საჭირო სპირტს სარეკტიფიკაციო ქარხნები აწვდიდნენ<sup>37</sup>. ნედლი მასალის ნაწილს ქვიშის ფილტრებში ან გამოსახდელ კუბში წმენდნენ. წარმოებისათვის საჭირო ესენციებს, მორსებსა და ეთერებს, სპეციალური სააგენტოების საშუალებით, სა-

<sup>33</sup> იქვე, ფურც. 48.

<sup>34</sup> ЦГИА СССР, ფ. 575. ანაწ. 2, ს. 2092. ფურც. 175, 184.

<sup>35</sup> არყის ქარხნებზე შეწერილი დამატებითი გადასახადი (1879—1900 წწ.) ერთ ვედროზე 1 მანეთს უდრიდა. 1896 წ. 3 189 მან. დამატებითი სააქციზო გადასახადი გადაიხადეს ნიშნავს, რომ 3 189 ვედრო არყის ნაწარმი გამოუშვეს ერთ ვედრო არყის პროდუქტებზე საშუალო საბაზრო ფასი 90-ანი წლების ბოლოს უდრის 10 მან., ე.ი. 1896 წ. არყის ქარხნებმა 31 890 მან. არყის ნაწარმი გამოუშვეს.

<sup>36</sup> სცსა, ფ. 370, ს. 823, ფურც. 59.

<sup>37</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1658, ფურც. 16.

ზღვარგარეთიდან იწერდნენ<sup>38</sup>. ხილ-კენკრეულისა და ბალახეულის ძირებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ყიდულობდნენ ხილი გადაზიდვის დროს რომ არ გაფუჭებულიყო, შესყიდვის ადგილზე სპირტს ასხამდნენ და შემდეგ ქარხანაში გადაჰქონდათ<sup>39</sup>. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხილ-კენკრეულისა და ბალახეულის ნაყენს არყის სხვადასხვა ტიპის სასმელის დასამზადებლად იყენებდნენ. გარდა ამისა ქარხნები ყოველწლიურად საშუალოდ 100 000—150 000 გრ. ნელდ<sup>40</sup> სპირტს და 10 000—15 000 გრ. მორსებსა და ესენციებს მოიხმარდნენ<sup>41</sup>.

უმალესი ხარისხის არყის პროდუქტების დამზადება რექტიფიცირებულ სპირტზე წარმოებდა, დაბალი ხარისხისა კი — ცივი წესით გაწმენდილ არაყზე. ამასთან საუკეთესო ხარისხის არყებისათვის იყენებდნენ მაღალი ღირსების ყურძნის და ღვინის სპირტს და უშუალოდ ხილ-კენკრეულის ნაყენზე ამზადებდნენ, ხოლო დაბალი ხარისხის ნაწარმისათვის — პურისა და თუთის სპირტს იყენებდნენ და ესენციებზე ამზადებდნენ. დაბალი ხარისხის „ტკბილი“ და „ცხარე“ არყები მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიდიოდა და ამიერკავკასიის სავაჭრო დაწესებულებებში საღებოდა<sup>42</sup>.

საქართველოს არყის ქარხნების პროდუქცია მეტად მრავალფეროვანი იყო. ისინი უშვებდნენ სხვადასხვა დასახელების და ხარისხის რომს, ლიქიორს, ნაყენს, ტკბილ და ცხარე არყებს და სპირტს. 1901 წ. დ. სარაჯიშვილის პრეისკურანტში 65 დასახელების სხვადასხვა არაყია აღნიშნული, ა. სოგომონოვის მიერ 1902 წ. გამოშვებულ პრეისკურანტში — 112. ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი. მაგალითად, მზადდებოდა შემდეგი სახელწოდების რომი: იამაიური, საუკეთესო, ძველი, უმალესი ხარისხის. კავკასიის ორიგინალური ლიქიორი — ატმის, გარგარის, და სხვა ხილის ... უმალესი ხარისხის ლიქიორი — აბრიკოტინი, ბენედიქტინი, კიურასო ტკბილი, მშრალი, მარასკინი, შარტრეზი — მწვანე, წითელი, კასისი, კაკო-შუვა, ვანილის და სხვა პირველი ხარისხის ლიქიორი

<sup>38</sup> ЦГИА СССР, ფ. 574, ანაწ. 1, ს. 633, ფურც. 15.

<sup>39</sup> სცსა, ფ. 371, ს. 78, ფურც. 194.

<sup>40</sup> სცსა, ფ. 371, ს. 833, ფურც. 83. ს. 327, ფურც. 97, 151. სცსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 54. ს. 989, ფურც. 39. 73.

<sup>41</sup> სცსა, ფ. 371, ს. 95, ფურც. 34. ს. 101, ფურც. 48—47. ს. 85. ფურც. 52—57; ს. 327, ფურც. 97. 151.

<sup>42</sup> სცსა, ფ. 371, ს. 127, ფურც. 141—142.



— ჩაის, მოკო, კაკაო-შუვა, ვანილის, ანანასის, ვარგარის, ატმის, კომპის, მალინის, ვარდის, ლიმნის, კაკლის, ალუბლის და სხვ. ნაყენები — I ხარისხის — კავკასიური, ალუბლის, მალინის, ვარგარის, ატმის. უმაღლესი ხარისხის — ქინაქინის, რიგის ბალზამი, კიევური და სხვა ... ცხარე არაყი — ბალზამი, წიწკის, რომისებური, კონიაკისებური ... ტკბილი არაყი — ვარგარის, მოცხარის, პიტნის, ვარდის და სხვა ჩვეულებრივი არაყი — ყურძნის, კახური, ღვინის და სხვა<sup>43</sup>.

საქართველოს არყის ქარხნების საქმიანობა XIX ს. 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ინტენსიურად წავიდა წინ. არყის მწარმოებლები აღმჯობესებენ რა ქარხნის ტექნიკურ დონეს, ზრდიან და აფართოებენ წარმოებას. 1889 წლიდან იწყება არყის პროდუქტების ამიერკავკასიიდან რუსეთის ბაზარზე გატანა. პირველი მწარმოებლები, რომელთაც არყის ნაწარმი რუსეთში გაიტანეს, იყვნენ დ. სარაჯიშვილი და ა. გუტმანი. დ. სარაჯიშვილის არყის პროდუქტები იყიდება სატახტო ქალაქებში. გუტმანისა—სამხრეთ რუსეთის გუბერნიებში<sup>44</sup>. 90-იან წლებში რუსეთის ბაზარზე გაჩნდა ა. სოგომონოვის, მ. ხუბლაროვის, კ. კუცურის, მეღვინოვის არყის ნაწარმი<sup>45</sup>. ხარისხითა და ღირებვით განსაკუთრებით დ. სარაჯიშვილის არყის ნაწარმი გამოირჩეოდა. დანარჩენი მწარმოებლების არყის პროდუქტები შენახვის დროს ხშირად ფუჭდებოდა, რაც მის უხარისხობაზე მიუთითებდა<sup>46</sup>. დ. სარაჯიშვილის არყის ნაწარმს მაღალ შეფასებას აძლევენ სააქციზო ზედამხედველები. ისინი მიუთითებენ, რომ დ. სარაჯიშვილის მიერ გამოშვებული ნაწარმი იმდენად მაღალხარისხოვანია, რომ გასაღება ჰპოვა არა მარტო კავკასიაში, არამედ რუსეთის შიდა გუბერნიებში და თვით პეტერბურგში<sup>47</sup>, რომ დ. სარაჯიშვილმა არყის ქარხანაში არყის პროდუქტების დამზადების რაციონალური წესი შეიმუშავა, რამაც ხელი შეუწყო მასზე მოთხოვნილების ზრდას<sup>48</sup> და სხვა<sup>49</sup>. დ.

<sup>43</sup> ЦГИА СССР, ფ. 575, ანაწ. 2, ს. 2092, ფურც. 27... დ. სარაჯიშვილის ქარხნის პრესკურანტი, თბ., 1901; ა. სოგომონოვის ქარხნის პრესკურანტი, თბ., 1902.

<sup>44</sup> Отчет... о ходе... за 1889 СПб., 1891. გვ. 16—17.

<sup>45</sup> ЦГИА СССР ფ. 575, ანაწ. 2, ს. 2092, ფურც. 1, 72, 184, 175, 27, 35. 19,

<sup>46</sup> სცსა, ფ. 371, ს. 186, ფურც. 98, სცსა, ფ. 370. ს. 823, ფურც. 18.

<sup>47</sup> სცსა, ფ. 17, ს. 3660, ფურც. 835, 836.

<sup>48</sup> სცსა, ფ. 17, ს. 9046. ფურც. 16.

<sup>49</sup> Отчет... за 1891 Тб., 1892, გვ. 12—13. Отчет... за 1892, Тб., 1893, გვ. 45—46.



სარაჯიშვილის არყის ნაწარმი (ლიქიორი) საუკეთესო ხარისხისათვის 1900 წ. პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე, ხოლო 1901 წ. — კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ოქროს მედლით დაჯილდოვდა<sup>50</sup>. გ. ბოლქვაძის არყის ქარხნის პროდუქციამ 1890 წ. პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე ვერცხლის მედალი მიიღო<sup>51</sup>.

მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა, 90-იანი წლების შუა ხანებიდან საქართველოს არყის წარმოების პროდუქციის ოდენობა შემცირდა, ხოლო 1900 წლიდან მისი წინსვლა და განვითარება დაბრკოლდა. საქართველოს არყის ქარხნების ნაწარმი მხოლოდ ადგილობრივი ბაზრების მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ წარმოებად იქცა. უკვე 1894 წ. სააქციზო სამმართველოს უფროსის ანგარიშში აღნიშნულია, რომ არყის ნაწარმის ხარისხი უარესდება და მასზე მოთხოვნილება ეცემა<sup>52</sup>.

ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საშუალო და დაბალი ხარისხის არყის ნაწარმის დამზადება ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანა-იარაღების დადგმას არ მოითხოვდა. მისი წარმოება უბრალო ან გაუმჯობესებული ტიპის ნახშირის ფილტრებში გაწმენდილი არყით ან ბაზარზე შესყიდული რექტიფიცირებული სპირტითაც შეიძლებოდა. ამიტომ 1900-იანი წლებიდან შექმნილი ქარხნები არაყს ცივი წესით წმენდნენ. მაგალითად, 1905 წ. ვაჭარმა კვეზერელი-კობაძემ არყის „ქარხანა“ გახსნა. მთელი ქარხნის ფართობი ერთი ოთახისაგან შედგებოდა. მას არ გააჩნდა არც არყის პროდუქტების დასამზადებელი განყოფილება, არც მორსებისა და ესენციების ან მზა არყის ნაწარმის შესანახი სარდაფი. ნედლი მასალის, მზა არყის პროდუქციის შენახვა და არყის ნაწარმის დამზადება 1 ოთახში ხდებოდა. ქარხნის მთელ მოწყობილობას შეადგენდა 5 ვედროს ტევადობის ფილტრი, ხის ქასრი, 18 ვედროს მოცულობის „კანოვკა“, 5 ვედროს ტევადობის არყის ჩამოსასხმელი ჭურჭელი<sup>53</sup>.

ასეთი ტიპის არყის ქარხნები თბილისში 1900-იან წლებში გახსნეს ამხანაგობა „ამურიმ“ (მელვინოვმა), ძმ. სესიეევებმა, ძმ. სელიანოვებმა, გ. სარაჯევმა, შაგრიარმა, სუკიასოვმა, ამხანაგობა „ორიოლმა“ (პ. სმირნოვის მოსკოვის სავაჭრო სახლის შემკვიდრებები). ყველა ეს ქარხანა ერთდროულად არ მოქმედებდა. 1900-იანი

<sup>50</sup> Д. Сараджев, გვ. 13.

<sup>51</sup> „ივერია“, 1890, № 273, გვ. 2.

<sup>52</sup> სცსა, ფ. 371, ს. 106, ფურც. 38.

<sup>53</sup> სცსა, ფ. 371, ს. 270, ფურც. 1—7.

წლებიდან თბილისში 4, იშვიათად 5 არყის ქარხანა მუშაობს. არყის ქარხნებიდან მუდმივად დ. სარაჯიშვილის ქარხანა მოქმედებს. ა. სოგომონოვის ქარხანა 1907 წლამდე არსებობს, მ. ხუბლაროვისა — 1904 წლამდე; 1901—1904 წწ. ამხანაგობა „ამური“ მოქმედებს, ხოლო 1908—1909 წწ. ვ. სარაჯევის არყის ქარხანა. 1906 წ. მოქმედებას იწყებს ძმ. სესიევების არყის ქარხანა, 1909 წ. — შაგრიარის, 1911 წ. — ამხანაგობა „ორიოლის“, 1913 წ. — ძმ. სელიანოვების. თბილისის არყის ქარხნების პროდუქციის ოდენობა საშუალოდ 8 000—9 000 ვედროს უდრის. მაგალითად, 1902 წ. თბილისის არყის ქარხნებმა 9 475 ვედრო (94 740 მან.) არყის ნაწარმი გამოუშვეს, 1904 წ. — 9 129 ვედრო (91 287 მან.), 1905 წ. — 5 503 ვედრო (55 029 მან.), 1912 წ. — 8 659 ვედრო (86 586 მან.), 1913 წ. — 10 283 ვედრო (102 830 მან.)<sup>54</sup>.

პროდუქციის ოდენობის მხრივ კვლავ დ. სარაჯიშვილის არყის ქარხანა პირველობდა. მისი ქარხნის საშუალო წლიური წარმოება 4—5 ათას ვედრო არაყს (50 000 მან.) უდრის. 1902 წ. თბილისის არყის ქარხნების პროდუქციის 51% დ. სარაჯიშვილის არყის ქარხანა აწარმოებს, 1904 წ. — 85%, 1905 წ. — 80%, 1913 წ. — 40%. ძმები სესიევების, შაგრიარის, „ორიოლის“ ქარხნების საშუალო წლიური პროდუქცია — 1000 ვედრო არაყს ანუ 10 000 მანეთს შეადგენს<sup>55</sup>.

1900-იანი წლების დასაწყისში ქუთაისის გუბერნიაში 3—4 არყის ქარხანა მოქმედებს. ისინი იმპერიის და თბილისის არყის ნაწარმის კონკურენციას ვერ უძლებენ და კვეცავენ წარმოებას<sup>56</sup>. 1910-იან წლებში მათი რიცხვი 5—6 ქარხნამდე იზრდება. ტექნიკური აღჭურვილობით ისინი 90-იანი წლების დონეზე დგანან, არყის პროდუქტებს ცივი გაწმენდის წესით ამზადებენ. ტექნიკური დონის მხრივ კუცურის არყის ქარხანა გამოირჩევა. იგი არყის ნაწარმს ცხელი, გახურების წესით ამზადებს<sup>57</sup>.

ქუთაისისა და ბათუმის არყის ქარხნების მიერ გადახდილი წლიური საშუალო სააქციზო თანხა 6—8 ათას მანეთს უდრის. არყის

<sup>54</sup> სცსა, ფ. 371, ს. 901, ფურც. 16, ს. 275, ფურც. 84—85, ს. 1504, ფურც. 36—37, ს. 635, ფურც. 21; ს. 669, ფურც. 120.

<sup>55</sup> სცსა, ფ. 371, ს. 901, ფურც. 16; ს. 275, ფურც. 84—85, ს. 753, ფურც. 14—15 ს. 261, ფურც. 72 ს. 635, ფურც. 12.

<sup>56</sup> სცსა, ფ. 370 ს. 901 ფურც. 51, ს. 930, ფურც. 80, ს. 930, ფურც. 98, ს. 934, ფურც. 108, ს. 823, ფურც. 59.

<sup>57</sup> Обзор... за 1914, Тифл., 1916, с. 241.



პროდუქტების ოდენობა 3—4 ათას ვედროს შეადგენს<sup>58</sup> 1910 წ. ქუთაისის არყის ქარხნებმა 284 ვედრო (28 407 მან.) არყის ნაწარმი გამოუშვეს, ბათუმის არყის ქარხნებმა — 2898 ვედრო (28 983 მან.)<sup>59</sup>. 1912 წ. ქუთაისის არყის ქარხნების პროდუქცია 3136 ვედროს (31 357 მან.), ბათუმისა 3314 ვედროს (33 139 მან.) უდრის<sup>60</sup>. 1913 წ. ქუთაისის არყის ქარხნებმა დაამზადეს 2830 ვედრო არყის ნაწარმი, ბათუმის ქარხნებმა — 4780 ვედრო<sup>61</sup>.

თბილისის, ქუთაისის და ბათუმის არყის ქარხნები არც თუ ისე მცირე რაოდენობის არაყს უშვებდნენ. (ცხრ. 6). ისინი თავისი ნაწარმით მთელ ამიერკავკასიას ამარაგებდნენ.

ახლა გავარკვიოთ როგორ გამოიყურებოდა სხვადასხვა ტიპის არყის წარმოება ამიერკავკასიის სხვა (ბაქოს, ერევნის, ელიზავეტოპოლის) გუბერნიებში. 70-იანი წლების ბოლოს ბაქოს გუბერნიაში იყო არყის 6 ქარხანა, ერევნის გუბერნიაში — 4. 1879 წ., არყის წარმოებაში ახალი წესების შემოღების შემდეგ, ყველა ეს ქარხანა დაიხურა. მხოლოდ 1908 წ. ფირმა „ისტოჩნიკმა“ (მელკუმოვის, ჩაჩიბაიას და ავაკიანცისა) ბაქოში არყის ქარხანა გახსნა. იგი მესამე ხარისხის არყის ნაწარმს უშვებდა. 1909 წ. ქარხანამ წარმოებაში 42429 გრ. სპირტი გამოიყენა და 3586 მან. ზანდეროლი შეარჩია<sup>62</sup>. 1910 წ. — 1 890 ვედრო (18 900 მან.) არყის პროდუქტი გამოუშვა<sup>63</sup>, 1913 წ. — 2 529 ვედრო (25 290 მან.)<sup>64</sup>. 1910—12 წწ. ასეთივე ტიპის ქარხანა არსებობდა ქ. ყარსში. მან 1910 წ. 1062 ვედრო (10 627 მან.) არყის ნაწარმი გამოუშვა<sup>65</sup>, ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში არყის წარმოება არ გვხვდება.

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ამიერკავკასიაში გახსნილი სხვადასხვა არყის ქარხნები უმნიშვნელონი არიან როგორც პროდუქციის ოდენობით, ისე ტექნიკური დონითა და წარმოებული პროდუქციის ხარისხით. ისინი თავისი ნაწარმს მხოლოდ ამიერკავკასიაში ასაღებენ. პროდუქციის ოდენობითა და ხარისხით მხოლოდ თბილისის დ. სარაჯიშვილის და ქუთაისის კუცუტურის გუ-

<sup>58</sup> სცსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 80, 88. ს. 934, ფურც. 108.

<sup>59</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1001 ფურც. 3, 4, 15.

<sup>60</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1569, ფურც. 159, 160.

<sup>61</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1068, ფურც. 234.

<sup>62</sup> სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 174.

<sup>63</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1001 ფურც. 12.

<sup>64</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1068, ფურც. 250.

<sup>65</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1001, ფურც. 12; Кавказский календарь, 1912 с. 263.

სხვადასხვა სახის სპეციალური არყის ქარხნები საქართველოში

წლები	თბილისის გუბერნია			ქუთაისის გუბერნია			სულ საქართველოში		
	ქარხნები	გამომშვებელი პროდუქციის ოდენობა მანეთებში	მუშათა რაოდენობა	ქარხნები	გამომშვებელი პროდუქციის ოდენობა მანეთებში	მუშათა რაოდენობა	ქარხნები	გამომშვებელი პროდუქციის ოდენობა მანეთებში	მუშათა რაოდენობა
1890	3	99280	17	3	40580	21	6	139860	38
1891	2	108170	17	3	51800	13	5	159970	30
1892	3	163230	18	3	68350	9	6	251930	27
1893	4	152380	18	3	50340		7	198650	
1894	4	131730	18	3	47130		7	178860	
1895	5	129080	29	3	41000		8	155750	
1896	4	125620	29	3	31890		7	157510	
1897	5	132840	24	2	24350		5	157190	
1898	4	118380	24	3	28470		7	147150	
1899	4	1049800	25	3	37390	6	7	149380	31
1900	4	70810	20	3	36540	6	7	107350	26
1901	4	99850	17	4	43670		8	143520	17
1902	4	94740	22	4	36500		8	131160	22
1903	4	92380	22		39350	10	4	131730	32
1904	4	91287	19	4	40810		8	138750	19
1905	4	55029	16		23930	6	4	97590	22
1906	5	59140	29		27470	5	5	86510	34
1907	4	76850	—	4	47970	6	8	124820	6
1908	4	72330	15	4	34270		8	106600	15
1909	5	72100	19	4	41190	10	8	113290	29
1910	4	70770	19			10	9		29
1911	4	77450	14	4					
1912	4	86586	14	6		14			28
1913	4	102830	15	6					
1914	4	74880	15	5		14			29

ბერნიის წარმოება გამოირჩევა. წარმოების შესახებ მასალები მიუთითებენ, რომ წარმოება უმნიშვნელოა, მზადდება მხოლოდ

„ სტა, ფ. 370, ს. 823, ფურც. 59, ს. 901, ფურც. 16, 17, 31; ს. 930, ფურც. 80, 88, ს. 934, ს. 108, ფურც. 46; ს. 989, ფურც. 113, 39, ს. 947, ფურც. 32, ს. 940, ფურც. 40; 54, ს. 125, ფურც. 33, 47—48, ს. 224, ფურც. 86, ს. 206, ფურც. 87; ს. 206, ფურც. 100, 71; ს. 106, ფურც. 38; ს. 823, ფურც. 8; ს. 186, ფურც. 98; ს. 708, ფურც. 60; ს. 136, ფურც. 17, 93; ს. 317, ფურც. 62; ს. 143, ფურც. 43; ს. 181, ფურც. 74—75, ს. 2 ფურც. 187, ს. 261, ფურც. 72, ს. 275, ფურც. 84—85 ს. 833, ფურც. 91; ს. 671, ფურც. 68, 73 ს. 670, ფურც. 148, ს. 156, ფურც. 5—13.



ადგილობრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებელი დაბალი ხარისხის ნაწარმი, რომ არავითარი წინსვლა არ შეიმჩნევა, არაყსევი წესით ამზადებენ რომ წარმოება გაყინულია<sup>66</sup>. გამოჩაქლის კუცურის არყის ქარხანა წარმოადგენს, რომლის ნაწარმი „ბერძნული მასტიკა“ დიდი მოწონებით სარგებლობს. 1910-იან წლებში აღნიშნული სასმელის რუსეთში გატანა დაიწყო (1911 წ. იმპერიაში 16 ვედრო გაიტანეს, 1912 წ. — 99, 1913 წ. — 119, 1914 წ. 85 ვედრო. 1914 წ. იგი საზღვარგარეთაც გაგზავნეს<sup>67</sup>).

ამრიგად, 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში არყის წარმოებაში დაწყებულმა აღმავლობამ ჩვენში სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა. საქართველოს არყის წარმოება მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელ წარმოებად დარჩა და რუსეთისათვის მაღალი ხარისხის სხვადასხვა სახის არყის ნაწარმის მიმწოდებელ წარმოებად ვერ გადაიქცა.

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების წიაღში არსებული ათასნაირი ხილ-კენკრეული და ბალახეული მაღალი ხარისხის ყურძნის და ღვინის სპირტი არყის წარმოებისათვის ნედლეულის შესანიშნავ ბაზას წარმოადგენდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს არყის წარმოებამ, მთელი რიგი გარემოებების გამო, სათანადო განვითარებას ვერ მიაღწია.

რა იყო ამის მიზეზი?

საქართველოს ქარხნების არყის ნაწარმი რუსეთის ბაზარზე მამინ გამოჩნდა, როდესაც იმპერიის ბაზარზე უცხოური და რუსული ფირმების საქონელი ბატონობდა. პირველ ხანებში კავკასიური სასმელი მეტად ნელა ვრცელდებოდა, მისი გასაღება ჭირდა. მოსახლეობისათვის უკვე კარგად ცნობილმა რუსულმა და საზღვარგარეთულმა ნაწარმმა მძაფრი კონკურენცია გაუწია საქართველოს არყის წარმოებას. მაგრამ მიუხედავად ამისა, 1900-იან წლებამდე გრძელდებოდა ბრძოლა რუსეთის ბაზრის დაპყრობისათვის. მოსალოდნელა იყო, რომ საქართველოს არყის მწარმოებლები, რომელნიც ახალი, მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის სასმელის დამზადებისათვის ილწვოდნენ, შეძლებდნენ კიდევ რუსეთის ბაზარზე დამკვიდრებას და პროდუქციის შემდგომი დახვეწით, მისი ნა-

<sup>66</sup> სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 29, 39, ს. 930, ფურც. 24, 21; ს. 823, ფურც. 59, ს. 901, ფურც. 51; ს. 947, ფურც. 32, ს. 403, ფურც. 122, სცსა, ფ. 12, ანაწ. 1, ს. 1636, ფურც. 32, სცსა, ფ. 371, ს. 671, ფურც. 68, ფ. 370, ს. 833, ფურც. 128, 146.

<sup>67</sup> Озор... за 1914, Тифл., 1916. с. 241.

რისხის ამალღებითა და გაიაფებით ფართო სავაჭრო სარბიელზე გამოსვლას, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლის პროცესში მათ წინსვლას საკმაოდ დიდი დალი დაასვა 1900 წლის ახალმა სააქციზო წესებმა, რომელმაც ორმაგად გაზარდა არყის წარმოებაზე გაწეული ხარჯები<sup>68</sup>. ამ უკანასკნელმა გარემოებამ სასწორი არყის წარმოების საზიანოდ გადახარა და არარენტაბელობის გამო მისი პროდუქციის თანდათანობითი შემცირება და წარმოების დაქვეითება გამოიწვია.

არყის წარმოებისათვის ერთგვარ ხელისშემშლელ ფაქტორად კონიაკის წარმოებაც გამოვიდა. ამ პერიოდში სპირტისა და არყის მსხვილმა მრეწველებმა მთელი გატაცებით კონიაკის წარმოებას მიჰყვეს ხელი. აღნიშნული საქმე მეტად რთული, დიდი კაპიტალდაბანდების მშთანთქავი იყო, დიდ ღროს მოითხოვდა, სამაგიეროდ კარგი ანაზღაურების მომტანი და მომგებიანი იყო. სააქციზო ზედამხედველი 1892 წ. ანგარიშში მიუთითებდა რა არყის პროდუქტების წარმოების შემცირების ფაქტზე, აღნიშნავდა, რომ ყველაზე მსხვილი არყის ქარხნის მფლობელი — დ. სარაჯიშვილი მთლიანად კონიაკის წარმოებითაა დაკავებული, ამიტომ არყის ქარხანას ნაკლებ ყურადღებას აქცევს<sup>69</sup>. ამიერკავკასია რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის ძირითადი ბაზა იყო. ეს გარემოება ადგილობრივ მრეწველებს კონიაკის სრულყოფილი წარმოების განვითარების საფუძველს უქმნიდა. ამის გამო მათი ყურადღება არყის წარმოებასთან შედარებით უფრო მომგებიან — კონიაკის დამზადებაზე იქნა გადატანილი. არყის წარმოებაზე მათი კონტროლი შესუსტდა, რამაც მისი პროდუქციის ხარისხზე და ოდენობაზეც გავლენა იქონია. საშუალო და დაბალი ხარისხის პროდუქტით რუსეთის იმპერიის და საზღვარგარეთის მაღალი ხარისხის ნაწარმისათვის კონკურენციის გაწევა ძნელი იყო, ამიტომ საქართველოს არყის მწარმოებლები თანდათან ჩამოშორდნენ იმპერიის ბაზარს და ადგილობრივი მოთხოვნილების შესაბამისად საშუალო და დაბალი ხარისხის პროდუქტის წა-

<sup>68</sup> 1900 წლის დადგენილებით დამატებითი სააქციზო თანხა დამზადებულ 1 ვედრო არყის პროდუქტზე 1 მან-დან 2 მან-მდე გაიზარდა. შესაბამისად გაიზარდა საბანდეროლო თანხაც, 1 ვედრო არყის პროდუქტზე 1 მან-ის ნაცვლად 2 მან. გახდა. სატანტო ქალაქის ქარხნებისათვის არყის პროდუქტების წარმოების უმცირესი ნორმა 2,000 მან-ისნაცვლად 4000 მან-მდე გაიზარდა საგუბერნიო ქალაქებისათვის 1000 მანეთიდან 2000 მან-მდე, ხოლო სამაზრო ქალაქებისათვის, 1000 მან-მდე.

<sup>69</sup> სცსა, ფ. 371, ს. 106, ფურც. 38.

რმოება იწყეს. არყის პროდუქტების რუსეთში გატანის შეწყვეტამ, ამიერკავკასიაში არყის ნაწარმზე უმნიშვნელო მოთხოვნის შემთხვევაში, არყის პროდუქციის წარმოების ოდენობის შემცირება გამოიწვია<sup>70</sup>. ყველა ამ ფაქტორმა ერთად აღებულმა არყის წარმოების ზრდა-განვითარება შეასუსტა და მისი წინსვლა შეაჩერა.

ამიერკავკასიაში სხვადასხვა სახის არყის წარმოება ძირითადად საქართველოს ქალაქებში — თბილისში, ბათუმში, ფოთსა და ქუთაისში იყრის თავს. ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში და მის ქალაქებში გახსნილი სხვადასხვა ტიპის არყის ქარხნები უმნიშვნელონი არიან როგორც პროდუქციის ოდენობით, ისე ტექნიკური დონითა და წარმოებული პროდუქციის ხარისხით. ამიერკავკასიის მრავალრიცხოვან მომხმარებელს არყის პროდუქტებით საქართველოს არყის ქარხნები ამარაგებენ.

### თ ა ვ ი III

### კონიაკის წარმოება

მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული სასმელის — კონიაკის სამშობლო საფრანგეთია. მისი სახელწოდება საფრანგეთის შარანტის დეპარტამენტის ქალაქ კონიაკიდან წარმოსდგა, საიდანაც აღნიშნული სასმელი ინგლისში და აქედან მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა. საფრანგეთში უხსოვარი დროიდან იყო ცნობილი ყურძნის არყის დამზადება. ყურძნის ღვინისაგან არყის დამზადება და ექსპორტი განსაკუთრებით XVII ს-დან განვითარდა. მაგრამ საფრანგეთ-ინგლისის ხანგრძლივი ომის შედეგად არყის საექსპორტოდ გატანა შეწყდა. გასაღების ბაზარს მოკლებული მწარმოებელნი იძულებულნი იყვნენ გამოხდილი არაყი საფრანგეთში ფართოდ გავრცელებულ მუხის კასრებში წლების განმავლობაში შეენახათ. მუხის კასრებში არყის დაძველებამ მას ფერი, სურნელება და გემო შეუცვალა. მან მუხის მერქნიდან სასიამოვნო გემო და სურნელება შეიძინა და თავისი ღირსებით ახლად გამოხდილი არყისგან სავსებით განსხვავებული სასმელი დადგა. ომის დამთავრების შემდეგ გასაყიდად გატანილმა არაყმა მომხმარებელთა დიდი მოწონება და ყურადღება დაიმსახურა. ინგლისიდან მდინარე

<sup>70</sup> სცსა, ფ. 12, ანაწ. 1, ს. 1636, ფურც. 32; სცსა, ფ. 371, ს. 186, ფურც. 98.

შარატზე შემოსული სავაჭრო გემები ბაზარს უქმნიდნენ ქ. კონია-  
კის არყით ვაჭრობას. მეზღვაურები კასრებით ყიდულობდნენ<sup>1</sup>  
და ინგლისში გაჰქონდათ, აქედან კი მთელ მსოფლიოში ვრცე-  
ლდებოდა. XVIII ს. II ნახევარში ქ. კონიაკის არყის რეპუტაციამ  
უმალლეს წერტილს მიაღწია. შემდგომში, ქ. კონიაკისათვის დამახა-  
სიათებელი კლასიკური ტექნოლოგიის დაცვით მიღებული სასმე-  
ლი, კონიაკის სახელით გახდა ცნობილი და ასევე გავრცელდა მსო-  
ფლიოში<sup>1</sup>.

ღროთა ვითარებაში ხდებოდა კონიაკის წარმოების ტექნო-  
ლოგიის დახვეწა-გაუმჯობესება. პირველ ხანებში 65—70 გრადუსი-  
სიმაგრის სპირტი მუხის კასრებში იმდენ ხანს ინახებოდა, სანამ  
მისი სიმაგრე 45—50°-მდე დავიდოდა, რასაც ათეული წლები ჭი-  
რდებოდა (10—30 წელი)<sup>2</sup>, ამიტომ კონიაკის ფასიც მეტად დიდი  
იყო<sup>3</sup>. კონიაკის დამზადების კლასიკური ტექნოლოგიით აუცილე-  
ბელი იყო ღვინო-მასალის შერჩევა, მისი მხოლოდ სპილენძის  
მცირე მოცულობის ქვაბში ორჯერადი და ნელი გამოხდა, თავი და  
ბოლო ნახადის მოშორება, წარმოებაში მხოლოდ შუა ნახადის გა-  
მოყენება, საკონიაკე სპირტის 30 — 40 დეკალიტრიან მუხის კასრე-  
ბში დაძველება და სხვ<sup>4</sup>.

შემდეგ თანდათან შეიცვალა კონიაკის დამზადების წესი. მასში  
სხვადასხვა თვისების მაღალი ხარისხის სპირტების შერევა იწყეს,  
რამაც ხელი შეუწყო მისი ხარისხის გაუმჯობესებას. მაღალი ხარი-  
სხის საკონიაკე სპირტის მისაღებად დიდი მნიშვნელობა ჰქო-  
ნდა ღვინის შერჩევას. ფრანგული კანონმდებლობა მოითხოვდა  
მტკიცედ დაეცვათ კონიაკის ტექნოლოგიის დადგენილი ნორმები  
— ღვინო მასალის ხარისხი, მისი სპილენძის ქვაბში ორჯერადი გა-  
მოხდა, დაძველება და სხვ. ჭაჭის, დაბალი ხარისხის უვარგისი ღვი-  
ნის ან მეღვინეობის ნარჩენების კონიაკის წარმოებაში გამოყენე-  
ბა დაუშვებელი იყო. თანდათან გაუმჯობესდა საკონიაკე სპირტის  
გამოსახდელი აპარატიც. შარანტის დეპარტამენტის სამრეწველო  
ფირმები მტკიცედ იცავდნენ კონიაკის ტექნოლოგიის დადგენილ  
ნორმებს და მაღალი ხარისხის კონიაკებს უშვებდნენ<sup>5</sup>.

1 ა. ლ ა შ ი, კონიაკის წარმოება, თბ., 1967, გვ. 7.

2 ვ. პ ე ტ რ ი ა შ ვ ი ლ ი, ღვინის დაყენება, თბ., 1895, გვ. 489.

3 Бессарабское сельское хозяйство, 1910, № 18, с. 449.

4 ა. ლ ა შ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 8.

5 Л. М. Джамопладян, Очерки развития отечественного коньячного производства, Ер., 1966, с. 23.

კონიაკმა სწრაფად გაითქვა სახელი. მისი პირველი თუხეხი-  
მცემლები ინგლისელები და პოლანდიელები, უფროსად კონიაკის წა-  
კი სკანდინავიელები იყვნენ. საფრანგეთის შემდეგ კონიაკის წა-  
რმოებით სახელი მოიხვეჭა საბერძნეთმა. ბერძნული კონიაკი შე-  
მდეგში ღიდ მეტოქეობას უწევდა ფრანგულს.

კონიაკზე მოთხოვნილების ზრდა განსაკუთრებით XIX ს. და-  
საწყისიდან შეიმჩნევა. იზრდება მისი ფასი, საზოგადოების თითქმის  
ყველა წრისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი და ფუფუნების საგანი  
ხდება, სპირტიან სასმელებს შორის პირველ ადგილს იჭერს. კონ-  
იაკზე მოთხოვნილების ზრდამ მწარმოებელთა ერთი ნაწილის მი-  
ერ კონიაკის ფალსიფიკაცია გამოიწვია. XIX ს. 40-იან წლებამდე  
საფრანგეთში კონიაკის წარმოებისათვის საჭირო მთელი სპირტი  
მხოლოდ ღვინის გამოხდით მიიღებოდა<sup>6</sup>. მაგრამ თანდათან საკონ-  
იაკე სპირტის წარმოებაში ისეთი ნედლი მასალის გამოყენება  
იწყეს, როგორცაა შაქრის ლერწამი, ჭარხალი, კარტოფილი და  
სხვ. ამაზე ნათლად მეტყველებენ შემდეგი ფაქტები: 1886—1887  
წწ. საფრანგეთში ღვინიდან გამოხადეს მხოლოდ 215730 ვედრო  
სპირტი, მაშინ როდესაც საფრანგეთიდან ინგლისში 1013160 ვე-  
დრო გაიტანეს. ამავე დროს მარტო პარიზში ყოველწლიურად და-  
ახლოებით 1 219 500 ვედრო კონიაკი მოიხმარებოდა<sup>7</sup>. 1881—91  
წწ. მონაცემებით საფრანგეთი საშუალოდ 752 ათას ვედრო სპი-  
რტს აწარმოებდა, ხოლო კონიაკის გატანა წელიწადში 1668000  
ვედროს უდრიდა<sup>8</sup>. 1887—90 წწ. პროფ. ვ. შკატელოვის მონაცემე-  
ბით, საფრანგეთში 289 ათასი ჰექტოლიტრი კონიაკი დამზადდა,  
ამავე წლებში კი 582 ათასი ჰექტოლიტრი გაიტანეს, ე.ი 293 ჰე-  
ქტოლიტრით მეტი, ვიდრე დამზადდა. ნატურალური ფრანგული  
კონიაკის ძირითადი მომხმარებელი ინგლისი იყო, დანარჩენი სა-  
ხელმწიფოები უმეტესად ფალსიფიცირებულ პროდუქტს იძე-  
ნდნენ. შარანტის რაიონის ფირმების კონიაკის ექსპორტი ძირითა-  
დად ინგლისის კონტროლს ექვემდებარებოდა. 1887—90 წწ. სა-  
ფრანგეთიდან ინგლისში გატანილი კონიაკის რაოდენობა 309 ათას  
ჰექტოლიტრს უდრიდა, რაც მთელი ექსპორტის ნახევარზე მეტი  
იყო<sup>9</sup>.

<sup>6</sup> В. Шкателов, Коньяк, СПб., 1896. с. 1—6.

<sup>7</sup> КСХ, 1895 № 96 (Кавказское Сельское хозяйство).

<sup>8</sup> ВВ. (Вестник виноделия), 1897. № 1.

<sup>9</sup> В. Шкателов, დასახ. ნაშრ., გვ. 5—6.



კონიაკზე მოთხოვნილება და მისი მოხმარება რუსეთში განსაკუთრებით XIX ს. II ნახევრიდან გაიზარდა. იმის გამო, რომ ამ დროის იმპერიაში კონიაკის საკუთარი წარმოება არ არსებობდა, იგი დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან. რუსეთში განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობდა ფრანგული კონიაკი. კონიაკზე მოთხოვნილების ზრდამ ხელი შეუწყო რუსეთის იმპერიაში ფალსიფიცირებული კონიაკის დიდი რაოდენობით შემოზიდვას. მაღალი ხარისხის ფრანგულ კონიაკთან ერთად, რუსეთის ბაზარი უმეტესად მდარე ხარისხის პროდუქტით ივსებოდა. ერთ-ერთი თანამედროვის გადმოცემით, „Русские предпочитают коньяк другим таким же напиткам. Они находят для себя выгодным и необременительным уплачивать ежегодно около 1 250 000 руб. за весьма сомнительного происхождения напиток»<sup>10</sup>. «Большинство просто искусственный продукт и положительно смешно, какая дрянь продается за „Fine champagne“ (ფრანგული კონიაკის სახელწოდება — მ. მ.) и выпивается с доброю ерою»<sup>11</sup>. საზღვარგარეთული კონიაკის შოვნა რუსეთში მეტად ძნელი იყო და ძვირი ღირდა.

კონიაკზე მოთხოვნილების ზრდამ, მისმა მაღალმა საბაზრო ფასმა, საზღვარგარეთის ფალსიფიცირებული კონიაკის შექმნაზე გაღებულმა უამრავმა თანხამ რუსეთი კონიაკის საკუთარი წარმოების შექმნის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

ბუნებრივია, რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოება ისეთ ადგილებში უნდა შექმნილიყო, სადაც სათანადო კლიმატური პირობები არსებობდა. ამ მხრივ ყველაზე მეტად კავკასია, ყირიმი, ბესარაბია და ნაწილობრივ თურქესტანის მხარე გამოირჩეოდა. კონიაკის წარმოების ჩასახვა-განვითარება სწორედ ამ ადგილებთან არის დაკავშირებული.

რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოება მისი განვითარების ხასიათის, ტექნოლოგიური ნორმებისა და ტექნიკური აღჭურვილობის დონის მიხედვით, შეიძლება რამდენიმე ეტაპად დავყოთ:

I — XIX ს. დასაწყისიდან 70-იან წლებამდე — კონიაკის წარმოების განვითარების წინა პერიოდი.

II — ა) XIX ს. 70-იანი წლები — ცდები და პირველი ნაბიჯები კონიაკის წარმოებაში.

<sup>10</sup> იქვე, ВВ, 1892 № 12.

<sup>11</sup> ВВ, 1897, № 11.

ბ) XIX ს. 80-იანი წლები — კონიაკის სამრეწველო წარმოების ჩასახვა. ძვრები კონიაკის წარმოების ტექნოლოგიაში

III — კონიაკის სამრეწველო წარმოების ზრდა-განვითარება რუსეთის იმპერიაში 1890-1914 წწ.

ა) კაპიტალისტური წამოწყებანი კონიაკის წარმოებაში, 1890-1900-ანი წლები.

ბ) კონიაკის წარმოების მძლავრი განვითარება, სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობების შექმნა — 1900-იანი წლების დასაწყისიდან 1914 წ.

\*  
\*                      \*

კონიაკის წარმოების განვითარების პირველ ეტაპზე ლიტერატურაში, კანონმდებლობაში და პრაქტიკაში კონიაკის სახით იგულისხმება ჩვეულებრივი ყურძნის არაყი, რომელიც მზადდება ლვინის, ყურძნის ბადაგის, ჭაჭის და მელვინეობის ნარჩენებისაგან<sup>12</sup>. ამ პერიოდში არ არსებობს, კონიაკის დამზადებაში არ იყენებენ კონიაკის ტექნოლოგიის დადგენილ ნორმებს (ლვინის შერჩევა, ძისი სპილენძის ქვაბში ორჯერადი ნელი გამოხდა, შუა გამონახადის კონიაკის წარმოებაში გამოყენება, თავი და ბოლო ნახადის მოშორება, საკონიაკე სპირტის დაძველება და სხვა). კონიაკის წარმოება არ არის გამოყოფილი ყურძნის სპირტის წარმოებიდან. იგი საერთო წესებს ექვემდებარება. წარმოების ზრდა-განვითარების მიზნით არ არის დაშვებული რაიმე შეღავათი.

აღნიშნულ ეტაპზე რუსეთში დიდი მოწონებით სარგებლობს ყიზლარში დამზადებული ყურძნის არაყი „კიზლარკის“ სახელწოდებით. რუსულ კანონმდებლობაში „კიზლარკა“ გათანაბრებულია კონიაკთან. წყაროებში იგი იხსენიება როგორც „ყურძნის არაყი, რუსული კონიაკი — „კიზლარკა“<sup>13</sup>. „კიზლარკაზე“ მოთხოვნილების ზრდა განსაკუთრებით XIX ს. 20-იან წლებამდე შეიმჩნევა. 1817 წლიდან ყიზლარული არაყი ფრანგული საზომით იყიდება და ანკე-

<sup>12</sup> КСХ, 1895 № 96.

<sup>13</sup> ЦГИА СССР, ფ. 574. ანაწ., 1, ს. 594, ფურტ. 22.



რი 60 მან. ღირს. 1829 წლიდან ანკერის ღირებულება 30 მანეთამდე შემცირდა, ხოლო 1835 წლისათვის 8 მანეთამდე<sup>14</sup>.

ყიზლარულ არაყზე მოთხოვნილების ზრდამ ხელი შეუწყო ჩრდილოეთ კავკასიაში სპირტის წარმოების სწრაფ განვითარებას. ყიზლარის მოსახლეობამ ვაზის ისეთი ჯიშების დიდი რაოდენობით მოშენება იწყო, რომელიც ადვილი მოსავლელი და მეღვინეობისათვის ნაკლებად გამოსაყენებელი იყო (მოწითალო და წითელი ყურძნის ჯიშები). მოსავლის უმეტესი ნაწილი არყის გამოზდაზე მიდიოდა. სპირტის წარმოება მეღვინეობის განუყრელ კომპონენტად იქცა.

ყიზლარული არყის უმეტესი ნაწილი ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზარზე გაჰქონდათ, ნაწილი ადგილობრივი ღვინოების გამაგრებისათვის მოიხმარებოდა, მცირე რაოდენობით კი (500 კასრი წელიწადში) რუსეთის ცალკეულ ქალაქებში იგზავნებოდა<sup>15</sup>. რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში ყიზლარიდან ყურძნის სპირტის გატანა თანდათან გაიზარდა, 1863 წლისათვის 10000 ვედრო შეადგინა<sup>16</sup>.

XIX ს. I ნახევარში ყურძნის სპირტის წარმოება არავითარი გადასახადით არ იბეგრებოდა, ამიტომ იგი პურის სპირტის კონკურენციას ადვილად უძლებდა. 1861 წ. 4 ივლისის დადგენილებით ყურძნის სპირტის წარმოების დაბეგრამ პურის სპირტი გააიფა, თანდათან გაუმჯობესდა მისი წარმოებაც. იაფი პურის სპირტის დიდი რაოდენობით გაჩენამ „ყიზლარკზე“ მოთხოვნილება დასცა. 60-იანი წლებისათვის მისი წარმოება თითქმის მინიმუმამდე დავიდა, შეწყდა იმპერიის ცენტრალურ ქალაქებში მისი მიწოდებაც<sup>17</sup>.

იმისათვის, რომ დავადგინოთ, რუსეთში კონიაკად წოდებული „ყიზლარკა“ იყო თუ არა კონიაკი, გავეცნოთ მისი დამზადების ტექნოლოგიას.

საარქივო და ლიტერატურული მასალები გვაუწყებენ, რომ „ყიზლარკის“ წარმოებისათვის ნედლ მასალად გამოიყენებოდა ყურძნის უვარგისი მტევნების და წითელი ყურძნისგან დაწურული

<sup>14</sup> ТКОСХ (Труды Кавказского Общества Сельского хоз-ва), 1885, № 5. с. 350.

<sup>15</sup> Очерки Виноделия Кавказа, 1875, с. 183.

<sup>16</sup> Фабрично-заводская промышленность и торговля России, изд. 11, СПб., 1896. с. 256—257.

<sup>17</sup> Труды Совещания о нуждах виноградарства и виноделия, СПб., 1905, с. 59.

წვენი, ზოგ შემთხვევაში დამყავებული ღვინო, „დროჟი“<sup>18</sup> ჩაბლა (ჭაჭა)<sup>19</sup>, მდარე ხარისხის ყიზლარული ღვინო „ჩიხირი“. ამ უკანასკნელის შესახებ წყაროები მიუთითებენ: „წითელი ყურძნისაგან მიღებული ღვინო, ე. წ. „ჩიხირი“, რაც გნებავთ ყველაფერია და არა — ღვინო. ეს არის ვარდისფერი, უკიდურესობამდე წყალ-წყალა სითხე, რომელიც 4,9-დან 5,6 გრადუს ალკოჰოლს შეიცავს“<sup>20</sup>.

სათანადო მასალაზე დაყრდნობით შემდეგი ხასიათის დასკვნის გამოტანა შეიძლება: „კიზლარკა“ უბრალო არყის ქვაბებში გამოხდილ ჩვეულებრივ ყურძნის არაყს წარმოადგენდა. ნედლ მასალად ყველა შემთხვევაში დამყავებული ან უვარგისი ღვინო და ჭაჭა გამოიყენებოდა. გამოხდილი სპირტი რიგ შემთხვევებში ინახებოდა მუხის კასრებში, ეს კი ყურძნის სპირტს კონიაკის ფერს და ნაწილობრივ მის მსგავს სურნელებას აძლევდა, ამიტომ მას ფრანგულ კონიაკებთან აიგივებდნენ. მაგრამ კონიაკის წარმოებისათვის მიუღებელი ნედლი მასალის გამოყენება, მისი დაძველების გარეშე ბაზარზე გამოტანა, მის ხარისხს განსაზღვრავდა. წყაროები კიზლარკის ვარგინობის შესახებ მიუთითებენ: „ყურძნის არაყი, რუსული კონიაკი, „კიზლარკა“, იმ სახით როგორც იგი ბაზარზე იყიდება, თავისი ღირსებით იგივე ღირებულების კონიაკზე დაბლა დგას «Причина этого кроется, в полной ея невыдержанности и высокой крепости. Все это придает ей «грубый»... вкус... она отличается особым ароматом, мало напоминающим заграничного коньяка... содержит значительное количество сивушного масла»<sup>21</sup>.

ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ცხადი ხდება, რომ ყიზლარული არაყი — „კიზლარკა“ — ნედლი მასალით, გამოხდით, დაყენებითა და ტექნოლოგიით არ იყო კონიაკი. იგი რუსეთში კონიაკის წარმოების ერთგვარ წინამორბედს, მასთან მიახლოებულ სასმელს წარმოადგენდა.

კიზლარკის ტიპის არაყი დიდი რაოდენობით მზადდებოდა ამიერკავკასიაში, კერძოდ მეღვინეობის უძველეს ქვეყნებში — საქართველოსა და სომხეთში. აქ უბრალო სპილენძის არყის ქვაბებში ყურძნის ღვინის, მისი ნარჩენების — ჭაჭის და ხილისგან არყის გამოხდა უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ხარისხითა და გემოთი

<sup>18</sup> ЗКОСХ, (Записки Кавказского Общества сельского хозяйства) 874, №2, 3.

<sup>19</sup> ი ქ ვ ე.

<sup>20</sup> ЦГИА СССР, ფ. 574. ანაწ. 1, ს. 559, ფურც. 371.

<sup>21</sup> ЦГИА СССР, ფ. 574. ანაწ. 1, ს. 594 ფურც. 22, 33—34.

განსაკუთრებით კახური „ჭაჭის არაყი“ გამოირჩეოდა, რომელიც კიზლარკასთან იყო გათანაბრებული<sup>22</sup>.

\*  
\*   \*  
\*

კონიაკის ტექნოლოგიის გათვალისწინებით სრულყოფილი სასმელის შექმნის ცდები რუსეთში 70-იანი წლების დასაწყისშია აღნუსხული. სტავროპოლის გუბერნიის სააქციზო სამმართველოს უფროსი ტერეშჩენკო კავკასიის მეფისნაცვლისადმი წარდგენილ მოხსენებაში ითხოვს, რომ არყის წარმოებაში გათვითცნობიერებულმა მოხელემ — სერებრიაკოვმა მისი ზედამხედველობით აწარმოოს ცდები კონიაკის წარმოების საქმეში. საქმიდან ირკვევა, რომ ტერეშჩენკომ ამ მიზნით გამოიყენა სააფთიაქო გამოსახდელი კუბი (4 ვედროს მოცულობის). 1867 წ. მან. არაყი გამოხადა უშუალოდ ღვინის და ღვინისა და კომშის ნარევისგან. მისი აზრით, გამოხდილი არაყი, რომელსაც იგი კონიაკს უწოდებს, არის კარგი ღირსების, მაგრამ სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული უამრავი საქმე საშუალებას არ აძლევს აღნიშნული წამოწყება ბოლომდე მიიყვანოს. მას სასურველად მიაჩნია არაყი კარგად დადუღებული ღვინისგან გამოხადოს. კონიაკის წარმოებისათვის სავსებით შეუსაბამოდ თვლის წარმოებაში „ჩაპრის“ (ჭაჭის) გამოყენებას. მისი აზრით, ორთქლის ქვაბებში გამოხდილი არაყი, რომელიც ჭაჭისაგან იხდება, მეტად დაბალი ხარისხისაა, რის გამოც „რახის ზეთის აუტანელი სუნი დაჰყვება“<sup>23</sup>.

მოუცლევლობის გამო აღნიშნულ საქმეს ავალებს სერებრიაკოვს. მისი მიზანია ყიზლარული არყის ხარისხის გაუმჯობესება, მისი უცხოურ სასმელთან დაპირისპირება. საქმიდან ვიგებთ, რომ სერებრიაკოვმა იგივე სააფთიაქო გამოსახდელი კუბი გამოიყენა. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ტერეშჩენკო ირწმუნება, რომ „ყიზლარში, მეღვინეობის პროდუქტების ზედმიწევნით დამუშავების შედეგად, შეიძლება მიღებულ იქნეს კონიაკი, რომელიც თავისი ღირსებით ფრანგული კონიაკის ღონეზე იდგება“<sup>24</sup>.

<sup>22</sup> Труды Совещания о нуждах виноградарства и виноделия 1903—1905 СПб., 1906. с. 5.

<sup>23</sup> სცსა, ფ. 7, ანაწ. 7, ს. 418, ფურც. 5.

<sup>24</sup> იქვე, ფურც. 5.





ტერეშჩენკო სერებრიაკოვის წარმოებისათვის რიგი შედეგების მინიჭებას ითხოვს (სააქციზო გადასახადებისაგან განთავსების უფლებას, შემოსავლის დიდი ნაწილის წარმოების საჭიროებისათვის მოხმარებას და სხვ.). ტერეშჩენკოსა და სერებრიაკოვის ეს წამოწყება არ განხორციელდა. მათ უარი ეთქვათ იმ საბაბით, რომ აღნიშნულ წარმოებაზე დაშვებული შედეგათები უარყოფით გავლენას იქონიებდა ადგილობრივი მწარმოებლების საქმიანობაზე<sup>25</sup>. აღნიშნულ წარმოებაში მოცემულია ყურძნის არყის ხარისხის გაუმჯობესების ცდა. ტერეშჩენკოს მიაჩნია, რომ კონიაკის მიღება შესაძლებელია ღვინის გამოხდით და მისგან „ჩაპრის“ ჩამოცილებით. ეს ზომა, რა თქმა უნდა, არყის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მიღებული სასმელი კონიაკად არ შეიძლება ჩაითვალოს. მის წერილობით განცხადებაში აღნიშნულია, რომ იგი ღვინოსთან ერთად სურნელების გაუმჯობესების მიზნით გამოხდის აგრეთვე კომშის არაყს. ტერეშჩენკოს დასაშვებად მიაჩნია აგრეთვე წარმოებაში ღვინის დროყის გამოყენება. ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ საბუთებში აგრეთვე არაფერია ნათქვამი კონიაკის წარმოებისათვის აუცილებელი პირობის — ღვინის არყის მუხის კასრებში დაძველების შესახებ, რომლის გარეშე კონიაკის წარმოება წარმოუდგენელია. ჩამოთვლილი ხარვეზების მიუხედავად, აქ ჩვენ ჩვეულებრივ არაყთან შედარებით სრულყოფილი სასმელის შექმნის ცდას ვხედავთ. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ ეტაპზე რუსეთის მთავრობა ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევს კონიაკის საკუთარი წარმოების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს.

დაახლოებით ასეთივე ტიპის წამოწყებად შეიძლება ჩაითვალოს 70-იან წლებში ყირიმში „კონიაკის“ დასამზადებლად ჩატარებული ცდები. ეს წარმოება პროდუქციის ოდენობით ისე მცირე და უმნიშვნელო იყო, რომ მას ნაკლებად იცნობდნენ<sup>26</sup>.

ყირიმში, ვორონცოვის მამულში, ჩამოყალიბდა აგრეთვე „კონიაკის“ უფრო მნიშვნელოვანი წარმოება. აქ დამზადებული სასმელი 1879 წლამდე „კონიაკის“ იარლიყით გამოდიოდა. მისი სიმაგრე 60° აღწევდა. სპირტის გაწმენდა ხდებოდა ნახშირითა და სილით საესე ცილინდრში — ე. ი. ცივი წესით. მიღებული პროდუქტის მეტად უმნიშვნელო ნაწილი რამდენიმე წლით მუხის კასრებში

<sup>25</sup> სსსა, ფ. 7, ანაწ., 7, ს. 418. ფურც. 5, 22.

<sup>26</sup> Фабрично-заводская промышленность и торговля России, Изд. 2, СПб. 1896, с. 256 — 257.

ძველდებოდა. შემდეგ იგი „კონიაკის სახელწოდებით“ იყიდებოდა, ნაწილი კი ადგილზე, მამულშივე მოიხმარებოდა. 1879 წელს აღნიშნულ სასმელს „კონიაკის“ იარლიყი მოხსნეს და მისი ბაზარზე გაყიდვა ღვინის ეტიკეტით იწყეს. 1891 წ. კი ისევ „კონიაკის“ იარლიყით გაიტანეს<sup>27</sup>.

იმის გამო, რომ სააქციზო კანონმდებლობაში არ იყო აღნიშნული, თუ რა ხასიათის სასმელი შეიძლებოდა მიკუთვნებოდა კონიაკს და ისე იშვიათად წამოიჭრებოდა ხოლმე ეს საკითხი, რომ თვით სააქციზო ზედანხედველს, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა სპირტის წარმოებასთან, უჭირდა სასმელის რაობის განსაზღვრა.

ვორონცოვის მამულში დამზადებული სასმელის ტექნოლოგიის შესახებ ცნობილია, რომ აქ სპირტის გამოხდა უბრალო არყის ქვაბში ხდებოდა<sup>28</sup>. ნედლეულად გამოიყენებოდა ერთმანეთში არეული ჭაჭა, დროყე და ღვინო. მიღებულ სპირტს გამოსახდელი ქვაბის ძირში მიმწვარი ჭაჭის და რახის ზეთის სპეციფიკური გემო დაჰყვებოდა. სპირტის გასუფთავება და გაწმენდა მეტად პრიმიტიულად ხდებოდა, რის გამოც აქ დამზადებული კონიაკი თავისი ხარისხით ფრანგული ასეთი ტიპის დაბალი ხარისხის სასმელს ჩამორჩებოდა<sup>29</sup>. ამასთან, აქ მეტად მცირე რაოდენობის სასაქონლო პროდუქტს ამზადებდნენ. 1884 წლიდან, სააქციზო სისტემაში მომხდარი ცვლილებების გამო, მისი წარმოება სრულიად შეწყდა.

ასეთივე ტიპის „კონიაკების“ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ XIX ს. 80-იანი წლების ბოლომდე რომანოვების, რაევსკის მამულებში, ტემპელგოფში და სხვაგან დამზადებული სასმელები. აქ, გარდა იმისა, რომ სპირტის გამოხდა უბრალო არყის სახდელ ქვაბებში ხდებოდა, არ იყო გათვალისწინებული კონიაკის ტექნოლოგიის ნორმები. ამავე დროს წარმოება მეტად უმნიშვნელო რაოდენობის სასაქონლო პროდუქტს იძლეოდა და ძირითადად ოჯახური მოხმარების ფარგლებს არ სცილდებოდა.

ამრიგად, ყველა ეს წამოწყება პრიმიტიული იყო, რის გამოც ვერ უძლებდა არსებულ კონკურენციას და იხურებოდა, ან სპორადულ ხასიათს ატარებდა, ზოგჯერ კი, როგორც ითქვა, საოჯახო მოხმარების ფარგლებს არ სცილდებოდა.

<sup>27</sup> ЦГИА СССР, ф. 574, о. н. а. 1, с. 595, ფურც. 128, 144, 186, 195. 197.

<sup>28</sup> Л. И. Джанполадян, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

<sup>29</sup> Фабрично-заводская промышленность и Торговля России, Изд. 2, СПб., 1896, с. 256—257.



მათ წარუმატებლობას ხელს უწყობდა ისიც, რომ კონიაკის წარმოება მოითხოვდა ფულის დიდი რაოდენობით დაბანდებას<sup>30</sup>. სხვა სახის საწარმო შედარებით ადრე ანაზღაურებს ხარჯებს, კონიაკისა კი საჭიროებს დიდ დროს, რადგან მისი წარმოება სპირტის დაძველებასთან არის დაკავშირებული. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ რუსეთის ბაზარზე უცხოეთიდან შემოტანილი კონიაკი ბატონობდა, ახალ წარმოებას გზა უნდა გაეკაფა მასთან ბრძოლაში. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი ხელს უშლიდა ახალი წარმოების განვითარებას, ამიტომ ხშირად ახლად შექმნილი კონიაკის წარმოება კოტრდებოდა და იხურებოდა<sup>30</sup>.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის მსხვილი არყის ქარხნებში დიდი რაოდენობით ამზადდებდნენ კონიაკს რექტიფიცირებული სპირტისა და კონიაკის ესენციისაგან. ასეთი სახის ნაწარმი „ხელოვნური კონიაკის“ სახელწოდებით გამოდიოდა. იარლიყზე მას ხელოვნური კონიაკის დამლაჰქონდა, მაგრამ ეს ისე წვრილი შრიფტით იყო დაბეჭდილი, რომ შეუიარაღებელი თვალით მეტად ძნელად წასაკითხი იყო<sup>31</sup>.

80-იანი წლების ბოლოსათვის უკვე ჩნდება ცალკეული დებულებები, რომელნიც მიზნად ისახვენ კონიაკის წარმოების განვითარებისათვის ხელის შეწყობას. 1887 წლამდე კონიაკი, ყურძნის არაყი სხვადასხვა სახის არყის ნაწარმის კატეგორიაში შედიოდა, ამიტომ კონიაკის წარმოებაზე მრეწველი სხვადასხვა სახის არყის პროდუქტებზე შეწერილ გადასახადს იხდიდა (1 მან. 1 ვედრო არყის ნაწარმზე). 1887 წლის 5 ივნისის დადგენილებით კონიაკის წარმოება დამატებითი გადასახადისაგან გათავისუფლდა. არყის ქარხნებს აგრეთვე ყურძნის არყის სარდაფებში დაძველების უფლება მიეცათ. ეს წესი პეტერბურგის, მოსკოვის და ვარშავის ზოგიერთ საწყობებზეც გავრცელდა. კონიაკის სიმაგრე 55 გრადუსით განისაზღვრა<sup>32</sup>.

ცნობილია, რომ ყურძნის სპირტს დიდი რაოდენობით ამზადდებდნენ წვრილი მწარმოებლები, რომლებიც ნედლეულს მხოლოდ ერთხელ ხდიდნენ. ასეთი სპირტი აქციზით იბეგრებოდა. ყურძნის სპირტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაშვებულ იქნა სუსტი, უხარისხო სპირტის ხელშეორედ გამოხდა. 1887 წ. დადგენილებით,

<sup>30</sup> მ. მირიანაშვილი, ორი იუბილე, ცისკარი, 1969, № 3, გვ. 147.

<sup>31</sup> Л. М. Жанполадян. დასახ. ნაშრ., გვ. 31.

<sup>32</sup> ЦГИА СССР. ф. 574, ანაწ., 1, с. 594, ფურც. 15; КСХ, 1895, № 96.



მეორედ გამოხდილი სპირტი ყოველგვარი აქციზისაგან გათავისუფ-  
 ლდა. ამ კანონის გატარებით მთავრობა მიზნად ისახავდა მალაქის  
 რისხის ყურძნის სპირტის წარმოებაში ჩაება მრავალრიცხოვანი  
 წვრილი მწარმოებელი და გაუმჯობესებინა მისი ხარისხი. 1887  
 წლიდან წვრილ მწარმოებელთა დიდმა უმრავლესობამ მართლაც  
 დაიწყო ორჯერადი სპირტის დიდი რაოდენობით გამოხდა, მაგრამ  
 სპირტის ხარისხის გაუმჯობესება არ მოხერხდა, რადგან მეტი მო-  
 გება რომ მიეღოთ, წვრილი მწარმოებლები არ ცდილობდნენ სპირ-  
 ტის ნელი, ორჯერადი გამოხდით ისეთი ხარისხის სპირტის მიღებას,  
 რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა კონიაკის წარმოებაში.  
 დღელამის განმავლობაში, განუწყვეტელი ხდის დროს გამოსახდე-  
 ლი კუბების გადახურებისას მიღებული სპირტი უსიამოვნო გემოს  
 და მიმწვარი მასალის სუნს იღებდა, რომელიც საუკეთესო გადაამუ-  
 შავების დროსაც კი არ ქრებოდა.

ამრიგად, აღნიშნულმა დადგენილებამ მიზანს ვერ მიაღწია,  
 რადგან მოგებას მოწყურებულ წვრილ მწარმოებელთა მასა კონია-  
 კის წარმოებისათვის ნაკლებად გამოსაყენებელი სპირტის დამზა-  
 დებამ გაიტაცა და იგი ვერ იქცა წარმოებისათვის ნედლი მასალის  
 მიმწოდებელ წყაროდ.

წვრილ მწარმოებელთა მიერ მალალი ხარისხის სპირტის დიდი  
 რაოდენობით წარმოება შეაფერხა აგრეთვე 1884—87 წწ. დადგენი-  
 ლებებმა. ამ დადგენილებებით არყის ქარხნები დაიყო ტექნიკურად  
 სრულყოფილ (ე. წ. სამრეწველო) და წვრილ მწარმოებელთა ტექ-  
 ნიკურად არასრულყოფილ ქარხნებად. წვრილ მწარმოებელთა ტექ-  
 ნიკურად არასრულყოფილი ქარხნებისათვის დადგენილი მტკიცე  
 რეგლამენტაციით გამოსახდელი ქვების სიდიდე 30 ვედროთი იყო  
 განსაზღვრული. მათ არ უნდა ჰქონოდათ სპირტის სიმაგრისა და ხა-  
 რისხის გასაუმჯობესებელი არავითარი მოწყობილობა. ტექნიკური  
 აღჭურვილობის გაუმჯობესების შემთხვევაში კი მათ უნდა დაედგათ  
 სპირტის რაოდენობის საზომი საკონტროლო მოწყობილობა, ეს კი  
 დიდძალ ხარჯებს მოითხოვდა, რაც წვრილ მწარმოებელთა შესა-  
 ძლებლობასა და უნარს აღემატებოდა. ამიტომ მათი უმეტესი ნა-  
 წილი ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, უფრო ხელ-  
 საყრელად მიიჩნევდა ეხადა უბრალო არაყი, ვიდრე გადაეხადა  
 საკონტროლო მოწყობილობის დადგმასთან დაკავშირებული თან-  
 ხები. ასეთ შემთხვევაში წვრილი მწარმოებელი უშუალოდ მსხვილ  
 მრეწველზე დამოკიდებული ხდებოდა: მდარე ხარისხის არაყი



ცუდი სუნის გამო სასმელად არ გამოიყენებოდა, ბაზარზე ვერ სავალდებოდა, იგი სარექტიფიკაციო ქარხნების ნედლეულად იქცეოდა. ფასებს სპირტზე სარექტიფიკაციო ქარხნების მეპატრონენი ადებდნენ. ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება იაფად შეეფასებინათ წვრილ მწარმოებელთა პროდუქცია. თავის მხრივ მსხვილი მწარმოებლები, რომლებზედაც სპირტის უაქციზო გამოხდა არ ვრცელდებოდა, წვრილ მესაყუთრეთა კონკურენციისაგან თავის დაღწევის მიზნით, წარმოების გაზრდა-გაფართოებას, ახალი ტექნიკური დანადგარებით შევსებას ისეთი ახალი პროდუქტის გამოშვებას ცდილობდნენ, რომელიც იაფი სპირტის კონკურენციას გაუძლებდა. ამიტომ, რიგი მსხვილი მრეწველებისა, მაღალი ხარისხის საკონიაკე სპირტისა და კონიაკის წარმოებაში ებმებოდნენ<sup>33</sup>.

ბუნებრივია, კონიაკის სრულყოფილი წარმოება, რომელიც დაიცავდა ნედლი მასალის შერჩევას, სათანადო გამოხდას, სპირტის დაძველებას და მისი დამზადების სხვა პირობას, ერთბაშად ვერ შეიქმნებოდა. კონიაკის წარმოება დიდ დროს მოითხოვდა და ხარჯების დროულად ანაზღაურება ვერ ხერხდებოდა.

ყურძნის სპირტის შედარებით მსხვილ მწარმოებლებს შორის ამ პერიოდში ძმები იზმიროვების წარმოება გამოირჩეოდა. კონიაკის წარმოების ჩამოყალიბებამდე მათ ყიზლარში საკმაოდ განვითარებული, ფართო მასშტაბის ღვინის წარმოება ჰქონდათ და ნიჟნი ნოვგოროდის, პეტერბურგისა და მოსკოვის საკუთარი საწყობებიდან ღვინის გაყიდვას დიდი პარტიებით აწარმოებდნენ. 1888 წ. 6 თებერვალს მათ მიეცათ ყურძნის სპირტით თავისუფალი ვაჭრობის უფლება, ხოლო 1888 წლის 4 აპრილს მიიღეს პასტერის აპარატის დადგმის ნებართვა, რაც ძირითადად ღვინის საჭიროებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას უნდა მოხმარებოდა. ეს დანადგარი, სააქციზო ზედამხედველის აზრით, ღვინის გახურების გარდა სპირტის გამოსახდელადაც შეიძლებოდა გამოყენებულიყო<sup>34</sup>. იზმიროვები ღვინის ნარჩენებთან ერთად ღვინის ორჯერად გამოხდასაც აწარმოებდნენ. მიღებულ სპირტს 2—3 წელს მუხის კასრებში ინახავდნენ, მაგრამ არასრულყოფილი გამოხდის გამო სპირტი ინარჩუნებდა რახის ზეთის სუნს, ჰქონდა არასასიამოვნო მკვეთრი გემო. ამიტომ იყო, რომ 1888 წ. შრტიტერის არყის ქარხანამ

<sup>33</sup> КСХ, 1895, № 96.  
<sup>34</sup> ЦГИА СССР ფ. 574, ანაწ., 1, ს. 752. ფურც. 224, 136, 142, 224, 191.



იზმიროვებისაგან შექმნილი სპირტი გადამუშავების შემდეგ მხოლოდ არყის პროდუქტების წარმოებაში გამოიყენა<sup>35</sup>. აღნიშნული ქარხნის ცდამ, იზმიროვებისაგან შექმნილი სპირტი კონიაკის სახით გაეშვა, მიზანს ვერ მიაღწია. ასეთივე ბედი ეწვია დენკერ და კომპ. ასევე ვაჭარ პერეტცის მიერ იზმიროვებისაგან შესყიდულ სპირტს<sup>36</sup>.

იზმიროვების მიერ გამოშვებული კონიაკის დაბალ ხარისხზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მათ მიერ პარიზის მსოფლიო გამოფენაზე წარდგენილი ყურძნის ღვინო ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა, ხოლო «русский коньяк же не был даже подвергнут серьезной экспертизе, как таковой не заслуживающий»<sup>37</sup>.

მართალია, იზმიროვების მიერ წარმოდგენილი ყურძნის სპირტი საგრძნობლად განსხვავდებოდა მანამდე არსებულ ქარხნებში მიღებული პროდუქტისაგან, მაგრამ წესების არასწორი დაცვით გამოხდილი სპირტი ინარჩუნებდა რახის ზეთის არასასიამოვნო სუნსა და გემოს, რაც მის გასაღებას მეტად აბრკოლებდა. მის ქარხანაში დადგმული პასტერის აპარატი კონიაკის წარმოებისათვის არ გამოდგებოდა.

მხედველობაში თუ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 1888 წლისათვის რუსეთის იმპერიაში ყურძნის სპირტისა და კონიაკის წარმოებაში ყველაზე მეტად იმ. იზმიროვების წარმოება გამოირჩეოდა, ამასთან მათ მიერ მიღებული პროდუქტი უხარისხობის გამო კონიაკის წარმოებაში ნაკლებად გამოიყენებოდა და მეტად ძნელად სალდებოდა<sup>38</sup>, ცხადი გახდება რა დონეზე იდგა ამ დროს რუსული კონიაკის წარმოების საქმე და როგორი პროდუქციით მარაგდებოდა არყის ქარხნები და მომხმარებელი.

1888 წ. კონიაკის წარმოების ფართო მასშტაბით განვითარების ცდებს ადგილი აქვს ბესარაბიაში. 1888 წლის 1 აპრილს მაიორი თ. ტომულცი სააქციზო სამმართველოსადმი განცხადებაში აღნიშნავს, რომ მას სურვილი აქვს აწარმოოს მაღალი ხარისხის კონიაკი, რომ ამ მიზნით მან შეიძინა „პისტორიუსის“ და „სავალის“ ტიპის აპარატები, რომ მიზნად ისახავს ყოველგვარი მინარევების გასუფთავებას, კარგი ხარისხის ღვინისაგან გამოხადოს სპირტი და შემდეგ მისი დაძველება მოახდინოს, რომ განზრახული აქვს

<sup>35</sup> ЦГИА СССР, ф. 574, ан. №. 1, л. 594, ფურც. 15.

<sup>36</sup> იქვე, ფ. 33.

<sup>37</sup> იქვე, ფ. 16.

<sup>38</sup> ЦГИА СССР, ф. 574, ан. №., 1, л. 594. ფურც. 33. 16...

აწარმოოს ისეთი სახის პროდუქტი, რომელიც კონკურენციას გაუწევს მაღალი ხარისხის ფრანგულ კონიაკებს. მაგრამ იმის გამო, რომ კონიაკის წარმოება მოითხოვს დიდძალ ხარჯებს, რასაც წარმოება პირველ წლებში ვერ აანაზღაურებს, ითხოვს მისთვის შეღავათების მინიჭებას<sup>39</sup>. 1888 წლის 28 ივნისს თ. ტომულცს უფლება ეძლევა საკუთარი წარმოების კონიაკი თავის საწყობებიდან და სარდაფებიდან საბანდეროლო გადასახადის გარეშე საკუთარი ფირმის ბეჭდით გაყიდოს. დაკმაყოფილებულ იქნა მისი თხოვნა 1 წლის ვადით საბითუმო საწყობიდან მცირე ზომის ბოთლებით კონიაკის გაყიდვის შესახებ<sup>40</sup>. ტომულცის განცხადება აღსანიშნავია იმ მხრივ, რომ კონიაკის უფრო მეტად ჩამოყალიბებული ტექნოლოგიით და სრულყოფილი მანქანა-დანადგარებით წარმოების დაწყების ცდებს გულისხმობს, რაც მანამდე არ შეიმჩნეოდა. თ. ტომულცის ქარხანა ბესარაბიაში ერთადერთი იყო, რომელიც სპირტს ორჯერადი გამოხდით იღებდა. სპირტის წარმოება და გაწმენდა იმდენად გაუმჯობესდა, — წერდა სააქციზო სამმართველოს ზედამხედველი, — რომ ნაწილი სალდება კონიაკის სახით, მაგრამ მისი გავრცელება მეტად უმნიშვნელოა<sup>41</sup>.

თ. ტომულცის ქარხნის მიერ გამოშვებული სპირტის ხარისხზე წარმოდგენას ვეაძლევს შემდეგი ხასიათის ცნობა: 1888 წ. აღნიშნული ქარხნიდან სპირტი შეისყიდა პეტერბურგის ბეკმან და კომპ. არყის ქარხანამ, მაგრამ აქ სპირტი მთლიანად გადაამუშავეს და მისი უდიდესი ნაწილი ლიჭიორის დასამზადებლად გამოიყენეს<sup>42</sup>.

აღნიშნული სპირტის სიმაგრე 91<sup>0</sup> უდრიდა. ე. ი. ტომულცის ქარხანაში ზდებოდა სპირტის გაწმენდა — რექტიფიკაცია და არა სპეციალურად კონიაკის სპირტის წარმოება. რექტიფიცირებული სპირტი კი ნატურალური კონიაკის წარმოებისათვის უვარგისია.

<sup>39</sup> ЦГИА СССР, ფ. 574, ანაწ. 1, ს. 572 ფურც. 196, 199.

<sup>40</sup> ЦГИА СССР, . 574, ანაწ., 1, ს. 572. ფურც. 355. 389. საბითუმო საწყობებიდან, 1 ვედრო სასმელზე ნაკლებს გაყიდვა არ შეიძლებოდა. აღნიშნულ პერიოდში, როდესაც ბაზარზე უცხოური სასმელი ბატონობდა, ადგილობრივი კონიაკის დიდი პარტიებით ვაჭრობა მეტად ჭირდა. ბოთლებში ჩამოსხმული სასმელის გაყიდვის უფლება კი შედარებით მეტ გასაქანს მისცემდა ადგილობრივი კონიაკის გასაღებას.

<sup>41</sup> Отчет департамента неокладных сборов за 1888 г., СПб., 1889 с. 176.

<sup>42</sup> ЦГИА СССР, ფ. 574 ანაწ. 1, ს. 594, ფურც. 16.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თ. ტომულციის ეს ქარხანა ტექნიკურად კარგად იყო აღჭურვილი. მას სრულყოფილი სპირტსადგენი და საკონიაკე სპირტის გამოსახდელი აპარატები ჰქონდა შეძენილი, მაგრამ „ისტორიულის“ ტიპის აპარატს, რომელიც მაღალი ხარისხის საკონიაკე სპირტს ხდის, იგი არ იყენებს, რადგან როგორც მასალებიდან ჩანს, ტომულცი უპირატესობას „სავალის“ ტიპის აპარატს ანიჭებს. ეს უკანასკნელი ხდის რექტიფიცირებულ და არა საკონიაკე სპირტს. მის მიერ წარმოებული და პეტერბურგში გასაყიდად გაგზავნილი სპირტი მაღალი ხარისხის რექტიფიცირებული სპირტი იყო, რომელიც მხოლოდ არყის ან ხელოვნური კონიაკის წარმოებაში გამოიყენებოდა<sup>43</sup>. ამასთან, თ. ტომულციის წარმოება თავისი მასშტაბებით მეტად მცირე იყო. 1888—1891 წწ. განმავლობაში დასაძველებლად მხოლოდ 15 520 გრ. სპირტი შეინახეს<sup>44</sup>.

ძმები იზმიროვებისა და განსაკუთრებით თ. ტომულციის ქარხნებით იწყება რუსეთის იმპერიაში მანქანა-დანადგარების გამოყენებით კონიაკის სრულყოფილი წარმოების შექმნის ცდა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ იძლევიან სრულყოფილ პროდუქტს.

მოტანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული ყველა წამოწყება კონიაკის წარმოების წინამორბედს, მის პირველ სახეს წარმოადგენდა. ყურძნისა და ღვინისაგან მიღებული ნარჩენი პროდუქტების გადამუშავება, რომელშიც ნაწილობრივ ღვინის გამოხდაც ხდებოდა, მას კონიაკის წარმოების ტექნოლოგიასთან აახლოვებდა, ხოლო მუხის კასრებში შემთხვევით თუ შეგნებულად შენახვა ნაწილობრივ კონიაკის მსგავს სურნელებას, ფერს და გემოს ანიჭებდა. განსხვავება კი იმაში მდგომარეობდა, რომ კონიაკის წარმოებისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო არა შემთხვევით დარჩენილი ნედლი მასალა — მქავე ან უვარგისი ღვინო, ჭაჭა და თხლენარევი ყურძნის ტკბილი, არამედ სპეციალურად ამ მიზნით შერჩეული, უჩენჩოდ (უჭაჭოდ) დადუღებული საუკეთესო ხარისხის ღვინო (ყველა სახის საუკეთესო ღვინო ამ მიზნით არ გამოიყენება). ასეთი ნედლი მასალისაგან მიღებული სპირტი მუხის კასრებში რამდენიმე წლით დაძველებით კონიაკისათვის დამახასიათებელ თვისებებს იძენდა და სასიამოვნო ბუკეტს (ტექნოლოგიური ტერმინია — მ. მ.), სურ-

<sup>43</sup> ЦГИА СССР, ф. 574, ანაწ. 1, ს. 594, ფურც. 32.

<sup>44</sup> Фабрично-заводская промышленность России, СПб., 1890, с. 256—260

ნელბასა და გემოს მიიღებდა. გარდა ამისა, სპირტის გამოხდის სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოსადევი სპილენძის არწყობებში უნდა მომხდარიყო. თვით გამოხდის პროცესი ძალიან ნელა უნდა წარმართულიყო, რომ საკონიაკე სპირტს უხვად შერჩენოდა აღდეპიდები და ეთერები, რომელნიც დაძველებისას სპირტს საუკეთესო თვისებებს მიანიჭებდნენ. ამასთან, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო კონიაკის ტექნოლოგიისათვის დამახასიათებელი სხვა თავისებურებებიც (სპირტის სიმაგრე, მისი გაზაფხების, და სხვადასხვა სახის მალალხარისხოვანი სპირტების შერევა და სხვ.). ყველა ზემოჩამოთვლილ წესებს ჩვენ მიერ აღწერილი წარმოებები ჭერ კიდევ არ იცნობდნენ. ამრიგად, ცხადი ხდება, რომ კონიაკის წარმოების პირველ ეტაპზე მიღებული პროდუქტები, რომლებიც კონიაკებად იწოდებოდნენ, არ წარმოადგენდნენ სრულყოფილ კონიაკს, არ ემორჩილებოდნენ და არ ითვალისწინებდნენ ფრანგული კონიაკის ტექნოლოგიის ნორმებს და ამ სასმელის დამზადების თავისებურებებს. ამ მხრივ სრულიად განსხვავებული წარმოება შექმნა ქართველმა მრეწველმა დ. სარაჯიშვილმა.

ფილოსოფიის მაგისტრი და ქიმიის დოქტორი დ. სარაჯიშვილი განათლებული მრეწველი იყო. მან საფრანგეთში (1878—79 წწ. და 1889 წ.) ყოფნისას სპეციალურად შეისწავლა მევენახეობა-მეღვინეობასთან და კონიაკის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები<sup>45</sup>. საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის და გამოცდილების საფუძველზე მან თბილისში კონიაკის ქარხანა გახსნა. კონიაკის წარმოების ჩამოყალიბებასა და განვითარებას საფუძველი მოუშადა აგრეთვე მის მიერ შექმნილმა სპირტის, არყისა და ლიჭიორის წარმოებამ.

სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანამ მოქმედება 1888 წლის ოქტომბერში დაიწყო<sup>46</sup>. ქარხანა ამ მიზნით სპეციალურად შვეიცარიიდან მიღებული საკონიაკე სპირტსახდელი აპარატით იყო აღჭურვილი. მისი კუბი 41 ვედროს ტევადობისა იყო. იგი შედგებოდა დეფლეგმაციური ცილინდრისაგან 2 თეფშითა და კლაკნილა მაცივართ<sup>47</sup>. ქარხანაში ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის,

<sup>45</sup> დ. სარაჯიშვილის სახსოვრად, თბ., 1911, გვ. 3,4. ЦГИА СССР, ფ. 574, ანაწ., 1, ს. 594. ფურც. 8.

<sup>46</sup> სცსა, ფ. 17, ს. 9046ა, ფურც. 16. სცა, ფ. 370, ანაწ. 1, ს. 1608, ფურც. 31; КСХ 1895, № 97.

<sup>47</sup> Д. З. С а р а д ж е в, გვ. 7; КСХ, 1895, № 97.

რომ საუკეთესო ხარისხის საკონიაკე სპირტი მიღებულიყო. პირველ ხანებში სპირტის წარმოებისათვის კახეთის, ქართლის, კიურდამირის მაღალი ხარისხის ღვინოები გამოიყენებოდა. იმ მიზნით, რომ კონიაკის წარმოებისათვის საუკეთესო ხარისხის ნედლი მასალა მიღებულიყო და გამოხდის დროს მას უხვად შერჩენოდა ალდეჰიდები და ეთერები, რომელიც მუხის კასრებში დაძველებისას სასიამოვნო სურნელებასა და გემოს განივითარებდნენ, სპირტის გამოხდა მეტად ნელა ხდებოდა (ორი გამოხდა დღელამეში). კონიაკის წარმოებაში მხოლოდ შუა გამონახადი გამოიყენებოდა, ხოლო თავი და ბოლო ნახადი სხვა სახის სპირტის წარმოებაში მიდიოდა. მიღებული 55—58° სიმაგრის სპირტი ინახებოდა მცირე ზომის 20 ვედროს ტევადობის მუხის კასრებში, რომელიც საქართველოს მაღალმთიან რაიონებში ამ მიზნით სპეციალურად შერჩეულ, კარგად გამომშრალი მუხისაგან მზადდებოდა<sup>48</sup>. კონიაკის წარმოებისათვის საჭირო მუხის კასრებს თბილისისა და ვლადიკავკაზის სპირტსახდელი ქარხნები თავის საკასრო სახელოსნოებში ამზადებდნენ<sup>49</sup>. კონიაკის საჭიროებისათვის კასრების დამზადება ჩვეულებრივ არ ხდებოდა. მუხის მერქნისათვის დამახასიათებელი სურნელება რომ შენარჩუნებოდა, მუხის კასრები ორთქლში გატარების, დამღუღრის და გამოხარშვის გარეშე მზადდებოდა<sup>50</sup>. მცირე ზომის კასრებში დაძველება საკონიაკე სპირტის მეტ დანაკარგს იძლეოდა, სამაგიეროდ მისგან საუკეთესო ხარისხის კონიაკი მიიღებოდა.

დ. სარაჯიშვილი საკონიაკე სპირტებს, მათზე დაკვირვების და შემდგომში სწორი გამოყენების მიზნით, გამოხდის ადგილების მიხედვით ცალ-ცალკე ათავსებდა ისე, რომ სხვადასხვა ადგილებიდან მიღებული ღვინის სპირტი ერთმანეთში არ შერეულიყო<sup>51</sup>. იგი საკუთარი ვენახებიდან მიღებული ღვინის გარდა, სპირტის ნედლეულს სხვა მსხვილი მრეწველებისაგან ყიდულობდა. მეღვინეებთან შეთანხმება წინასწარ ხდებოდა. სარაჯიშვილი ღვინოს იმ შემთხვევაში ყიდულობდა, თუ იგი ჭაჭის და ყურძნის ჩენჩოს გარეშე იყო

<sup>48</sup> KCX, 1895, № 97.

<sup>49</sup> სცსა, ფ. 370, ს. 247, ფურც. 21—28.

<sup>50</sup> KCX, 1895, № 97.

<sup>51</sup> იქვე, დ. 3. С а р а д ж е в, გვ. 7.



დაყენებული. ქარხანაში კონიაკის დაკუბაეება-დამზადებას სპეციალისტი ხელმძღვანელობდა<sup>52</sup>.

სააქციზო სამმართველოს უფროსი დ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის შესახებ წერდა: „თბილისის გუბერნიაში კონიაკი კარგად დადუღებული და დაწმენდილი ღვინისაგან იხდება მხოლოდ ერთ, დ. სარაჯიშვილის, ქარხანაში“<sup>53</sup>. ასეთსავე ცნობას იძლევა 1 ოკრუგის სააქციზო სამმართველოს ზედამხედველი, რომელსაც უშუალოდ იმ უბნის მეთვალყურეობა ევალებოდა, სადაც სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა მდებარეობდა. იგი წერს: „კონიაკის წარმოებისათვის სარაჯევი ხდის ძვირად ღირებულ მასალას... ყურძნის ღვინოს...“<sup>54</sup>. ასეთივე ცნობას სააქციზო ზედამხედველი სხვა ანგარიშებშიც გვაწვდის<sup>55</sup>. მისი წარმოების ხასიათისა და ტექნოლოგიის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს სააქციზო უწყების ანგარიშებში შემორჩენილი ცნობები: კონიაკი დ. სარაჯიშვილის ქარხანაში „ყოველგვარი რექტიფიკაციის გარეშე — ყურძნის სპირტის ნედლეულისაგან მზადდება, რომელიც გამოხდილია ყურძნის ღვინისა ან ყურძნის ბადაგისაგან. ქარხანაში მიღებული საკონიაკე სპირტის ნედლეული სპეციალურ სარდაფებში იმ სახით ძველდება, რა სახითაც იგი ქარხანაში შემოდის...“<sup>56</sup>. „კონიაკს მხოლოდ ნატურალური სახით უშვებენ, მას უმნიშვნელო რაოდენობით ემატება მხოლოდ შაქარი...“<sup>57</sup>. სარაჯიშვილის ქარხანაში კონიაკის წარმოება ძირითადად ფრანგული ტექნოლოგიით ხდება<sup>58</sup>, მიუთითებს ლავროვი — კონიაკის წარმოების საქმეში კარგად ჩახედული და მცოდნე კაცი, რომელსაც ამ საკითხზე საინტერესო გამოკვლევები ეკუთვნის.

საკუთარი გამოხდის სპირტების გარდა, დ. სარაჯიშვილი წარმოებისათვის საჭირო ნედლ მასალას 90-იანი წლებიდან სხვა ვწარმოებლებისგანაც იძენდა (ყიზლარში, ელიზავეტოპოლისა და ერევნის გუბერნიებში — ა. სოვომონოვის, მ. ხუბლაროვის, ნ. ტაიროვისა და სხვათაგან)<sup>59</sup>.

<sup>52</sup> КСХ, 1895, № 97; Д 3. Сараджев, გვ. 9—12.

<sup>53</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1608, ფურც. 31.

<sup>54</sup> სცსა, ფ. 371, ს. 99, ფურც. 97.

<sup>55</sup> სცსა, ფ. 371, ს. 106, ფურც. 144.

<sup>56</sup> სცსა, ფ. 371, ს. 127, ფურც. 141—142.

<sup>57</sup> სცსა, ფ. 371, ს. 106, ფურც. 145.

<sup>58</sup> КСХ, 1895, № 97.

<sup>59</sup> КСХ, 1895, № 97. სცსა, ფ. 371, ს. 106, ფურც. 144.



დ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა 1888—1896 წლებში წარმოებას აფართოებს (ცხრ. 7).

ცხრილი 7

დ. სარაჯიშვილის თბილისის კონიაკის ქარხნის საქმიანობა 1888-1896 წწ\*

წლები	გამობდილი საკონიაკე სპირტი	საკონიაკე საწყობში დასაძველებლად შენახული სპირტი	გასაყიდად კასრებით გატანილი საკონიაკე სპირტი		გასაყიდად ბოთლებით გატანილი კონიაკი
	გრადუსებში	გრადუსებში	გრ-ში	მან-ში	გრადუსებში
1888	9631	5000	—	—	—
1889	11852	10000	—	—	—
1890	99401	—	140000*	—	—
			70000** ,***	63000	—
			2100000		
1891	42129	392965	194000*	—	—
			96000** ,***	87000	167000
			290000		
1892	94717	—	359000*	—	—
			179000** ,***	161000	174000
			538000		
1893	15543	—	314000*	—	—
			156000** ,***	141000	160560
			470000		
1894	7943	400000*	327000*	—	—
		400000**	156000** ,***	144000	181250
		500000** და მეტწილანი	480000		
1895	არარენტაბელობის გამო ქარხანა დაიხურა				190460
1896		არა გვაქვს მონაცემები			226480

\* სცსა, ფ. 371. ს. 106, ფურც. 144. 145; ს. 143. ფურც. 80. სცსა, ფ. 370. ს. 1608, ფურც. 32; KCX, 1895, № 97. იხ. საქციხო უწყების შესაბამისი წლების გამოქვეყნებული ანგარიშები. ცხრილში X—ერთი ვარსკვლავით აღნიშნულია საკონიაკე სპირტის დაძველების პერიოდი 18 თვე.

XX—არის აღნიშნული სპირტის დაძველების პერიოდი — 2 წელი.

XXX — არის აღნიშნული სპირტის დაძველების პერიოდი — 3 წელი.



ცხრილიდან ჩანს, რომ დ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის კონიაკე სპირტს ბევრს არ ხდიდა. მის მიერ ბაზარზე გატანილი პროდუქციის რაოდენობა თბილისის კონიაკის ქარხანაში გამოხდილი საკონიაკე სპირტის რაოდენობას აღემატება. ამ სხვაობას იგი სხვა ადგილებში შექმნილი საკუთარი კონიაკის ქარხნებიდან ავსებდა. ნაწილს კი კონიაკის სხვა მწარმოებლებისაგან. ნაყიდი და საკუთარი გამოხდის საკონიაკე სპირტის დაძველების შემდეგ, იგი კონიაკს ამზადებდა. თბილისის კონიაკის ქარხნის საქმიანობა მრავალმხრივია აღსანიშნავი. აქ ხდებოდა წარმოებისათვის საჭირო ლვინო-მასალის შერჩევა, მისი გამოცდა, კონიაკის ტექნოლოგიის დაზუსტება, დახვეწა, საკონიაკე სპირტის ვარგისიანობის დადგენა, მასზე მეთვალყურეობა, კონიაკის დაკუპაეების რთული ტექნოლოგიის შესწავლა და სხვა. აღნიშნული ქარხანა იქცა ერთგვარ ლაბორატორიად, სადაც კონიაკის წარმოებისათვის საჭირო ყველა წესის გათვალისწინებით ხდებოდა წარმოებაზე დაკვირვება. საკონიაკე სპირტის დაძველების პერიოდის ზრდის და მისი მარაგის დაგროვების შედეგად მატულობს ბაზარზე გატანილი კონიაკების რაოდენობაც. დ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის მუშაობა აღსანიშნავია იმ მხრივაც, რომ მან თავისი საქმიანობით სხვა მწარმოებლებიც დააინტერესა და ბიძგი მისცა კონიაკის წარმოების განვითარებას.

დ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის საქმიანობის ზუსტ დახასიათებას იძლევა ჩვენს ხელთ არსებული ერთი ცნობა. სააქციზო ზედამხედველი თავის ერთ-ერთ ანგარიშში 1891 წ. წერს: «Несмотря на сравнительно незначительную выкурку, деятельность завода имела решающее значение в развитии коньячного производства в Закавказском крае, вызвав интерес к делу и новых предпринимателей, а с другой стороны способствуя к изучению техники производства и к выяснению степени годности вин различных районов для получения наиболее типичных коньяков и оценке их сравнительного достоинства»<sup>61</sup>.

სააქციზო სამმართველოს ზედამხედველის ანგარიშიდან ვიგებთ, რომ 90-იანი წლების დასაწყისში დ. სარაჯიშვილის ქარხნის ნაწარმით მარაგდება არა მარტო ადგილობრივი ბაზარი, არამედ რუსული კონიაკის მარკით და „კავკასიის ნატურალური კონიაკის“

<sup>61</sup> Д. З. Сараджев, гл. 7.

სახელწოდებით მისი ქარხნის პროდუქცია გადის მოსკოვში, პეტერბურგში, ვარშავაში, ნოვოროსიისკის მხარეში და რუსეთის სხვა ქალაქებში. 1 გრ კონიაკის საბაზრო ფასი, დაძველების პერიოდის მიხედვით, 25—35 კაპ. უდრის (ბოთლი, რომლის მოცულობა ვედროს  $\frac{1}{20}$  შეადგენს, ღირდა 1\* — 80 კაპ., 2\* — 1 მან., 3\* — 1 მან. 20 კაპ., 4\* — 1 მან. და 50 კაპ. ფინ-შამპანი — 1 მან. და 85 კაპ., ძველი ფინ-შამპანი — 2 მან. და 10 კაპ., გრანდ-შამპანი — 2 მან. და 60 კაპ.)<sup>62</sup>.

დ. სარაჯიშვილის ქარხნის პროდუქცია, ბაზარზე გამოჩენისთანავე, გასაკუთრებით დიდ პოპულარობას ვარშავაში იხვეჭს. ლენინგრადის ცენტრალურ-საისტორიო არქივის ფონდებში დაცული მასალები გვაუწყებენ, რომ ვარშაველი ვაჭრები მთავრობისაგან 1889 წ. მოითხოვენ ნებართვას შეიძინონ „მხოლოდ დ. სარაჯიშვილის ქარხნის ნაწარმი“<sup>63</sup>. მაგალითად, პრუსიის ქვეშევრდომი ვასილი თედორეს ძე გებგარტი (ფირმა ვოლბრუკის და კომპ. წარმომადგენელი), ზეიდელის ფირმის სახელით — ვაჭარი მავრიკია ზეიდელი და სხვ.<sup>64</sup> თხოულობენ მხოლოდ დ. სარაჯიშვილის ფირმის კონიაკს.

დ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის აპარატი, საკონიაკე სპირტის წარმოების დემონსტრაციის მიზნით, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაზე მოქმედებდა. 1889 წ. პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე დ. სარაჯიშვილის ქარხნის პროდუქცია 2 ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა<sup>65</sup>. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კი (1889 წ.) 2 ოქროს მედლით<sup>66</sup>.

დ. სარაჯიშვილი ითვლება რუსეთის იმპერიაში კონიაკის პირველი სპეციალური ქარხნის დამაარსებლად და კონიაკის სამრეწველო წარმოების პიონერად. ამის შესახებ წყაროები მიუთითებენ: „დაარსების დროის მიხედვით (1888 წ.), დ. სარაჯიშვილის თბილისის ქარხანა ითვლება რუსეთში პირველ სპეციალურ სრულყოფილ კონიაკის ქარხანად“<sup>67</sup>. „1888 წ. სარაჯევმა თბილისში მოაწყო პირ-

<sup>62</sup> სცსა, ფ. 371 ს. 106, ფურც. 145. X-ით აღინიშნება „ვარსკვლავი“ დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის პრესკურანტი, თბ., 1901.

<sup>63</sup> ЦГИА СССР, ფ. 574, ანაწ. 1, ს. 594, ფურც. 29, 96.

<sup>64</sup> იქვე.

<sup>65</sup> Д. З. Сараджев, გვ. 12.

<sup>66</sup> იქვე.

<sup>67</sup> Д. З. Сараджев, გვ. 6.

ველი კონიაკის ქარხანა, რითაც მან ამიერკავკასიაში ბიძგი მისცა ასეთი ტიპის ქარხნების შექმნას... „ასეთი ტიპის ქარხნები რაჯევამდე არ არსებობდა“<sup>68</sup>. 1888 წ. სარაჯიშვილის მიერ კონიაკის ქარხნის გახსნის ცნობას იძლევა აგრეთვე თბილისის გუბერნატორი<sup>69</sup>, სხვა წყაროები და ლიტერატურა<sup>70</sup>. „რუსეთში პირველი კონიაკის ქარხნის გახსნით მნიშვნელოვანი ბიძგი მიეცა მეღვინეობის ახალი დარგის განვითარებას იმპერიაში“<sup>71</sup>.

დ. სარაჯიშვილი ითვლება „სწორად დაყენებული კონიაკის წარმოების ინიციატორად...“<sup>72</sup>, მისი წარმოება გამოირჩეოდა „როგორც მასშტაბებით, ისე წარმოების თანდათანობითი გაუმჯობესებითა და მატერიალური დანახარჯებით“<sup>73</sup>. მისი ფირმა ითვლებოდა „რუსეთში პირველ მთავარ პიონერად კონიაკის დამოუკიდებელი, თვითმყოფი წარმოების თანმიმდევრულად განვითარების, მისი პროდუქტების გავრცელების საქმეში“<sup>74</sup>. დ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის პროდუქციამ რუსეთი „უცხოური და ადგილობრივი ფალსიფიცირებული სასმელებისაგან გაათავისუფლა“<sup>75</sup>.

რუსეთის იმპერიაში კონიაკის სრულყოფილი წარმოების საქმეში დ. სარაჯიშვილის პრიორიტეტს ადასტურებს აგრეთვე რუსული კონიაკის ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის მისი მოღვაწეობა:

1887 წ. შეღავათების შემოღების შემდეგ, ყურძნის არაყს ან როგორც მაშინ უწოდებდნენ „რუსულ კონიაკს, „კიზლარკას“ გზა გაეხსნა იმპერიის ცენტრალური ქალაქებისაკენ (მისი იმპერიის ცენტრალურ ქალაქებში მიწოდების შეწყვეტა 1861 წ. ყურძნის არყის წარმოების დაბეგვრამ და პურის სპირტის გაიაფებამ გამოიწვია). ყურძნის არაყი გაჩნდა პეტერბურგში“<sup>76</sup>. მაგრამ ნიჟნინოვგოროდის ბაზრიდან, რომელიც ყურძნის სპირტით ვაჭრობის ძირი-

<sup>68</sup> დ. სარაჯიშვილის სახსოვრად, თბ., 1911, გვ. 9.

<sup>69</sup> სცსა, ფ. 17, ს. 9046 ბ., ფურც. 16.

<sup>70</sup> Отчет... за 1895, გვ. 69, СПб., 1896, გვ. 69. სცსა, ფ. 370. ს. 1608; ფურც. 32; КСХ, № 1895, № 97. В. В. 1892. № 4, В, В, 1913, გვ. 748.

<sup>71</sup> В. В. 1913, გვ. 748.

<sup>72</sup> КСХ 1895, № 97.

<sup>73</sup> В. В. 1892, № 4, გვ. 207—208.

<sup>74</sup> Д. З. Сараджев, გვ. 1

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> ЦГИА СССР, ფ. 574, ანაწ. 1, ს. 594 ფურც. 15.





თადი პუნქტი იყო, შემოდინდა ყიზლარისა და თერგის ოლქში წერილ მწარმოებელთა მიერ გამოხდილი ყურძნის სპირტი. მის დინაწილს, გარდა იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ყურძნის და ღვინის ნარჩენებისაგან, ან მკავე მოუმწიფებელი ყურძნისაგან და ცუდი ხარისხის ღვინისაგან ხდიდნენ, ხშირად აჩქარებული გამოხდის გამოქვამის ძირში მიმწვარი ნედლი მასალის სუნი დაჰყვებოდა და ყოველგვარი დაძველების გარეშე კონიაკის სახელით სალდებოდა<sup>77</sup>. როგორც ვნახეთ, კონიაკის წარმოებისათვის გამოუსადეგარი იყო აგრეთვე მსხვილი მწარმოებლების მიერ დამზადებული ყურძნის არაყი. უხარისხობის გამო, მისი მთლიანი გადამუშავების შემდეგ მიღებული სპირტი მხოლოდ არყისა და ლიქიორის დამზადებისათვის გამოიყენებოდა. არყის ქარხნების მწარმოებელთა ცდა, იგი კონიაკის წარმოებაში მოეხმარებინათ, უშედეგო გამოდგა, რადგან არასასიამოვნო რაზის ზეთის სუნი და მჭახე გემო მის გასაღებას აბრკოლებდა<sup>78</sup>. ამიტომ 1889 წ. დენკერ და კომპ. და ვაჭარ პერეტცის მიერ დამზადებული კონიაკი მეტად ძნელად სალდებოდა<sup>79</sup>. 1889 წ. პეტერბურგის ტექნიკური კომიტეტის სხდომაზე ერთხმად აღიარეს რუსული კონიაკის წარმოების და გასაღების სავალალო მდგომარეობა. ოქმში აღნიშნული იყო: „რუსული კონიაკი, იმ სახით, რა სახითაც ახლა მიიღება, წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც ხელოვნურ გაუმჯობესებას მოითხოვს“<sup>80</sup>.

რუსული ნატურალური კონიაკის სრულყოფილი და სწორი წარმოებით თვით სახელმწიფო იყო დაინტერესებული, მაგრამ 1890 წლამდე მთავრობის მიერ მიღებული ზომები არ ითვალისწინებდა კონიაკის წარმოების ტექნოლოგიის საკითხებს. აქამდე მიღებული წამახალისებელი ზომები მხოლოდ ყურძნის სპირტის მიღებას უწყობდა ხელს და არა მის ხარისხსა და კონიაკის სრულყოფილი წარმოების ჩამოყალიბებას. არ იყო შემუშავებული კონიაკის წარმოებისათვის აუცილებელი ერთიანი კანონმდებლობა, კიდევ მეტიც, არ არსებობდა ჩამოყალიბებული გაგება კონიაკზე. მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებები შეღავათებს აძლევდა ყველა სახის მეორედ გამოხდილ და არა უშუალოდ ღვინისგან მიღებულ სპირტს, რომელიც კონიაკის წარმოების საფუძველს წარ-

77 იქვე, ფურც. 15.

78 იქვე, ფურც. 33.

79 ЦГИА СССР, ფ. 574, ანაწ. 1, ს. 594, ფურც. 15, 16, 32—33.

80 იქვე, ფურც. 22.



მოადგენდა. კონიაკის რთული ტექნოლოგია, რომელიც მალალი ხარისხის კონიაკის დამზადების საწინდარი იყო რუსეთის კანონმდებლობაში ჯერ კიდევ სათანადო ასახვას ვერ პოულობდა.

1890 წლამდე კონიაკის სახით რუსეთში იგულისხმებოდა 550 სიმაგრის სუფთა ნატურალური ყურძნის არაყი ყოველგვარი მინარევის, ხშირად მუხის კასრებში სათანადო დამველების გარეშე. არასწორი დამზადების გამო მას დაჰყვებოდა მკვეთრი სუნი და გემო, რაც მის გასაღებას აბრკოლებდა. რუსული კონიაკის წარმოების ტექნოლოგია დაზუსტებას, დახვეწას, კონიაკის ქარხნებისათვის ერთიანი ნორმების შემუშავებას და დადგენას მოითხოვდა. რუსული კანონმდებლობა ამკარად ჩამორჩა განვითარებულ საწარმოო ძალების მოთხოვნებს. იგი ველარ უპასუხებდა ცხოვრების მიერ წამოჭრილ პრობლემებს, აბრკოლებდა და ხელს უშლიდა მზარდი საწარმოო ძალების წინსვლასა და განვითარებას.

რუსული კონიაკის ტექნოლოგიის დადგენა-დაზუსტების საქმეში პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა დ. სარაჯიშვილმა. მან 1889 წ. 2 მაისს პეტერბურგის ტექნიკური კომიტეტის სხდომაზე შეიტანა წინადადება საკონიაკე სპირტის სიმაგრის შემცირების და მასში შაქრისა და დისტილირებული წყლის მიმატების შესახებ<sup>81</sup> (ფრანგული კონიაკის მსგავსად). იგი თავის მოსაზრებას იმ მოტივით ასაბუთებდა, რომ სპირტის სიმაგრის შემცირება საკონიაკე სპირტის გემოს დახვეწავდა და ამით აამაღლებდა კონიაკის ხარისხს. შაქრის და დისტილირებული წყლის მიმატება კი გააიიფებდა კონიაკს, რომელიც მეტად ძვირი ჯდებოდა. ეს კი საშუალებას მისცემდა რუსეთის ახლადფეხადგმულ წარმოებას კონკურენცია გაეწია იმპერიის ბაზარზე გაბატონებული საზღვარგარეთული კონიაკისათვის.

დ. სარაჯიშვილის წინადადება სხდომაზე დიდი მსჯელობისა და კამათის საგანი გახდა. სპეციალურ ლაბორატორიას დაევალა ფრანგული კონიაკის სიმაგრის და შაქრიანობის შემოწმება.

დ. სარაჯიშვილის პირველი წინადადება კონიაკის სიმაგრის შემცირების შესახებ, სხდომაზე შედარებით ნაკლებ წინააღმდეგობას წააწყდა და ერთხმად მიიღეს, რაც შეეხება მეორე წინადადებას — კონიაკისათვის შაქრის მიმატების შესახებ, პირველ ხანებში

<sup>81</sup> Труды Технического Комитета Департамента Неокладных сборов, 1889, СПб., 1890, гв. 84. ЦГИА СССР, ф. 574. а.н.ф., 1, л. 594, ფურც. 12.



სასტიკად უარყვეს. დ. სარაჯიშვილი კიდეც ვაკიცხეს იმის გამო, რომ ნატურალური კონიაკის სიწმინდის დაცვის ნაცვლად, მან კონიაკის რაღაც უბრალო „ნარევით“ შეცვლა მოითხოვა; თუმცა იქვე აღნიშნული იყო, რომ ფრანგული კონიაკი გარკვეული რაოდენობის შაქარს შეიცავდა, მიუხედავად ამისა, საკითხი დიდი შეხლამემოხლის საგანი გახდა<sup>82</sup>. სხდომის თითქმის ყველა წევრი დ. სარაჯიშვილის წინადადების წინააღმდეგ გამოდიოდა. ეს სრულიადაც არ იყო გასაკვირი, რადგან იმ პერიოდში, როდესაც კონიაკის ერთადერთ დასაფასებელ თვისებად, ფალსიფიცირებულისაგან განსხვავებით, მისი ნატურალური ხასიათი იგულისხმებოდა, ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობას ადგილი ექნებოდა. აღნიშნული საკითხი დიდი ხნის განმავლობაში მსჯელობის საგნად დარჩა და ბოლოს, 1889 წ. დეკემბერში ტექნიკური კომიტეტის სხდომაზე, დ. სარაჯიშვილის წინადადებები მიიღეს. 1890 წლის 8 მარტიდან რუსული კონიაკის სიმაგრე 45 გრადუსით განისაზღვრა, ნაცვლად 55 გრადუსისა, დამეზებული იქნა მასში 1,5% შაქრის და დისტირირებული წყლის მიმატება. დ. სარაჯიშვილმა დამატებით თავისი წარმოებისათვის წვიმის რბილი წყლის გამოყენების ნებართვაც მიიღო<sup>83</sup>. ამ ღონისძიებების გატარებით რუსული კონიაკის დამზადების წესი ფრანგული კონიაკის ტექნოლოგიას მიუახლოვდა. შედარებით გაიფხვრა მისი წარმოება, რამაც ადგილობრივ პროდუქციას საშუალება მისცა კონკურენცია გაეწია საზღვარგარეთული კონიაკისათვის. ეს ღონისძიება უშუალოდ კონიაკის წარმოების ტექნოლოგიას ეხებოდა და კონიაკის წარმოების გაუმჯობესების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ყველა მონაცემის გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ დ. სარაჯიშვილის ფირმა სათანადო ბაზაზე დამყარებული ფართო ხასიათის მსხვილი სამრეწველო წარმოება იყო. იგი მკვეთრად განსხვავდებოდა ჩვენ მიერ აქამდე აღწერილი კონიაკის მწარმოებლების საქმიანობისაგან ნედლი მასალის შერჩევის, გამოხდის თავისებურებებს, კონიაკის ტექნოლოგიის პროცესების დაცვის თვალსაზრისითა და ფართო მასშტაბებით. დ. სარაჯიშვილს ამ მხრივ დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთის იმპერიაში მრეწველობის სრულიად ახალი დარგის, მეცნიერულ საფუძველზე დამყარებულ კონიაკის სამრეწველო წარმოების ჩამო-

<sup>82</sup> ЦГИА СССР, ფ. 574, ანაწ. 1, ს. 594, ფურც. 32—60.

<sup>83</sup> იქვე.



ყალიბებაში. მისმა საქმიანობამ ბიძგი მისცა კონიაკის წარმოების განვითარებას რუსეთის იმპერიაში და რიგი მრეწველობის დაინტერესება გამოიწვია.

დ. სარაჯიშვილის მიმდევრებს შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ნ. ტაიროვის მოღვაწეობა. მან. დ. სარაჯიშვილის ტიპის ქარხანა ქ. ერევანში გახსნა. წარმოების შესახებ ცნობებს მისი თანამედროვენი გვაწვდიან. ქარხნის დაარსების და საკონიაკე სპირტის გამოშვების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. წყაროთა ერთი ნაწილი ნ. ტაიროვის არყის ქარხნის დაარსებას 1887 წლით ათარიღებს, ხოლო პირველი საკონიაკე სპირტის გამოშვების დროდ 1889 წ. ასახელებს<sup>84</sup>. მკვლევართა მეორე ნაწილი ნ. ტაიროვის კონიაკის ქარხნის დაარსების და პირველი საკონიაკე სპირტის გამოშვების თარიღად 1889 წ., ზოგი — 1890 წ. მიიჩნევს<sup>85</sup>. ყველაზე სანდო წყაროდ ჩვენ მიგვაჩნია საარქივო დოკუმენტები, ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველოს უფროსის მიერ გაუწერელ ხარჯთა დეპარტამენტისადმი წარდგენილი ანგარიში, რადგან ცნობილია, რომ სააქციზო უწყება თვალყურს ადევნებდა სპირტის წარმოების ყველა უმნიშვნელო მომენტსაც კი. ამის გამო, ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორც იმ დროისათვის კონიაკის ქარხნის დაარსება იყო, ბუნებრივია, სააქციზო უწყების მხედველობის გარეშე არ დარჩებოდა. 1887 წ. ბოლოს ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველოს უფროსის მოადგილის — ლაზარევის მიერ პეტერბურგში წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნულია: „სამწუხაროდ, კონიაკის წარმოება სააქციზო სისტემის შემოღებამდე არ არსებობდა და დღემდე არ შექმნილა (1887 წ.). ვენახის მფლობელებიდან და მრეწველებიდან არავის არ მიუმართავს სააქციზო სამმართველოსათვის შუამდგომლობით კონიაკის წარმოების ნებართვის შესახებ. ამ საქმის მსურველები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ სააქციზო უწყება სათანადო წესებს გამოიმუშავებდა და მას დანიშნულებისამებრ წარადგენდა“<sup>86</sup>.

ერევნის გუბერნიაში სპირტის წარმოების მდგომარეობის განხილვისას, სააქციზო სამმართველოს უფროსი ლ. პერშკე პირდაპირ

<sup>84</sup> ВВ. 1904, № 3, КСХ, 1895, № 96, 103. В. В., 1892, № 4, В. В., 1900, 33. 553—555.

<sup>85</sup> Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе, СПб., (ССВВК), 1896, с. 119.

<sup>86</sup> ЦГИА СССР, ф. 574, а. н. а. № 1, л. 559, ფურც. 338.

მიუთითებს: „ეს წარმოება (ლაპარაკია საკონიაკე სპირტის გამოხდაზე — მ. მ.), ტაიროვის ერევნის ქარხნის პირველი ცდით — 1889 წ. დაიწყო...“<sup>87</sup>. „1889 წ. დაიწყო, — მიუთითებს სხვა წყარო, — ამ ქარხანაში სუფთა ღვინის გამოხდა“...<sup>88</sup>. „ტაიროვის ქარხანა აშენდა 1887 წ., — აღნიშნულია ერთ-ერთ ჟურნალში, მაგრამ მოქმედება 1889 წ. დაიწყო“<sup>89</sup>.

საარქივო და ლიტერატურული მასალის დამუშავებით ცხადი ხდება, რომ ტაიროვმა მართალია ტექნიკურად სრულყოფილი არყის ქარხნისათვის საჭირო დანადგარები 1887 წ. ჩამოიტანა, მაგრამ სუფთა ღვინისაგან საკონიაკე სპირტის წარმოება მხოლოდ 1889 წ. დაიწყო. კონიაკის წარმოების ჩამოყალიბებამდე ნ. ტაიროვი მეღვინეობას მისდევდა. 1885 წ. მას უკვე ჰქონდა უბრალო არყის ქარხანა, რომელიც მეღვინეობის ნარჩენების უტილიზაციას აწარმოებდა<sup>90</sup>. როგორც მრეწველი მეღვინე, იგი შეეცადა ამ წარმოების უფრო ფართო მასშტაბით განვითარებას, გაზარდა და გააფართოვა სარდაფები, ღვინის და მისი ნარჩენების შესანახად შეიძინა ხის კასრები, საქმის სწორი გაძლოისათვის დაიჭირა კიდევ გამოცდილი მეღვინე. როგორც საკუთარი, ისე ნაყიდი ყურძნისაგან დააყენა დიდი რაოდენობით ადგილობრივი ღვინო. 1887 წ. არყის ქარხნის ტექნიკური დანადგარებით აღჭურვის მიზნით, პისტორიუსის ტიპის აპარატი იყიდა. პირველ ხანებში მას მეღვინეობის ნარჩენების უტილიზაცია ჰქონდა მიზნად დასახული. ამ პერიოდში გამოხდა „ბულგური“<sup>91</sup>, აგრეთვე ჭაჭა და ღვინის ნარჩენები<sup>92</sup>. მაგრამ ერევნის ღვინოების თავისებურებების, მის გადაზიდვასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო, ღვინის გასაღება დაბრკოლდა. ამას დაემატა ის გარემოებაც, რომ წვრილი მწარმოებლების მიერ დიდი რაოდენობით გამოხდილმა უაქციზო იაფმა სპირტმა (3 კაბ. 1 გრ. სპირტზე) კონკურენცია გაუწია ნ. ტაიროვის ქარხნის პროდუქციას (7 კაბ. 1 გრ. სპირტზე). დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ნ. ტაიროვის წინაშე დადგა საკითხი — წვრილ მწარმო-

<sup>87</sup> სცსა, ფ. 370. ს. 1608, ფურც. 28.

<sup>88</sup> B. B., 1900 № 9.

<sup>89</sup> KCX., 1895, № 97.

<sup>90</sup> KCX., 1895, № 97.

<sup>91</sup> „Булгур“ ეწოდებოდა ღვინისა და ჭაჭის ნარევეს, რომელიც არყის წარმოებაში გამოიყენებოდა (B. B., 1900, № 9).

<sup>92</sup> B. B., 1900, № 9.



ეგელთა მოზღვავებული იაფი სპირტისათვის უკეთესი ხარისხის პროდუქტი დაეპირისპირებინა, რომელიც არსებული კონკონიაციის დაძლევის შეძლებდა. ამიტომ ნ. ტაიროვმა შეცვალა აღებული კურსი, სუფთა ღვინისაგან საკონიაკე სპირტის წარმოება დაიწყო და პირველი პროდუქცია 1889 წ. 61 694 გრ. საკონიაკე სპირტის სახით მოგვცა<sup>93</sup>. ამით საფუძველი ჩაეყარა ერევანში საკუთრივ კონიაკის წარმოებას.

აღნიშნული მასალების ფონზე მეტად საეჭვოდ გამოიყურება ლ. ჯანფოლადიანის მტკიცება, რომ თითქოს ნ. ტაიროვს კარგად განვითარებული კონიაკის წარმოება 1889 წლამდე ჰქონდა, 1889 წლიდან კი უფრო მეტად გაზარდა და გააფართოვა იგი.

ნ. ტაიროვის კონიაკის ქარხანაში მოქმედი პისტორიუსის აპარატის კუბი 98 ვედროს ტევადობისა იყო. იგი შედგებოდა დეფლუგმაციური თეფშისა და მაცივრისაგან. სპირტის წარმოებისათვის 2—3 წლიანი ღვინოები გამოიყენებოდა. ქარხანა დღე-ღამეში 5—6 გამოხდას აწარმოებდა. საკონიაკე სპირტის დაძველება 10—12 ვედროიან ხის კასრებში ხდებოდა. 1888 — 1890 წლებში ქარხანამ 188 509 გრ. საკონიაკე სპირტი გამოხდა. 1891 წ. ნ. ტაიროვს დასაძველებლად გადაცემული ჰქონდა 165 000 გრ. საკონიაკე სპირტი<sup>94</sup>. 1892 წლისათვის მისი ქარხანა წლიურად 22 403 ვედრო სპირტს უშვებდა<sup>95</sup>. ტაიროვის კონიაკის ქარხანა მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოს წარმოადგენდა. იგი, ახალი ტექნიკური დანადგარებით აღჭურვილი, ტექნოლოგიის პროცესების თანმიმდევრული დაცვით, წარმოებას მყარ და სწორ ნიადაგზე აყენებდა.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე აშკარა ხდება, რომ კონიაკის წარმოების განვითარების მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელია საკუთრივ კონიაკის სამრეწველო ქარხნების შექმნა. მართალია, პირველ ხანებში საკონიაკე სპირტის და კონიაკის წარმოებაში გარკვეული ხარვეზები შეიმჩნევა, მაგრამ აღნიშნული პერიოდი წარმოების განვითარების მხრივ მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია — სპეციალური კონიაკის ქარხნების, ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების და ნედლ მასალად უპირატესად

<sup>93</sup> В. В. 1892, № 4. სცსა, ფ. 370, ს. 1608, ფურც. 28; В. В., 1900, № 9.

<sup>94</sup> Л. М. Д ж а н п о л д я н. Очерки развития отечественного коньячного производства, Ер., 1966, с. 51.

<sup>95</sup> В., В., 1892, № 4.

<sup>96</sup> Указатель фабрик и заводов России, Царства Польского, Кавказа-СПб., 1895, с. 174.



ღვინის გამოყენების თვალსაზრისით; როგორც ვნახეთ, კონიაკის პირველი მწარმოებლები (ძმ. იზმიროვები, თ. ტომულცი) ცდილობენ უშუალოდ ღვინის გამოხდით მაღალი ხარისხის საკონიაკე სპირტის მიღებას, მაგრამ კონიაკის წარმოებისათვის დამახასიათებელი რთული ტექნოლოგიური პროცესების არასრულყოფის გამო მათ მიერ მიღებული პროდუქტი ჩამოუყალიბებელ სახეს ატარებს. კონიაკის ამ პერიოდის მწარმოებლებს შორის მკვეთრად გამოირჩევა დ. სარაჯიშვილის და შემდეგ ნ. ტაიროვის უახლესი ტექნიკის ბაზაზე შექმნილი წარმოება, სადაც ტექნოლოგიის პროცესების დაცვით და მისი სრულყოფით საფუძველი ჩაეყარა რუსეთის იმპერიაში საკუთრივ კონიაკის წარმოებას. კონიაკის სრულყოფილი წარმოების ჩამოყალიბებას არანაკლებ შეუწყო ხელი კონიაკის ტექნოლოგიის დაზუსტების მიზნით დ. სარაჯიშვილის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა. ამან მწარმოებლებს საშუალება მისცა დაეხვეწათ, გაეუმჯობესებინათ, გაეიაფებინათ პროდუქცია და იგი ფრანგული ნატურალური კონიაკის დონემდე აემაღლებინათ. ამ დროიდან იწყება კონიაკის წარმოების განვითარების მესამე ეტაპი.

\*  
\* \* \*

რუსეთში კონიაკის წარმოების განვითარების მესამე ეტაპი მოიცავს დროს 90-იანი წლებიდან 1914 წლამდე. ამ პერიოდში შეიხიშება კონიაკის სამრეწველო ქარხნების რიცხვის წარმატების ზრდა და პროდუქციის ასორტიმენტის გამრავალფეროვნება.

ერევნის გუბერნიაში 1892 წ. კონიაკის წარმოებას იწყებს გეზალოვი, 1893 წ. — აფრიკოვი, 1894 წ. — დ. სარაჯიშვილი და ბაბან მელიქ ბაბახანოვი, 1895 წ. — სოგომონოვი და აიღინოვი<sup>97</sup>. ბაქოს გუბერნიაში კონიაკის ქარხანას ხსნის ავეტისოვი<sup>98</sup>; ელიზავეტოპოლის გუბერნიაში 1891 წ. კონიაკის წარმოებას იწყებენ სოგომონოვი და ხუმბაროვი, 1892 წ. — არუნოვი, პარუმოვი და ფორგერი, 1894 წ. — ჯევანშირი<sup>99</sup>. ქუთაისის გუბერნიაში, ოზურგეთის მაზრაში 1892 წ. იქმნება პრინცი მიურატის, ქ. ქუთაისში კი ბიბიკოვის და ოლდენბურგის ქარხნები<sup>100</sup>.

<sup>97</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1608, ფურც. 28; BB, 1893 № 12 გვ. 739.

<sup>98</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1608, ფურც. 31.

<sup>99</sup> იქვე, ფურც. 30.

<sup>100</sup> იქვე, ფურც. 33; CCBK, 1896, გვ. 138;



ამიერკავკასიის გარდა კონიაკის წარმოებას რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილებშიც იწყებენ. 1890 წ. ბესარაბიაში, კონსტანტინოპოლში გაიხსნა რეიდელის<sup>101</sup>, 1895 წ. პაულეშტეტში — დ. სარაჯიშვილის კონიაკის<sup>102</sup> ქარხნები. 1890 წ. თურქესტანის მხარეში ფილატოვმა იწყო კონიაკის წარმოება. მისი საქმიანობა პირველ ხანებში ლაბორატორიულ ხასიათს ატარებდა<sup>103</sup>. ყირიმში რუსმა ჟურავლიოვმა ფრანგ მრეწველებთან კომპანია შეადგინა. 1892 წ. მათ მაგარაში კონიაკის ქარხანა გახსნეს. საფრანგეთიდან ძველი კონიაკები, მანქანა-იარაღები და სპეციალისტი გამოიწერეს. ქარხანამ მხოლოდ 2 წელი იარსება და 1894 წ. დაიხურა<sup>104</sup>.

XIX ს. ბოლოს ამიერკავკასიაში საკონიაკე სპირტის წარმოების ძძლავრი კერა ერევნის გუბერნიაში შეიქმნა. უგზობობის გამო გუბერნია გასაღების ბაზრებს მოკლებული იყო. ყურძნის და ღვინის გასაყიდად გატანა მწარმოებლებს მეტად ძვირი უჯდებოდათ. დიდი ხნით ღვინის შენახვა გლეხებს უძნელდებოდათ, რადგან იგი მალე მჟავდებოდა, ფუჭდებოდა და ვერ უძლებდა გადაზიდვას. ამიტომ ადგილობრივი ღვინის დიდი ნაწილი ან ძალიან იაფად იყიდებოდა ან სპირტის წარმოებაში გამოიყენებოდა. იაფმა ღვინომასალამ კონიაკის მწარმოებელთა დიდი ნაწილი ერევნის გუბერნიისაკენ მიიზიდა.

1889 წ. აქ 1 ქარხანა მოქმედებს, 1892 წ. — 2, 1894 წ. — 4, 1895 წ. — 7. 1889 წ. საკონიაკე სპირტის გამოხდა 61694 გრ. უდრის 1890 წ. — 126815 გრ., 1892 წ. — 209750 გრ., 1894 წ. — 417923 გრ., 1895 წ. — 783404 გრ.<sup>105</sup>. წარმოების ოდენობით, პროდუქციის ხარისხით და ტექნიკური დონით ნ. ტაიროვის ქარხანა გამოირჩევა. 1889-1899 წწ. მისი ქარხნის საშუალო წლიური წარმადობა 250000-300000 გრ. საკონიაკე სპირტს (44000 მან.) უდრის. 1897 წ. ოფიციალური მონაცემებით ქარხანაში 6 მუშა მუშაობს<sup>106</sup>.

90-იან წლებში საკონიაკე სპირტის წარმოების ოდენობის თვალსაზრისით ამიერკავკასიაში მეორე ადგილზე ელიზავეტოპოლის

<sup>101</sup> ЦГИА СССР, ფ. 574, ანაწ. 1, ს. 594 ფურც. 135.

<sup>102</sup> Д. З. Сараджев, გვ. 9.

<sup>103</sup> ЦГИА СССР, ფ. 574 ანაწ. 1, ს. 594 ფურც. 23.

<sup>104</sup> ВВ., 1893, № 4, გვ. 246.

<sup>105</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1608, ფურც. 28.

<sup>106</sup> Фабрично-заводская промышленность России. Перечень фабрик и заводов, СПб., 1897, с. 966.



გუბერნია დგას. აქ 1891 წ. 2 ქარხანა მოქმედებს, 1892 წლიდან 5. საკონიაკე სპირტის გამოხდა 1891 წ. 86673 გრ. შეადგენს, 1892—97 წწ. 200000-დან 400000 გრ-მდე მერყეობს. კონიაკის ქარხნების საქმიანობა აქ 1891 წლიდან სოგომონოვებისა და ხუბლაროვების საქმიანობით დაიწყო. 1892-95 წწ. კონიაკის წარმოებას ხელს კიდებენ არუნოვი, პარუშოვი, ჯევანშირი<sup>107</sup>.

ძართალია საქართველოს კლიმატური პირობები, ქართული ვაზის ჯიშების მრავალსახეობა, სხვადასხვა ტიპის ყურძნის ღვინოები წარმოებისათვის შესანიშნავ პირობებს ქმნიდნენ, ქართული ღვინის სიმაგრე და ხარისხი უახლოვდებოდა ფრანგულს და საუკეთესო ხარისხის საკონიაკე სპირტის მიღება შეიძლებოდა, მაგრამ ქართული ღვინის (კახური) დიდი ნაწილი კარგი ხარისხისა და მასზე მოთხოვნილების გამო ღვინის სახით საღებოდა. მაღალი საბაზრო ფასი (1 ვედროზე 80 კაპიკიდან 1 მან. და 20 კაპ. — 4 მანეთამდე) კონიაკის წარმოებას აძვირებდა, მისგან სპირტის გამოხდა მრეწველებისათვის ნაკლებად ხელსაყრელი და ხელმისაწვდომი იყო. ამიტომ მწარმოებელთა უმეტესი ნაწილი საშუალო და დაბალი ხარისხის ღვინის გამოხდას არჩევდა. ისინი ცდილობდნენ მოსახლეობის ფართო მასების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დიდი რაოდენობის პროდუქტი დაემზადებინათ. რუსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო საშუალო და დაბალი ღირებულების კონიაკებზე<sup>108</sup>. უმაღლესი ხარისხის კონიაკებს დიდი საბაზრო ფასის გამო, მომხმარებელთა მცირე ნაწილი, უფრო მეტად ზედა ფენა ეტანებოდა, ამიტომ მას დიდი რაოდენობით არ ამზადებდნენ. უმაღლესი ხარისხის კონიაკების იმ მასშტაბით წარმოებას, რასაც რუსი მომხმარებელი მოითხოვდა, მწარმოებლების უმეტეს ნაწილს კონიაკის ქარხნებთან არსებული მამულებიდან მიღებული ღვინიდანაც შეეძლოთ. დ. სარაჯიშვილი ამ მიზნით დიღმის, კახეთის, ყიზლარის და სხვა მამულში დაწურული საკუთარი წარმოების ღვინოს იყენებდა, სოგომონოვი და ხუბლაროვი კი ერევნის და ელიზავეტოპოლის მამულების ღვინოს.

გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ თბილისში ჩამოტანილი ღვინის გამოხდა უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე მისი ადგილზე გამოხდა. ამ გარემოებამ დ. სარაჯიშვილი აიძულა დაეხურა თბილისის კონიაკის ქარხანა და ახალი ქარხნები იაფი ნედლეულის ბაზებთან ახლოს

<sup>107</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1608. ფურც. 30.

<sup>108</sup> ЦГИА СССР, ფ. 575, ანაწ. 2, ს. 2092, ფურც. 211.



გახსნა. 1895 წ. თბილისის კონიაკის ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა. იგი კონიაკის ცენტრალურ საბითუმო საწყობად გადაკეთდა.<sup>109</sup>

დ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის დახურვის შემდეგ ქ. თბილისში და თბილისის გუბერნიაში 1908 წლამდე კონიაკის ქარხნები არ გახსნილა 1908 წ. თბილისში კონიაკის ქარხანა სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „არგომ“ გახსნა. 1908 წ. 29 მაისს ქარხნის მოწყობილობა სააქციზო უწყების კომისიამ შეამოწმა. დანადგარები წარმოებაში გასაშვებად მზად იყო. აქ იდგა პისტორიუსის ტიპის საკონიაკე სპირტსახდელი აპარატი. იგი შედგებოდა სპილენძის კუბის, დეფლემაციური ცილინდრისა და სპილენძის მაცივრისაგან. გამოსახდელი კუბი 61-63 ვედროს ტევადობისა იყო.<sup>110</sup> ნედლ მასალად კონიაკის ქარხანამ გამოიყენა ღვინოები, რომელნიც დამკვეთის შიდრეკილებას ამჟღავნებდნენ. 1908 წ. ქარხანამ 62786 გრ. საკონიაკე სპირტი გამოხადა. ქარხანაში 5 მუშა იყო დასაქმებული. ქარხანამ მხოლოდ 1908 წლის ბოლომდე იმუშავა. არარენტაბელობის გამო 1909 წლიდან მისი მოქმედება შეწყდა.<sup>111</sup> ქარხნის დანადგარები ამხანაგობა „არგომ“ ავაკ ბალდასაროვს მიჰყიდა, ამ უკანასკნელმა 1910 წ. ოქტომბერს მისი მოწყობილობა ელიზავეტპოლის კონიაკის ქარხანაში გადაიტანა.<sup>112</sup> თუმცა „არგოს“ მიერ სააქციზო სამმართველოში წარდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქარხანა არ იხურება, მხოლოდ მოწყობილობას ყიდის ახლის დადგმის და ძველის რეკონსტრუქციის გამო, მაგრამ მისი აღდგენა „არგომ“ ველარ მოახერხა. ქარხნის საქმიანობა მეტად უმნიშვნელო აღმოჩნდა. მრეწველების ცდა, თბილისში საკონიაკე სპირტის წარმოება აღედგინათ, მარცხით დამთავრდა. ნედლი მასალის სიძვირემ, ყურძნის და ღვინის მოსავლიანობის შემცირებამ აღნიშნულ წარმოებაზე უარყოფითად იმოქმედა. ქარხნის დახურვა იმავე მიზეზებმა გამოიწვია, რამაც თავის დროზე დ. სარაჯიშვილის ქარხანას არსებობა შეაწყვეტიხა — თბილისი საკონიაკე სპირტის მწარმოებელ ბუნქტად ვერ იქცა.

1908 წ. თბილისის გუბერნიაში (ბორჩალოს მაზრა — კოლონია ელენენდორფში) კონიაკის 2 ქარხანა გაიხსნა. ერთი მათგანი ეკუთვნოდა ალმენდინგერს, მეორე — საზოგადოება „უნიონს“. ამ უკანას-

<sup>109</sup> Д. З. Сараджеев, გვ. 7.  
<sup>110</sup> სცსა, ფ. 371, ს. 377, ფურც. 2; ს. 369, ფურც. 103.  
<sup>111</sup> სცსა, ფ. 371, ს. 403, ფურც. 87, 109—112.  
<sup>112</sup> სცსა, ფ. 371, ს. 377, ფურც. 2.





კნელში გაერთიანებული იყო 40-ზე მეტი გერმანელი წვრილი მევენახე. ქარხნების გახსნა უკანასკნელ წლებში ყურძნის კარგმა მოსავალმა და ღვინოზე ფასის (1907-1908 წწ. 1 ვედრო ღვინო 60 კაპ. ლირდა) შემცირებამ გამოიწვია, რომელმაც იაფფასიანი ღვინის უტილიზაციის საკითხი დააყენა. ნედლ მასალად ორივე ქარხანა კარგი ხარისხის ღვინოს იყენებდა. სპირტის ერთი ნაწილი მაზრაში ღვინის გამაგრებას ხმარდებოდა, ნაწილს მუხის კასრებში აძველებდა<sup>113</sup>. 1908 წ. ქარხნებმა 214971 გრ. საკონიაკე სპირტი გამოხადეს<sup>114</sup>, ხოლო 1909 წ. 238398 გრ.<sup>115</sup>. 1909 წლიდან ღვინის მოსავალი საკმაოდ შემცირდა და ღვინის ფასი გაიზარდა. აღნიშნულმა გარემოებამ ადგილობრივ წარმოებაზეც გავლენა იქონია. 1910 წ. ბორჩალოს მაზრის ქარხნებში საკონიაკე სპირტის წარმოება 142845 გრ. უდრის. 1910 წ. საზოგადოება „უნიონმა“ 40296 გრ. (12078 მან.) კონიაკი ჩამოასხა, აღმენდინგერმან — 1175 გრ.<sup>116</sup> (352 მან.). აღმენდინგერმანის ქარხნის პროდუქტია ამიერკავკასიის ფარგლებში მოიხმარებოდა, საზოგადოება „უნიონის“ ნაწარმი კი მცირე პარტიებით რუსეთშიც გადიოდა. 1910 წ. აღმენდინგერმან ამიერკავკასიაში 3069 გრ. კონიაკი და საკონიაკე სპირტი გაყიდა, „უნიონმა“ — 22763 გრ. იმპერიაში „უნიონის“ მიერ გატანილი კონიაკის და საკონიაკე სპირტის რაოდენობა 1910 წ. 3636 გრ. უდრიდა. „უნიონის“ ნაწარმი გავიდა სტავროპოლის, პოდოლსკის, ჩერნიგოვის, კიევის, ვარშავის, ეკატერინოსლავის გუბერნიებში<sup>117</sup>. 1914 წ. ქარხნების გამოხდა 366229 გრ. სპირტს უდრიდა<sup>118</sup>. 1914 წ. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, საკონიაკე სპირტის წარმოება შეიზღუდა. სააქციო გადასახადი 1 გრ. სპირტზე 7 კაპიკიდან 14 კაპიკამდე გაიზარდა<sup>119</sup>. იმის გამო რომ სპირტის გაყიდვა აიკრძალა<sup>120</sup>, მისი გასაღება შეიზღუდა<sup>121</sup>, წარმოება შემცირდა, სპირტი ძირითადად სამედიცინო მომსახურებისათვის იგზავნებოდა<sup>122</sup>. 1914-17 წწ. კონიაკის ქარ-

<sup>113</sup> სცსა, ფ. 371, ს. 403, ფურც. 109—112.  
<sup>114</sup> იქვე.  
<sup>115</sup> სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 29—30.  
<sup>116</sup> სცსა, ფ. 371, ს. 833, ფურც. 76—78, 81.  
<sup>117</sup> იქვე, ფურც. 76.  
<sup>118</sup> ЦГИА СССР, ფ. 575, ანაწ., 6, ს. 196, ფურც. 3.  
<sup>119</sup> ЦГИА СССР, ფ. 575, ანაწ. 2, ს. 4957, ფურც. 152.  
<sup>120</sup> სცსა, ფ. 371, ს. 735, ფურც. 22.  
<sup>121</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1086, ფურც. 41.  
<sup>122</sup> სცსა, ფ. 371, ს. 710, ფურც. 30.

ხნებს არსებობა ვაუჭირდათ, ისინი პერიოდულად მოქმედებდნენ და ხშირად სპირტის არსებული მარაგის ჩამოსხმას აწარმოებდნენ. 1917 წ. ორივე ქარხანაში საკონიაკე სპირტის შარავი 1122 გრ-მდე შემცირდა<sup>124</sup>.

თბილისის გუბერნიაში მოქმედი ორივე ქარხანა არ გამოირჩევა არც წარმოებული პროდუქციის ოდენობით, არც მისი ხარისხითა და სავაჭრო ოპერაციებით. 1912 წ. ოფიციალური მონაცემებით ალმენდინგერის ქარხნის წლიური პროდუქცია 5015 მან. შეადგენს, ქარხანაში 3 ქუშა მუშაობს. „უნიონის“ წლიური პროდუქცია 13600 მან. უდრის, დასაქმებულ მუშათა რაოდენობა კი 3 კაცს<sup>125</sup>.

ამრიგად, თბილისის გუბერნიაში საკონიაკე სპირტის წარმოება მეტად უმნიშვნელოა. წარმოების დონით, ოდენობითა და ხარისხით დ. სარაჯიშვილის ქარხანა გამოირჩეოდა, მაგრამ მისი არსებობა მეტად ხანმოკლე იყო.

ასეთივე ხასიათი აქვს კონიაკის წარმოებას ქუთაისის გუბერნიაში. 1889 წ. ზუგდიდის მაზრაში პრინცი მიურატი ხელს კიდებს მძულის განახლებას და მევენახეობა-მეღვინეობის გაფართოებას იწყებს. იგი ცდილობს აღადგინოს ძველი ქართული ვაზის ჯიშები, მაგრამ გავრცელებული ვაზის ავადმყოფობა ამის საშუალებას არ აძლევს. ამიტომ იგი ცდილობს ვაზის ისეთი ახალი ჯიშებით შეავსოს ვენახები, რომელნიც გამძვინვარებულ ავადმყოფობას გაუძლებენ. ამ მიზნით იგი ვაზის ამერიკულ ჯიშებს იწერს. აქვე კასრების სახელოსნოს აარსებს, რომელიც მეღვინეობისათვის საჭირო ჭურჭლის დამზადებას ემსახურება. კასრებს მუხის მერქნიდან ამზადებენ. პრინცი მიურატი მარტო მეღვინეობის განვითარებით არ დაკმაყოფილდა. მან 1892 წ. კონიაკის წარმოებას მიჰყო ზელი. ამ მიზნით გახსნა ქარხანა, სადაც გაუმჯობესებული ტიპის სპირტსახდელი კუბი დადგა. მიურატმა საფრანგეთიდან სპეციალისტი გამოიწერა, რომელსაც კონიაკის წარმოებაზე მეთვალყურეობა დაავალა. საფრანგეთიდანვე შემოიტანა მან კასრებისათვის საჭირო მუხის ხის მასალა. ამ მასალიდან მის სახელოსნოში მუხის კასრები დამზადდა. 1893 წ. 480 ვედრო ღვინის სპირტი გამოხადა, რომელიც ძთლიანად მუხის კასრებში შეინახა დასაძველებლად. განზრახული

<sup>123</sup> სცსა, ფ. 371, ს. 365, ფურც. 1—31. ს. 765, ფურც. 47—87.

<sup>124</sup> სცსა, ფ. 371, ს. 779 ფურც. 18.

<sup>125</sup> Список фабрик и заводов Росийской Империи, СПб., 1912, с. 248 ; სცსა, ფ. 371, ს. 403, ფურც. 87.

იყო მისი 5-6 წლით დაძველება. 1892-95 წწ. ქარხანაში 42837 გრ. საკონიაკე სპირტი გამოხადეს. მიურატმა წარმოების გაფართოება გადაწყვიტა. შეიძინა ახალი გამოსახდელი აპარატი, რომელიც მაღალი ხარისხის საკონიაკე სპირტს ხდიდა. მიურატის წარმოების შემდგომ გახვითარებას ხელი შეუშალა მისმა ნაადრევმა სიკვდილმა. 1895 წ. მიურატის ქარხანაში სპირტის წარმოება შეწყდა<sup>126</sup>. პრინცი მიურატის სიკვდილის შემდეგ კონიაკის წარმოების საქმეს ხელი შოკიდა მისმა მეუღლემ. 1897 წ. ქარხანამ 14775 გრ. (2511 მან.) საკონიაკე სპირტი გამოხადა<sup>127</sup>. 1897 წ. მიურატის ქარხანაში საკონიაკე სპირტის მარაგი 35399 გრ. შეადგენდა<sup>128</sup>. ამ მარაგიდან 1900 წ. 26119 გრ. კონიაკი გაყიდა<sup>129</sup>. მიურატის კონიაკს თანამედროვენი მაღალ შეფასებას აძლევენ<sup>130</sup>. მისი ქარხნის ნაწარმი 1 გრ. 80 კაპიკიდან 1 მან. და 20 კაპ. იყიდებოდა<sup>131</sup>. 1907 წ. მიურატის ქარხანაში საკონიაკე სპირტის მარაგი 247 გრ-ლა დარჩა<sup>132</sup>.

ქუთაისის გუბერნიაში (ქ. ქუთაისში) კონიაკის ქარხნები გახსნეს ბიბიკოვმა და პრინცმა ოლდენბურგმა. მათ მიერ დაარსებული კონიაკის ქარხნების საქმიანობაზე დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ ბიბიკოვის ქარხანა, მიურატის მსგავსად, კონიაკს ფრანგული წესით ამზადებდა<sup>133</sup>. 1897 წ. ბიბიკოვის ქარხანაში დასაძველებლად 2800 გრ. სპირტი ინახებოდა<sup>134</sup>. 1899 წ. კი 2637 გრ<sup>135</sup>. პრინცი ოლდენბურგი ძირითადად შამპანურ-ღვინოს ამზადებდა. კონიაკის წარმოებაში შამპანური ღვინის დაყვებისათვის უვარგის ღვინოებს იყენებდა. ამ პერიოდში კონიაკის წარმოებას მისთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა და მას მხოლოდ შამპანურისათვის გამოუყენებელი ღვინის უტილიზაციის მიზნით მისდევდა. ამის გამო კონიაკის წარმოების ოდენობა, შამპანურთან შედარებით, მცირე მასშტაბისა იყო. 1897 წ.

<sup>126</sup> ССВВК, Т., 1896, № 3. IV, გვ. 120—133—137. სცსა, ფ. 370, ს. 1608 ფურც. 32—33.

<sup>127</sup> სცსა, ფ. 12, ანაწ. 12, ს. 1636 ფურც. 32.

<sup>128</sup> Отчет о ходе акцизного дела... за 1897, с. 114, СПб., 1898.

<sup>129</sup> Отчет... за 1900, СПб., 1901, с. 128.

<sup>130</sup> КСХ, 1895, № 103, გვ. 1767; სცსა, ფ. 12, ანაწ. 1, ს. 1636, ფურც. 32.

<sup>131</sup> КСХ, 1895, № 103, გვ. 1767.

<sup>132</sup> სცსა, ფ. 370, ს. 934, ფურც. 104.

<sup>133</sup> КСХ, 1895, № 103.

<sup>134</sup> Отчет... за 1897, с. 114, СПб., 1898.

<sup>135</sup> Отчет... за 1899, с. 129, СПб., 1900.

ქარხანამ 5000 გრ (850 მან.) საკონიაკე სპირტი გამოხადა<sup>136</sup>. 1899 წ. ოლდენბურგის ქარხნის მარაგი 3381 გრ. იყო<sup>137</sup>. 1898 წ. ქუთაისის გუბერნიის ქარხნებში საკონიაკე სპირტის მარაგი 80303 გრ. შეადგენს. ცალკეული ქარხნების მიხედვით ეს მარაგი ასე ნაწილდება: პრინცესა მიურატის ქარხანაში — 34321 გრ., პრინცი ოლდენბურგის — 3654 გრ., ბიბიკოვის — 2670 გრ., ფოთის საწყობში 39657 გრ<sup>138</sup>. 1900 წლისათვის ქუთაისის გუბერნიაში არსებული საკონიაკე სპირტის მარაგი 61500 გრ-მდე შემცირდა<sup>139</sup>.

გაზეთ „კავკაზში“ მოთავსებული ცნობით, 1893 წ. ქ. ფოთში ა. გუტმანსა და კომპ. ფართო ხასიათის კონიაკის წარმოება უნდა შეექმნა<sup>140</sup>. ფირმამ მართლაც დაიწყო კონიაკის გამოშვება. 1898 წ. გუტმანის ფირმის მფლობელი მავრიკია მენდელი პეტერბურგში, გაუწერელ ხარჯთა დეპარტამენტში, მისი ფირმის კონიაკის რუსეთში გაყიდვის უფლებას ითხოვს. კონიაკის სიმაგრე 45° შეადგენს. ვედრო კონიაკი 14 მან. ღირს<sup>141</sup>. გუტმანის კონიაკის წარმოებაზე საარქივო დოკუმენტები სხვა ცნობებს არ იძლევიან.

მოტახილი მონაცემებიდან ჩანს, რომ აღნიშნული ქარხნები შეტად უმნიშვნელო წარმადობის არიან.

ქუთაისის გუბერნიაში კონიაკის წარმოების გამოცოცხლება არც XX ს. დასაწყისში შეიმჩნევა. 1902 წ. ბიბკოვმა თავისი კონიაკის ქარხანა გაყიდა, იგი პრინცმა ოლდენბურგმა შეიძინა. მან მიზნად დაისახა გადაეკეთებინა ქარხანა და კონიაკი ფართო მასშტაბით ეწარმოებინა<sup>142</sup>. 1904 წ. ოლდენბურგის ქარხანა ამუშავდა. მან 1904 წ. 23738 გრ. (4628 მან.) საკონიაკე სპირტი გამოხადა. ამავე წელს ოლდენბურგმა გახსნა საკონიაკე სპირტის შესანახი საწყობიც. წლის განმავლობაში საწყობმა ელიზავეტოპოლის გუბერნიიდან 32416 გრ. საკონიაკე სპირტი მიიღო<sup>143</sup>. ქარხანა მხოლოდ 1904 წ. მოქმედებდა. 1905 წლიდან საწყობმა არსებული საკონიაკე სპირტის მარაგით ივაჭრა. 1906 წელს სპირტის მარაგი 16870 გრ-

<sup>136</sup> სცსა, ფ. 12, ანაწ. 1, ს. 1636, ფურც. 32.

<sup>137</sup> Отчет... за 1899, с. 129, СПб., 1900.

<sup>138</sup> სცსა, ფ. 370, ს. 823, ფურც. 59.

<sup>139</sup> სცსა, ფ. 370, ს. 839, ფურც. 52.

<sup>140</sup> Кавказ, 1893, № 300, გვ. 3.

<sup>141</sup> ЦГИА СССР, ფ. 575, ანაწ. 2, ს. 2092, ფურც. 72.

<sup>142</sup> სცსა, ფ. 370, ს. 901, ფურც. 51.

<sup>143</sup> სცსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 79.

მდე შემცირდა<sup>144</sup>. ამ დროიდან ოლდენბურგის კონიაკის წარმოება წყაროებში აღარ მოიხსენიება<sup>145</sup>. ქარხნის საქმიანობას შთამომავალნი აგრძელებენ. 1909 წ. ოლდენბურგის კონიაკის წარმოებაში იყენებენ შამპანური ღვინის დამზადებისათვის უვარგის მასალას და სპირტი დაძველების გარეშე გააქვთ ბაზარზე<sup>146</sup>. ამის შემდეგ ქარხნის მუშაობა წყდება<sup>147</sup>.

ქუთაისის გუბერნიაში კონიაკის წარმოება შედარებით მყარ ნიადაგზე 1910-იანი წლებიდან — ანანოვის კონიაკის ქარხნის დარსების შემდეგ დადგა. მას კარგად ორგანიზებული მეურნეობა ჰქონდა. მისი ვენახის ფართობი 137 დესეტინას შეადგენდა, აწარმოებდა შამპანურს და სხვა ტიპის ღვინოებს. ამ მიზნით მან დიდი სარდაფები და საწყობები მოაწყო. ინახავდა და ამუშავებდა არა მარტო საკუთარი მამულის მოსაეაღს, არამედ ყოველწლიურად 40-60 ათას ფუთ ყურძენს ყიდულობდა. მის ვარციხის მამულში მევენახეობა-მეღვინეობას სპეციალური სამმართველო ჯანაგებდა (40-45 კაცი). წარმოებაში დასაქმებული იყო 80-86 მუღმივი და 2-3-ჯერ მეტი სეზონური მუშა. შამპანურის დამზადების სპეციალისტები ანანოვს საფრანგეთიდან ჰყავდა ჩამოყვანილი<sup>148</sup>.

კონიაკის წარმოებას ანანოვმა 1909 წლიდან ჩაუყარა საფუძველი. მან ქარხანაში ჯერ ერთი სპირტსახდელი აპარატი აამუშავა, შემდეგ კი წარმოების გაფართოვების მიზნით, მეორე აპარატიც დადგა. საკონიაკე სპირტს გამოხდის შემდეგ დასაძველებლად მუხის კასრებში ინახავდნენ. ანანოვმა კონიაკის წარმოების სრულყოფის მიზნით ქ. კონიაკიდან სპეციალისტი გამოიწვია. იგი ქარხანაში სპირტის გამოხდასთან ერთად კონიაკის დაძველების, მისი დაკუპაჟების და ჩამოსხმის ოპერაციებს ხელმძღვანელობდა<sup>149</sup>. 1910 წ. სექტემბერში ვარციხეში ანანოვმა კონიაკის საწყობი გახსნა<sup>150</sup>. ანანოვის ქარხნის წარმოება გაიზარდა 1910 წ. 23352 გრ. უღრიდა, 1911 წ. გამოხდამ 281653 გრ. (47781 მან.) შეადგინა, ხოლო 1914 წ. — 418167 გრ.<sup>151</sup> (70688 მან.).

<sup>144</sup> სცხა, ფ. 370 ს. 940, ფურც. 21.

<sup>145</sup> სცხა, ფ. 370, ს. 934, ფურც. 104.

<sup>146</sup> სცხა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 109—110.

<sup>147</sup> Отчеты... за 1910, 1911, 1912, 1913, 1914. гг.

<sup>148</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. 5, გვ. 367.

<sup>149</sup> სცხა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 110.

<sup>150</sup> ЦГИА СССР, ფ. 575, ანაწ. 6, ს. 267, ფურც. 1—4.



1911 წ. კონიაკის ქარხანა სოხუმშიც გაიხსნა. იგი ეკუთვნოდა მგალობლიშვილსა და გაბუნიას<sup>152</sup>. ამ ქარხნის შესახებ წყაროებში მეტად მცირე მასალებს გვაწვდიან. 1911 წ. ქარხანამ 94356 გრ. (16040 მან) საკონიაკე სპირტი გამოზადა, 1912 წ. — 52421 გრ. (8911 მან.). 1913 წ. მისი წარმოება 9000 გრ-მდე შემცირდა. 1914 წ. კი კვლავ 35331 გრ-მდე გაიზარდა<sup>153</sup> (6006 მან.).

ქუთაისის გუბერნიაში არსებული კონიაკის ქარხნები არ გამოირჩევიან არც წარმოებული პროდუქციის, არც მუშათა რაოდენობის სიდიდით. 1910-12 წწ. ანანოვის კონიაკის ქარხანაში დასაქმებულია 4 მუშა. 1912 წ. ამდენივე მუშა მუშაობს სოხუმის კონიაკის ქარხანაში<sup>154</sup>. 1914 წ. ანანოვის კონიაკის ქარხნის მუშათა რაოდენობა 8 კაცამდე გაიზარდა, სოხუმის ქარხანაში კი უცვლელი დარჩა<sup>155</sup>. 1915 წელს მუშათა რაოდენობა მხოლოდ ერთით გაიზარდა<sup>156</sup>.

ამრიგად, რევოლუციამდელ საქართველოში არსებული კონიაკის ქარხნები მეტად უმნიშვნელონი არიან როგორც წარმოების ოდენობით, ისე ტექნიკური აღჭურვილობითა და მათში დასაქმებული მუშათა რაოდენობით. ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო (ნედლი მასალის სიძვირე და სხვ.) საქართველო ვერ იქცა საკონიაკე სპირტის მწარმოებელ ქვეყნად. საქართველოს კონიაკის ქარხნების საქმიანობა ადგილობრივი მოთხოვნილების ფარგლებს არ გასცილდა, მას მეტად მცირე მასშტაბები აქვს და ვერ აკმაყოფილებს კონიაკზე არსებულ გაზრდილ მოთხოვნილებებს. სამაგიეროდ, მოგებას გამოდევნებული მრეწველები წარმოებაში იაფფასიანი ნედლი მასალის გამოყენების მიზნით, კონიაკის ქარხნებს იაფი ნედლეულის ბაზებში აარსებენ. ამ მხრივ საყურადღებოა თბილისელი სპირტის მსხვილი მრეწველების მიერ სხვადასხვა ადგილებში შექმნილი ქარხნები. კერძოდ, დ. სარაჯიშვილის, პ. სოგომონოვისა და ზუბლაროვის საწარმოები.

1889 წ. სარაჯიშვილმა ყიზლარში გახსნა კონიაკის ქარხანა. ქარხანასთან გაშენებული იყო 6 დესეტინა ფართობის ვენახი. ქარ-

<sup>151</sup> Отчет... за 1914 г. 228—232, თბ., 1916.

<sup>152</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1562, ფურც. 3—4.

<sup>153</sup> Отчет... за 1914, გვ. 228—232 თბ., 1916.

<sup>154</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1569, ფურც. 3; ს. 1001, ფურც. 4.

<sup>155</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1068, ფურც. 57.

<sup>156</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1094, ფურც. 3.



ხანა ხდიდა როგორც საკუთარი წარმოების, ისე ნაყიდ ადგილებში  
 რივ 6-9<sup>0</sup> სიმაგრის ღვინოებს. ღვინის დადუღებას ქაქის გარეშე  
 აწარმოებდნენ. ნალექისაგან ღვინის გაწმენდის მიზნით, მას სექ-  
 ტემბრიდან მარტამდე ორჯერ ასუფთავებდნენ. ღვინის გამოხდას  
 გაზაფხულზე იწყებდნენ. ქარხანაში პირველ ხანებში არყის სახდე-  
 ლი აპარატი მოქმედებდა. გამოხდილ 40 გრადუსიან სპირტს მეო-  
 რედაც გამოხდიდნენ და 65-70<sup>0</sup> სიმაგრის სპირტს იღებდნენ. თავ-  
 სა და ბოლო ნახადს წარმოებაში არ იყენებდნენ. გამოხდილ  
 სპირტს ურმებით მაშინვე თბილისში, დ. სარაჯიშვილის ცენტრა-  
 ლურ საკონიაკე საწყობში აგზავნიდნენ. ქარხანა წელიწადში  
 100000-150000 გრ. საკონიაკე სპირტს ხდიდა. საკუთარი გამოხდის  
 გარდა, შოიჯარადრეებისა და მწარმოებლებისაგან წელიწადში  
 200000 გრ. სპირტს ყიდულობდა და თბილისში აგზავნიდა<sup>157</sup>.

დ. სარაჯიშვილის ყიზლარის კონიაკის ქარხანა არსებობის პირ-  
 ველ წლებში 500 ვედრო (7000 მან.) პროდუქციას უშვებს. აქ 3  
 მუშა მუშაობს<sup>158</sup>. დ. სარაჯიშვილის მიერ თერგის ოლქში შექმნი-  
 ლი ქარხნების რიცხვი თანდათან გაიზარდა. 1912 წლისათვის აქ  
 დ. სარაჯიშვილის კონიაკის 4 ქარხანა არსებობს. 2 მათგანი ყიზლარ-  
 ში მდებარეობს, ერთის წლიური წარმოება 35277 მან. შეადგენს,  
 დასაქმებულ მუშათა რაოდენობა — 7 კაცს. ყიზლარის მეორე  
 ქარხნის პროდუქციის ოდენობა 22791 მან., მუშათა რაოდენობა  
 6 კაცს შეადგენს. დანარჩენი 2 კონიაკის ქარხანა სოფელ ტარუ-  
 შოვკაში მდებარეობს. ერთის წლიური წარმოება 14234 მან. უდ-  
 რის, აქ 5 მუშა მუშაობს. ტარუშოვკაში არსებული მეორე კონიაკის  
 ქარხნის პროდუქციის ოდენობა 12708 მან., მუშათა რაოდენობა  
 6 კაცს შეადგენს<sup>159</sup>. თერგის ოლქში არსებული სარაჯიშვილის კონ-  
 იაკის ყველა ქარხნის წარმადობა 85009 მან. პროდუქციას უდრის,  
 დასაქმებულ მუშათა რაოდენობა კი 24 კაცს. აღნიშნული ქარხნები  
 კაპიტალისტური ტიპის საწარმოებია, რომელნიც ღვინის გამოხ-  
 დასთან ერთად უვლიან ქარხანასთან არსებულ ზვრებს, აყენებენ  
 ღვინოს, აწარმოებენ ღვინის შესყიდვას და სხვ. დ. სარაჯიშვილის  
 კონიაკის საბითუმო საწყობს ისინი საკონიაკე სპირტით ამარაგებენ.  
 დ. სარაჯიშვილმა 1894 წ. კონიაკის ქარხანა ერევანშიც გახსნა.

<sup>157</sup> Д. З. Сараджев гв. 7—8.

<sup>158</sup> Указатель фабрик и заводов окраин России, Царства Польского, Кав-  
 каза, Сибири орловის რედაქციით. СПб., 1895, გვ. 173.

<sup>159</sup> Список фабрик и заводов Российской Империи, СПб., 1912 с. 132.

წარმოება რომ არ შეფერხებულიყო, მან ნედლი მასალა წინასწარ მოიმარაგა. 1893 წ. 7000 ვედრო ადგილობრივი ღვინო ქარხანა პისტორიუსის ტიპის საკონიაკე სპირტსახდელი აპარატით აღჭურვა. მისი კუბი 177 ვედროს მოცულობისა იყო, ჰქონდა ცილინდრული მაცივარი, ნედლი მასალის წინასწარგამხურებელი. ქარხანაში იღვა ორთქლის მანქანა (315 კვ.ს. გახურების ფართით)<sup>160</sup>. საკონიაკე სპირტის სიმაგრე 55-65° იყო. კონიაკის წარმოებაში შუა ნახადს იყენებდნენ. თავსა და ბოლო ნახადს ცალკე ათავსებდნენ, მას შემდეგ ასუფთავებდნენ და სხვადასხვა ტიპის არყის წარმოებაში იყენებდნენ. ქარხანა ხდიდა როგორც საკუთარი, ისე ნაყიდი კარგი ხარისხის ღვინოებს. ღვინომასალას დ. სარაჯიშვილის რწმუნებულები ქ. ერევანში, ერევნის და ეჩმიადინის მაზრებში ყიდულობდნენ (ვედროს 50-90 კაპიკად). ერევნის გუბერნიის ღვინოების სიმაგრე 13-15° იყო. მწარმოებელი მეღვინეებს წინასწარ უთანხმდებოდა, რომ ღვინო ჭაჭის გარეშე დაედუღებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქარხანა ღვინოს არ ყიდულობდა. პირველ წლებში ქარხანა წელიწადში საშუალოდ 100000 გრ. საკონიაკე სპირტს აწარმოებდა. შემდეგში მისი წარმოება 200000 — 250000 გრ. სპირტამდე გაიზარდა. დაახლოებით 100000 გრ. სპირტს ქარხანა ადგილობრივი მწარმოებლებისაგან ყიდულობდა. მზა საკონიაკე სპირტი გამოხდისთანავე თბილისში გადაჰქონდათ<sup>161</sup>. ქარხანამ 1894 წ. 171847 გრ. გამოხადა, 1895 წ. — 261075 გრ.<sup>162</sup>. 1897 წ. სპირტის წარმოება 10302 გრ-მდე შემცირდა, შემდეგომ წლებში ღვინის მოსავლის ზრდასთან, სპირტის წარმოებაც გაიზარდა<sup>163</sup>.

დ. სარაჯიშვილი ქარხნებში სისტემატურად ცვლიდა ძველ დანადგარებს ახლით და ზრდიდა მათ სიმძლავრეს. 1903 წლისათვის ერევნის კონიაკის ქარხანაში მან კიდევ 2 აპარატი დადგა. ქარხანამ 3 აპარატით იწყო საკონიაკე სპირტის გამოხდა. ქარხნის სიმძლავრის გადიდება წარმოებული პროდუქციის ზრდაზეც იმოქმედა. ერევნის გუბერნიიდან თბილისის საკონიაკე საწყობში საკონიაკე სპირტის გაგზავნაც გაფართოვდა. დ. სარაჯიშვილის ერევ-

<sup>160</sup> Фабрично-заводская промышленность России, СПб., 1897, с. 966.

<sup>161</sup> Д. З. Сараджев в кн. 8—9. სცხა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 202.

<sup>162</sup> სცხა, ფ. 370, ს. 1608, ფურც. 28.

<sup>163</sup> Отчет ... о ходе ... за 1897, 1898, 1899. гг.

ნის კონიაკის ქარხნიდან თბილისში 1904 წ. 674675 გრ.<sup>164</sup> საკონიაკო-სპირტი გაიტანეს, 1905 წ. — 816202 გრ.<sup>165</sup>, 1908 890979 გრ.,<sup>166</sup> 1913 წ. — კი 1228130 გრ.<sup>167</sup>

1895 წლის მონაცემებით დ. სარაჯიშვილის ერევნის კონიაკის ქარხანა 125000 მანეთის პროდუქციას უშვებს, ქარხანაში 8 მუშა მუშაობს<sup>168</sup>. 1897 წ. მონაცემებით ქარხნის წლიური პროდუქცია 147863 მანეთამდე იზრდება, მუშათა რიცხვი უცვლელია<sup>169</sup>. 1903 წ. ერევნის სარეჰტიფიკაციო და კონიაკის ქარხნის წარმოება 252700 მან. აღწევს, მუშათა რიცხვი 10 კაცს<sup>170</sup>. 1912 წლისათვის მუშათა რიცხვი 16-მდე იზრდება, წარმოების ოდენობა 199270 მან. აღწევს<sup>171</sup>, 1914 წ. კი 200000 მან. უდრის<sup>172</sup>.

1895 წ. დ. სარაჯიშვილმა კონიაკის ქარხანა გახსნა ბესარაბიაში, ს. პაულუშტეტში. ქარხანამ ხუთი წელი იარსება. გამოცდილი მრეწველი მალე მიხვდა, რომ ქარხნისათვის ადგილი კარგად არ იყო შერჩეული. მთის ზონაში, სადაც ქარხანა მდებარეობდა, ფერხდებოდა ქარხნისათვის როგორც ღვინის მიწოდება, ისე საკონიაკე სპირტის გადაზიდვა რკინიგზის სადგურებამდე. აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, დ. სარაჯიშვილმა ახალი ქარხნისათვის ხელსაყრელი ადგილი რკ/გზის სადგურ კალარაშთან შეარჩია. 1899 წ. მან ბესარაბიის სააქციზო სამმართველოს უფროსის ნებართვით, ძველი ქარხნის მოწყობილობა ახლად შექმნილ ადგილზე გადაიტანა. ამასთან ერთად, დ. სარაჯიშვილმა ქარხანაში მეორე გამოსახდელი აპარატიც დადგა. 1900 წ. 2 იანვარს ქარხანამ მოქმედება დაიწყო. ახლად შერჩეული ადგილი წარმოებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. სამხრეთი ბესარაბია ცნობილი მეღვინეობის რაიონი იყო; უამრავი წვრილი მწარმოებელი დიდი რაოდენობით ღვინოს აყენებდა. ადგილობრივ მწარმოებლებს

<sup>164</sup> სცსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 202.

<sup>165</sup> სცსა, ფ. 371, ს. 327, ფურც. 94.

<sup>166</sup> სცსა, ფ. 371, ს. 403, ფურც. 132.

<sup>167</sup> სცსა, ფ. 371, ს. 671, ფურც. 69—70.

<sup>168</sup> Указатель фабрик и заводов окраин России, царства Польского, Кавказа, Сибири, СПб., 1895, с. 171.

<sup>169</sup> Фабрично-заводская промышленность России, перечень фабрик и заводов, СПб., 1897, с. 966.

<sup>170</sup> Список фабрик и заводов Российской Империи, СПб., 1903, с. 710.

<sup>171</sup> Список фабрик и заводов Российской Империи, СПб., 1912, с. 270.

<sup>172</sup> Фабрично-заводские предприятия Российской Империи, СПб., 1914

ლენის ბაზარზე გატანა უჭირდათ, რადგან გადაზიდვის ხარჯი მათ უფრო ძვირი უჯდებოდათ, ვიდრე ადგილზე გაყიდვა. ამიტომ არჩევდნენ ლენო ადგილობრივი ქარხნებისათვის მიეყიდათ. ისინი 6-9 გრ. სიმაგრის 1 ვედრო ლენოს 50 კაპიკიდან 1 მან. 50 კაპ-მდე ყიდდნენ<sup>173</sup>. ბესარაბიიდან თბილისის ცენტრალურ საწყობში დ. სარაჯიშვილმა 1902 წ. 45293 გრ. (7699 მან.) საკონიაკე სპირტი მიიღო<sup>174</sup>, 1903 წ. მისი ოდენობა 208860 გრ-მდე (35507 მან.) გაიზარდა<sup>175</sup>. 1907 წ. კი 238724 გრ-მდე (40882 მან.)<sup>176</sup>. ოფიციალური მონაცემებით 1903-14 წწ. ქარხანაში დასაქმებული იყო 30 მუშა<sup>177</sup>.

1902 წ. დ. სარაჯიშვილმა გეოქჩაის მაზრაში (ბაქოს გუბერნია კონიაკის 2 ქარხანა გახსნა. ერთი მათგანი მდებარეობდა ს. გოქჩაში, მეორე — ბარგუშეთში. ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობა სარაჯიშვილმა 1901 წ. ჩამოიტანა. ამავე წელს (1 ვედრო 70 კაპ. — 1 მან.) იყიდა და გამოსახდელად დაამზადა 20000 ვედრო ადგილობრივი ლენო. მისი სიმაგრე 8-10,5<sup>0</sup> იყო. ქარხნებმა 1902 წ. 86252 გრ. (14662 მან.) 64,3—66,8<sup>0</sup> სიმაგრის საკონიაკე სპირტი გამოხადეს. დ. სარაჯიშვილმა მისი ნაწილი 39194 გრ. თბილისის საწყობში დასაძველებლად გადაიტანა, 38871 გრ. კი მოსკოვში სმირნოვის ფირმას გაუგზავნა (1 გრ. — 17 კაპიკად. ჭურჭლის ფასი და დანაკარგი მწარმოებელმა, ხოლო გაგზავნის ხარჯის ანაზღაურება სმირნოვმა იკისრა). დ. სარაჯიშვილმა ბაქოს გუბერნიაში შექმნილი ქარხნების რწმუნებულად ადგილობრივი მრეწველი ო. პატრიანცი დანიშნა. მისი საშუალებით იგი მთიან ზონაში ლენოს ყიდულობდა, დაბლობში კი ყურძენს. ყურძნისაგან კონიაკის წარმოებისათვის საჭირო ლენოს აყენებდა. ლენის ნაწილი გასაყიდადაც გადიოდა. მისი აგენტები საუკეთესო ლენოს არჩევდნენ და ყიდულობდნენ. ამიტომ მაღალი ხარისხის საკონიაკე სპირტს იღებდნენ<sup>178</sup>. ქარხნების არსებობამ გეოქჩაის მაზრაში მეღვინეობის გამო-

<sup>173</sup> Д. З. Сараджев, гв. 9; ЦГИА ССР, ф. 575, ан. 2, л. 2126, ფურც. 1—13.

<sup>174</sup> სცსა, ფ. 371, ს. 224; ფურც. 86.

<sup>175</sup> სცსა, ფ. 371, ს. 262, ფურც. 107, 108; Отчет... за 1903, გვ. 152.

<sup>176</sup> სცსა, ფ. 370, ს. 947, ფურც. 38—39.

<sup>177</sup> Фабрично-заводские предприятия Российской Империи, СПб., 1914, Изд. 2, № 7937, Адресная книга фабрично-заводской и ремесленной промышленности, СПб., 1905, с. 517.

<sup>178</sup> სცსა, ფ. 370, ს. 901, ფურც. 102—103; ს. 930, ფურც. 126.





ცოცხლება გამოიწვია. თუ მანამდე ღვინის დასაყენებლად ყურძნის მთელი მოსავლის 26% იყენებდნენ, 1903 წ. ღვინის დაყენებაზე ყურძნის 45% წავიდა<sup>179</sup>. 1903 წელთან შედარებით, ღვინის დაყენება ბაქოს გუბერნიაში საშუალოდ 39-42%-ით გაიზარდა; კერძოდ, გეოქჩაის მაზრაში 42,6—44,2%-მდე, კუბის მაზრაში 48-89%, ლენქორანში 68 და 79%, შემახის მაზრაში კი 75,2 — 73,8%<sup>180</sup>. 1903 წ. კონიაკის ქარხნებში სპირტის გამოსდა 304414 გრ-მდე (51750 მან.) გაიზარდა. აღნიშნულ წელს ქარხნებმა 40000 ვედრო 9-11 გრ. სიმაგრის ღვინო გამოიყენა<sup>181</sup> (უჯარის, კაჩეგანდის, ლიაკ ჩინლიავის და მუსილინის რაიონებისა). 1904 წ. წარმოება ქარხანაში გაჩენილმა ხანძარმა შეაფერხა. გამოსახდელად გამოზადებული 32000 ვედრო ღვინიდან 10000 ვედრო ღვინო დაიწვა<sup>182</sup>.

ო. პატრიანცის მოღვაწეობამ ეტყობა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ამიტომ დ. სარაჯიშვილმა რწმუნებულად ბაქოში არდაზიანი დანიშნა. გადაწყდა, მთლიანად შეცვლილიყო ქარხნის მოწყობილობა. ამ მიზნით, არდაზიანმა „გილიომის“ ტიპის მუდმივმოქმედი გაუმჯობესებული აპარატი ჩამოიტანა. 1904 წ. გაფიცებისა და არეულობის შიშით, არდაზიანმა მუშებიც თბილისიდან დაერეენიდან ჩამოიყვანა. ქარხანამ მხოლოდ 5 დღეს იმუშავა და 14300 ვედრო ღვინო გამოსადა. ორთქლის რეგულატორში და ორთქლის ტუმბოში დეფექტების აღმოჩენის გამო ქარხანა დაიხურა, მუშები უკან გაუშვეს, აპარატი დაშალეს და მის რეკონსტრუქციას შეუდგნენ. არდაზიანმა ახლის აღდგენამდე ქარხანაში არსებული ძველი აპარატი ააწყო და წარმოებაში გაუშვა<sup>183</sup>. 1908 წ. დ. სარაჯიშვილმა ბაქოს გუბერნიიდან (31288 მან.) 185228 გრ. სპირტი მიიღო<sup>184</sup>. ქარხნის საშუალო წარმოება 150000 გრ. სპირტს უდრიდა, ე. ი. დაახლოებით 25500 მან. შეადგენდა.

1915 წ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნებს ერთი ქარხანაც შეემატა. დ. სარაჯიშვილის მეუღლემ ა. სარაჯიშვილის მონაწილეობით 1915 წ. 13 აგვისტოს ელიზავეტოპოლში არსებული ფრანკეს

<sup>179</sup> სცსა, ფ. 370, ს. 901, ფურც. 95, 96, ს. 340, ფურც. 69-70.  
<sup>180</sup> სცსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 119.  
<sup>181</sup> სცსა, ფ. 370, ს. 901, ფურც. 102—103.  
<sup>182</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1494, ფურც. 10.  
<sup>183</sup> სცსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 169—170.  
<sup>184</sup> სცსა, ფ. 371, ს. 403, ფურც. 109, 112.



ქარხანა შეიძინა<sup>185</sup>. აღნიშნული ქარხნის მოღვაწეობის ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

დ. სარაჯიშვილის მიერ იაფი ნედლეულის ბაზებში შექმნილი კონიაკის ქარხნების წლიური პროდუქცია, 1912 წლის მონაცემებით, 4000000 მან. უდრიდა. მასში დასაქმებული იყო 80-მდე მუშა\*. მის მიერ ადგილებზე შექმნილი კონიაკის ქარხნები კაპიტალისტური ტიპის საწარმონი იყვნენ, რომელნიც სხვადასხვა კუთხისა და რაიონის ღვინო-მასალისაგან საუკეთესო ხარისხის საკონიაკე სპირტს აწარმოებდნენ. გამოხდომილ საკონიაკე სპირტს მაშინვე თბილისის ცენტრალურ საბითუმო საწყობში აგზავნიდნენ, სადაც მისი შემდგომი დამუშავება ხდებოდა. აღნიშნული ქარხნები თბილისის ცენტრალურ საბითუმო საწყობში, საკუთარი გამოხდის გარდა, აგზავნიდნენ აგრეთვე ადგილებზე წვრილი მწარმოებლებისაგან შეძენილ საკონიაკე სპირტს.

იაფი ნედლეულის ბაზებში ანალოგიური კონიაკის ქარხნები 1891 წ. ელიზავეტოპოლის გუბერნიაში (შუშის მაზრა) შექმნეს ძმ. სოგომონოვებმა (ს. ავადამში) და ძმ. ხუბლაროვებმა (ს. მურადბეგლუში). ტექნიკური აღჭურვილობითა და წარმოების დონის მიხედვით ორივე ქარხანა ერთნაირი იყო. ქარხნებში იდგა ვარშავიდან გამოწერილი ბორმანოსა და შვედეს დერუას ტიპის აპარატი (43 ვედროს ტევადობისა). ქარხანა ნედლ მასალად ჭაჭისაგან გამოყოფილ სუფთა ყურძნის წვენს იყენებდა. სპირტს ხდიდნენ ღვინის დადუღებიდან 10-15 დღის შემდეგ. მიღებული საკონიაკე სპირტის სიმაგრე 54-57<sup>0</sup> უდრიდა. კონიაკის წარმოებისათვის უვარგისი, სუსტი გამოხანხადი სარექტიფიკაციოდ იგზავნებოდა და სხვა დაწინაშელება ეძლეოდა<sup>186</sup>. 1891-93 წწ. ხუბლაროვმა 219833 გრ. სპირტი გამოუშვა, სოგომონოვმა 1891-95 წწ. — 477807 გრ<sup>187</sup>. 1889 წ. სოგომონოვმა ელიზავეტოპოლში მეორე კონიაკის ქარხანაც გახსნა. აღნიშნულ წელს ორივე ქარხანაში გამოხდილი საკონიაკე სპირტის რაოდენობა 224152 გრ. უდრის<sup>188</sup>. 1895 წლის მონაცემებით, ხუბლაროვის ავადამის ქარხანაში 50 მუშა მუშაობდა

<sup>185</sup> სცსა, ფ. 371, ს. 715, ფურც. 123—130.

<sup>186</sup> BB., 1892, № 4, გვ. 208, 209.

მუშათა ამ რაოდენობაში არ იგულისხმება სეზონური მუშები, აგრეთვე ქარხანასთან არსებულ მამულებში, დასამუშავებელი ზვრებისა და სხვა და სხვა საქმეების მოგვარების მიზნით დასაქმებული მუშათა რაოდენობა.

<sup>187</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1608, ფურც. 30.

<sup>188</sup> Отчет... за 1899, გვ. 124.



და 43 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებდა, სოგომონოვის ქარხანაში 52 მუშა იყო დასაქმებული და პროდუქციის ოდენობა 43 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებდა. სოგომონოვის ქარხანაში 52 მუშა იყო დასაქმებული და პროდუქციის ოდენობა 43 ათას მანეთს უდრიდა<sup>189</sup>. 1902—1903 წწ. ღვინის კარგმა მოსავალმა ქარხნების პროდუქტიულობა გაზარდა<sup>190</sup>, ქარხნების ზრდა-განვითარებას კარგი პირი უჩანდა, მაგრამ 1904 — 1905 წწ. მუშათა მღელვარების დროს, ისინი თითქმის მთლიანად განადგურდა. ამის შემდეგ მრეწველებმა ველარ შეძლეს დიდი ზარალის ანაზღაურება და ქარხნების აღდგენა. 1906 წლიდან ელიზავეტოპოლის გუბერნიიდან საკონიაკე სპირტის გამოხდა წყაროებში აღრიცხული არ არის.

სოგომონოვმა და ხუბლაროვმა კონიაკის ქარხნები ერევანშიც გახსნეს. ხუბლაროვის ქარხანა ზდიდა ადგილობრივ ღვინოს „დალმას“. ქარხანასთან 3 საწყობი არსებობდა. ქარხანა წელიწადში 200000 გრ. საკონიაკე სპირტს უშვებდა. ხუბლაროვის ქარხანამ მცირე ხანს იარსება (1897-1900 წწ.)<sup>191</sup>. სოგომონოვის ერევნის ქარხანა 1895 წ. გაიხსნა. XX ს. დამდეგიდან ქარხნის პროდუქციის ოდენობა 100000-150000 გრ<sup>192</sup> (32500-45000 მან.) აღწევს. 1906 წლიდან სოგომონოვის ქარხანა ერევნის გუბერნიის კონიაკის ქარხნის უწყისებში აღარ ჩანს<sup>193</sup>.

ხუბლაროვის და სოგომონოვის ქარხნების მიერ გამოხდილი საკონიაკე სპირტი თბილისში იგზავნებოდა, სადაც ზღებოდა მისი შემდგომი დამუშავება.

ამრიგად, რევოლუციამდელ საქართველოში საკონიაკე სპირტის წარმოებამ ვერ მიაღწია იმ დონეს, რომ კონიაკის წარმოება საკუთარი გამოხდის სპირტის ნედლეულით მოემარაგებინა. ამ საქმეს თავი გაართვეს იაფი ნედლეულის ბაზებთან შექმნილმა კონიაკის ქარხნებმა. მათ მიერ გამოხდილი და ადგილზე ნაყიდი საკონიაკე სპირტები სავსებით აკმაყოფილებენ მოსახლეობის გაზარდილ მოთხოვნილებებს. სხვადასხვა ადგილზე შექმნილი კონიაკის ქარხ-

<sup>189</sup> Указатель фабрик и заводов окраин России, царства Польского, Кавказа, Сибири, орлоვის რედაქციით. СПб., 1895, გვ. 171.

<sup>190</sup> სცსა, ფ. 370, ს. 904, ფურც. 217.

<sup>191</sup> Сведения о производительности заводов М. С. Хубларова с братьями, Тб., 1901, გვ. 7.

<sup>192</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1608, ფურც. 30.

<sup>193</sup> სცსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 214—215; ს. 989, ფურც. 195.

ნები თბილისს ყოველწლიურად 500000 მან. პროდუქციას აწვდიან.

90-იანი წლების დასაწყისში ამიერკავკასიაში საკონიაკე-ტის წარმოებამ საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. ამ პერიოდში კონიაკის წარმოება სწრაფად განვითარდა და გაიზარდა. 1888 წ. ამიერკავკასიაში 1 კონიაკის ქარხანა მოქმედებს. 1889-90 წწ. — 2 1891 წ. — 4, 1892 წ. — 8, 1894 წ. — 10, 1895 წ. — 13<sup>194</sup>. (7 ერევნის, 5 — ელიზავეტოპოლის, 1 — ბაქოს გუბერნიებში). 1888 წ. საკონიაკე სპირტის გამოხდა 9631 გრ. უდრის, 1895 წ. — 1088979 გრ. იზრდება საკონიაკე სპირტის წარმოების წილი მსხვილი სამრეწველო ქარხნების პროდუქციაში. ასე მაგალითად, სამრეწველო ქარხნების ყურძნის სპირტის მთლიან გამოხდასთან საკონიაკე სპირტის გამოხდის პროცენტული შეფარდება 1888 წ. 0,6% შეადგენს. 1892 წ. — 16,2%, 1895 წ. — 84,50. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, საკონიაკე სპირტის გამოხდის შეფარდება მთლიანად წვრილ და მსხვილ მწარმოებელთა მიერ ყურძნის სპირტის გამოხდის პროცენტული შეფარდება 1888 წ. 0,6% შეადგენს, ამიერკავკასიაში ყურძნის სპირტის გამოხდასთან საკონიაკე სპირტის გამოხდა 1% უდრის, 1895 წ. — 5,3%, 1899 წ. — 4,7%<sup>195</sup>.

90-იანი წლების ბოლოს კონიაკის წარმოების ზრდა შეფერხდა. მართალია, 1890 წლის დადგენილებამ არა ერთი მრეწველი დააინტერესა ხელი მოეკიდა კონიაკის წარმოებისათვის, რამაც ამიერკავკასიაში კონიაკის ქარხნების რიცხვის სწრაფი ზრდა გამოიწვია, მაგრამ კონიაკის ქარხნების მეპატრონეებმა მალე დაინახეს, რომ კონიაკის წარმოება საკმაოდ ძვირი ჯდება, იგი კარგა ხანს (სპირტის დაძველების აუცილებლობის გამო) ხარჯებს ვერ ანაზღაურებდა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ყურძნის მოუსავლიანობისა და ღვინოზე ფასების გაძვირების შემდეგ. ღვინომასალის გაძვირებამ წარმოება უფრო მეტად არარენტაბელური გახადა, ამიტომ გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით, ზოგიერთმა მრეწველმა ახლად წამოწყებულ საქმეს თავი მიანება. ნაწილმა კი, ჩვეულებრივი სპირტის წარმოებას მიჰყო ხელი. 1896 წლიდან კონიაკის ქარხნების ოდენობა შემცირდა: ერევნის გუბერნიაში 7 კონიაკის ქარხნიდან 1900 წ. 2 ქარხანა მოქმედებს, ელიზავეტოპოლის გუბერნიაში 5 ქარხნიდან 1897 წ. — 1; 1898 წ.

<sup>194</sup> სცსა., ფ. 370, ს. 1608, ფურც. 28.

<sup>195</sup> სცსა., ფ. 370, ს. 1608, ფურც. 28; Отчет... за 1899, СПб., 1900, გვ. 116.

2, 1901 წ. — 31<sup>96</sup>. ბაქოს გუბერნიაში არსებული ერთი ქარხანა დაიხურა. შექმნილი მდგომარეობის გამო გაკოტრდა ნ. ტაიროვის XIX ს. ბოლოსათვის მისი წარმოება ვეღარ ანაზღაურებდა გაწეულ ხარჯებს, ამის გამო იგი იძულებული იყო ერევნის კონიაკის ქარხანა თბილისის ბანკში 20000 მანეთად დაევირავებინა<sup>197</sup>. რუსეთის მმართველ წრეებს კონიაკის წარმოებაში შექმნილი მდგომარეობა მხედველობის გარეშე არ დარჩათ. ისინი მიხვდნენ, რომ კონიაკის წარმოების განვითარებისათვის ახალი სახის შეღავათები იყო საჭირო, რომელიც პროდუქციას გააიაფებდა და მწარმოებლებს დაინტერესებდა, სპირტის წარმოებაში მთელი რიგი ხარვეზების გამოსწორების მიზნით, ახალი კანონმდებლობის შემუშავება დაიწყო, რაც 1901 წ. დამთავრდა. 1901 წლის მაისიდან ახალი დადგენილება შევიდა ძალაში.

1901 წლამდე რუსეთის იმპერიაში ჯერ კიდევ არ არსებობდა ერთიანი კანონმდებლობა, რომელიც კონიაკის წარმოებას სხვა სახის სპირტისა და არყის წარმოებისაგან განასხვავებდა. მხოლოდ 1900 წლის დებულებით გამოეყო კონიაკის წარმოება ყველა დანარჩენი სახის სპირტისა და არყის წარმოებას და ცალკე დარგად ჩამოყალიბდა. დადგენილებაში ნათლად გამოიკვეთა კონიაკის, როგორც ჭაჭისა და ყურძნის არყისაგან განსხვავებული სასმელის სახე. მისი გამოხდის თავისებურებანი, საკონიაკე სპირტის დაძველების აუცილებლობა და სხვა. დაუშვეს რიგი მნიშვნელოვანი შეღავათები, რომლებმაც დადებითად იმოქმედეს კონიაკის წარმოების შემდგომ ზრდაზე. დადგენილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ რუსულ კონიაკად ჩაითვლებოდა ყურძნის ღვინისაგან გამოხდილი და საკონიაკე სპირტზე დამზადებული სასმელი. კონიაკს მოეხსნა განმარტება, როგორც აქამდე იწოდებოდა — „კიზლარკა“ და ეწოდა — „რუსული კონიაკი“. საკონიაკე სპირტის გამოხდა დაიშვებოდა მხოლოდ სპეციალურ ქარხნებში. მისი გახსნის ნებართვას ფინანსთა მინისტრი ამტკიცებდა. გამოხდილი საკონიაკე სპირტის შენახვა შეიძლებოდა ქარხნებში და სპეციალურ საწყობებში, სადაც სხვა სახის სასმელი არ დაიშვებოდა. ასეთ საწყობებში დაშვებული იყო მხოლოდ 40<sup>0</sup>-იანი სპირტიანი წყლის, კრისტალური შაქრის, ფილტრების, დისტილირებული ან წვიმის წყლის შენახვა. ე. ი. ყველა იმ მასალის, რაც მხოლოდ კონიაკის დაკუპაჟებისათვის

<sup>196</sup> შესაბამისი წლების სააქციო უწყების ანგარიშები.

<sup>197</sup> Л. М. Джанполадян, დასახ. ნაშრ., გვ. 60.



გამოიყენებოდა. საკონიაკე საწყობების გახსნა ყველგან შეიძლებოდა, სადაც სააქციზო ზედამხედველის მეთვალყურეობის სიძველეებზე და შესაძლებელი იყო. საკონიაკე სპირტის მარაგი საწყობში 2500 ვედროზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. საკონიაკე სპირტის ბითუმად გაყიდვის ნორმა ამიერკავკასიისათვის 1 ვედროთი განისაზღვრა, რუსეთის იმპერიის სხვა ადგილებისათვის — 3 ვედროთი. კონიაკის საწყობებიდან და ქარხნებიდან კონიაკი დაბანდეროლებული სახით „რუსული კონიაკის“ სახელწოდებით გამოდიოდა. მისი სიმაგრე 43<sup>0</sup>-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. საკონიაკე სპირტის გამოხდის ვადებად გამოცხადდა პერიოდი — 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე. კონიაკის ქარხანაში მეღვინეობის ნარჩენების გამოხდა საკონიაკე სპირტის წარმოების ვადებს არ უნდა დამთხვეოდა, მის შემდეგ უნდა დაწყებულიყო.

აღნიშნული დადგენილებით კონიაკის მწარმოებლებმა შემდეგი ხასიათის შეღავათები მიიღეს: გამოხდილი სპირტის 20% ქარხნის მუპატრონის სასარგებლოდ ირიცხებოდა. საკონიაკე სპირტის ხელმეორედ გამოხდა აქციზისაგან თავისუფალი იყო (უაქციზოდ გამოხდილი სპირტი მთელი გამოხდის 20%-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო). საკონიაკე საწყობებში მუხის კასრებში დასაძველებლად შენახული სპირტი თავისუფლდებოდა სააქციზო გადასახადისაგან. კონიაკის ქარხანა აქციზს ჩვეულებრივი წესით იხდიდა — 7 კაპ. 1 გრ. საკონიაკე სპირტზე. კონიაკი დამატებითი გადასახადისაგან (ამ უკანასკნელს არყის ქარხნები იხდიდნენ) თავისუფალი იყო. კონიაკის ქარხნები და საკონიაკე საწყობები იხდიდნენ მხოლოდ ძირითად საპატენტო გადასახადს: კონიაკის ქარხნებზე საპატენტო გადასახადი წელიწადში 15 მან., I განრიგის საწყობებზე — 60 მან. უდრიდა, II განრიგის საწყობებზე — 40 მან., III — 20 მან. კონიაკისა და საკონიაკე სპირტის საზღვარგარეთ გატანისას მრეწველი პრემიის სახით იღებდა გაგზავნილი პროდუქციის 5%<sup>198</sup>.

1900 წლის დადგენილებით დაშვებულმა შეღავათებმა ბიძგი მისცა კონიაკის წარმოების ზრდას. ამ დროიდან კონიაკის წარმოებაში ახალი აღმავლობა დაიწყო. 1901 წლიდან კონიაკის ქარხნები გაიხსნა ამიერკავკასიაში, ბესარაბიაში, თერგისა და დაღესტნის ოლქში, თურქესტანის, იმიერკასპიის და სემირეჩინსკის მხარეში.

<sup>198</sup> Правила и инструкции фруктово-виноградо-водочного и коньячного производства, СПб., 1901, с. 13—15; 36—40.

ამიერკავკასიაში კონიაკის წარმოების ახალი რაიონი ბაქოს გუბერნიის რაიონში — გეოქჩაის მაზრაში შეიქმნა<sup>199</sup>.

1900-იანი წლებიდან ერევნის გუბერნიის კონიაკის წარმოებაში ერთგვარი გამოცოცხლება დაიწყო, რომელსაც შესამჩნევო აღმავლობა მოჰყვა. 1900-1902 წწ. ერევნის გუბერნიის 2-3 კონიაკის ქარხანა მოქმედებდა, 1903 წ. — 5, 1904—1906 წლებში — 8, 1907 წ. — 10, 1908 წ. ერთბაშად 13-მდე გაიზარდა. 1904 წ. კონიაკის ქარხნებმა 3225724 გრ. სპირტი გამოხადეს, 1908 წ. — 4843616 გრ, 1911 წ. — 6798626 გრ, ხოლო 1913 წ. — 724575 გრ.<sup>200</sup>.

1900-იანი წლებიდან ამიერკავკასიის კონიაკის წარმოებაში მოსკოველი მრეწველი ნ. შუსტოვი ჩაება. ტაიროვის კონიაკის ქარხნის შექმნის (1899 წ.) შემდეგ მან ერევნის გუბერნიის კონიაკის წარმოების ბაზა შექმნა. ქარხანა ახალი მანქანა-იარაღებითა და დანადგარებით აღჭურვა. გაზარდა და გააფართოვა წარმოება. 1901 წ. შუსტოვის კონიაკის ქარხანამ წარმოებაში 175000 ფუთი ყურძენი (68000 მან.) და 45000 ვედრო ღვინო (40000 მან.) დააბანდა და 350000 გრ (420000 მან.) საკონიაკე სპირტი გამოუშვა. ქარხანაში 13 მუშა მუშაობდა, 1 ორთქლის მანქანა იდგა. 1901 წ. ქარხანამ წარმოებისათვის 150118 მან. დახარჯა<sup>201</sup>. 1903 წლის მონაცემებიდან ჩანს, რომ ქარხანაში მუშაობს 4 გამოსახდელი აპარატი. იმავე წელს შუსტოვმა მეხუთე აპარატი დადგა<sup>202</sup>. მუშათა რაოდენობა ქარხანაში 50 კაცს უდრის<sup>203</sup>. 1903 წ. ქარხანამ 751388 გრ საკონიაკე სპირტი გამოხადა<sup>204</sup>, 1904 წ. — 1315716 გრ<sup>205</sup>. 1909 წ. კი 2273562 გრ.<sup>206</sup> 1912 წლისათვის შუსტოვის ერევნის კონიაკის ქარხნის პროდუქცია 643680 მან. შეადგენს, იგი ყოველწლიურად ამუშავებს 234 ათასი მანეთის ღვინოს და ხილის სპირტს (412 ათა-

<sup>199</sup> Труды Совещания о нуждах виноградарства и виноделия в 1903-1904 гг., СПб., с1905, с. 1.

<sup>200</sup> შესაბამისი წლების სააქციო უწყების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები

<sup>201</sup> ЦГИА СССР, ფ. 22, ანაწ. 2, ს. 2928, ფურც. 9—12.

<sup>202</sup> სტსა, ფ. 370, ს. 904, ფურც. 182.

<sup>203</sup> Адресная книга фабрично-заводской и ремесленной промышленности, СПб., 1905, გვ. 489.

<sup>204</sup> სტსა, ფ. 370, ს. 904, ფურც. 183.

<sup>205</sup> სტსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 202.

<sup>206</sup> სტსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 195.

სი მან.). მუშათა რაოდენობა 128 კაცს უდრის<sup>207</sup>. 1914 წ. ერევნის ქარხნის პროდუქციის ოდენობა 1 მლნ. მანეთამდე გაიზარდა<sup>208</sup>. მათა რიცხვი 200 კაცამდე<sup>208</sup>. ქარხნის ყოფილი მმართველის მუსინიანცის ცნობით, შუსტოვის კონიაკის ქარხანაში ამ დროისათვის 12 გამოსახდელი აპარატი იდგა<sup>209</sup>. შუსტოვის წარმოებაში მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ღვინოებს იყენებდნენ. საკონიაკე სპირტის გამოხდაც დიდი გულისყურით წარმოებდა. მაგრამ სააქციზო ზედამხედველის ცნობით, შუსტოვი საკონიაკე სპირტს საკმაო ხნით არ აძველებდა და დიდი რაოდენობით უშვებდა ახალგაზრდა სპირტზე დაკუპაყებულ კონიაკს. გარდა ამისა, შუსტოვის აპარატები მაღალი სიმაგრის სპირტს ხდიდა, რაც საფრანგეთის კონიაკის მწარმოებელი ძირითადი რაიონის — შარანტის წესით დაუშვებელი იყო. სააქციზო ზედამხედველი ამ ფაქტს არსებული წესიდან გადახვევად მიიჩნევს და შიშობს, რომ მისი პროდუქტი სრულყოფილი სახის კონიაკისაგან განსხვავდება<sup>210</sup>. ერევნის გუბერნიაში საკონიაკე სპირტის წარმოების 49-50% შუსტოვის ქარხანაზე მოდის<sup>211</sup>. ერევნის გუბერნიაში წარმოების ოდენობის მხრივ შუსტოვის შემდეგ დ. სარაჯიშვილის ქარხანა დგას.

ერევნის გუბერნიაში კონიაკის წარმოების დარგში მოღვაწეობას განაგრძობენ კ. გეზალოვი, აფრიკოვი, ახალი მწარმოებლებიდან ო. ვართანოვი, ვ. ბაბახანოვი, ა. ბაბახანოვი, ვ. აბრამოვი, ტერ-მიკირტიჩევი, ამხანაგობა „არარატი“ და სხვ.<sup>212</sup> თითოეული მათგანის საშუალო წარმოება არ აღემატება 150000-200000 გრ საკონიაკე სპირტს. აღნიშნულ მწარმოებელთა უმეტესი ნაწილი კონიაკის წარმოებისათვის ნედლი მასალის — საკონიაკე სპირტის გამოხდით კმაყოფილდება, საკონიაკე სპირტს არ აძველებს და კონიაკს არ ამზადებს. სპირტის დაძველებას და მის ჩამოსხმას ნაწილობრივ ამხანაგობა „არარატი“, ა. ბაბახანოვის და აბრამოვის

<sup>207</sup> Список фабрик и заводов Российской Империи, Спб., 1912, с. 270.

<sup>208</sup> Фабрично-заводские предприятия Российской Империи, Изд. 2, СПб-1914, № 8032.

<sup>209</sup> იქვე

<sup>210</sup> სცსა, ფ. 370, ს. 904, ფურც. 183—186.

<sup>211</sup> სცსა, ფ. 370, ს. 904, ფურც. 182, ს. 930, ფურც. 201; ს. 940, ფურც. 214—215; ს. 989, ფურც. 195.

<sup>212</sup> იქვე, ს. 904, ფურც. 185.

ქარხნები მისდევენ. მათ მიერ ჩამოსხმული პროდუქცია მეტად უმნიშვნელოა, 1909 წ. 30097 გრ კონიაკს უდრის, ე. ი. დაახლოებით 9029 მან. ლირებულებისა<sup>213</sup>. საკონიაკე სპირტის დაძველებას და მისი დიდი პარტიებით ჩამოსხმას ერევნის გუბერნიაში მხოლოდ შუსტოვის ფირმა მისდევს<sup>214</sup>.

საკონიაკე სპირტის წარმოების მხრივ ერევნის გუბერნიის შემდეგ XX ს. დასაწყისშიც ელიზავეტოპოლის გუბერნია დგას. ახალი წესების ცხოვრებაში გატარების შემდეგ აქ კონიაკის წარმოებაში გამოცოცხლება იგრძნობა. 1903 წ. გუბერნიაში 6 ქარხანა მოქმედებს — ქრისტეფორე ფორერის, სავაჭრო სახლი გუმელის, სოგომონოვის, ხუბლაროვის, არუნიანცის, ჯევანშირის. პროდუქციის ოდენობა 1015706 გრ.<sup>215</sup> (172670 მან.) უდრის. 900-იანი წლების ბოლოს ელიზავეტოპოლის გუბერნიაში კონიაკის მწარმოებელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ძმ. ფორერებისა და გუმელის წარმოებებმა დაიჭირა. მათ მიერ კონიაკის წარმოების ცდები 90-იან წლებშიც ჩანს, მაგრამ აღნიშნულ პერიოდში ამას სისტემატური ხასიათი არ აქვს. 1901 წ. საკონიაკე სპირტის გამოხდას მიჰყვეს ხელი. მაგრამ წარმოების ზრდა გაფიცვების ტალღამ შეაჩერა. 1904-1905 წწ. არეულობის, გაფიცვების და სომეხთათართა ელექტის შედეგად ქარხნების დიდი ნაწილი დაზიანდა, ზოგიერთი მათგანი მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან. აღნიშნულმა გარემოებამ და შემდგომმა რეაქციამ გავლენა იქონია კონიაკის წარმოებაზე. 1904-1908 წწ. მხოლოდ ფორერისა და გუმელის სავაჭრო სახლის კონიაკის ქარხნებმა განაგრძნო არსებობა. სააქციზო უწყების ზედამხედველის ცნობით, 1906 წ. ფორერმა და გუმელმა კონიაკის წარმოების გაზრდა განიზრახეს, მაგრამ იმპერიაში ლეინოზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ ლეინის გაძვირება გამოიწვია. ამის გამო მათი წარმოების მაქსიმალური ზრდა შეფერხდა<sup>216</sup>. 1910 წ. ფორერის წარმოებამ 10000 ვედრო საკონიაკე სპირტი გამოხდა. ამავე წელს მან ქარხნის რეკონსტრუქცია მოახდინა, აავო ორი ორსართულიანი სარდაფი, ძველი დანადგარების ნაცვლად გილიომის და სავალის ტიპის ახალი აპარატები დააყენა<sup>217</sup>. 1909 წ. ელიზავეტოპო-

<sup>213</sup> სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 195.

<sup>214</sup> სცსა, ფ. 370, ს. 904, ფურც. 185.

<sup>215</sup> ი ქ ვ ე, ფურც. 217.

<sup>216</sup> სცსა, ფ. 940, ს— 263.

<sup>217</sup> М. И. С в е ш н и к о в, Винодельческое хозяйство бр. Форрер, Т. 1911, с. 17.

ლის გუბერნიაში კონიაკის ქარხნები გ. ალბეგმა და საზოგადოებრივ „ნაღუქდამ“ გახსნა, მაგრამ სამრეწველო მნიშვნელობა მხოლოდ ფორერისა და გუმელის წარმოებებს ჰქონდათ<sup>218</sup>.

ბაქოს გუბერნიაში კონიაკის წარმოება 1902 წლიდან დ. სარაჯიშვილის წარმოებით დაიწყო<sup>219</sup>. 1904 წ. აქ კონიაკის ქარხანას ხსნის ძმ. აგრიევეების ფირმა და ა. ბაღდასაროვი<sup>220</sup>. აღნიშნულ პერიოდში საკონიაკე სპირტის წარმოების დარგში გამოცოცხლებაც შეიმჩნევა, მაგრამ რუსეთ-იაპონიის ომმა და 1905-1907 წლების რევოლუციამ წარმოება შეაფერხა. აქ კონიაკის წარმოებამ დიდ მასშტაბებს და გაქანებას ვერც შემდგომ მიაღწია. რიგი წლების განმავლობაში (1907-1909 წწ.) აქ მხოლოდ აგრიევეების ქარხანა მოქმედებდა<sup>221</sup>. 1910-1914 წწ. კი ბაღდასაროვებისა და აგრიევეების ქარხანა მუშაობს<sup>222</sup>. ამ ქარხნების ყველაზე დიდი გამოხდა 1911 წ-ზე მოდის, იგი 682867 გრ უდრის. 1914 წ. მათი წარმოება 227626 გრ-მდე დაეცა<sup>223</sup>. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ბაქოს გუბერნიაში საკონიაკე სპირტის ყველაზე დიდი მწარმოებელი ძმ. აგრიევეების ფირმა იყო.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის კონიაკის წარმოებაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ორივე ეს გუბერნია არ გამოირჩევა საკონიაკე სპირტის ოდენობით. თბილისის გუბერნიაში საშუალოდ 200000 გრ სპირტს აწარმოებს ბორჩალოს მაზრაში არსებული 2 ქარხანა, ქუთაისის გუბერნიაში კი ანანოვის ქარხანა, რომლის საშუალო წარმოება 150000-180000 გრ. არ აღემატება. პროლუქციის ოდენობის მხრივ, ამიერკავკასიაში ყველაზე უმნიშვნელო წარმოება მაგალობლიშვილისა და გაბუნიას ქარხანა (სოხუმის ოკრუგი), საშუალო გამოხდა 40000 გრ (უდიდესი—94356 გრ 1911 წ.) უდრის.

ამრიგად, კონიაკის ქარხნების წარმოების ახალი აღმავლობა XX ს. დამდეგიდან დაიწყო. 1901 წ. ამიერკავკასიაში 6 კონიაკის ქარხანა მოქმედებს, 1902 წ. — 9, 1903 წ. — 13, 1905 წ. — 15. 1908 წ. — 21, 1912 წ. — 25, 1914 წ. — 27. გაიზარდა კონიაკის ქარხნების პროლუქციის ოდენობაც. 1903 წ. ქარხნების გამოხდა

<sup>218</sup> სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 221.

<sup>219</sup> სცსა, ფ. 370, ს. 901, ფურც. 95.

<sup>220</sup> სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 221.

<sup>221</sup> Фабрично-заводские предприятия, СПб., 1914. № 7954, 7955.

<sup>222</sup> სცსა, ფ. 370, ს. 901, ფურც. 95.

<sup>223</sup> სცსა, ფ. 370, ს. 940 ფურც. 169, ს. 930, ფურც. 176—178.



2506860 გრ (326166 მან.) შეადგენდა, 1908 წ. — 6014838 (1022522 მან.). 1911 წ. — 8517248 გრ (1447932 მან.). 1913 წ. — 9985543 გრ (1697542 მან.). 1914 წლიდან კონიაკის წარმოება მსოფლიო ომით გამოწვეული მიზეზების გამო შეფერხდა. საკონიაკე სპირტის გამოხდის შეფარდება ყურძნის სპირტის საერთო გამოხდასთან შედარებით კვლავ მცირეა, მაგრამ ყურძნის სპირტის წარმოებაში საკონიაკე სპირტის წარმოების წილი თანდათან იზრდება. ასე მაგალითად, 1901 წ. ამიერკავკასიაში საკონიაკე სპირტის გამოხდა მთელი გამოხდის 3,6% შეადგენს, 1903 წ. — 13%, 1908 წ. — 20%, 1911 წ. — 29%, 1913 წ. — 27%<sup>224</sup>.

ჩვენ მიერ შედგენილი ცხრილი (ცხრ. 8) ცხადყოფს, რომ ამიერკავკასიაში კონიაკის წარმოების მასშტაბების მხრივ პირველ ადგილზე ერევნის გუბერნია დგას. იგი ამიერკავკასიაში საკონიაკე სპირტის წარმოების ცენტრს წარმოადგენს. ერევნის გუბერნიაში წარმოებული პროდუქციის ოდენობა (1913 წლის მონაცემებით) ამიერკავკასიაში წარმოებული პროდუქციის 70% შეადგენს, ელიზავეტოპოლის გუბერნიისა — 16%, ბაქოს გუბერნიისა — 6%, თბილისის გუბერნიისა — 2,5%, ქუთაისის გუბერნიისა — 2,1%, სოხუმის ოკრუგისა — 0,009%.

ახლა დავადგინოთ რა ადგილი უჭირავს ა/კ-ის საკონიაკე სპირტის წარმოებას რუსეთის იმპერიაში. 1909 წ. ამიერკავკასიაში საკონიაკე სპირტის წარმოება რუსეთის იმპერიაში საკონიაკე სპირტის წარმოების 59%, 1910 წ. — 60,7%, 1912 წ. — 64,2%<sup>225</sup>, 1914 წ. — 74% შეადგენს. კონკრეტულ მაგალითზე ვნახოთ, როგორია ეს შეფარდება: 1914 წ. რუსეთის იმპერიაში საკონიაკე სპირტის წარმოების ოდენობა 12444377 გრ. შეადგენს. აქედან მთელი გამოხდის 74% ა/კ-ზე მოდის; მის შემდეგ დგას თურქესტანის მხარე, მას მთელი გამოხდის 11% უკავია; მესამე ადგილზე გამოდის ბესარაბიის გუბერნია — მთელი გამოხდის 10%-ით, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, ადგილზე არიან თერგის ოლქი — 2%, თავრიდის გუბერნია — 0,5%, და დაღესტანი — 0,44%<sup>226</sup>. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის იმპერიაში საკონიაკე სპირტის ძირითადი წარმოებელი რაიონი ამიერკავკასია იყო. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ა/კ-ში წარმოებული პროდუქციის

<sup>224</sup> შესაბამისი წლების სააქციზო უწყებების ანგარიშები.

<sup>225</sup> Статистика производств, облагаемых акцизом... за 1909, 1910, 1912 1910, СПб., 1911, 1912, 1915.

<sup>226</sup> ЦГиА СССР, ж. 578 ანაწ. 1, ს. 632, ფურც. 77. СССР,

ამიერკავკასიაში არსებული საკონიაკე სპირტსახდელი ქარხნები და მათ მიერ გამოხდილი საკონიაკე სპირტი გრადუსებში\*

წლები	გ რ ა დ უ ს ე რ ნ ი ე ბ ი						ს
	ერვენას	ელიზავეტო-პოლის	ბაქოს	თბილისს	ქუთაისს	სოხუმს	
1	2	3	4	5	6	7	8
1888	—	—	—	1 9631	—	—	1 9631
1889	1 61694	—	—	1 11852	—	—	2 73547
1890	1 126825	—	—	1 99401	—	—	2 226227
1891	1 50720	2 86673	—	1 42129	—	—	4 179522
1892	2 209750	5 217320	—	1 94717	—	—	8 521765
1893	3 417923	4 400287	—	1 15543	—	—	8 833553
1894	4 783404	5 347936	—	1 7943	—	—	10 1154950
1895	7 778127	5 243284	1 16666	—	—	—	13 1008979
1897	4	1 432628	—	—	—	—	5 432628
1898	4 410284	2 115283	—	—	—	—	6 525567
1899	6 666215	2 527948	—	—	—	—	10 1194163
1900	2 283398	4 276842	—	—	—	—	5 560240

\* შრიტხველი კონიაკის ქარხნების რაოდენობას გვიჩვენებს, მნიშვნელი—ამ ქარხნების მიერ გამოხდილი საკონიაკე სპირტის ოდენობას. ცხრილი შედგენილია ამიერკავკასიის სააქციოზო უწყების შესაბამისი წლების ანგარიშების საფუძველზე. სცსა, ფ. 370, ს. 899, ფურც. 49.

1	2	3	4	5	6	7	8
1901	2	3	—	2	—	—	6
	518263	345243		25640 (ს. ს. გა- მოყენაზე)			889146
1902	3	2	2	—	—	—	9
	844710	288460	86252				1219423
1903	5	6	2	—	—	—	13
	1186819	1015706	304335				2506860
1904	8	2	4	—	—	—	14
	3225724	33800	427418				3515201
1905	8	4	3	—	—	—	15
	283725	529891	151585				2875543
1906	8	2	2	—	—	—	12
	2387432	299368	188743				3632023
1907	10	2	1	—	—	—	13
	3275711	167738	188574				3632023
1908	13	3	1	3	1	—	21
	4843616	692415	121924	277757	79126		6014838
1909	13	4	1	2	2	—	22
	4776306	456226	206631	238398	40653		5718214
1910	11	4	2	—	1	—	18
	416666	429898	179550		23352		4799463
1911	15	5	2	—	1	1	24
	6798626	709746	632867		281653	94356	85172448
1912	15	5	2	1	1	1	25
	5390227	1037348	525971	535171	207382	52421	7748520
1913	14	5	2	2	1	1	25
	7247575	1669947	599937	246094	212661	9329	9985543
1914	14	6	2	2	1	1	27
	6820645	1342170	227626	366229	418157	35333	9210170



70% ერევნის გუბერნიაზე მოდიოდა, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ძირითადად ერევნის გუბერნია ამარაგებდა რუსეთის იმპერიის საკონიაკე სპირტით, რომ რუსეთის იმპერიაში წარმოებული საკონიაკე სპირტის ნახევარი ერევნის გუბერნიაზე მოდიოდა.



ჩვენ მიერ ზემოთ განხილული იყო ა/კ-ის კონიაკის ქარხნების საქმიანობის ერთი მხარე — მათ მიერ საკონიაკე სპირტის გამოხდა და დაძველების პუნქტებში მიწოდება. ჩვენ ჯერ არ შევხებივართ კონიაკის, წარმოების უმაღლესი პროდუქტის, დამზადების და მისი გასაღების ოპერაციების განსაზღვრა-დახასიათებას.

ამჟამად ჩვენს მიზანს შეადგენს ამ მხრივ განვიხილოთ საქართველოს კონიაკის მწარმოებლების საქმიანობა, განვსაზღვროთ მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ოდენობა, ხარისხი, ადგილზე მოხმარების და გატანის თანაფარდობა, საქართველოს კონიაკის მწარმოებლების როლი და ადგილი ამიერკავკასიის და რუსეთის იმპერიის კონიაკის წარმოებაში.

როგორც კონიაკის ქარხნების საქმიანობიდან ჩანს, მსხვილი მწარმოებლების ერთი ნაწილი აწარმოებს საკონიაკე სპირტს, აძველებს მას მუხის კასრებში, ამზადებს კონიაკს და გააქვს ბაზარზე. მწარმოებელთა მეორე, უფრო დიდი ნაწილი სპეციალდება მხოლოდ საკონიაკე სპირტის გამოხდაში და უშუალოდ აღნიშნული პროდუქტით ვაჭრობს. თბილისელი მრეწველები კონიაკის მწარმოებელთა პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ე. ი. ისინი ამზადებენ როგორც საკონიაკე სპირტს, ისე კონიაკს.

საქართველოში კონიაკის წარმოება-გასაღების ძირითადი პუნქტი თბილისია. 1900-იან წლებამდე აქ კონიაკს მხოლოდ 4 მრეწველი ამზადებს (დ. სარაჯიშვილი, ა. სოგომონოვი, მ. ხუბლაროვი, ს. მეღვინოვი)<sup>227</sup>.

1900-იანი წლების დასაწყისიდან თბილისის კონიაკის მწარმოებლებს შორის ცვლილება მოხდა. ამ პერიოდიდან თბილისში სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობები შეიქმნა. 1903-1906 წწ. თბი-

<sup>227</sup> სცსა, ფ. 370, ს. 823, ფურც. 18.



ლისში ამხანაგობა „ამური“ მოქმედებს<sup>228</sup>. იგი მეღვინის თბილისის სპირტის საბითუმო საწყობის ბაზაზე შეიქმნა. კონიაკის მოებას 1907 წლიდან სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „არგო“ და შაგრიარის ფირმები იწყებენ<sup>229</sup>. 1914 წლიდან მოქმედებს იწყებს კახაროვის საწყობი<sup>230</sup>. ამ მწარმოებლების ხელშია თბილისში კონიაკის დამზადებისა და გასაღების ოპერაციები.

როგორც ჩვენ მიერ ზემოთ განხილული კონიაკის ქარხნების საქმიანობიდან ჩანს, თბილისელი მრეწველები საკონიაკე სპირტს თბილისში არ აწარმოებენ. კონიაკის დამზადებისათვის საჭირო სპირტის ნედლეულს ისინი ძირითადად იაფი ნედლეულის ბაზებში დაარსებული ქარხნებიდან იღებენ (კიშინიოვი, ყიზლარა, კიუტრდა-პირი, ერევანი, მურადბეგლუ, აგადაძი და სხვ.). აღნიშნული ქარხნების საქმიანობა, მისი წარმოების ზრდა დამოკიდებული იყო ყურძნის და ღვინის მოსავალზე, ღვინის ფასზე, ბაზრის დაპყრობაზე და სხვა. დაბრკოლების შემთხვევაში მწარმოებლები მზა პროდუქტს საკონიაკე სპირტის სახით სხვა მწარმოებლებისაგან ყიდულობდნენ — ამიერკავკასიაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ბესარაბიაში და თურქესტანის მხარეშიც კი. ასე მოიქცა სოგომონოვი; როცა 1904 წ. ერევნის გუბერნიის კონიაკის მწარმოებლების სპირტი ისე გაიფადა, რომ 1 გრ. საკონიაკე სპირტის ფასი 13-14 კაპ. ვაზდა, მან შეწყვიტა წარმოება და იაფი სპირტი მთლიანად შეისყიდდა<sup>231</sup>.

საკუთარი გამოხდის და ადგილებზე ნაყიდ სპირტს მრეწველები თბილისში, მათ მიერ გახსნილ, საკონიაკე საწყობებში აგზავნიან. 1903 წ. თბილისის საწყობებში 1214765 გრ. საკონიაკე სპირტი შემოვიდა<sup>232</sup>, 1904-1905 წწ. მისმა ოდენობამ 2 მლნ. გრ.-ს გადააჭარბა<sup>233</sup>, 1909 წ. 1634029 გრ შეადგენდა<sup>234</sup>, 1913 წ. — 1806618 გრ<sup>235</sup>, ხოლო 1914 წ. 4 მლნ. გრ.-მდე ავიდა<sup>236</sup>.

<sup>228</sup> სცსა, ფ. 371, ს. 264, ფურც. 7. ს. 298, ფურც. 135; ს. 327. ფურც. 139.  
<sup>229</sup> სცსა, ფ. 371, ს. 833, ფურც. 76—77; ს. 403, ფურც. 132; სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 51—52.  
<sup>230</sup> სცსა, ფ. 371, ს. 674, ფურც. 370.  
<sup>231</sup> სცსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 201.  
<sup>232</sup> სცსა, ფ. 370, ს. 904, ფურც. 31—32.  
<sup>233</sup> სცსა, ფ. 371, ს. 327, ფურც. 93; ს. 298, ფურც. 135.  
<sup>234</sup> სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 51—52.  
<sup>235</sup> სცსა, ფ. 371, ს. 671, ფურც. 56—59.  
<sup>236</sup> ЦГИА СССР, ფ. 575, ანაწ. 1, ს. 4957, ფურც. 148.



ყველაზე დიდი პარტიებით სპირტს დ. სარაჯიშვილის საწყობი იღებდა. ასე მაგალითად, 1904 წ. კონიაკის ქარხნებიდან თბილისის საწყობებში 2133580 გრ საკონიაკე სპირტი შემოვიდა. აქედან დ. სარაჯიშვილის საწყობებზე მთელი შემოსავლის 60% მოდიოდა<sup>237</sup>. 1905 წ. თბილისის კონიაკის საწყობების შემოსავალი 2072392 გრ. საკონიაკე სპირტს უღრიდა, აქედან დ. სარაჯიშვილის საწყობზე მთელი რაოდენობის 83% მოდიოდა<sup>238</sup>, 1908 წ. — 98%<sup>239</sup>, ხოლო 1913 წ. — 74%<sup>240</sup>.

საკონიაკე საწყობებში მოხვედრილ სპირტს შემდგომ ამუშავებდნენ, გამოხდის ადგილების მიხედვით 30-40 ვედროიან კასრებში აძველებდნენ. ამისათვის საწყობებთან სპეციალური სარდაფები არსებობდა (მაგალითად, დ. სარაჯიშვილის კონიაკის საწყობი 3 შენობისა და 6 სარდაფისგან შედგებოდა. იგი გათვალისწინებული იყო 2-3 მლნ. გრ. საკონიაკე სპირტის დასაძველებლად)<sup>241</sup>. საკონიაკე სპირტის დაძველების უმცირესი პერიოდი 18 თვე იყო<sup>242</sup>. სპირტის სათანადო დროით დაძველების შემდეგ მისი დაკუპაჟება — ანუ კონიაკის დამზადება იწყებოდა. დ. სარაჯიშვილის საწყობთან არსებობდა სპეციალური განყოფილება, სადაც კონიაკის დაკუპაჟება და ახალი მარკის სასმელის გამოშვება ხდებოდა. დაკუპაჟებულ კონიაკს 500-600 ვედროიან კასრებში ასხამდნენ. სათანადო დროით (2-3 კვირა) დასვენების შემდეგ მას ბოთლებში ასხამდნენ და სარეალიზაციოდ აგზავნიდნენ. საკონიაკე სპირტების დაძველების პერიოდის მიხედვით თბილისის საწყობები სხვადასხვა სახის და სახელწოდების კონიაკს ამზადებდნენ. სამარკო კონიაკები საკონიაკე სპირტების ძველი მარაგიდან მზადდებოდა<sup>243</sup>. კონიაკის ჩამოსხმას სპეციალური ჩამომსხმელი განყოფილება ხელმძღვანელობდა. კონიაკის ყოველწლიური ჩამოსხმა (თბილისში) 1904 წ. 136406 გრ.<sup>244</sup>, 1906 წ. — 152728 გრ.<sup>245</sup>, 1908 წ. —

<sup>237</sup> სცსა, ფ. 371, ს. 275, ფურც. 67.

<sup>238</sup> სცსა, ფ. 371, ს. 327, ფურც. 93.

<sup>239</sup> სცსა, ფ. 371, ს. 403, ფურც. 132.

<sup>240</sup> სცსა, ფ. 371, ს. 671, ფურც. 69—70.

<sup>241</sup> Д. З. Сараджев, გვ. 12.

<sup>242</sup> სცსა, ფ. 371, ს. 106, ფურც. 143—145.

<sup>243</sup> Д. З. Сараджев, გვ. 9—12. დ. სარაჯიშვილის და ა. სოლომონოვის პრესკურანტები, თბ., 1901, 1902.

<sup>244</sup> სცსა, ფ. 371, ს. 298, ფურც. 135.

<sup>245</sup> სცსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 47.



189219 გრ.<sup>246</sup>, 1910 წ. — 235975 გრ.<sup>247</sup> უდრიდა. 1904 წ. რაჯიშვილის საწყობში კონიაკის ჩამოსხმა მთელი ჩამოსხმის 63% უდრიდა. 1906 წ. — 82%, 1908 წ. — 42%, 1910 წ. — 52%<sup>248</sup>. დანარჩენი სხვადასხვა საწყობებზე ნაწილდებოდა.

საწყობიდან კონიაკი იგზავნებოდა როგორც ბოთლებში ჩასხმული, ისე კასრებით. კასრებით გაგზავნილი კონიაკის ჩამოსხმა ადგილებზე არსებულ საწყობებში ხდებოდა. საწყობებიდან 1 ვედრო ნატურალურ კონიაკზე ნაკლების გატანა არ შეიძლებოდა. კონიაკი დაბანდეროლებული სახით კავკასიის ნატურალური კონიაკის სახელწოდებით და „რუსული კონიაკის“ მარკით გადიოდა.

სად გადიოდა, რუსეთის იმპერიის რომელ გუბერნიაში სალდებოდა თბილისის კონიაკის საწყობების მზა პროდუქტი? რუსი მომხმარებელი თბილისურ კონიაკს XIX ს. ბოლოს გაეცნო. რუსეთის ბაზარზე, — მოსკოვში, პეტერბურგში, რიგაში, ვარშავაში და სხვა ქალაქებში უხვად იყიდებოდა ადგილობრივი კონიაკი. მართალია, კარგად რეკლამირებული უცხოური საქონელი იოლად ამარცხებდა ბაზარზე ადგილობრივ პროდუქციას და პირველ ხანებში მომხმარებელი ნაკლებად ეტანებოდა, მაგრამ დროთა ვითარებაში, ადგილობრივი კონიაკის ხარისხი თანდათან გაუმჯობესდა, ამაღლდა ღვინო-მასალის ხარისხი, გაიზარდა მუხის კასრებში სპირტის დაძველების დრო. ყოველივე ამ ღონისძიებების ბუნებრივი შედეგი ის იყო, რომ ამიერკავკასიის კონიაკმა თანდათან მოიხვეჭა სახელი და დამკვიდრდა რუსეთის ბაზარზე<sup>249</sup>. კონიაკის და საკონიაკე სპირტის ძირითადი მომხმარებელი რუსეთის იმპერიის ცენტრალური ქალაქები იყო. საქონლის უმეტესი ნაწილი გადიოდა მოსკოვის, ვარშავის, პეტერბურგის და როსტოვის გუბერნიებში. ამიერკავკასიის კონიაკი და საკონიაკე სპირტი სალდებოდა მთელი რუსეთის იმპერიის ფარგლებში ბალტიისპირეთიდან დაწყებული, ციმბირითა და შორეული აღმოსავლეთით დამთავრებული. კერძოდ, თბილისიდან კონიაკი და საკონიაკე სპირტი, გარდა ჩამოთვლილი გუბერნიებისა, გადიოდა: თავრიდის, სარატოვის, ხარკოვის, ლიფლანდიის, ეკატერინოსლავის, პერმის, ტომსკის, კიევის, სამარის, ირკუტსკის, ორენბურგის, კურლანდიის, უფის, პეტროვსკის,

<sup>246</sup> სცსა, ფ. 371, ს. 403, ფურც. 132.

<sup>247</sup> სცსა, ფ. 371, ს. 833, ფურც. 78.

<sup>248</sup> სცსა, ფ. 371, ს. 298, ფურც. 235, ს. 833, ფურც. 78.

<sup>249</sup> ცისკარი, 1969, № 3, გვ. 141—146.



ვიატკის, ყაზანის, სტავროპოლის, პოლტავის, სიმბირსკის, ვოლოგოდსკის, ტობოლსკის, კალიშსკის, მინსკის, იაროსლავსკის, მოგორი-ლევსკის, ვორონეჟის, ჩერნიგოვის, კოსტრომის და სხვა გუბერნიებში. ამ საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებდა თბილისში არსებული კონიაკის საბითუმო საწყობები, რომელთა ოპერაციები 1900-იანი წლებიდან გაიზარდა.

ახლა ვნახოთ რა რაოდენობის კონიაკი და საკონიაკე სპირტი გადიოდა იმპერიაში, და რამდენს მოიხმარდნენ ადგილზე. 1903 წ. თბილისის კონიაკის საწყობებიდან კონიაკისა და საკონიაკე სპირტის გატანა 1446971 გრ. უდრიდა; მთელი გატანის 84%, იმპერიაში გადიოდა, ადგილზე მოხმარება — 8,4%, ა/კ-ში — 1,2%<sup>250</sup> უდრიდა.

1906 წ. თბილისის საწყობებიდან კონიაკისა და საკონიაკე სპირტის გატანა 1567080 გრ. შეადგენდა. ადგილობრივი მოხმარება — 8,2%, ა/კ-ში მოხმარება 0,9%, ხოლო იმპერიაში გატანა 80% უდრიდა<sup>251</sup>.

1908 წ. საკონიაკე სპირტისა და კონიაკის საერთო გატანა 1891750 გრ. უდრიდა, ადგილობრივი მოხმარება 7%, ა/კ-ში მოხმარება 25%, იმპერიაში გატანა — 85%<sup>252</sup>.

1910 წ. კონიაკის პროდუქტების გატანამ 3424666 გრ. შეადგინა. აქედან ადგილობრივ მოხმარეს — 6%, ა/კ-ში — 17%, იმპერიაში — 83%<sup>253</sup>.

1913 წ. 2079380 გრ. საკონიაკე სპირტი გაიტანეს. აქედან ადგილობრივი მოხმარება — 15%, ა/კ-ში 26%, იმპერიაში — 73% უდრის<sup>254</sup>.

აღნიშნული მონაცემებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამიერკავკასიიდან კონიაკის და საკონიაკე სპირტის გატანა საგრძნობლად ჭარბობდა მის ადგილობრივ მოხმარებას.

ახლა გავარკვიოთ როგორი იყო თითოეული საწყობის გატანის როლი. 1905 წ. თბილისის საწყობებიდან კონიაკისა და საკონიაკე სპირტის გატანა უდრიდა 2183000 გრ. სარაჯიშვილის ფირმაზე მთელი გატანის 77% მოდიოდა<sup>255</sup>.

<sup>250</sup> სცსა, ფ. 370, ს. 904, ფურც. 31—32.

<sup>251</sup> ი ქ ვ ე, ფურც. 45—44.

<sup>252</sup> სცსა, ფ. 371, ს. 403, ფურც. 134.

<sup>253</sup> სცსა, ფ. 371, ს. 833, ფურც. 76—77.

<sup>254</sup> სცსა, ფ. 371, ს. 671, ფურც. 69—70.

<sup>255</sup> სცსა, ფ. 371, ს. 327, ფურც. 93.



1908 წ. თბილისის ფირმების მიერ კონიაკის და საკონიაკე სპირტის გატანა 1891750 გრ. შეადგენდა. მარტო სარაჯიშვილის წარმოებაზე მთელი გატანის 76% მოდიოდა<sup>256</sup>.

1908 წ. დ. სარაჯიშვილის მიერ საკონიაკე სპირტისა და კონიაკის რუსეთში გატანა 8-ჯერ ჭარბობდა ა/კ-ში კონიაკის და საკონიაკე სპირტის მოხმარებას, 4-ჯერ ამხანაგობა „რგოს“, 60-ჯერ შავრიარის ფირმის გატანას<sup>257</sup>.

1913 წ. თბილისის საწყობების მიერ კონიაკისა და საკონიაკე სპირტის გატანა 2079383 გრ. საკონიაკე სპირტს და კონიაკს უღრის, აქედან სარაჯიშვილისა — მთელი გატანის 69%<sup>258</sup> შეადგენს. ამრიგად, კონიაკის და საკონიაკე სპირტის გატანის ოპერაციები ძირითადად თბილისის საწყობებში იყრის თავს, თბილისის საწყობებს შორის წამყვანი ადგილი დ. სარაჯიშვილის ფირმას უჭირავს (ცხრ. 9).

1908 წლიდან საკონიაკე სპირტითა და კონიაკით ვაჭრობაში ჩაება ბორჩალოს მაზრაში არსებული კონიაკის ქარხნები. მათი მოღვაწეობა კონიაკის ჩამოსხმის, სპირტის დაძველების და მისი გატანის საქმეში იმდენად უმნიშვნელოა, რომ საერთო სურათს არ ცვლის. ეს ქარხნები ძირითადად ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ. 1908 წ. მათ მიერ საკონიაკე სპირტის გატანა 21 598 გრ., 1910 წ. — 31 468 გრ. უღრის. იგივე შეიძლება ითქვას სოხუმის კონიაკის ქარხნებზეც. ამ მხრივ საინტერესო ძვრებია ქუთაისის კონიაკის საწყობების საქმიანობაში. 1895 — 1908 წწ. საკონიაკე სპირტით და კონიაკით ვაჭრობა ქუთაისის გუბერნიაში თითქმის არ იყო (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ მხრივ ოლდენბურგის ქარხნის უმნიშვნელო ოპერაციებს). 1908 წლიდან წარმოების გამოცოცხლება აღინიშნება. ანანოვის ქარხნის გახსნის შემდეგ ქუთაისის გუბერნიაში კონიაკის წარმოება მყარ საფუძველზე დადგა. ქუთაისის გუბერნიაში ათიან წლებში კონიაკზე მოთხოვნილების ზრდა შეიმჩნევა. ამ დროიდან ქუთაისის გუბერნია საკონიაკე სპირტს აწვდის როგორც თბილისის, ისე რუსეთის ქალაქებს — ცარიცინს, როსტოვს<sup>259</sup>. მოთხოვნილების გაზრდა

<sup>256</sup> სცსა, ფ. 371, ს. 403, ფურც. 134.

<sup>257</sup> სცსა, ფ. 371, ს. 403, ფურც. 132—134.

<sup>258</sup> სცსა, ფ. 371, ს. 671, ფურც. 70.

<sup>259</sup> სცსა, ფ. 371, ს. 403, ფურც. 143; ს. 833, ფურც. 76. სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 29—30.

თბილისის კონიაკის საბიჯელო საწყოების ოპერაციების ამსახველი შონაცემები

წლები	საწყოები	კონიაკის მარცხე		საქონივე სპირტის შემოტანა		საქონივე სპირტის და კონიაკის გატანა		საწყოებში დამატებული და აჩვენებული საქონივე სპირტის მარცხე	
		გრ-ში	მან-ში	გრ-ში	მან-ში			გრ-ში	მან-ში
1904	დ. საჩაძეშვილი	86398	25919	1242460	1242460	1183064	355099	1505740	255975
	ა. სოკოშვილი	49470	14841	869434	147803	296099	88829	10917449	185973
	„აქტი“	5380	1614	21686	3686	873	261	20813	3538
	ს უ ლ	136406	40921	2133580	198260	1480636	444190	2618302	445111
1906	დ. საჩაძეშვილი	124858	37457	1166241	223616	1818596	356578	1515211	257585
	ა. სოკოშვილი	24829	7448	—	—	375145	13543	589432	100203
	„აქტი“	3041	912	—	—	3339	1001	2212	3761
	ს უ ლ	152728	45818	1166241	223616	1567080	470124	2106855	358165
1908	დ. საჩაძეშვილი	89209	26762	1315389	223616	1416885	425065	1513745	257336
	„აქტი“	66288	19886	479905	81583	431500	129450	580562	98695
	შეგრიანი	33721	10116	40014	6802	43365	13009	4263	727
	ს უ ლ	189219	56765	1835308	312002	1891750	54525	2098570	356756
1910	დ. საჩაძეშვილი	120804	36241	978436	166334	2406672	722001	1428236	242800
	„აქტი“	76311	22893	398512	67747	933332	285999	554820	94319
	შეგრიანი	36800	11658	63169	10738	64662	193986	1493	253
	ს უ ლ	235975	270792	144047	244819	3424666	1027399	1984540	337373
1913	დ. საჩაძეშვილი			267793	453255	1431508	429451	1354165	230208
	„აქტი“			935335	159006	543424	163027	569644	95139
	შეგრიანი			18157	3086	14678	4403	3219	547
	ს უ ლ			1806618	307125	2079380	623814	190987	32467

\* სცხა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 16; ს. 940, ფურც. 44-45, 47. სცხა, ფ. 371, ს. 298, ფურც. 135; ს. 275, ფურც. 67; ს. 403, ფურც. 132, 143; ს. 833, ფურც. 76-77, 78; ს. 671, ფურც. 69-70.



სპირტით ვაჭრობის გამოცოცხლება გამოიწვია. 1910 წ. ქ. ქუთაისში და ბათუმში კონიაკის საწყობები შეიქმნა<sup>260</sup>. 1914 წ. ქუთაისის გუბერნიაში კონიაკის საწყობების ბრუნვამ 1 288 652 გრ. შეადგინა. და ოდენობის მხრივ თბილისის კონიაკის საწყობების ბრუნვის შემდეგ ამიერკავკასიაში მეორე ადგილზე გამოვიდა<sup>261</sup>.

ამრიგად, კონიაკის წარმოება-გასაღებას საქართველოში ძირითადად თბილისური ფირმები ეწევიან, ამ ფირმებს შორის წამყვანი ადგილი კი დ. სარაჯიშვილის ფირმას უკავია. საქართველოში ყველაზე მსხვილი მრეწველი კაპიტალისტი დ. სარაჯიშვილია.

90-იან წლებში ამიერკავკასიის კონიაკის მწარმოებლებს შორის ნედლი მასალის შერჩევით, გამოხდით და ფრანგული ტექნოლოგიის დაცვით სარაჯიშვილისა და ტაიროვის გარდა პრინცი მიურატის, ბიბიკოვის, ფორერის, აფრიკოვის, გუმელის წარმოებები გამოირჩევიან. კონიაკის მწარმოებლებს შორის არიან ისეთებიც, რომელნიც გამოსახდელად უვარგის ღვინოს იყენებენ ან საკონიაკე სპირტის დაძველების დასაჩქარებლად კასრებში მუხის მერქანს ყრიან, კონიაკის დასამზადებლად დამწვარ შაქარს და კონიაკის ესენციას იყენებენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, კონიაკის წარმოება თანდათან მყარ ნიადაგზე დადგა<sup>262</sup>, რადგან დაგროვდა ძველი საკონიაკე სპირტების საკმაო მარაგი, რომელიც უმაღლესი ხარისხის პროდუქტის შექმნის საწინდარი იყო.

1900-იან წლებამდე რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოება თავმოყრილი იყო სპირტის მსხვილი მწარმოებლის — დ. სარაჯიშვილის, ნ. ტაიროვის, ა. სოგომონოვის, მ. ხუბლაროვის, ძმ. იზმიროვების, ზურაბოვის, ფაბრიკოვის ხელში. მხოლოდ ამ მდიდარ მრეწველებს შეეძლოთ წლების განმავლობაში გაეძლოთ კონიაკის წარმოებაზე გაწეული ხარჯისათვის და შემდეგ მისგან დიდძალი მოგებაც მიეღოთ.

დ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნების წარმოება რუსეთის იმპერიაში 1900-იან წლებამდე არსებული ცალკეული ქარხნების წლიურ პროდუქციას საგრძნობლად აღემატება. მაგალითად, 1895 წ. გეზალოვის კონიაკის ქარხნის წლიური პროდუქცია — 22 000 მან. უდრის, აფრიკოვისა — 13 000 მან., ტაიროვისა — 44 000 მან.,

<sup>260</sup> Обзор... за 1912 тб., 1912, გვ. 201.

<sup>261</sup> Обзор... за 1914, тб., 1916, გვ. 230—231.

<sup>262</sup> KCX, 1895, № 103.

ზურაბოვისა — 14 362 მან., მამაჯანოვისა — 26 969 მან., სოგომონოვისა — 97 000 მან.; აღნიშნულ წელს დ. სარაჯიშვილის ერევნის კონიაკის ქარხნის წლიური პროდუქცია 147 863 მან. შეადგენს<sup>263</sup>.

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში რუსეთის იმპერიის კონიაკის მწარმოებლებს შორის პირველ ადგილზე დგას დ. სარაჯიშვილის წარმოება როგორც პროდუქციის მოცულობით, ასევე ტექნიკური დონითა და პროდუქციის ხარისხითაც. მისი ფირმის რწმუნებულებს ნედლი მასალის შესყიდვა ჩრდილოეთ კავკასიაში, ამიერკავკასიაში, თურქესტანის მხარეში, რუსეთის ჩრდილო და სამხრეთ გუბერნიებში უხდებოდათ, ხოლო პროდუქციის რეალიზაცია მოიცავდა მთელი რუსეთის იმპერიის ფარგლებს — უკიდურესი ჩრდილოეთიდან, ვისლისპირა გუბერნიებიდან ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ჩათვლით. სარეალიზაციოდ იგზავნებოდა პროდუქცია როგორც ბოთლებში ჩამოსხმული, ისე კასრებით. ადგილებზე შექმნილი საწყობების რწმუნებულები აწარმოებდნენ სხვა ფირმებთან თუ საწყობებთან შეთანხმებას, პროდუქტების გასაღებას. ამ ოპერაციებს კი ფირმის მიერ შექმნილი სავაჭრო-სააგენტოები აკვარებდნენ. 1891 — 1900 წწ. ბოთლებში ჩამოსხმული კონიაკის სახით დ. სარაჯიშვილმა 1 933 640 ბოთლი კონიაკი გაყიდა. 1900 წლისათვის კონიაკის გამოშვება 218 200 და გაყიდვა 220 000 ბოთლს უდრიდა. დ. სარაჯიშვილის ფირმას საკონიაკე სპირტის დასამუშავებლად ყოველწლიურად საშუალოდ 100 000 ფუთი ყურძენი სჭირდებოდა. 1891 წლიდან კონიაკის ყოველწლიური დამზადება 10 000 ვედროს შეადგენდა. მის საწყობში ყოველდღიურად 1000 ბოთლი კონიაკი იხმებოდა, ხოლო დასაძველებლად გადაცემული სპირტის რაოდენობა 1 500 000 — 2 000 000 გრ. საკონიაკე სპირტს უდრიდა. 1900 წლიდან დ. სარაჯიშვილის პეტერბურგის, ვარშავის და ციმბირის საბითუმო საწყობებიდან ყოველწლიურად 180 000 ბოთლი კონიაკი იყიდებოდა. რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში, კავკასიასა და თბილისში კი 40 000 ბოთლი. ე. ი. რუსეთის შიდა და ცენტრალური გუბერნიების მოხმარება 5-ჯერ ჭარბობდა ადგილობრივს<sup>264</sup>.

<sup>263</sup> Указатель фабрик и заводов окраин России, Царства Польского, Кавказа, Сибири, СПб., 1895, с. 73.

<sup>264</sup> Д. З. Сараджев, гв. 9—12 (დანართის ჩათვლით, სცსა, დ. 371, ს. 154, ფურც. 69, 134—136; საქართველოს კალენდარი 1903, გვ. 457—459.

დ. სარაჯიშვილის ფირმის საქმიანობა მეტად მრავალმხრივი იყო. იგი მოიცავდა ალკოჰოლიანი სასმელების თითქმის ყველა სახის წარმოებას: ხდიდა არაყს, ასუფთავებდა სპირტს, აყენებდა და ამაგრებდა ღვინოს, ახდენდა სპირტის დენატურაციას; ამზადებდა სხვადასხვა არაყს, ლიქიორს, ნაყენს, ხდიდა საკონიაკე სპირტს და ამზადებდა კონიაკს. დ. სარაჯიშვილის წარმოება მოიცავდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებში შექმნილ 6 სარეტიფიკაციო, 1 არყისსახდელ, 1 სხვადასხვა სახის არყისა და ლიქიორის, 10 კონიაკის ქარხანას, აგრეთვე სპირტის საბითუმო და კონიაკის საწყობებს თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ვარშავაში, ბაქოში, რიგაში, ვლადიკავკაზში, ოდესაში, ბორჯომში და სავაჭრო სააგენტოებს რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქში.

1901 წლისათვის აღნიშნული ფირმის ნაწარმის ბრუნვამ 1,5 მლნ. მანეთს გადააჭარბა. მისმა თბილისის საბითუმო საწყობმა 220000 მან. კონიაკი, 40000 მანეთის ლიქიორი და 1500000 მანეთის სპირტის და არყის პროდუქტები გაყიდა<sup>265</sup>. მისი კონიაკის ქარხნების წლიური შემოსავალი 1895 წ. 358 000 მან. შეადგენდა<sup>266</sup>, 1903 წლისათვის 981 700 მანეთამდე გაიზარდა<sup>267</sup>.

დ. სარაჯიშვილის ფირმის პროდუქციას იცნობდნენ არა მარტო რუსეთის მთელ იმპერიაში, არამედ ევროპისა და აზიის ქალაქებიც — პარიზი, ლონდონი, ბერლინი, ვენა, ჟენევა, თავრიზი, კონსტანტინოპოლი<sup>268</sup>. საზღვარგარეთ გადიოდა კონიაკი, სხვადასხვა სახის არყის პროდუქტები, ლიქიორი, ყურძნის რექტიფიციკრებული სპირტი, პურის სპირტი, გასუფთავებული სუფრის ღვინო, რახის ზეთით მდიდარი ყურძნის სპირტი<sup>269</sup>.

დ. სარაჯიშვილის მაღალხარისხოვანი საალკოჰოლო სასმელები არაერთხელ იქნა დაჯილდოებული თბილისის, ნიჟნი ნოვგორო-

<sup>265</sup> ი ქ ვ ე.

<sup>266</sup> Адресная книга фабрично-заводской и ремесленной промышленности, СПб., 1905, с. 517.

<sup>267</sup> Указатель фабрик и заводов окраин России, Царства Польского, Кавказа, Сибири, СПб., 1895, с. 173.

<sup>268</sup> ზ. კ ი ზ ი ნ ა ძ ე. მრეწველობა ვაჭრობა, ხელოსნობა საქართველოში, თბ. 1911, გვ. 98.

<sup>269</sup> სცსა, ფ. 371, ს. 364, ფურც. 106—107; ს. 244, ფურც. 166, 169, 130; ს. 236, ფურც. 84, ს. 246, ფურც. 175, 481 ს. 715, ფურც. 24—25; ს. 518, ფურც. 6, 12, 112, 115, 116, 174, 181, 176, 136, 316, 358, 292; ს. 514, ფურც. 87, 919; ს. 392, ფურც. 135, 427.

დის, პეტერბურგის, პარიზის, ჩიკაგოს და სხვა სამრეწველო გამო-  
ფენებზე. მისმა პროდუქციამ 8 ოქროს, 3 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს  
მედალი და 1 დიპლომი (ოქროს მედალზე) დაიმსახურა<sup>270</sup>.

XX ს. დასაწყისიდან რუსეთის იმპერიაში კონიაკის დიდი მას-  
შტაბებით წარმოებას შუსტოვის ფირმა იწყებს. ნ. შუსტოვის აქ-  
ციონერული საზოგადოება 1863 წ. მოსკოვში შეიქმნა<sup>271</sup>. 1893  
წლისათვის არყის პროდუქტების წარმოება 73 000 ვედროს უდრი-  
და, რაც 339 000 მან. შეადგენდა. მის ქარხანაში 69 მუშა მუშაობ-  
და<sup>272</sup>, 1896 წლისათვის აქციონერული საზოგადოების კაპიტალი  
500000 მან. შეადგენდა<sup>273</sup>. შუსტოვის ფირმა 90-იან წლებში არყის  
პროდუქტების დამზადებაზე მუშაობდა და სხვადასხვა სახის არ-  
ყის ნაწარმს უშვებდა. ტაიროვის კონიაკის ქარხნის შექმნის შემ-  
დეგ, 1900-იანი წლების დასაწყისში, მან ერევნის გუბერნიაში კონ-  
იაკის წარმოების ბაზა შექმნა. თანდათან ამ ადგილებში კონიაკის 7  
ქარხანა გახსნა და ადგილობრივი, მეტად იაფი ნედლეულის ბაზაზე,  
ღვინოსა და საკონიაკე სპირტს აწარმოებდა<sup>274</sup>. 1903 წლისათვის ერევ-  
ნის ქარხნების წლიური პროდუქცია 100 000 მან უდრიდა. მისივე  
მოსკოვის ქარხნის წარმოება 2500000 მან. შეადგენდა და მუშათა  
რიცხვი 175-დან 250-მდე მერყეობდა<sup>275</sup>. 1909 წლისათვის საზოგა-  
დოების კაპიტალი 1,5 მლნ. მანეთამდე გაიზარდა. ხოლო 1916  
წლისათვის 2,5 მლნ. მანეთს მიაღწია<sup>276</sup>. შუსტოვს კონიაკის და  
სპირტის სარექტიფიკაციო ქარხნები ჰქონდა კიშინიოვში, კიურდა-  
მირში, ტაშკენტში, სამარყანდში, ოდესაში, ვარშავაში. 1910 წლი-  
სათვის შუსტოვის მიერ ყურძნის სპირტის წარმოება შეადგენდა  
545 000 მან., ლიჭიორისა და არყის პროდუქტების — 990 00 მან.,  
საკონიაკე სპირტისა — 726000 მან. მთლიანად წლიური წარმოება  
2 297 840 მან. უდრიდა და 325 მუშა მუშაობდა<sup>277</sup>. ნ. შუსტოვი  
XX ს. დამდეგიდან სპირტის, არყისა და კონიაკის წარმოებაში

<sup>270</sup> Д. З. Сараджев, гл. 11.

<sup>271</sup> Адресная книга фабрично-заводской и ремесленной промышленности России, СПб., 1905, с. 489.

<sup>272</sup> Указатель фабрик и заводов Европейской России, СПб., 1894, с. 648

<sup>273</sup> ВВ., 1897, № 3.

<sup>274</sup> Л. Д. Джанполадян, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

<sup>275</sup> Список фабрик и заводов Европейской России, СПб., 1903, с. 587.

<sup>276</sup> Устав «Торгово-промышленного Товарищества И. Л. Шустов с сыновьями» 1916.

<sup>277</sup> Список фабрик и заводов Российской Империи, 1912, гл. 205.

ამიერკავკასიის ყველაზე მსხვილ მრეწველ კაპიტალისტ წარმო-  
ადგენდა, რომელიც თავისი გავლენის სფეროში იქცევა მწარ-  
მოებელთა უდიდეს ნაწილს, არეგულირებდა საბაზრო ფასსა და  
იპყრობდა გასაღების ბაზარს.

შუსტოვისა და დ. სარაჯიშვილის ფირმების გარდა რუსეთის  
იმპერიაში კონიაკის წარმოებით ცნობილი იყვნენ შემდეგი სავაჭ-  
რო-სამრეწველო ამხანაგობები: ამხანაგობა „არგო“ (დაარსდა  
1907 წ.), 1914 წ. მან 750 000 მან პროდუქცია აწარმოა; ვარშა-  
ვის კონიაკის ქარხანა — „იმპერიალი“, დაარსდა 1889 წ. მისი  
წლიური წარმოება 1914 წ. 950 000 მან. უდრიდა; გუმელის ფირმა,  
მისი წლიური წარმოება 1914 წ. 1 300 000 მან. შეადგენდა, ფორერის  
ფირმისა — 200 000 მან. კიშინიოვის რეიდელის ფირმა 1890 წ. და-  
არსდა, წლიური პროდუქცია 180 000 მან. უდრიდა. რეგერერის  
ოდესის ფირმა, დაარსდა 1897 წ. 1914 წ. მისი წლიური პროდუქცი-  
ის ღირებულებამ 120 000 მან. შეადგინა<sup>278</sup>.

კონიაკის ამ მსხვილი მწარმოებლების ხელში თავმოყრილი  
იყო მისი წარმოებისა და გასაღების ოპერაციები. 1903 წლისათ-  
ვის ლ. შუსტოვისა და დ. სარაჯიშვილის წარმოება რუსეთში საკო-  
ნიაკე სპირტის წარმოების 80% შეადგენდა, ხოლო 1913 წ. 58%.  
ბესარაბიის გუბერნიაში 1903 წ. მიღებული 3363 ათასი ვედრო  
საკონიაკე სპირტიდან შუსტოვის, სარაჯიშვილის და რეიდელის  
წარმოებაზე 70%, მოდიოდა, 1907 წ. კი ეს შეფარდება 90%-მდე  
გაიზარდა<sup>279</sup>.

რუსეთის იმპერიის ეს მსხვილი მრეწველები ხელთ იგდებდნენ  
წვრილ მწარმოებლებს, რომელთაც თავისი წარმოების დანამატად  
აქცევდნენ, იპყრობდნენ ადგილობრივ და რუსეთის იმპერიის ბა-  
ზარს, არეგულირებდნენ საბაზრო ფასს და რუსეთის იმპერიაში კო-  
ნიაკის წარმოება-გასაღების საქმეში მონოპოლიურ მდგომარეობას  
ინარჩუნებდნენ.

მსხვილი მწარმოებლები შეძლებისდაგვარად აიაფებდნენ და  
წვრილი მწარმოებლებისაგან მომგებიან ფასებში იძენდნენ საკო-  
ნიაკე სპირტს, დაძველების შემდეგ კი მას დიდი მოგებით ყიდდნენ.  
მწარმოებელთა ერთი ნაწილი მსხვილ მრეწველებზე დამოკიდე-  
ბული ხდებოდა, მის კაბალაში ვარდებოდა. ასეთები იყვნენ: ტერ  
მიკირტიჩევი, გეზალოვი, მელიქ ბაბახანოვი, ჯევანშირი, პარუმო-

<sup>278</sup> Фабрично-заводские предприятия Российской Империи, 1914, Изд.,  
2, СПб., 1914, № 8020, 7941, 8026, 7936, 7929, 7955.

<sup>279</sup> ლ. ჯ ა ნ ფ ო ლ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 60.





ვი, არუნოვი და სხვ. მსხვილი მრეწველები ხშირად ერთი-  
დენიმე წლით, მთელი ან ნახევარი გამოხდის წინასწარი შეწყვეტ-  
ვით, იჯარით იღებდნენ წვრილი მწარმოებლების ქარხნებს, რომლე-  
ბიც მთელი დატვირთვით მუშაობდნენ, რათა მოიჯარადრის ვალიც  
გაესტუმრებინათ და საკუთარი გამოხდის სპირტის ნაწილი თავის-  
თვის დაეტოვებინათ. დ. სარაჯიშვილის დაკვეთით მუშაობდა ერევ-  
ნის მელიქ ბაბახანოვის ქარხანა. 1894 წ. მონაცემებით, იგი დ. სარა-  
ჯიშვილს 1 გრ. სპირტს თბილისში ჩატანით, 16 კაპიკად აძლევდა.  
მაშინ, როდესაც მას ეს სპირტი თითქმის ამაზე ნაკლები არ უჯდე-  
ბოდა. მრეწველი ათანასიანცი დ. სარაჯიშვილს საკონიაკე სპირტს  
ბაბახანოვზე ნაკლებ ფასად უგზავნიდა. დიდი რაოდენობით სპირტის  
ნედლეულს ყიდულობდა დ. სარაჯიშვილი ისეთი მსხვილი მწარ-  
მოებლისაგან, როგორც ა. სოგომონოვი, მ. ხუბლაროვი, ნ. ტაი-  
როვი იყვნენ<sup>280</sup>. ერევნის გეზალოვის კონიაკის ქარხანა იძულებუ-  
ლი იყო შესტოვისათვის მოსკოვში ჩატანით გზის ხარჯების ჩათ-  
ვლით 1 გრ. საკონიაკე სპირტი 21 კაპიკად მიეყიდა<sup>281</sup>. ძმებს სოგო-  
მონოვებს ჭევანშერის ელიზავეტოპოლის კონიაკის ქარხანა საკო-  
ნიაკე სპირტით 1 გრ. 14 კაპიკად ამარაგებდა<sup>282</sup>. სოგომონოვს ექვემ-  
დებარებოდა აგრეთვე ჩელაბოვის ერევნის კონიაკის ქარხანა და სხვ.

კონიაკის მწარმოებლები ამიერკავკასიის ღვინის წვრილ მწარ-  
მოებლებსაც აკაბალებდნენ. ისინი მათ მოსავლის ალებამდე და ღვი-  
ნის დაყენებამდე ფასზე წინასწარ უთანხმდებოდნენ. წვრილ მწარ-  
მოებელთა დიდ ნაწილს ხიბლავდა ფულის წინასწარ ალების სურ-  
ვილი, ამიტომ ღვინის მოსავალს უმნიშვნელო ფასად აძლევდა.  
იყო შემთხვევები, როდესაც მწარმოებლები ღვინის მოსავლის სა-  
ფასურის წინასწარი გადახდისას 1 ვედრო ღვინოს 35 — 45 კაპ. ყი-  
დულობდნენ. მწარმოებელთა ნაწილი მსხვილ მწარმოებელთა შე-  
თავაზებულ ფასს არ თანხმდებოდა, უფრო მომგებიანი მუშტრის  
მოლოდინში მას ღვინო გაუსაღებელი რჩებოდა. იმის გამო, რომ  
წვრილ მწარმოებელს კარგად მოწყობილი სარდაფები და ღვინის  
შესანახი ჭურჭელი არ გააჩნდა, მას დარჩენილი ღვინის შენახვა და  
ახლის დაყენება არ შეეძლო, ამიტომ მოსავლის ალების მოა-  
ლოვების დროს იგი ცდილობდა მალე მოეშორებინა ძველი ღვინო,

<sup>280</sup> ВВ. 1892 № 8,

<sup>281</sup> Материалы по изданию относительно виноградно-водочного и фрук-  
тового производства с. 20, СПб., 1898.

<sup>282</sup> Отчет... за 1898, СПб., 1899, გვ. 101.



რათა ახალი მოსავლისათვის ჭურჭელი გაეთავისუფლებინათ. ტომ იგი მზად იყო ნახევარ ფასად გაეყიდა ღვინო, ოღონდ მისგან გათავისუფლებულიყო. ამ შემთხვევაში გასქელებული ჯიბითა და დაგროვილი კაპიტალით მას „მხსნელად“ მსხვილი მრეწველი ევლინებოდა. ღვინის წვრილი მწარმოებლები გამოუვალ მდგომარეობაში განსაკუთრებით ყურძნის კარგი მოსავლის დროს ვარდებოდნენ. ისინი დიდი რაოდენობით მიღებული ღვინისათვის ჩასასხმელ ჭურჭელს ვერ პოულობდნენ. აქ მათ ისევ კონიაკის მწარმოებლები „ეშველებოდნენ“. ისინი დიდი რაოდენობით ღვინოს თითქმის უფასოდ იგდებდნენ ხელთ<sup>283</sup>.

XX ს. ახალი მრეწველების გამოჩენამ, ნედლეულის ბაზების განაწილების საკითხმა კონიაკის წარმოებაში ვითარება გაართულა. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში დ. სარაჯიშვილის კონტროლს ექვემდებარებოდა ამიერკავკასიის წვრილი მწარმოებლების დიდი ნაწილი. ბაქოს გუბერნიაში გეოქჩაის მაზრის ღვინის წვრილი მწარმოებელი მასა მთლიანად დ. სარაჯიშვილს ემორჩილებოდა. დ. სარაჯიშვილი მათ წინასწარ უთანხმდებოდა და ღვინის საფასურს უხდიდა. სარაჯიშვილის კონტროლით მოქმედებდა აგრეთვე აქვე არსებული ბაღდასაროვის კონიაკის ქარხანაც.

ბაქოს გუბერნიაში კონიაკის წარმოების ასპარეზზე მოგვიანებით გამოსული ძმები აგრიევების ფირმას განაწილებული ნედლეულის ბაზების ხელახალი გადანაწილების სურვილი აღეძრა. მას ღვინო სჭირდებოდა, რადგან ამ პერიოდში იგი დაუკავშირდა მოსკოვის სმირნოვის ფირმას, რომლისთვისაც ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ღვინო უნდა მიეწოდებინა. ბაქოს გუბერნიაში საქმიანობა იმით დაიწყო, რომ მან გეოქჩაის მწარმოებლებისაგან ღვინის შესყიდვა მოისურვა, მაგრამ მას ბედმა არ გაუშართლა. მაზრის მთელი მწარმოებლები დ. სარაჯიშვილის დაკვეთით იყვნენ დაკავებულნი. აგრიევების ფირმა იძულებული იყო ორიენტაცია ბაქოს გუბერნიის მეორე — შემახის მაზრაზე აეღო<sup>284</sup>. შემახის მაზრის ბაზარი აგრიევების, ძმ. ჯანუმოვების, ამირჯანოვების ფირმამ იგდო ხელთ. აგრიევების მოღვაწეობამ ის „შედევგი“ გამოიღო, რომ შემახის მაზრის ღვინის მწარმოებლები შემდეგ წლებში ყურძნის დაწურვისას ჭაჭას დიდი გულისყურით აღარ აცალკევებდნენ ხოლმე ღვინისაგან. ბაქოს გუბერნიაში ნედლეულის ბაზების ხელ-

<sup>283</sup> სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურც. 221.

<sup>284</sup> სცსა, ფ. 370, ს. 930, ფურც. 116—119, 128.

ში ჩაგდების სურვილი შუსტოვის ფირმასაც აღეძრა. ერევნის გუბერნიის მწარმოებლების ხელში ჩაგდების შემდეგ, 1904 წ. რო ღვინის შესყიდვა 1 მან. და 1 მან. 20 კაპიკად იწყო, მაშინ როდესაც აგრივეებისა და ჯანუშოვების ფირმები, წინასწარი შეთანხმებით, 1 ვედრო ღვინოზე 60 — 90 კაპ. იხდიდნენ<sup>285</sup>. ერთის მხრივ კონიაზე მოთხოვნილების ზრდამ, მეორეს მხრივ მწარმოებელთა შორის არსებულმა გაძლიერებულმა კონკურენციამ, ბაზრების ძიებამ, საკონიაკე სპირტზე ფასები გაზარდა. ბაზრების ძიების ციებ-ცხელებამ<sup>286</sup> და მსხვილ მეწარმეთა მიერ უკეთესი ნედლეულის ბაზრებზე დამკვიდრებამ 1910-იანი წლებისათვის უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

ცხრილი 10

ამიერკავკასიაში არსებული კონიაკის საბითუმო საწყობების ოპერაციები გრადუსებში\*  
გ უ ბ ე რ ნ ი ე ბ ი

	თბილისის	ერევნის	ქუთაისის	ვლიზავე-ტობოლის	ბათუმის	ბაქოს
1909 წ.	3730664	75815	—	—	—	—
ადგილობრივი მოხმარება	159047	6990	—	—	—	—
იმპერიაში გატანა	1465201	677	—	—	—	—
1912 წ.	3803817	24994	769161	677747	19459	—
ადგილობრივი მოხმარება	240490	5963	45134	—	2196	—
იმპერიაში გატანა	1449759	—	206698	229574	—	—
1914 წ.	4408828	124470	1288652	654382	18712	3759
ადგილობრივი მოხმარება	214734	13510	59673	14134	15895	7029
იმპერიაში გატანა	1022348	613	315496	237755	—	146

1908 წლამდე ამიერკავკასიაში კონიაკის საბითუმო საწყობები მხოლოდ თბილისში არსებობდა. კონიაკზე მოთხოვნილების ზრდამ კონიაკის საწყობების გახსნის აუცილებლობა შექმნა. 1908 წ. შეიქმნა ერევნის კონიაკის საწყობი, 1912 წ. კონიაკის საწყობი

\* ცხრილი შედგენილია ამიერკავკასიის სააქციზო უწყების შესაბამისი წლების ანგარიშების საფუძველზე.

<sup>285</sup> ი ქ ვ ე, ფურტ. 119.

<sup>286</sup> სცსა, ფ. 370, ს. 989, ფურტ. 165—166.

ბები ამიერკავკასიის ყველა გუბერნიაში გაიხსნა. როგორია საქონლის ბრუნვა 1912 წ. ამიერკავკასიაში საქონლის ბრუნვა 5 296 177 გრ. საკონიაკე სპირტს უდრის, აქედან თბილისის საწყობებზე მთელი ბრუნვის 72% მოდის, ქუთაისის გუბერნიაზე მთელი ბრუნვის 2%, ელიზავეტოპოლის გუბერნიაზე 13%, ერევნის 0,5%, ბათუმის 0,4%<sup>287</sup>.

1914 წ. ამიერკავკასიის კონიაკის საწყობების ბრუნვა 6 502 403 გრ.-მდე გაიზარდა. აქედან თბილისის საწყობების ბრუნვა 68%, ქუთაისის გუბერნიისა 20%, ელიზავეტოპოლის გუბერნიის — 2%, ერევნის გუბერნიის — 1,9%, ბათუმის — 0,1%<sup>288</sup>. ე. ი. ამ მხრივ პრიორიტეტს თბილისის საკონიაკე საწყობები ინარჩუნებენ (ცხრ. 10).

ამიერკავკასიაში (თბილისის გარდა) კონიაკის და საკონიაკე სპირტის შემოსავალ-გასავლის ოპერაციები თავს იყრის კონიაკის ქარხნებში. კონიაკის ქარხნების მიერ საკონიაკე სპირტის გამოზღაურება იქვე ზემოთ გვქონდა საუბარი. რაც შეეხება კონიაკის და საკონიაკე სპირტის გატანას, აქ 1909 წლამდე ამ ოპერაციებს მხოლოდ თბილისის გუბერნიის საწყობები აწარმოებენ. 1902 წლამდე ამიერკავკასიიდან გატანილი საკონიაკე სპირტიდან თბილისის საწყობებზე მთელი გატანის 76% მოდის, 1903 წ. 62%<sup>289</sup>.

კონიაკის ქარხნების რაოდენობრივი ზრდისა და წარმოების მასშტაბების გადიდების შემდეგ, განსაკუთრებით ნ. შუსტოვის წარმოების აღმავლობის შემდეგ, ერევნის გუბერნია როგორც კონიაკის წარმოების, ისე მისი გასაღების ცენტრი ხდება. 1909 წ. ამიერკავკასიიდან 4 448 975 გრ. კონიაკი და საკონიაკე სპირტი გაიტანეს, აქედან ერევნის გუბერნიაზე მთელი გატანის 54,3%; თბილისის გუბერნიაზე 33%, ხოლო დანარჩენი 13% ბაქოს, ელიზავეტოპოლის და ქუთაისის გუბერნიებზე მოდის.

1912 წ. ამიერკავკასიიდან კონიაკის გატანამ 6 488 610 გრ. შეადგინა, აქედან ერევნის გუბერნიაზე 60%, თბილისის გუბერნიაზე 22%, ელიზავეტოპოლის გუბერნიაზე 11%, ქუთაისის გუბერნიაზე 5%<sup>290</sup>, ბაქოს გუბერნიაზე 2% მოვიდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კონიაკისა და საკონიაკე სპირტის მწარმოებელი ძირითადი რაიონი რუსე-

<sup>287</sup> Оздор... за 1912 т., 1913 г. 201.

<sup>288</sup> Оздор... за 1914 т., 1916, г. 230.

<sup>289</sup> Оздор... за 1909, т., 1910, г. 199.

თის იმპერიაში ამიერკავკასია იყო, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი რუსეთის იმპერიისათვის საკონიაკე სპირტისა და კონიაკის მთავარი დებელი მთავარი ცენტრი იყო, საიდანაც მარაგდებოდა იმპერიის როგორც ცენტრალური ქალაქები, ისე ყველაზე განაპირა რაიონებიც კი. ამიერკავკასიაში დამზადებული კონიაკისა და საკონიაკე სპირტის 90% რუსეთის იმპერიაში გადიოდა. ადგილობრივ მხოლოდ 10% მოიხმარებოდა. იმპერიის ცენტრალური საწყობები და არცის ქარხნები ამიერკავკასიიდან დიდი რაოდენობით მიღებული მასალიდან ამზადებდნენ კონიაკს, რომელიც აკმაყოფილებდა არა მარტო რუსეთის იმპერიას, არამედ საზღვარგარეთაც საკმაო რაოდენობით გადიოდა. რაც შეეხება საქართველოს, მართალია, აქ საკონიაკე სპირტის წარმოებამ ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ კონიაკის დამზადებისა და მისი გასაღების მასშტაბებით თბილისის საკონიაკე საწყობები კარგა ხანს ინარჩუნებდნენ პირველ ადგილს. 1900-იანი წლების ბოლოს მათ ერევნის გუბერნიის მზარდი წარმოება უსწრებს. საქართველოს კონიაკის ქარხნები და თბილისის საწყობები თავისი პროდუქციით რუსეთის იმპერიის მზარდ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ.

კავკასიური ნატურალური კონიაკი ხარისხითა და გემოთი ფრანგული კონიაკების დონეზე დგას, იგი საუკეთესო ხარისხისა და საუცხოო თვისებების გამო არაერთგზის იქნა დაჯილდოებული პარიზის, ლონდონის, ჩიკაგოს, ყაზანის, კიევის, თბილისის, კავკასიის გამოფენებზე.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ძალაში შევიდა ე. წ. მშრალი კანონი, რომელიც კრძალავდა სპირტიან სასმელებს, მათ შორის კონიაკის თავისუფალ გაყიდვას. ამის გამო რუსეთის იმპერიაში დაიხურა კონიაკის ქარხნები და კონიაკის წარმოებამ თითქმის შეწყვიტა არსებობა. მისი აღორძინება და სწრაფი ტემპით განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ამიერიდან დაიწყო კონიაკის წარმოების განვითარების ახალი ეტაპი. კონკურენციისაგან თავისუფალ, გეგმიან მეურნეობაზე დამყარებულ საბჭოთა სახელმწიფოში წარმოებული ქართული კონიაკი თამამად დგას მსოფლიოს საუკეთესო კონიაკების გვერდით.

<sup>290</sup> Отчет... за 1912, СПб., 1913, გვ. 201.



მუშათა კლასის მღვდლობა, გაფიცვები

საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების პარალელურად ყალიბდებოდა დაჭირავებულ მუშათა რიგები. მანქანური წარმოების მასობრივ დანერგვას კი ჩვენში მუშათა კლასის — სამრეწველო პროლეტარიატის შექმნა მოჰყვა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა კლასი, რომელსაც ისტორიამ უდიდესი მნიშვნელობის საქმე დააკისრა — გამხდარიყო მშრომელი და დაჩაგრული მასების რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი, კლასი, რომელსაც უნდა მოესპო ადამიანთა ექსპლოატაციაზე დამყარებული წყობილება და ახალი — კომუნისტური საზოგადოება აეშენებინა<sup>1</sup>.

მძიმე და აუტანელი იყო ახლადჩამოყალიბებული პროლეტარიატის ცხოვრებისა და შრომის პირობები. ოფიციალური ცნობებით 70—80-იან წლებში ფაბრიკა-ქარხნების შენობები უვარგისი იყო, სამუშაო ოთახები ბნელი, ჭუჭყიანი, პატარა, ვიწრო და მოუხერხებელი. აქ არ იყო დაცული შრომის ელემენტარული პირობები. მუშებს წარმოუდგენელ უსუფთაობასა და ანტისანიტარულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. საწარმოთა დიდი ნაწილი მოთავსებული იყო უსუფთაო უბნებში, შეხუთულ, უფანჯრო შენობებში, სადაც ჰაერის გასაწმენდ ერთ-ერთ საშუალებას პატარა სარკმელი წარმოადგენდა. განსაკუთრებით მძიმე იყო ქვანახშირის, მარგანცის, სამთამადნო წარმოების მუშების სამუშაო პირობები. აქ გვირაბების მოუწყობლობის გამო ხშირი იყო ქანების ჩამონგრევისა და მუშათა ცოცხლად დამარხვის შემთხვევები. არანაკლებ აუტანელი სამუშაო პირობები იყო თამბაქოს, ტყავის, ბამბის საქსოვ და სხვა ქარხნებში<sup>2</sup>.

ასეთივე აუტანელი იყო მუშათა საცხოვრებელი პირობებიც. მათ საკუთარი ბინები არ ჰქონდათ, იძულებულნი იყვნენ ქალაქის გარეუბანში ექირავათ ნესტიანი, ბნელი, ჭუჭყიანი და ყოველგვარ სანიტარულ, ჰიგიენურ პირობებს მოკლებული ქოხ-მახები. თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშები ცხოვრობდნენ სარდაფებში,

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, თბ., 1958, ტ. 1, გვ. 563.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორია, თბ., 1962, ტ. II, გვ. 79. ა. კ ი ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, თბ., 1954, ტ. 1, გვ. 341—343.

დარაბებში, ქალაქის განაპირა ჭუჭყიან და ტალახიან ადგილებში რკინის გზის გადაღმა მხარეს, ნაძალადივში, ხარფუხში და ავღანეთში...<sup>3</sup> ტრამვაის მუშები თავლებში ცხენებთან ათევდნენ ღამეს... აგურის ქარხნის მუშები ზამთარში — ქარხნებში, აგურის ქურებზე, მტვერში და ყოველგვარი ორთქლით გაყვანილი ნესტში ცხოვრობდნენ, ზაფხულობით — ღია ცის ქვეშ, უამინდობის დროს კი სახელდახელოდ მოწყობილ კარვებში. ასევე ნაჩქარევად აშენებულ ხის ნოტიო ტალახიან ბარაკებში ცხოვრობდნენ ტყიბულის და ჭიათურის სამთომადნო მრეწველობის მუშები<sup>4</sup>. მძიმე და აუტანელი იყო ბათუმის მუშების საცხოვრებელი პირობები. ისინი ქირაობდნენ ბინებს, სადაც 12 კვ. არშინის ფართობის მქონე ნესტიან ოთახში 7-მდე სული ცხოვრობდა. ასეთ ბინებში მუშები თვეში 4 — 6 მანეთს იხდიდნენ. ეკონომიის გაწევის მიზნით, ხშირად ერთ პაწაწინა ოთახში 2 ოჯახი თავსდებოდა. მუშების ერთი ნაწილი ღამეს სამიკიტნოებში, დუქნებში, ყავახანებში ათევდა; აქ ისინი, ცარიელ სკამ-ლოგინზე ან იატაკზე წვებოდნენ და ღამის გასათევს 10 კაბ. იხდიდნენ. ერთ-ერთი ოფიციალური პირი ბათუმის მუშათა საცხოვრებელ ფიცრის ოთახებს გალიებს ადარებს, ხოლო აგურის სახლებს კი ქვის ყუთებს, რომელთაც ერთი პაწაწინა ფანჯარა აქვთ, ზოგჯერ ისიც არა. „ეს მავშრალი ხალხი, — წერს იგი, — ცხოვრობს ყველგან, სადაც კი შეიძლება მოათავსოს თავისი ტანჯული სხეული. ცხოვრობს სხვენზე, ცხოვრობს საესებით ბნელ, ბინძურ სარდაფებში, სადაც შუშის საწყობის ნაცვლად ადამიანთა საწყობია გამართული. ცხოვრობს სინოტივეში, რაღაც საშინელი სიმყრალის ატმოსფეროში, უსინათლოდ, ზამთრობით თბებიან მხოლოდ საკუთარი ცხოველური სითბოს ურთიერთქმედებით, ცხოვრობენ საშინლად შეჯგუფულნი 5 — 7 — 9 კაცი იქ, სადაც 2 — 3 კაცი ძლივსძლივობით მოთავსდებოდა. სძინავთ ან სახელდახელოდ გაკეთებულ, ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმულ ტახტებზე ან ფიცარზე, ხშირად ორ-ორს კაცს ერთის ადგილზე, ანდა პირდაპირ დაყრილი არიან იატაკზე“<sup>5</sup>.

მუშათა აუტანელი საცხოვრებელი პირობები და უბინაობა ხდებოდა მიზეზი იმისა, რომ მუშების დიდი ნაწილი დახეტიალობდა ყავახანებში და სამიკიტნოებში, სადაც ძალაუნებურად უკანას-

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 685, 686.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ა. კ ი ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, თბ., 1959, გვ. 204.



კნელი გროშიც არაყში ან ჩაიში უნდა გადაეხადა, რომ მეღვინეებს ისინი გარეთ არ გამოერეკან.

მუშათა კლასის ჩამოყალიბებამ და ზრდამ საფაბრიკო ინსპექციის შექმნა განაპირობა. საფაბრიკო ინსპექციას პირველად 1899 წ. ბათუმისა და სოხუმის მხარეები დაექვემდებარნენ, ხოლო 1901 წლიდან მის შემადგენლობაში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიც შევიდნენ. საქართველოს სამრეწველო ქალაქები ხარკოვის საფაბრიკო ინსპექციას ექვემდებარებოდა. საფაბრიკო ინსპექცია ზედამხედველობითი ორგანო იყო. მისი დაარსების თავდაპირველი მიზანი თითქოს მცირეწლოვანთა შრომის ზედამხედველობა იყო, მაგრამ ფაქტიურად იგი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდ იქცა. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, საფაბრიკო ინსპექტორები ცარიზმისა და ბურჟუაზიის მსახურებს წარმოადგენდნენ. ისინი პოლიციის მსახურებად, საფაბრიკო ურიადნიკებად იქცეოდნენ და მუშებს დევნიდნენ იქაც კი, სადაც ამას ფაბრიკანტი არ ავალებდა<sup>7</sup>.

არყის, სპირტისა და კონიაკის წარმოებაში დასაქმებული მუშათა რაოდენობის, სამუშაო დროის ხანგრძლივობის, ხელფასისა და მუშათა გაფიცვების შესახებ მასალები არც თუ ისე უხვია. ასეთი ხასიათის ცნობები ძირითადად საფაბრიკო ინსპექციის ფონდებმა შემოგვინახეს, ნაწილობრივ გუბერნატორებისა და მეფის ნაცვლის კანცელარიებმა.

ჩვენამდე მოღწეული მასალების საფუძველზე დგინდება, რომ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში სხვადასხვა სახის არყის, სარექტიფიკაციო და კონიაკის ქარხნებში მუდმივად დასაქმებული მუშების რაოდენობა 1891 — 92 წწ. — 86 კაცს უდრის<sup>8</sup>, 1895 — 96 წწ. — 118<sup>9</sup>, 1900 წ. — 102<sup>10</sup>, 1903 წ. — 130<sup>11</sup>, 1906 — 167<sup>12</sup>.

არყის (სხვადასხვა სახის არყის, კონიაკის, სპირტის სარექტიფიკაციო) ქარხნებში გარდა მუდმივად დასაქმებული მუშებისა, იყვნენ დროებითი ანუ დღიური მუშებიც. მუშათა რაოდენობა წლის დროის მიხედვით ხშირ ცვლილებას განიცდიდა. სპირ-

<sup>6</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 687.

<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გამოც. IV, 1954, გვ. 362.

<sup>8</sup> სცსა, ფ. 370, ს. 670, ფურც. 148.

<sup>9</sup> სცსა, ფ. 371, ს. 125, ფურც. 33, 41.

<sup>10</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1484, ფურც. 228.

<sup>11</sup> სცსა, ფ. 370, ს. 916, ფურც. 243, 246.

<sup>12</sup> სცსა, ფ. 370, ს. 1517, ფურც. 78, 81.

ტის ნედლეულის შემოსვლასთან დაკავშირებით დღიურ მუშათა რიცხვი იზრდებოდა და პირიქით. თუ რამდენად დიდი იყო მუშათა ღირებულება, მოვიტანოთ ასეთი მაგალითი: დ. სარაჯიშვილის ერთ-ერთ ქარხანაში თვეების მიხედვით მუშათა რაოდენობა 30, 56, 62, 85, 92 მუშას უდრის, ქარხნის მაქსიმალური დატვირთვის დროს კი 101 კაცს აღწევს<sup>13</sup>. ქარხნებში მუშათა რიცხვი სამუშაოს ზრდასთან ერთად იზრდებოდა. დროებითი მუშების მოზღვაების დროს, ამ ქარხნებში მუშათა რიცხვი ორმაგდებოდა. ქარხნის პრაქტიკაში ხშირად ჰქონდა ადგილი მუშათა დროებით აყვანას, ამას ადასტურებს ის, რომ საგაფიცვო მოძრაობის დროს ხშირია დროებითი მუშების ჩივილები მათი მოულოდნელი დათხოვნის შესახებ<sup>14</sup>. ამასვე ამტკიცებს ყურნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული წერილი, საიდანაც ჩანს, რომ დ. სარაჯიშვილის ქარხანაში დროებითი მუშების რაოდენობა 50 კაცს უდრის<sup>15</sup>.

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ მუშათა რაოდენობის ამსახველ მონაცემებში არ შევიდა ნედლეულის ბაზებში თბილისელი მრეწველების მიერ გახსნილ 20-მდე ქარხანაში დასაქმებული 300-მდე მუშა. არ არის გათვალისწინებული სპირტის საბითუმო საწყობებისა და სასმელებით მოვაჭრე დაწესებულებების მუშათა რიცხვი. მასალებში საბითუმო საწყობებში დასაქმებულ მუშათა რაოდენობის შესახებ ცნობები არ არის შემონახული. როგორც ზემოთაც მივუთითებდით, კონიაკის დამზადების ოპერაციები სპირტის საბითუმო საწყობებში ხდებოდა, ერთი მონაცემით დ. სარაჯიშვილის საბითუმო საწყობში 15 მუშა მუშაობდა. თბილისში 3—4 ასეთი სპირტის საბითუმო საწყობი იყო, ხოლო საქართველოში 30-დან 40-მდე. ვაჯამებთ რა ზემოთ მოტანილ მონაცემებს, დავასკვნით, რომ ჩვენ მიერ სპირტის, არყის და კონიაკის ქარხნების მუშათა რაოდენობის ამსახველი მონაცემები მასალათა არასრულყოფის გამო პირობითია და მიახლოებით მონაცემებს გვაილევს.

არყის ქარხნებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა 10 საათს უდრიდა. მუშაობა ზამთარში იწყებოდა დილის 7 საათზე, მთავრდებოდა საღამოს 7 საათზე, ზაფხულში მუშაობდნენ დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე (ხუბლაროვის არყის ქარხანაში 6-დან 7 საათამდე). შაბათობით და სადღესასწაულო დღეებში სამუშაო

<sup>13</sup> ЦГИА СССР, ფ. 20, ანაწ. 12, ს. 342 თურც. 55, 69.

<sup>14</sup> ЦГИА СССР, ფ. 575, ანაწ. 13, ს. 4781, ფურც. 97.

<sup>15</sup> ეურნ. „მოგზაური“, 1905, № 41, გვ. 639.



დღე 9 საათს უდრიდა. არსებობდა 2 შესვენება —  $\frac{1}{2}$  საათი უზმისათვის,  $1\frac{1}{2}$  სათი — სადილისათვის. სარექტიფიკაციო ქარხნებში სპირტის განუწყვეტელი ხდის გამო მუშაობა 2 ცვლაში ხდებოდა. აღნიშნული კატეგორიის მუშები მუდმივ დასაქმებული იყვნენ 5 — 6 თვის განმავლობაში, რიგრიგობით თვეში 4-ჯერ 24 საათი თავისუფლდებოდნენ. ხელფასის ანაზღაურება თვის 1 და 15 რიცხვებში ხდებოდა<sup>16</sup>. დ. სარაჯიშვილის ქარხნის 1902 წ. 27 მარტს დამტკიცებული შინაგანაწესით: მუშას სამსახურიდან ითხოვდნენ თუ იგი არასაპატიო მიზეზით 3 დღეს გააცდენდა, სამსახურში 6-ჯერ დროზე არ გამოცხადდებოდა ან 2 კვირის განმავლობაში საპატიო მიზეზით დაავიანებდა, ან, თუ ხელფასის აღების დროისათვის ჯარიმები ხელფასის  $\frac{1}{3}$ -ს შეადგენდა. მუშას ეკრძალებოდა ქარხნის მეპატრონესთან, ხელოსანთან, ოსტატთან უხეში, თავგედური, უტიფარი ლაპარაკი და სხვ. სამუშაო დროს მუშას სამსახურიდან წასვლა მხოლოდ მეპატრონის, გამგის ან ოსტატის ნებართვით შეეძლო. დაგვიანების ან სამუშაოს თვითნებურად დატოვებისათვის, მუშა ჯარიმდებოდა; უხარისხო პროდუქციისათვის მუშა ჯარიმის სახით პირველი შენიშვნისათვის 60 — 80 კაპ. იხდიდა. მეორე შემთხვევაში — 70 — 90 კაპ-მდე. თვითნებურად სამსახურის მიტოვებისათვის, ხმაურზე, უსუფთაობაზე, ჩხუბზე, განრიგით გათვალისწინებული წესრიგის შეუსრულებლობაზე — პირველად წესრიგის დარღვევისათვის მუშა 20-დან — 40 კაპ-მდე ჯარიმდებოდა. მეორე, მესამე, მეოთხე შემთხვევებში — 40-დან 30 კაპ-მდე. სამსახურში დაგვიანებისათვის, სამუშაო დროის 25 წუთიდან 1 საათამდე გაცდენისათვის ჯარიმა — 15 კაპ. იყო, 1 საათიდან 2 საათამდე — 20 კაპ., 2-დან 3 საათამდე — 30 კაპ., 3-დან 5 საათამდე — 50 კაპ. სამსახურის თვითნებურად, არასაპატიო მიზეზით მიტოვებისათვის ხელფასიდან დაქვითვის გარდა, სამუშაო დღის ნახევრის გაცდენისათვის დამატებით აკლდებოდა პირველად წესრიგის დარღვევისათვის 10-დან 20 კაპიკამდე. მეორე, მესამე, მეოთხე შემთხვევაში — 15-დან 30 კაპიკამდე. მთელი სამუშაო დღის გაცდენისათვის — პირველად 20-დან 30 კაპიკამდე, მეორე, მესამე, მეოთხე შემთხვევაში — 25-დან 50 კაპიკამდე<sup>17</sup>. თითქმის ასეთივე იყო (მცირე განსხვავებით) არყის სხვა ქარხნების სამუშაო პირობები.

<sup>16</sup> „საისტორიო მოამბე“, 1959, № 10, გვ. 208—209, 110—128. სცსა, ფ. 275 ს. 72, ფურც. 18.

<sup>17</sup> სცსა, ფ. 275, ს. 54, ფურც. 2.





მართალია, ქარხნის შინაგანაწესში ჯარიმების ნიხრი არსებობდა, მაგრამ საარქივო დოკუმენტებში არა ერთ ადგილასაა მითითებული, რომ არყის ქარხნებში ჯარიმათა წიგნი არ არსებობს, ან არყის ქარხნებში ჯარიმათა სისტემა არ გამოიყენებოდა<sup>18</sup>. ამის შესახებ საფაბრიკო ინსპექტორი მიუთითებს, რომ სამსახურიდან დათხოვნის მიშით, დაგვიანებული მუშა უფრო მეტი ხალისით თანხმდებოდა მეპატრონეს გაცდენილი სამუშაო დრო შრომითვე ორმაგად აუნაზღაუროს, ვიდრე დაეჭვითოს ხელფასი, ან დაჯარიმდეს. მუშა მზადაა ყოველგვარი სამუშაო შეასრულოს, მაგრამ არავითარი პირობით არ თანხმდება დაჯარიმებაზე<sup>19</sup>. ჩვენი აზრით, არყის ქარხნებში ჯარიმების არ არსებობაც ალბათ აღნიშნულ ფაქტზე უნდა მიუთითებდეს.

სამუშაოს სპეციფიკის მიხედვით არყის, სპირტის და კონიაკის ქარხნებში შემდეგი განყოფილებები არსებობდა: სასმელების დამამზადებელი, სააპარატო, საქვამე, საკასრე, სადურგლო, ნახშირის მიმწოდებელი, ჩამომსხმელი, ჩამწყობი, შემფუთავი და სხვ. ამის შესაბამისად მუშათა შემდეგი კატეგორიები იყო — ჩამომსხმელი, შემფუთავი, დურგალი, მეკასრე, სააპარატო განყოფილებაში მომუშავენი, მეჭურჭლენი — ჭურჭლის მბეჭდავეები, ეტიკეტის დამწებლებლები და სხვ. გარდა ამისა, ქარხანას ჰყავდა შავი მუშები, სასმელის ბინაზე მიმწოდებელნი, საჯინბოში მომუშავე მუშები, დარაჯი, მსახური, კანცელარიის და ადმინისტრაციის მომსახურენი და სხვ.<sup>20</sup>

„საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრების პირობების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ მუშათა საშუალო ხელფასი აქ გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე სხვა უფრო განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებში“<sup>21</sup>. კაპიტალისტები შეძლებისდაგვარად ამცირებდნენ მუშათა ხელფასს, ამაში მათ ხელს უწყობდათ ის გარემოება, რომ ქართველი მუშების უმეტესი ნაწილი დაკავშირებული იყო სოფელთან, ქართველი მუშა ნაწილობრივ სოფლიდან მიღებული პროდუქტებით სარგებლობდა, რაც საშუალებას აძლევდა თავისი სამუშაო ძალა მინიმალურ ფასზე

<sup>18</sup> სცსა, ფ. 275, ს. 28, ფურც. 1, ს. 153, ფურც. 7; ს. 72, ფურც. 19. ს. 69, ფურც. 7—8; ს. 51, ფურც. 2—3. სცსა, ფ. 12, ანაწ. 16, ფურც. 16.

<sup>19</sup> ХФЦГИА УССР, ფ. 834, ს. 88, ფურც. 36—41.

<sup>20</sup> სცსა, ფ. 275, ს. 54, ფურც. 5. სცსა, ფ. 276, ს. 27, ფურც. 3; საისტორიო მოამბე, თბ., 1960, №№ 11—12 გვ. 419.

<sup>21</sup> საქართველოს ისტორია, თბ., 1962, ტ. II, გვ. 179.



დაბლა გაეყიდა, რის გამოც აქ ექსპლოატაცია გაცილებით მეტად იყო, ვიდრე სხვა, უფრო განვითარებული ქვეყნების მუშებისა<sup>22</sup>. ამის შესახებ თბილისის გუბერნიის მთავარი საფაბრიკო ინსპექტორის — პისარენკოს ანგარიშში (1903 წ.) აღნიშნულია, რომ ხელფასი იმდენად მცირეა, რომ ოჯახის პატრონ მუშას ვერ უზრუნველყოფს პური, ტანსაცმლით, სკოლითა და ექიმით, სიამოვნებაზე ან გართობაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან მუშის ხელფასი მხოლოდ აუცილებელი საარსებო მოთხოვნილების — ოჯახის გამოკვებას ხმარდება<sup>23</sup>.

არყის ქარხნებში მუშების საშუალო ხელფასი 1900-იანი წლების დასაწყისში (1904 — 5 წწ.) 17 — 20 მანეთს უდრის. გაცილებით მაღალია სპეციალისტების, ოსტატების და ხელოსნების ხელფასი. მაგალითად, რექტიფიკატორის ხელფასი 33 მანეთს უდრის, უფროსი ოსტატის — 40 მანეთს, უფროსი ცეცხლფარეშის — 30 მანეთს<sup>24</sup>.

არყის ქარხნების ადმინისტრაცია არასათანადო ზომებს იღებდა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო პირობების სწორი უზრუნველყოფისათვის, დროულად არ მოწმდებოდა მანქანა-იარაღები და დანადგარები. ადმინისტრაცია და ქარხნის გამგეობა თვითონ არღვევდა ქარხნის შინაგანაწესს და წესდებით გათვალისწინებულ პუნქტებს, რის გამოც ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებს. მაგალითად, 28 ივნისს დ. სარაჯიშვილის არყის ქარხანაში აღირიცხა უბედური შემთხვევა<sup>25</sup>. ამავე წელს, 16 თებერვალს, უბედურ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ძმ. სოგომონოვების გომის არყის ქარხანაში<sup>26</sup>. ასეთივე შემთხვევა იყო 1905 წ. მარტში დ. სარაჯიშვილის № 2 და № 3 ქარხანაში და სხვ<sup>27</sup>. საარქივო მასალებში არყის ქარხნის მუშათა საჩივრებიც გვხვდება. მაგალითად, შაგრიარის ქარხნის მუშამ საფაბრიკო ინსპექციაში წარადგინა საჩივარი იმის შესახებ, რომ იგი სამსახურიდან წინასწარი გაფრთხილების გარეშე

<sup>22</sup> საქართველოს ისტორია, თბ., 1962, ტ. II, გვ. 179.

<sup>23</sup> ХФЦГИА УССР, ფ. 834, ს. 88, ფურც. 37.

<sup>24</sup> სცსა, ფ. 204, ს. 592, ფურც. 99; ЦГИА СССР, ფ. 20, ანაწ. 12, ს. 100, ფურც. 47. საისტორიო მოამბე, თბ., 1954, № 10, გვ. 208, 209, 110—128.

<sup>25</sup> სცსა, ფ. 275, ს. 54, ფურც. 9. საისტორიო მოამბე, თბ., 1961 №№, 13, 14, გვ. 160—161. ЦГИА СССР, ფ. 23, ანაწ. 20, ს. 857, ფურც. 3.

<sup>26</sup> სცსა, ფ. 275, ს. 21, ფურც. 29.

<sup>27</sup> სცსა, ფ. 275, ს. 107, ფურც. 10.



გაათავისუფლეს თითქოს თავხედური საქციელისა და სამედიცინო  
 არასრულყოფილად შესრულების გამო<sup>28</sup>.

1913 წ. 13 ნოემბრის თარიღით საქართველოს ცენტრალურ  
 ისტორიულ არქივში დაცულია ასეთი შინაარსის განცხადება. დ.  
 სარაჯიშვილის ქარხნის მუშა — ბესარიონ ქორიძე საფაბრიკო  
 ინსპექციის უფროსს აუწყებს, რომ მან ქარხანაში მუცლის არე-  
 ში დაზიანება მიიღო, რამაც მას შრომის უნარი დაუკარგა, ამის  
 გამო იგი ითხოვს კანონით გათვალისწინებული დახმარება მიეცეს<sup>29</sup>.

საფაბრიკო ინსპექტორი ამის შესახებ მიუთითებს: „მუშა-  
 თა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის დაცვის ზომების და სამედიცი-  
 ნო დახმარების არარსებობა თავისი მიძიმე მდგომარეობის გამო მუ-  
 შათა სამართლიან აღშფოთებას იწვევს“<sup>30</sup>.

არყის ქარხნებში, ისევე, როგორც თბილისის სხვა მრავალ  
 დაწესებულებაში, მუშათა სამედიცინო მომსახურება არ არსებობ-  
 და. თბილისის გუბერნიის ფაბრიკა-ქარხნებში ამ მხრივ შექმნილი  
 მდგომარეობის შესახებ საფაბრიკო ინსპექტორი 1903 წ. ანგარიშ-  
 ში წერს, რომ ქარხანაში დასახიჩრებული მუშის მკურნალობას  
 ფორმალური ხასიათი აქვს. მეფაბრიკეთა უმეტესობა ისე იქცევა,  
 თითქოს ზრუნავს თავისი მუშების ჯანმრთელობაზე, ქარხანაში  
 აქვთ აფთიაქი, ჰყავთ მედიცინის მუშაკი და, ზოგჯერ ექიმიც კი,  
 მაგრამ ამას მხოლოდ საჩვენებელი ხასიათი აქვს, სინამდვილეში აფ-  
 თიაქში ხინისა და კასტორკის მეტი არაფერია, ექიმისა და მედდას  
 დახმარებით უფრო მეტად ქარხნის ადმინისტრაცია სარგებლობს  
 და არა მუშები, რომელთაც ექიმი თითქმის არავითარ ყურადღე-  
 ბას არ აქცევს. მუშათა უმეტესობა, რომელიც სერიოზულ მკურ-  
 ნალობას საჭიროებს, ტოვებს ქარხანას და საკუთარი ხარჯით მკურ-  
 ნალობს<sup>31</sup>.

მუშებისათვის სამედიცინო დახმარების კანონით დადგენის სა-  
 კითხი 1903, 1904 — 5 წწ. დაისვა. 1905 — 7 წწ-ის რევოლუციის  
 დროს იგი გაფიცულთა ერთ-ერთი მოთხოვნა იყო. 1907 წ. 7 ოქ-  
 ტომბერს თბილისის გუბერნატორთან მოწვეულ სხდომაზე გადა-  
 წყდა: პირველ ხანებში მუშებისა და მათი ოჯახებისათვის ამბუ-  
 ლატორიული დახმარების აღმოჩენა მხოლოდ ქ. თბილისის მუშებ-  
 ზე გავრცელებულიყო, შემდეგ მუშებისათვის სტაციონალური

<sup>28</sup> სცსა, ფ. 275, ს. 54, ფურც. 18.

<sup>29</sup> სცსა, ფ. 276, ს. 89, ფურც. 8.

<sup>30</sup> ХФЦГИА УССР, 834, ს. 88, ფურც. 36—41.

<sup>31</sup> ХЦФГИА УССР, ფ. 834, ს. 88, ფურც. 36—41.



საავადმყოფოს შექმნა იყო განზრახული. საარქივო მასალებში ცულია უწყისები მუშებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის შესახებ. არყის ქარხნებიდან საექიმო დახმარებისათვის 1907 წ. 27 ბლანკი გაიცა 10 — დ. სარაჯიშვილის №2 ქარხნის მუშებისათვის, 17 — დ. სარაჯიშვილის №3 ქარხნის მუშებისათვის<sup>32</sup>. ეს ღონისძიება, ისევე, როგორც ქარხნებში სამედიცინო მომსახურება, მოჩვენებითი ხასიათის ღონისძიება უფრო იყო, ვიდრე მუშებისათვის საქმიანი დახმარება.

1912 წ. ახალი კანონი გამოვიდა. მისი მიზანი ავადმყოფობის შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთათვის ფულადი დახმარების აღმოჩენა იყო. ეს უკანასკნელი საავადმყოფო საღაროებს დაევალი, რომელიც იმ ფაბრიკა-ქარხნებში და სამრეწველო დაწესებულებებში უნდა დაარსებულყო. სადაც არა ნაკლებ 200 მუშა მუშაობდა<sup>33</sup>. არყის ქარხნებზე მუშათა რაოდენობის სიმცირის გამო ეს კანონი არ გავრცელდა.

მძიმე და აუტანელი იყო არყის ქარხნების მუშათა როგორც სამუშაო, ისე საცხოვრებელი პირობები. არყის ქარხნების მეპატრონეები მუშებს ბინით არ უზრუნველყოფდნენ. მათ არ ჰქონდათ მუშათა საერთო საცხოვრებლები. მუშები ქალაქის სხვადასხვა უბნებში ნაჭირავე ბინებში ცხოვრობდნენ<sup>34</sup>.

დ. სარაჯიშვილის მუშათა საცხოვრებელი ერთ-ერთი უბნის შესახებ საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ე. კულულაშვილი იგონებს: „საქართველოს სამხედრო გზის პირას გაჩნდა (საბურთალოზე) ერთსართულიანი ქოხმახები, სადაც უმთავრესად ცნობილი მრეწველის — დ. სარაჯიშვილის არყისა და კონიაკის ქარხნის მუშები სახლობდნენ. ზაფხულობით აუტანელი ხდებოდა აქ ცხოვრება — დაბლობში გროვდებოდა ლისის ტბიდან ნაქონი წყალი, ამას წვიმაც ემატებოდა, და დაჭაობებული ადგილი კოლოების ბუდედ იქცეოდა. მუშები იძულებულნი იყვნენ მუხლამდე ტალახი ეზილათ, ბინდისას ხომ გზას ვერ გაიკვლევდნენ“<sup>35</sup>.

მუშათა კლასის აუტანელმა ეკონომიურმა პირობებმა, კაპიტალისტების თვითნებობამ, ცარიზმის მიერ კოლონიურმა ჩაგვრამ, საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა გამოიწვია. იგი ჯერ

<sup>32</sup> სცსა, ფ. 275, ს. 153, ფურც. 37.

<sup>33</sup> სცსა, ფ. 17, ს. 7739, ფურც. 1—3.

<sup>34</sup> სცსა, ფ. 275, ს. 69, ფურც. 78. სცსა, ფ 275, ს. 72, ფურც. 20, ს. 161 ფურც.

15—16.

<sup>35</sup> გაზ. „თბილისი“, 1968. № 67.

კიდევ XIX ს. 70-იან წლებში დაიწყო. მუშათა ეს პირველი გამოც-  
ვლები სტიქიურ ხასიათს ატარებდა. სოციალიზმისა და მუშათა  
მოძრაობის შეერთების შემდეგ იწყება საქართველოს მუშათა  
კლასის პოლიტიკური ბრძოლა, მისი შეგნებული მოქმედება. რე-  
ვოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ მუშებს თვითმპყრობელობის  
წინააღმდეგ ბრძოლის სწორი გეზი მისცა. ისინი შეგნებული მოძ-  
რაობის გზაზე დააყენა. საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა  
ფართო ხასიათს განსაკუთრებით XX ს. დამდეგიდან იღებს.

არყის ქარხნებში მუშათა მოძრაობის შესახებ შემდეგი ხასია-  
თის ცნობები გვხვდება: 1902 წ. ზაფხულში მუშათა გაფიცვის  
ცდას ადგილი ჰქონდა დ. სარაჯიშვილის ქარხანაში. მის მოთავედ  
ვარდენ ვასილის ძე კალანდაძე ჩანს. იგი არყის ქარხნის მუ-  
შებში აგიტაციას ეწეოდა და მუშებს შთააგონებდა, რათა მოეწყოთ  
გაფიცვა, თვითნებურად დაეტოვებინათ სამუშაო და სხვ. ქარხნის  
მმართველის — ი. გავრილოვის, ფრანგი სპეციალისტის — ანტონ  
ჟურდის, „პრიკაზჩიკის“ — დეტცელის, მუშების — მ. მიხაილო-  
ვის ჩვენებაში აღნიშნულია, რომ ვარდენ კალანდაძის მეთაურო-  
ბით დეკემბრის პირველ რიცხვებში მუშები მივიდნენ მმართველ-  
თან და ხელფასის გაზრდა მოითხოვეს, ქარხნის მმართველობამ მუ-  
შებს ხელფასი არ მოუმატა, სამაგიეროდ მათ საახალწლო საჩუქ-  
რები დაურიგა. ახალი წლის მეორე დღეს კალანდაძის მეთაურო-  
ბით მუშებმა სამუშაო დროის დამთავრებამდე სამსახურიდან გან-  
თავისუფლება მოითხოვეს. ისინი პასუხს აღარ დაელოდნენ და  
თვითნებურად წავიდნენ სახლებში. პარასკევს, ერთ-ერთ საეკლეს-  
სიო დღესასწაულის წინა დღეს, მუშებმა ადმინისტრაციას განუც-  
ხადეს, რომ შაბათს არ იმუშავენდნენ. ამ დროს ქარხნის მმართველსა და ვ. კალანდაძეს შორის უსიამოვნო შეჯახება მოხდა, რის  
გამოც კალანდაძე დააპატიმრეს<sup>36</sup>.

ვ. კალანდაძე თბილისის გუბერნატორისა და პოლიცემისტერის  
საიდუმლო მიმოწერაში მოხსენიებულია როგორც არაკეთილსაიმე-  
ლო პირი, რის გამოც იგი თავის სოფელში — ხიდისთავში გაასახ-  
ლეს. მას აეკრძალა მუშაობა და ცხოვრება ამიერკავკასიის ცენტ-  
რალურ სამრეწველო ქალაქებში — თბილისსა, ბაქოსა და ბათუმ-  
ში. პოლიციას მასზე ზედამხედველობის გაწევა დაევალა. მიმოწე-  
რიდან ჩანს, რომ პოლიციას ვარდენ კალანდაძის კვალი დაეკარგა,

<sup>36</sup> სსსა, ფ.12, ანაწ., 16, ს. 161, ფურც. 1.



იგი აღარ ჩანს ხიდისთავში, ამიტომ ამიერკავკასიის სამრეწველო ქალაქებში მას დიდი გულისყურით ეძებს პოლიცია<sup>37</sup>.

1905—1097 წწ. რევოლუციის პერიოდში საქართველოს მუშათა კლასის რიგებში იბრძოდნენ არყის ქარხნის საწარმოთა მუშებიც<sup>38</sup>.

1905 წ. „მოგზაური“ გვაუწყებს, რომ დ. სარაჯიშვილის ქარხანაში მუშათა გამოსვლები 21 მარტს დაიწყო<sup>39</sup>. „ივერია“ 25 მარტის ნომერში დასტამბა დ. სარაჯიშვილის ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა მოთხოვნები. მოთხოვნები 25 პუნქტს მოიცავდა. მუშები მოითხოვდნენ 7 $\frac{1}{2}$  საათიანი სამუშაო დღის დაწესებას, ხელფასის 25 — 50%-ით მომატებას. ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთა უფასო მკურნალობას 6 თვის განმავლობაში სრული ჯამაგირის შენარჩუნებით. ქარხანაში შინაგან სნეულებათა ექიმის მოწვევას, მუშა-მოსამსახურეთა უფასო ამბულატორიულ მკურნალობას, ქარხანაში ყოველგვარი აუცილებელი წამლით მომარაგებული აფთიაქის გახსნას, რომელიც ამ საქმისათვის საგანგებოდ მოწვეულ პირს ჩაბარდებოდა. საჭიროების მიხედვით სამუშაო საათებში მუშა-მოსამსახურეთათვის ექიმითა და წამლებით სამკურნალო დახმარების აღმოჩენას, ხელფასის შენარჩუნებით წელიწადში 1 თვით დასვენების უფლებას, თავაზიან და ზრდილობიან მოპყრობას განურჩევლად თანამდებობისა და წლოვანებისა. სხვა ქალაქებში დაარსებულ ქარხნებში, სამუშაოდ სურვილებას გათვალისწინებით მოსამსახურეთა გადაყვანას. წინასწარ შედგენილი კატალოგის მიხედვით ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებას, რომელიმე განყოფილების გაუქმების შემთხვევაში გათვალისწინებული თანამშრომლებისათვის 6 თვის ხელფასის ანაზღაურებას და სხვ. დ. სარაჯიშვილმა გაითვალისწინა მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვის საშიშროება და იმავე დღეს დათანხმდა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები<sup>40</sup>.

ერთ-ერთი თანამედროვის გადმოცემით დ. სარაჯიშვილის ქარხანაში არსებობდა მუშათა რევოლუციური წრე. იგი 1904 — 1905 წწ. ჩამოყალიბდა საშა გეგეჭკორის ხელმძღვანელობით, რომელიც ამ პერიოდში დ. სარაჯიშვილის ქარხანაში მუშაობდა. იგი საავი-

<sup>37</sup> სცსა, ფ. 17, ს. 4632, ფურც. 1—35.

<sup>38</sup> საისტორიო მოამბე, თბ., 1960, № 11, 12 გვ. 241—300. ХЦФГИА УССР, ფ. 834, ს. 128, ფურც. 87, 52—102.

<sup>39</sup> „მოგზაური“ 1905, № 12, გვ. 181.

<sup>40</sup> „ივერია“, 1905, № 3.



ტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა და მუშებს კომლი-ტიკური ბრძოლისათვის რაზმავდა. ს. გეგეჭკორის ინსტრუქციით მუშებმა შეადგინეს და ქარხნის ადმინისტრაციას წარუდგინეს მოთხოვნები, რომელიც დ. სარაჯიშვილმა დააკმაყოფილა. სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში დ. სარაჯიშვილის ქარხნის მუშათა გამოსვლები ს. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით წარმოებდა<sup>41</sup>.

დ. სარაჯიშვილის საწარმოს მუშათა გარდა 1905 წ. სოგომონოვის ქარხნის მუშებიც გაიფიცნენ. თბილისის გუბერნატორის მიერ მეფისნაცვლისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 4 აპრილს სოგომონოვის ქარხნის მუშებმა წამოაყენეს ხელფასის 50%-ით მომატების მოთხოვნა. გაფიცვა დაიწყო ოჯახის მოსამსახურემ, რომელმაც 8 საათიანი სამუშაო დღის, წინასაღღესასწაულო დღეებში დასვენების და ხელფასის 20%-ით მომატება მოითხოვა. 3 აპრილს გაიფიცა და დაიხურა სასმელებით მოვაჭრე ყველა დაწესებულება და დუქანი<sup>42</sup>.

რუსეთის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვას საქართველო 1905 წ. 14 ოქტომბერს გამოეხმაურა. 15 — 24 ოქტომბერს პოლიტიკური გაფიცვა არცის ქარხნებშიც აღირიცხა<sup>43</sup>. არცის ქარხნებში აღნიშნული გაფიცვის მიმდინარეობის შესახებ არქივის მასალები დაწვრილებით ცნობებს არ გვაწვდიან. 15 ოქტომბერს თბილისში არ მუშაობდა არც ერთი ფაბრიკა-ქარხანა, არც ერთი სავაჭრო დაწესებულება. მალაზიები და დუქნები დაიხურა<sup>44</sup>.

1905 წ. ნოემბერში კვლავ აღგილი აქვს დ. სარაჯიშვილის ქარხანაში მუშათა გაფიცვას. გაიფიცა 50 მუშა. უტურნალ „მოგზაურში“ აღნიშნული იყო, რომ გაფიცულებს თითქოს მხოლოდ დღიური მუშები შეადგენდნენ. მაგრამ იქვე მითითებულია, რომ დღიური მუშების მოთხოვნებს თვითური მუშებიც მხარს უჭერენო<sup>45</sup>.

<sup>41</sup> აღნიშნული წერილის ავტორი, — ს. ხარაბაძე მიუთითებს, რომ მან 1919 წელს საგუბერნო ცახის სავადმყოფოში გაიცნო საშა გეგეჭკორი, რომელიც მოყვა თბილისში 1904—1905 წწ. დ. სარაჯიშვილის ქარხანაში მუშაობის დროს ჩატარებულ კონსპირაციულ მუშაობის ეპიზოდებს. 1939 წ. ს. ხარაბაძე სამტრედიის კონიაკის ქარხნის დირექტორად დანიშნეს. აქ იგი გაეცნო დ. სარაჯიშვილის ყოფილ მუშებს—ვასო ბოძაშვილს, ალ. ჯავახიშვილს, თ. ბუჩუკურს. მათ დ. სარაჯიშვილის ქარხანაში საშა გეგეჭკორის რევოლუციური საქმიანობა დაადასტურეს.

<sup>42</sup> „საისტორიო მოამბე“, თბ., 1960, № 11—12, გვ. 309.

<sup>43</sup> სტსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 7.

<sup>44</sup> საქართველოს ისტორია, თბ., 1962, ტ. 2, გვ. 270. „საისტორიო მოამბე“, თბ. 1960, № 11—12.

<sup>45</sup> „მოგზაური“, 1905, № 41, გვ. 639.



არყის ქარხნის მუშებს შორის განსაკუთრებით მძიმე მარეობაში იყვნენ დღიური მუშები, რომელთა დაქირავება განუსაზღვრელი ვადით ხდებოდა. ისინი მუდმივ შიშში იყვნენ, რადგან აღარ იცოდნენ როდის დაითხოვდა მათ მრეწველი და მათ მაგივრად სხვა, კარზე მომდგარ ათას გაქირავებულს მიიღებდა. ხშირად მათი უმეტესობა ქუჩაში აღმოჩნდებოდა ხოლმე და სხვა სამუშაოს ძებნას იწყებდა. „მათი ბედი (დღიური მუშებისა — მ. მ) ყოველთვის რყევამია, — წერდა ჟურნალი „მოგზაური“ — თუ ერთ კვირას ამუშავენ, მეორე კვირას უსაქმოდ რჩებიან“<sup>46</sup>.

1906 წ. მუშათა გამოსვლები გრძელდება. 1 აპრილს გაიფიცნენ სასმელებით მოვაჭრე მაღალი განრიგის დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი (რესტორნების, სასტუმროების, ბუფეტების და სხვ.). გაფიცვა 15 დღეს გაგრძელდა. მათ წამოაყენეს მოთხოვნები: 9 საათიანი სამუშაო დღის, ხელფასის 10%-ით მომატების, საცხოვრებელ ბინაში კუთხის, ან მის ნაცვლად შესაბამისი ანაზღაურების გაცემის, ყოველ წელს ხელფასის შენარჩუნებით 1 თვიანი დასვენების უფლების, უფასო მკურნალობის შესახებ და სხვა<sup>47</sup>.

ამას მოჰყვა სასმელებით მოვაჭრე დაბალი განრიგის დაწესებულებების მოსამსახურეთა გაფიცვა. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის 25 — 30%-ით გაზრდას, 2 ცვლაში მუშაობის დაწესებას (6-დან 3 საათამდე და 3-დან 12 საათამდე), ხელფასის შენარჩუნებით 1 თვით დასვენების უფლებას, მომხმარებელთა სახლებში სასმელების მიწოდების აკრძალვას და სხვ.<sup>48</sup>

1906 წ. მორიგი გაფიცვები არყის ქარხნებში ივნისის თვეში მოხდა. მეფისნაცვლისადმი კავკასიის პოლიცემისტერის მიერ წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1906 წ. 17 ივნისს, დ. სარაჯიშვილის არყის ქარხნის მუშებმა ადმინისტრაციას ეკონომიური ხასიათის მოთხოვნები წარუდგინეს. ქარხნის ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა მუშათა მოთხოვნები, რის გამოც 20 ივნისს ქარხანაში მუშაობა შეწყდა<sup>49</sup>. თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია მუშათა ხელით ნაწერი მოთხოვნების დედანი. მოთხოვნები 16 პუნქტს მოიცავს. მუშები ითხოვენ: 8 საათიანი დღის, წინა სადღესასწაულო დღეებში 6 საათიანი სამუშაო დღის დაწესებას, ხელფასის 50 — 60%-ით მომატებას, მუშათა ბინით

<sup>46</sup> ი ქ ვ ე.

<sup>47</sup> სცსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 14.

<sup>48</sup> საისტორიო მოამბე, თბ., 1956, გვ. 706.

<sup>49</sup> საისტორიო მოამბე, თბ., 1960 № 11—12. გვ. 243.

უზრუნველყოფას, ან ბინის ქირის ანაზღაურებას (თვეში 15 მან.), ავადმყოფთა უფასო მკურნალობას ხელფასისა და ადგილის შენახვა-ჩუნდებით, კვირაში ერთხელ წინსაფრებისა და ხალათების დარიგებას, მუშის სიკვდილის შემთხვევაში ერთდროულ დახმარებას 500 მანეთის რაოდენობით, მუშის მეკლლის სიკვდილის შემთხვევაში — 150 მან., შვილის — 100 მანეთის. მუშათა ჯარში გაწვევისას 2 თვის განმავლობაში ნახევარი ხელფასის ანაზღაურებას. ზედმეტი სამუშაო დროის ორმაგ ანაზღაურებას, მუშის დასახიჩრების შემთხვევაში ნახევარი თვის ხელფასის დამატებით გამოწერას. 1 — 2 წლის მუშაობის შემდეგ დღიური მუშის მუდმივ შტატში ჩარიცხვას, წელიწადში 1 თვიანი დასვენების მოთხოვნას ხელფასის ანაზღაურებით. მუშებისათვის ყოველდღიურად 2 ფუნტი შაქრის, ჩაის უფასოდ გაცემას, აბანოსათვის წელიწადში ორი მანეთის დაწესებას და ა. შ.<sup>50</sup> ასეთივე მოთხოვნები, მცირეოდენი ცვლილებებით, დატულია აგრეთვე ლენინგრადის ცენტრალურ ისტორიულ არქივში<sup>51</sup>.

გაფიცვამ ფართო ხასიათი მიიღო. გაიფიცა საალკოპოლო სასმელების მწარმოებელი ყველა ქარხნის და სასმელებით მოვაჭრე დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები. მუშათა მოთხოვნები დააკმაყოფილეს. 4 ივლისს გაფიცვა შეწყდა<sup>52</sup>.

ამრიგად, მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ არყის ქარხნის მუშათა გამოსვლებმა თანდათან ფართო ხასიათი მიიღო. გაიზარდა და მრავალრიცხოვანი გახდა გაფიცულ მუშათა და გაფიცვაში ჩაბმული არყის ქარხნებისა და სასმელებით მოვაჭრე დაწესებულებების რიცხვი. 1905 — 1907 წწ. მუშათა გამოსვლებმა სისტემატური ხასიათი მიიღო, მაგრამ არყის ქარხნის მუშათა გაფიცვები ძირითადად ეკონომიური ხასიათისა იყო. რევოლუციური მოძრაობის ზრდისა და განვითარების შედეგად, 1905 წლის ბოლოს ეკონომიური გაფიცვები პოლიტიკურ გაფიცვაში გადაიზარდა.

1905 — 1907 წწ. მუშებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიღწიეს. მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნების შედეგად სამუშაო დროის ხანგრძლივობა 8 საათამდე შემცირდა. მუშებმა ხელფასის შენარჩუნებით დასვენების უფლება მიიღეს, მუშათა ან მისი ოჯახის წევრთა დაკრძალვის შემთხვევაში დახმარება, უფასო აბანო-

<sup>50</sup> სცსა, ფ. 275, ს. 100, ფურც. 4.

<sup>51</sup> ЦГИА СССР, ფ. 575, ანაწ., 13, ს. 4781, ფურც. 97.

<sup>52</sup> სცსა, ფ. 370, ს. 940, ფურც. 7—8. სცსა, ფ. 371, ს. 327 ფურც. 201—202.

თი, ჩაით, სპეციალური წინსაფრებით, ხელთათმანებით სარგებლობა, წელიწადში ორჯერ (საახალწლოდ და სააღდგომოდ) მუშებზე საჩუქრების გაცემა, მუშების დათხოვნის შემთხვევაში 6 თვის ანაზღაურების მიცემა და სხვ. საგრძნობლად გაიზარდა მუშათა ხელფასი. დ. სარაჯიშვილის ქარხანაში მუშათა ხელფასის ოდენობა გაფიცვამდე არსებულ ხელფასთან შედარებით 80%-ით გაიზარდა; დღიური მუშის ხელფასი გაფიცვამდე თუ 40 კაპ. უდრიდა, 1906 წ. 1 მან. გახდა. საშუალო თვიური ხელფასი 12—20 მან-დან 25—40 მან-მდე გაიზარდა. მგარამ ყველა ეს ღონისძიება დროებითი იყო და მუშათა მოძრაობის შიშით გამოწვეულ დათმობას წარმოადგენდა. მრეწველებმა გაფიცვის შემდეგ მიღებული დანაკარგი მთლიანად მოსახლეობისაგან ამოქაჩეს. მათ მნიშვნელოვნად გაზარდეს სასმელების გასაყიდი ფასი და დანაკარგი ათმაგად აინაზღაურეს. ასეთივე და უფრო მეტი მოგება მიიღეს სასმელებით მოვაჭრე დაწესებულებათა მეპატრონეებმა<sup>53</sup>.

1905 — 1907 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ მუშათა წინააღმდეგ გაძლიერებულმა რეპრესიებმა და რეაქციის თარეშმა მწარმოებლებს საშუალება მისცა გაეუქმებინათ ის დათმობები, რომლებიც მუშებმა ბრძოლით მოიპოვეს. საფაბრიკო ინსპექტორი ჩებალსკი 1910 წ. წერდა, რომ თბილისის ტრამვაიმ სამუშაოდლე 8½ საათიდან 9 საათამდე გაზარდა, მმ. სეილანოვების თამბაქოს ქარხანამ — 9 საათიდან 9½ საათამდე, ვეტცელისა და ღიტრიხის ქარხნებმა 9-დან 10 საათამდე<sup>54</sup>. მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა არყის ქარხნებში, მუშათა ხელფასი 10%-ით შემცირდა, გაუქმდა სასმელების უსასყიდლოდ გაცემა, გაზეთების გამოცემა და სხვ. მუშის სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევაში 6 თვის ანაზღაურებით განთავისუფლება შეუნარჩუნდათ მხოლოდ ძველ მუშებს, ახლად მიღებულთათვის ეს თანხა 2 თვის ხელფასამდე შემცირდა<sup>55</sup>.

აღნიშნული ცვლილებების გატარება ამხანაგობა „არგოს“ ქარხანაშიც დაიწყო, რის გამოც 1908 წ. „არგოს“ სარეჰტიფიკაციო ქარხნის მუშებმა ქარხნის ადმინისტრაციას ეკონომიური ხასიათის მოთხოვნები წარუდგინეს. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის 20%-ით მომატებას, 1 თვიანი დასვენების უფლებას ხელფასის შე-

<sup>53</sup> ЦГИА СССР., ფ. 575, ანაწ., 3, ს. 4781, ფურც. 97—100, 200. სცხა, ფ. 275, ს. 200 ფურც. 1—3. სცხა, ს. 370, ს. 940 ფურც. 14—15, 29, 41.

<sup>54</sup> სცხა, ფ. 275, ს. 110, ფურც. 33.

<sup>55</sup> საისტორიო მოამბე, თბ., 1961, № 13—14, გვ. 160—161.





ნარჩუნებით, წელიწადში 2-ჯერ თითო თვის ჯამაგირით მუშათა დაჯილდოებას, მუშების დათხოვნის შემთხვევაში 6 თვის ჯამაგირის მიცემას. ქარხნის ადმინისტრაციამ მუშათა მოთხოვნები ნაწილობრივ დააკმაყოფილა. კერძოდ, მუშას დათხოვნის შემთხვევაში 3 თვის ხელფასი მიეცემოდა, ხელფასის შენარჩუნებით წელიწადში 2 კვირიანი შვებულებით ისარგებლებდა. ყოველი მუშა წელიწადში 2-ჯერ (საახალწლოდ და სააღდგომოდ) დაჯილდოვდებოდა ხელფასის 25%-ის ოდენობის საჩუქრით<sup>56</sup>.

ახალი რევოლუციური აღმავლობა რუსეთში ლენის მუშათა დახვრეტით დაიწყო. საქართველოს მუშათა კლასი მხურვალედ გამოეხმაურა ლენის ამბებს, გაფიცვის ტალღა მოედო თბილისის, ფოთის, ბათუმის, სოხუმის მუშებს<sup>57</sup>.

ალკოპოლიანი სასმელების მწარმოებელი ქარხნების ახალი გამოსვლები 1913 წ. აღირიცხა<sup>58</sup>. ამხანაგობა „რექტიფიკატის“ ადმინისტრაციასა და მუშათა შორის ხშირი უთანხმოება იყო ხელფასის შემცირებისა და მუშათა ხშირი დათხოვნის გამო. მუშებს ხელფასი შეუმცირდათ 1907, 1908, 1909 წლებში, გააუქმეს აგრეთვე 1905 — 1907 წწ. გაფიცვებით მიღებული მატერიალური დახმარება, მუშათა დათხოვნა-განთავისუფლებას ქარხანაში სისტემატური ხასიათი ჰქონდა<sup>59</sup>. ყველა შემოჩამოთვლილი მიზეზების გამო 1913 წ. 17 აგვისტოს ამხანაგობა „რექტიფიკატის“ არყის საწყობის მუშებმა ადმინისტრაციას 11 მუხლისაგან შემდგარი ეკონომიური ხასიათის მოთხოვნები წარუდგინეს, ისინი მოითხოვდნენ: ხელფასის 1907 წლის დონემდე გაზრდას. ამასთან სახლებში სასმელების მიმტანი მუშების ხელფასის 10-დან 20%-მდე, ზენკლებისათვის — 30%-ით გაზრდას, დათხოვნილი მუშების უკან დაბრუნებას უფროსი მუშების უფლებებით. ახალი მუშებისათვის არა ნაკლები 25 მანეთის თვიური ხელფასის დანიშვნას. სამუშაო დროის შემდეგ დამატებითი მუშაობის მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში დაშვებას. ასეთი მუშაობის შემთხვევაში 1 საათის — 1½ საათის ხელფასით ანაზღაურებას, 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესებას, მუშათა ექიმით და წამლებით ქარხნის

<sup>56</sup> ЦГИА СССР., ф. 23, ანაწ. 17, ს. 23, ფურც. 42.  
<sup>57</sup> საქართველოს ისტორია, 1962, ს. ტ. 2, გვ. 292.  
<sup>58</sup> სცსა, ფ. 13, ანაწ., 30, ს. 75, ფურც. 6.  
<sup>59</sup> სცსა, ფ. 275, ს. 387, ფურც. 5. სცსა, ფ. 276, ს. 27, ფურც. 28, 13.



ხარჯზე მკურნალობას, ექიმების ბინაზე გამოძახებას. გაფიცულთათვის სრული ხელფასის მიცემას და სხვ.<sup>60</sup> ადმინისტრაციამ მუშებს განუცხადა, რომ ამ მოთხოვნებს ამხანაგობის კრებაზე განიხილავდნენ, მაგრამ მუშებმა კრებამდე არ მოიცადეს და 25 აგვისტოს გაიფიცნენ<sup>61</sup>.

მუშათა ამ გამოსვლას ლენინური გაზეთი „პრავდა“ გამოეხმაურა. 1913 წ. 28 აგვისტოს ნომერში გაზეთი იტყობინებოდა: „26 აგვისტოს ქ. თბილისში გაიფიცნენ სარაჯევის საარყე საწყობის მუშები. მოთხოვნები ეკონომიურია. გაფიცულებს ანგარიში გაუსწორეს. მუშაობენ შტრეიკებეხერები“<sup>62</sup>.

ალკოპოლიანი სასმელების ქარხნების მუშები მხარში ედგნენ და გაფაციცებით უპასუხებდნენ საქართველოს პროლეტარიატის ბრძოლას 1917 — 1921 წლებშიც.

საქართველოს პროლეტარიატის სახელოვანი ბრძოლა ცარიზმის, თვითმპყრობელობის ბურჟების, ბურჟუაზიისა და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ არყევდა და ძირს უთხრიდა მეფის რუსეთის ბიუროკრატიულ წყობილებას, აახლოვებდა მის დაღუპვას, ხელს უწყობდა ახალი — სოციალისტური ფორმაციის გამარჯვებას.

#### დასკვნა

1. საქართველოში — მეღვინეობის უძველეს ქვეყანაში, არყის დამზადებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ საუკეთესო ღვინოების წარმოების, მათი ფართო მოხმარების გამო XIX ს-მდე ქართველი ხალხი არაყს სასმელად არ ეტანება. არყის სასმელად მოხმარება მეტწილად საქართველოს მთიანი რაიონებისთვისაა დამახასიათებელი. არაყი და სხვადასხვა ბაჭახელისაგან გამოზდილი ნაყენი ფეოდალურ საქართველოში უმთავრესად სამკურნალოდ გამოიყენება.

2. საქართველოს რუსეთთან შეერთება, რუსეთის ჯარის ნაწილების და სამხედრო აპარატის მომრავლება, ნატურალური მეურნეობის რღვევა, სასაქონლო ურთიერთობის განვითარება,

<sup>60</sup> სკსა, ფ. 13, ანაწ., 30, ს. 75, ფურც. 6.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> ს. ნ ა ს ა რ ი ძ ე, ლენინური „პრავდა“..., მაცნე, 1970, № 6. გვ. 15—27.

საშინაო და საგარეო ბაზრის გაფართოება XIX ს. არაყზე მოთხოვნილებებისა და არყის სასაქონლო წარმოების ზრდას იწვევს.

3. საქართველოს არყის წარმოებისათვის (XIX ს. — XX ს. დასაწყისი) დამახასიათებელია მრეწველობის მარტივი ფორმებისა და მსხვილი კაპიტალისტური წარმოების თანაარსებობა. არყის წვრილი წარმოების გვერდით, მის პარალელურად შეიქმნა და განვითარდა არყის მსხვილი — კაპიტალისტური წარმოება. საქართველოსა და ამიერკავკასიის წვრილი მწარმოებელნი მსხვილი წარმოების ნედლეულით მომმარაგებლებად იქცნენ.

4. XIX ს. 90-იან წლებამდე საქართველოს არყის წარმოება ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ სპირტისა და არყის დიდი ნაწილი რუსეთიდან, ნაწილობრივ საზღვარგარეთიდან შემოდის. რუსეთიდან დიდი რაოდენობით შემოსული იაფი სპირტი კონკურენციას უწევს ადგილობრივ წარმოებას და ხელს უშლის მის განვითარებას.

5. XIX ს. 80-იანი წლების ბოლოდან არყისა და სპირტის წარმოებაში ორთქლის ძრავისა და მანქანა-იარაღების მასობრივი დაწერგვა, კაპიტალისტური წარმოების დაზგობრივი სპეციალიზაცია განხორციელდა და სხვადასხვა სახის არყის, კონიაკისა და სპირტის სარეკტიფიკაციო წარმოებები ჩამოყალიბდა.

6. XIX ს. 80-იანი წლების ბოლოდან საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილმა სპირტის სარეკტიფიკაციო წარმოებამ 3 ათეული წლის განმავლობაში მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია. სპირტის სარეკტიფიკაციო ქარხნები თავისი პროდუქციით ადგილობრივ ბაზარს აკმაყოფილებენ და სხვადასხვა სახის არყის, დენატურატის, ლაქის, პოლიტურის, სუნამოს წარმოებებს სპირტის ნედლეულს აწვდიან. ისინი რუსეთის იმპერიასა და ამიერკავკასიის მეღვინეობის საჭიროებისათვის დიდი რაოდენობით გასუფთავებული ყურძნის რეკტიფიცირებულ სპირტს უგზავნიან და თავისი ნაწარმი საზღვარგარეთაც გააქვთ.

7. მეტროპოლიის მიმართ მეფის რუსეთის პროტექციონისტული პოლიტიკის გამო მარცვლეული კულტურებისაგან სპირტის მსხვილი, მანქანური წარმოება საქართველოში ფეხს ვერ იკიდებს, მის წარმოებას კონკურენციას უწევს რუსეთის იმპერიიდან დიდი რაოდენობით შემოსული იაფი პურის სპირტი. ამის გამო საქართველოში არსებული პურის სპირტის ქარხნები, მათი დიდი ცდის მიუხედავად, ზრდა-განვითარებას ვერ ახერხებენ (ბარონ ბახის, პროტცერის). მათი დროებითი წარმატებები სპირტის შეღავათია-



ნი გამონდის ან საქართველოში ყურძნის და რუსეთში ხორბლის მოუსაველიანობის დროს შეიმჩნევა. ბუნებრივია, ამიტომ ნი გავლენას ვერ ახდენენ მარცვლული კულტურების ნათესი ფართობის ზრდაზე საქართველოში.

8. საქართველოს სარექტიფიკაციო ქარხნებისთვის ყურძნის სპირტის მიმწოდებელ ძირითად მასას წვრილი მწარმოებლები შეადგენენ. ისინი სპირტისა და არაყის წარმოებაში მეღვინეობის ნარჩენებს გამოიყენებენ (ჭაჭა, მთხლე, დამყავებული ღვინო, ყურძნის უვარგისი მტენებები), ღვინო კი მაღალი ხარისხისა და ფართო მოხმარების გამო თავისთავად სასაქონლო პროდუქტად რჩება, არყისა და სპირტის წარმოებაში მისი უმნიშვნელო ნაწილი გამოიყენება, ამიტომ საქართველოში შექმნილი სპირტის მძლავრი სარექტიფიკაციო წარმოება (ისევე როგორც კონიაკის წარმოება) ვენახების ნათესი ფართობის და ღვინის წარმოების ზრდაზე გავლენას არ ახდენს, საწინააღმდეგო მდგომარეობა შეინიშნება ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში.

9. XIX ს. 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში შექმნილი გაუმჯობესებული ტიპის სხვადასხვა სახის არყის კაპიტალისტური ქარხნების მრავალფეროვანი ნაწარმი 90-იან წლებში იმპერიის ბაზრების დაპყრობას ცდილობს. მაგრამ რუსეთის იმპერიაში გაბატონებულმა არყის მსხვილი ქარხნების მიერ შექმნილმა უხვმა პროდუქციამ საქართველოს არყის ნაწარმს მძლავრი კონკურენცია გაუწია, რის გამოც XX საუკუნიდან იგი მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ წარმოებად იქცა. არყის წარმოების განვითარებისათვის ერთგვარ ხელისშემშლელ ფაქტორად არყის ნაწარმზე (1900 წ.) სააქციზო გადასახადის ერთიორად გადიდება და მრეწველთა მთელი ყურადღების კონიაკის წარმოებაზე გადატანაც იყო.

10. რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოება მისი განვითარების ხასიათის, ტექნიკური ნორმებისა და ტექნიკური აღჭურვილობის დონის მიხედვით, სათანადო საარქივო და ლიტერატურული მასალის გათვალისწინებით, 3 ეტაპად დავყავით. I ეტაპი კონიაკის წარმოების განვითარების წინა პერიოდს მოიცავს (XIX ს. დასაწყისი — 70-იან წლებამდე). ამ პერიოდში კონიაკად რუსეთში ყურძნის არაყი — „კიზლარკა“ ითვლება. II ეტაპი (70 — 80-იანი წლები) მოიცავს ცდებს, პირველ ნაბიჯებს კონიაკის წარმოებაში, კონიაკის სამრეწველო წარმოების ჩასახვას და მის ტექნოლოგიაში მომხდარ ძვრებს. III ეტაპი — 1890 — 1914 წწ-

ით იფარგლება და რუსეთის იმპერიაში კონიაკის სამრეწველო წარმოების ზრდა-განვითარების პერიოდს მოიცავს.

11. რუსეთის იმპერიაში კონიაკის პირველი სპეციალური სამრეწველო ქარხანა 1888 წ. თბილისში გაიხსნა. იგი ქართველმა მრეწველმა — დ. სარაჯიშვილმა შექმნა. თბილისის კონიაკის ქარხანა მანამდე რუსეთში არსებული კონიაკის მწარმოებლებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა ნედლეულის (ღვინომასალის) შერჩევით, გამოხდის თავისებურებებითა და კონიაკის ტექნოლოგიის რთული პროცესების დაცვითა და მასშტაბებით. დ. სარაჯიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთის იმპერიაში მრეწველობის სრულიად ახალი დარგის, მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული — კონიაკის სამრეწველო წარმოების ჩამოყალიბებაში. მისმა საქმიანობამ ბიძგი მისცა კონიაკის წარმოების განვითარებას რუსეთის იმპერიაში. მისი ინიციატივით რუსული კონიაკის წარმოების ტექნოლოგია დაზუსტდა, რამაც გააიიფა, დახვეწა და გააუმჯობესა წარმოებული პროდუქციის ხარისხი და იგი ფრანგული ნატურალური კონიაკის დონემდე აამაღლა. მისი ქარხნის პროდუქციამ მძლავრი კონკურენცია გაუწია რუსეთის იმპერიის ბაზარზე გაბატონებულ საზღვარგარეთულ ნაწარმს. მან რუსეთის მრავალრიცხოვან მომხმარებელში არა მარტო საპატიო ადგილი მოიპოვა, არამედ მისი ქარხნის ნაწარმი დამკვიდრდა რუსეთის იმპერიის ბაზარზე, გავიდა საზღვარგარეთ და ადგილობრივ, რუსეთის და საერთაშორისო გამოფენებზე უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურა.

12. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში თბილისში კონიაკის წარმოების მძლავრი კერა შეიქმნა. აქ თავი მოიყარა ამიერკავკასიის კონიაკის წარმოების უდიდესმა ნაწილმა. თბილისის საბითუმო საწყობების მიერ წარმოებული პროდუქციის 80% რუსეთის იმპერიის ბაზრის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება.

13. რუსეთის იმპერიისათვის ნედლი მასალის — საკონიაკე სპირტის მიმწოდებელ ცენტრს ამიერკავკასია წარმოადგენს. აქ იმპერიაში წარმოებული საკონიაკე სპირტის 60 — 70% იყრის თავს. ამიერკავკასიის გუბერნიებს შორის საკონიაკე სპირტის წარმოებაში პირველი ადგილი ერევნის გუბერნიას უჭირავს. შუსტოვის აქციონერული საზოგადოების მიერ ერევანში კონიაკის წარმოების შექმნისა და გაძლიერების შემდეგ, ერევნის გუბერნია როგორც საკონიაკე სპირტის, ისე კონიაკის წარმოების მძლავრი კერა გახდა.

14. თბილისის გუბერნიაში, პირველ რიგში ქ. თბილისში, რო-



გორც საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკურ, ტრაციულ და სამრეწველო ცენტრში, თავი მოიყარა ვაჭრობის უდიდესმა ნაწილმა.

15. საქართველოსა და ამიერკავკასიაში მსხვილი კაპიტალისტური ტიპის სარეკტიფიკაციო და კონიაკის წარმოების ზრდა-განვითარება ამიერკავკასიის წვრილი მწარმოებლებისა და მათი განაგების ხარჯზე ხდება. მსხვილი მწარმოებლები ხელთ იგდებენ რა წარმოებისა და გასაღების ბაზრებს, ფასებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აწესებენ. ისინი ექსპლოატაციას უწევენ როგორც წვრილ მწარმოებლებს, ისე მომხმარებელს და სავაჭრო-სააღმსრებლო საქმეში მონოპოლიურ მდგომარეობას ინარჩუნებენ.

16. მძიმე და აუტანელია არყის ქარხნებში დასაქმებული მუშათა კლასის როგორც სამუშაო, ისე საცხოვრებელი პირობები. არყის ქარხნებში მომუშავე პროლეტარტა კლასი არსებულ უკულ-მართობას პროტესტითა და გაფიცვებით უპასუხებს. საქართველოსა და რუსეთის მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირში მას თავისი წვლილი შეაქვს ცარიზმისა და თვითმპყრობელობის დამხობაში.

---

## РЕЗЮМЕ

В монографии на основе анализа до сих пор не известных архивных и других источников впервые в нашей историографии исследуется зарождение крупного промышленного спирто-ректификационного, водочного и коньячного производства в Грузии во второй половине XIX века и в начале XX столетия.

Основные выводы таковы:

1. В Грузии — древнейшей винодельческой стране, винокурение имеет давнюю историю. Однако ввиду наличия в большом количестве высококачественных вин и их широкого использования, грузины, за исключением жителей горных районов, редко употребляли водку, которая наряду с разнообразными настоями из трав и ягод использовалась лишь в лечебных целях.

2. После присоединения Грузии к России постепенно создаются условия для развития производительных сил края, для развития товарных отношений, расширения связей с внутренним и внешним рынками и т. п. Все это способствует резкому увеличению спроса на водку и развитию ее товарного производства.

3. Массовое внедрение в водочное и спиртовое производство с конца XIX в. паровых котлов и двигателей, различных машин и механизмов, вызвало специализацию и появление отдельных производств разного вида специальных водочных изделий, ректифицированного, коньячного спирта и коньяка. Таким образом, в конце 80-х годов XIX века закладываются основы для перевооружения указанного производства на заводской лад. В последующий период промышленный переворот углубляется и, в основном, завершается.

4. Для водочного производства Грузии изучаемого периода характерно сосуществование сравнительно низких форм производства с крупным капиталистическим промышленным производством, причем в процессе конкурентной борьбы и укрупнения производства, мелкие производители разорялись или превращались в поставщиков сырья для крупных промышленников.

5. До 90-х годов XIX в. водочное производство Грузии не могло удовлетворить потребностей внутреннего рынка, поэтому большая часть спирта и водки по низким ценам ввозилась из России (частично из-за границы). Это создавало серьезную конкуренцию местному производству и мешало его развитию.

6. Созданное к концу 80-х годов спирто-ректификационное производство Грузии (и всего Закавказья) за 30 лет своего существования достигло значительных успехов. Выпускаемая продукция использовалась в виде сырья для различного рода водочных изделий, денатурата, лаков, политуры, духов, а самое главное, обеспечивала нужды виноделия в чистом виноградном спирте всей Российской империи и даже вывозилась за границу.

7. В результате протекционистической политики царского правительства в Грузии не получило развития крупное промышленное производство спирта из зерновых культур, так как этому мешала конкуренция со стороны ввозимого из внутренней России в большом количестве дешевого хлебного спирта. Ввиду этого существующие в то время в Грузии хлебно-винокуренные заводы, несмотря на большие старания, не смогли развиться (завод барона Баха, Протцера). Их временные успехи были следствием предоставления льгот на выкурку, неурожая винограда в Грузии и хлебных злаков в России. В связи с этим, естественно, винокуренное производство не могло оказывать влияния на расширение посевных площадей под зерновые культуры в Грузии.

8. Для ректификационных заводов Грузии основными поставщиками виноградного спирта являлись мелкие производители. В производстве спирта и водки они использовали, в основном, остатки виноделия (чачу, виноградную гущу, скисшее вино, негодные гроздья винограда и т. п.), что же касается вина, то ввиду высокого качества и большого спроса, оно в Грузии оставалось рыночным продуктом, а в производстве спирта и водки использовалась лишь его незначительная часть. Поэтому созданное в Грузии мощное спирто-ректификационное производство (также и коньячное) не влияло на рост площади виноградников и винное производство. Обратное явление замечается в остальных губерниях Закавказского края.

9. Имевшее прекрасные и разнообразные природные сырьевые источники, водочное производство Грузии, после кратковременного и бурного роста (80—90-х гг. XIX в.) не смогло выйти на рынки Империи и удовлетворилось лишь обеспечением потребностей местного рынка. Это было обусловлено сильной конкуренцией со стороны русских и зару-

бежных фирм, господствовавших на рынках внутренней России и дополнительным акцизом (1900 г.), удвоившим сборы и нанесящим сильный удар по растущему водочному производству Грузии. Немаловажную роль сыграло и перенесение основного внимания спиртопромышленников на производство коньяка.

10. В истории коньячного производства Российской империи исследуемого периода (по характеру производства, по уровню технического оснащения и технологическим нормам) нами выделены три этапа: I этап, предшествовавший зарождению коньячного производства (начало XIX в. до 70-х годов), когда коньяком в России считалась виноградная водка «Кизлярка»; II этап зарождения коньячного производства (70—80-е годы XIX в.); когда осуществляются первые опыты по изготовлению коньяка с учетом требований технологии; III этап роста и развития промышленного производства коньяка (1890—1914 гг.).

11. Первый специальный коньячный промышленный завод в Российской империи был открыт в 1888 г. в Тифлисе грузинским промышленником Д. З. Сараджишвили, который отличался от предшествовавших ему предпринимателей большим масштабом производства, строгим подбором вино-материалов, учетом особенностей выкурки коньячного спирта и его дальнейшей обработкой.

Д. З. Сараджишвили сыграл большую роль в организации совершенно новой отрасли в Российской империи. Его деятельность дала толчок широкому развитию коньячного производства в стране. По его инициативе была уточнена и узаконена технология производства «русского коньяка». Этим удешевилось производство, улучшилось качество коньяка. Грузинский коньяк смог конкурировать с господствовавшим в стране заграничным коньяком. Продукция спирто-водочно-коньячных предприятий Д. З. Сараджишвили постепенно завоевала внутренний рынок страны, вышла на внешний и за свои высокие качества неоднократно награждалась на международных и всероссийских выставках.

12. В конце XIX и начале XX вв. Тифлис превратился в мощный очаг коньячного производства Закавказья. Восемьдесят процентов продукции, произведенной на тифлисских оптовых складах, вывозилось для удовлетворения растущей потребности рынков Империи.

13. Основным поставщиком коньячного спирта — сырья для коньячных заводов Империи являлось Закавказье, где производилось 60-70% всего коньячного спирта. Среди Закавказских губерний по производству коньячного спирта на первом месте была Ереванская губерния. После созда-

ния и усиления в Ереване акционерным обществом Шустова коньячного производства, Ереванская губерния стала мощным производителем коньяка.

14. В Тифлисской губернии, в первую очередь, в Тифлисе, как политическом, административном и промышленном центре Грузии и Закавказья, сосредоточилась большая часть торговли спиртом и вообще алкогольными напитками.

15. В Грузии и в Закавказье рост и развитие крупного спирто-ректификационного и коньячного производства происходил за счет закабаления и разорения мелких производителей. Прибирая к рукам сырьевые базы и рынки сбыта готовой продукции, крупные промышленники по своему усмотрению назначали цены, эксплуатируя тем самым как мелких производителей, так и покупателей, сохраняя этим свое монопольное положение.

16. В невыносимо тяжелых условиях приходилось трудиться рабочим, занятым на заводах алкогольных напитков. Рабочие названных заводов совместно с остальными отрядами грузинского промышленного пролетариата, вели самоотверженную борьбу за свое освобождение.



შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ო

БСХ — Бессарабское сельское хозяйство

ВВ — Вестник виноделия.

ЗКОСХ — Записки Кавказского общества сельского хозяйства

К — Кавказ

КСХ — Кавказское сельское хозяйство

КК — Кавказский календарь

ССВВК — Сборник сведений по виноградарству и виноделию Кавказа

ЦГИА СССР — Центральный Государственный исторический архив СССР

ТКОСХ — Труды Кавказского общества сельского хозяйства

ХФЦГИА УССР — Харьковский филиал центрального государственного исторического архива.

სსსა — საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1157

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ა. ბენდიანიშვილი  
ისტ. მეცნ. კანდ. ნ. როლონაია

გამომცემლობის რედაქტორები: ს. ხანჯალაძე,  
ნ. მამულაშვილი  
ტექნორედაქტორი ც. ქამუშაძე  
კორექტორი ნ. შენგელია

გადაეცა წარმოებას 25.2.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.12.1980;  
ქაღალდის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 10,8;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,3;

უე 01295;

ტირაჟი 1000;

შეკვეთა № 709;

ფასი 1 მან. 10 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Мирианашвили Мадлена Шалвовна

РАЗВИТИЕ КАПИТАЛИСТИЧЕСКОЙ  
ПРОМЫШЛЕННОСТИ В ГРУЗИИ

(производство спирта, водки и коньяка)

(на груз. языке)

40

46, 58, 68 წელი

82, 86, 86 119, 120

10, 30

განმარტებულია

განმარტებულია